ყოველკვირეული
# ალია

N16/744/ 18 - 24 აპრილი 2016 წ ფასი 2 ლარი
ყოველკვირეული ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA .GE
გამოდის 1995 წლიდან



რა სკანდალი მოხდა ჯაჯანიძის შოუს ჩაწერაზე, რაც ეთერში არ გავა!

20

## „ქვეყანაში შეიქმნება რადიკალური ოპოზიციური გაერთიანება, რომელიც დაამხობს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას“



12

## პრემიერსა და პრეზიდენტს შორის კინკლაობის რინგი გახსნილია



10

**ზაზა ჭაია:** „თუ სახელმწიფოს უნდა, რომ შეწყდეს მკვლელობები, წამება, ძალადობა, განუკითხაობა და ქაოსი, ვალდებულია გადადგეს შს მინისტრი“

16

### მალე, შესაძლოა, მანქანა არ მოგყიდონ, თუ პარკინგის ადგილი არ გექნება!

როგორ უნდა ეშველოს გაჭედილ „საცობებს“ და რა უნდა ქნას მძღოლმა, თუ გასაჩერებელ ადგილს ვერ პოულობს?



8

### დავით გამყრელიძე პოლიტიკაში ბრუნდება?



6

### ვახტანგ ხმალაძე: „პრემიერის ამ პასუხზე რა კომენტარი უნდა გავაკეთოთ?“



6

## თბილისელი და ქუთაისელი კრიმინალების საიდუმლო „სხადნიაკი“ ისანში

17

რა იყო იმ ფარულ კადრებში, რომელიც 11 აპრილს „ალიას“ გამოუგზავნეს?

თამარ ჩერგოლეიშვილისა და „მძიმე კაცის“ სიმართლის დამტკიცების ყველაზე მოკლე და უტყუარი გზა...



11

### საქართველოში აშშ-ს ელჩთან ხუმრობა 7-20 წლამდე ჯდება?!

ვინ არის სულხან წულაძე, მეტსახელად „სპლიყვი“



23

### მეგის ქარდავას რომან დუმბაძის მკვლელობის მოტივი არ ჰქონდა!



18

რას უყვება „ალიას“ არასრულწლოვანი ბიჭის დედა, რომელიც ბერ ექვთიმეს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებს?!



25

# საყვარელიძის აღიარება — როგორ აჯილდოვებდა სააკაშვილის ხელისუფლება „საქმის მკეთებელ“ პროკურორებს?!



უკრაინის გენპროკურორის ყოფილმა პირველმა მოადგილემ დავით საყვარელიძემ უკრაინულ გამოცემასთან უკრაინის პროკურატურაში არსებული პრობლემები განიხილა, ასევე, მან პარალელები გაავლო საქართველოს პროკურატურასთან:

„დავუპირისპირდი შოკინსაც და ყველას, ვინც ძველ სისტემას ემხრობა. ძველ სისტემაში ისინი თავს კომფორტულად გრძნობდნენ. მაგრამ პროკურატურა, პირველ რიგში, კორუფციას უნდა ებრძოდეს. კორუფციასთან ბრძოლა კი სიღარიბესთან ბრძოლას ნიშნავს.

ახლა თავისუფლად შემიძლია ჩემი მოქალაქეობრივი აზრის დაფიქსირება. დავტოვე კაბინეტი, მსგავსი თანამდებობა ბევრი მქონდა. არის მომენტი, როცა შეგიძლია ადმინისტრაციული და იურიდიული რესურსის გამოყენება და როცა ყველა შესაძლებლობა ამოწურულია, უნდა გადახვიდე სამოქალაქო აქტივობაზე, პოლიტიკაზე. ყველაფერი გააკეთეს, პროკურატურიდან ჩემი გამოგდებისთვის, ახლა კი ეს ყველაფერი ღირსების საქმეა“.

ჟურნალისტის კითხვაზე, აპირებს თუ არა საყვარელიძე პოლიტიკაში მოსვლას, მან განაცხადა, რომ იქ ხედავს საკუთარ თავს, სადაც სიმართლეა:

„ჩემს თავს სამართლიან ხალხთან ვხედავ. სადაც აქამდე ვმუშაობდი, იქ სიმართლე არ არის, თუმცა იმ სისტემაშიც ბევრი სამართლიანი ხალხი დავტოვე, მათ იმედის მიცემა სჭირდებათ“.

უკრაინულ გამოცემასთან საუბრისას, ქართველმა პოლიტიკოსმა პარალელები გაავლო უკრაინისა და საქართველოს რეფორმებზე და განაცხადა, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობისას საქართველოში არაკორუმპირებულობა პოპულარული იყო.

ჟურნალისტის კითხვაზე, რამდენს გამოიმუშავებდა პროკურორი საქართველოში, საყვარელიძემ უპასუხა:

„2008 წელს პროკურორი საქართველოში 1200-1300 დოლარს გამოიმუშავებდა. საქმის კონკრეტული შედეგით დასრულებას თან ახლდა პრემია და ბონუსი. თუ რეზონანსული საქმე გაიხსნებოდა და სახელმწიფოს დანაკარგს დაუბრუნებდა, მაშინ პრემიის სახით 10-20 ათასი დოლარი გადაეცემოდა, ეს უფიციალურად ხდებოდა, სახელმწიფოსგან“.

ფრაგმენტი ინტერვიუდან:

– როგორ ახორციელებდით საქართველოში რეფორმებს?

– პოლიტიკური ხელმძღვანელობა ჩვენს წინააღმდეგ კი არ იწყებდა გამოძიებას, არამედ სარჩელი შეჰქონდათ იმათ წინააღმდეგ, ვინც ჩვენ გვიშლიდა ხელს. ისეთები, როგორიც კოვალოვია, ვერ ბედავდა „რუსულ სამყაროზე“ აგიტაციის ჩატარებას. პრეზიდენტი ჩვენ გვიჭერდა მხარს და პარლამენტიც ხვდებოდა, საით მიდიოდა ჩვენი პოლიტიკური გზა. მოდური იყო არაკორუმპირებულობა, საზოგადოების კეთილდღეობისთვის მუშაობა და ახალი საქართველოს შენება.

– კონკრეტულად რას აკეთებდით პროკურატურაში?

– გავატარეთ რეფორმები, შევცვალეთ თანამშრომლები, დავწერეთ კრიმინალთან ბრძოლის ახალი კანონები, რომლის დაცვაც მკაცრად კონტროლდებოდა. კარგად მუშაობდა უსაფრთხოების სამსახური, რომელიც ყველა კორუფციულ კავშირსა და პროკურორის ეთიკის დარღვევას ამოწმებდა. რამდენიმე წელში კი, საქართველოს პროკურატურამ საზოგადოების ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილა. ვიბრძოდით კორუფციის წინააღმდეგ, გავწმინდეთ სისტემა და სახელმწიფოს უბრუნდებოდა მოპარული ფინანსები და ქონება...

რაც შეეხება უკრაინაში დაშვებულ შეცდომებს, საყვარელიძემ უპასუხა, რომ არაფერს ნანობს:

„მე არაფერს ვნანობ, გამოვიყენეთ ყველა შესაძლო იურიდიული და პოლიტიკური შესაძლებლობა. ჩვენ შევძელით, საზოგადოებისთვის დაგვენახებინა კონტრასტი და პროკურატურა არ გახდა დიდი კორუფციის ნაწილი“. (kvirispalitra.ge)

# „ბიძინა ივანიშვილი პირდაპირ მოვიდა კადრებით“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრ სერგო რატიანის განცხადებით, როგორც კი ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრების გამოქვეყნება დაიწყო.

რატიანის თქმით, რადგანაც „ქართული ოცნება“ და მისი ხელისუფლება მთავრდება, სწორედ შანტაჟით ცდილობს ივანიშვილი პოლიტიკოსების დაჭერას.

მისი თმით, ბიძინა ივანიშვილის ენა არის ტერორის ენა, რაც რუსულ ოლიგარქიას ახასიათებს.

– როცა ვსაუბრობდით, რომ ბიძინა ივანიშვილი არის რუსი ოლიგარქი, ჩვენ არა მის პიროვნულობას ვეხებოდით, არამედ, სოციალურ წრეს. ამ ენით საუბრობს რუსი ოლიგარქი, სხვა ენა მან არ იცის. ეს არ არის ბილ გეიტსი, რომ ნიჭით ეშოვა ფული. ეს არის მორალური ტერორის ენა და ჩვენ დაგვაბრუნეს რუსულ 90-იანებში, როდესაც პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით ხდებოდა დატერორება. ეს არის რუსული ოლიგარქიის ენა – ბიძინა ივანიშვილი პირდაპირ მოვიდა კადრებით, – განაცხადა რატიანმა. (pia.ge)

# რატომ არ ესწრებოდა ინგა გრიგოლია პრემიერთან შეხვედრას



ტელეკომპანია „პირველის“ ჟურნალისტი ინგა გრიგოლია პრემიერ გიორგი კვირიკაშვილთან შეხვედრას არ ესწრებოდა. ჟურნალისტს მიზეზთან დაკავშირებით კითხვა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა „ფეისბუქში“ დაუსვა.

გრიგოლიამ განმარტა, რომ შეხვედრაზე ყველა არხიდან მხოლოდ ერთი ჟურნალისტი იყო მიწვეული, „პირველს“ კი იქ ნინო ჟიჟილაშვილი წარმოადგენდა.

გიგაურს მიაჩნია, რომ საკითხი, რომელი ჟურნალისტი წარადგენს არხს შეხვედრაზე, თავად არხმა უნდა გადაწყვიტოს, – „იქნებ თვითონ ტელევიზიას მიანდონ, რომ გადაწყვიტოს, ვინ იქნება ის ერთი ჟურნალისტი, რომ გაუგებრობა აიცილონ თავიდან!“.

გიგაურის სტატუსს სხვა მედიასაშუალებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების კომენტარებიც მოჰყვა.

„ხმაური არ ნაყვარება მშვიდ პრემიერს. ინგას დეციბალებს ვერ უძლებს თურმე. ურცხვად ამტკიცებდა, ივანიშვილი კი არა, მე ვმართავ ქვეყანას დამოუკიდებლადო. რომელ ჟურნალისტებს უპასუხოს, იმასაც კი ივანიშვილი უდგენს“, – დაწერა „რუსთავი 2“-ის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ. (news.ge)

# „ხელისუფლებას კიკინები სერიოზულად უჭერს“



არჩევნების თარიღზე წარმოშობილ გაუგებრობას „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიორგი ახვლედიანი კინკლაობას უწოდებს.

– თუ ამ შემთხვევაში პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ეკინკლავებიან და ერთმანეთს ჯიბრით ექცევიან იმის გამო, ხიდაშელი იქნება თუ არა მინისტრი, მაშინ ნიშნავს, რომ უფსკრულთან კი არა, უფსკრულში ვართ. იმედი მაქვს, პრეზიდენტის მხრიდან მეტი ლოგიკა იქნება ჩართული, რომ სულაც არ არის საჭირო ქვეყანაში 5 თვით ადრე საარჩევნო კამპანიის დაწყება. ამ საკითხის ამ დონეზე გააქტიურება კიდევ ერთი ძალიან სერიოზული სირცხვილია დღევანდელი ხელისუფლების, რომელსაც აშკარად ძალიან სერიოზულად კიკინები უჭერს, – განაცხადა გიორგი ახვლედიანმა. (იპრესს.გე)

ღარიბაშვილის პრორუსების ორიენტირი: სადღობელაშვილი, ამაშუკელი და გურიის გუბერნატორი – „რესპუბლიკელები“ ყოფილ პრემიერს ღიად უპირისპირდებიან

„რესპუბლიკელების“ პრეტენზია და მოულოდნელი განცხადება ყოფილი პრემიერის ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ.

დავით ზურაბიშვილის განცხადებით, ღარიბაშვილის დროს ძალიან ბევრი ნეგატიური პროცესი დაიწყო, რის გამოც აუცილებელი გახდა კოალიციის რეფორმირების პროცესი, თუმცა ეს ვერ მივიდა ბოლომდე, მიუხედავად იმისა, რომ ის გამოიცვალა.

ზურაბიშვილის განცხადებით, სრულიად შავრაზმული პრორუსული ტიპის ძალების მომძლავრება საქართველოში გარკვეულწილად მოხდა იმიტომაც, რომ ამ ძალებისთვის ღარიბაშვილი იყო ერთგვარი ცენტრი.

– ყველა ის ადამიანი, დაწყებული ლადო სადღობელაშვილით და დამთავრებული რეზო ამაშუკელით, ასეთი ტიპის ადამიანებისთვის ღარიბაშვილი იყო მთავარი ორიენტირი, – აცხადებს ზურაბიშვილი და დასძენს, რომ ღარიბაშვილის პრემიერობის დროს მოხდა გურიის გუბერნატორად იმ ადამიანის დანიშვნა, რომელმაც გაუპატიურების კადრების სეანსები მოაწყო ქალაქებში. (პირველი რადიო)

# დაპირებების 100 პროცენტით შესრულება ბუნებაში არ ხდება — გიორგი კვირიკაშვილი



პრემიერის განცხადებით, სოციალური უზრუნველყოფის სისტემა მომავალში გახდება უფრო ფოკუსირებული იმ ფენებზე, რომლებსაც ეს უფრო მეტად სჭირდებათ. აღნიშნული განცხადება პრემიერმა 2012 წლის წინასაარჩევნო დაპირებებთან დაკავშირებით, ტელეკომპანია „ტაბულას“ ჟურნალისტ თამარ ჩერგოლეიშვილის კითხვის საპასუხოდ გააკეთა, რომელიც კომუნალური გადასახადების შემცირებასა და დევნილებისთვის ტარიფების განულებას ეხებოდა:

– დაპირებების 100 პროცენტით შესრულება ბუნებაში არ ხდება, რაც შეეხება, კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჩვენი სოციალური უზრუნველყოფის სისტემა, მომავალში გახდება უფრო ფოკუსირებული იმ ფენებზე, რომლებსაც ეს უფრო მეტად სჭირდებათ. არ ვიცი, რამდენად სიმართლეს შეესაბამება ის, რომ ბიძინა ივანიშვილმა გასცა დაპირება, თითქოს ხმის მიცემის შემთხვევაში დევნილები განთავისუფლდებოდნენ კომუნალური გადასახადებისგან, ათასნაირი ინფორმაცია ტრიალებს, ამას აუცილებლად გადავამოწმებ. რაც შეეხება დევნილებისთვის სოციალური უზრუნველყოფის დონეს და დაფარვას, სწორედ ამიტომ, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მნიშვნელოვანი რეფორმა არის გასატარებელი. ეს იქნება ერთ-ერთი ქვაკუთხედი იმისა, რომ ჩვენ უფრო მეტი პრიორიტეტი გვექნება მოსახლეობის იმ ფენებზე, რომლებსაც უფრო მაღალი საჭიროება აქვთ, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. (ნიუპოსტი)

# მაჭავარიანი პრემიერზე: ადამიანი, რომელიც „ჯიგრულად“ საუბრობდა



საპარლამენტო უმცირესობის დეპუტატი მიხეილ მაჭავარიანი მიიჩნევს, რომ მოსახლეობამ პრემიერისგან პრობლემების მოგვარების შესახებ ვერანაირი გზავნილი ვერ მიიღო. დეპუტატმა გიორგი კვირიკაშვილის ჟურნალისტებთან შეხვედრა შეაფასა.

– ჩვენმა მოქალაქეებმა ვერანაირი გზავნილი ვერ მიიღეს მისგან, როგორ გამოსწორდება უმუშევრობის პრობლემა, როგორ გაიზრდება ეკონომიკა, როგორ შემცირდება ფასები, როგორ გაუმკლავდება ჩვენი მოსახლეობა იმ გამოწვევებს, ეკონომიკურ პრობლემებს, საკითხებს, რომელიც არის. მეორე მხრივ – ადამიანი, რომელიც კარგად, ჟარგონს ვიტყვი, „ჯიგრულად“ საუბრობდა, – აღნიშნა დეპუტატმა. (news.ge)

# გვესმის ხატოვანი განცხადებების მთელი კასკადი და არაკვალიფიციური შეფასებები — აბაშიშვილი



საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი არჩევნების თარიღსა და წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების ვადებზე მორიგ განმარტებებს აკეთებს. აბაშიშვილმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ არჩევნების დანიშვნის თარიღად 8 ოქტომბერი პრემიერისა და პრეზიდენტის შეთანხმების შედეგად გამოცხადდა საპარლამენტო:

– გვესმის ხატოვანი განცხადებების მთელი კასკადი და არაკვალიფიციური შეფასებები სახელმწიფო მართვის საკითხებთან მიმართებით, იქნება ეს იმპიჩმენტი, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი, ბიუჯეტი და ასე შემდეგ. ასეთი ტიპის უარგუმენტირებულობა, ასეთი ტიპის არაკვალიფიციური შეფასებები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რამდენად სწორი გადაწყვეტილება მიიღო პრეზიდენტმა არჩევნების თარიღისა და საარჩევნო კამპანიის ადრე დაანონსებას, გამოცხადებასა და შემდგომში გამოცემასთან დაკავშირებით. ცხადია, აქ გადაწყვეტილების შეცვლაზე საუბარი არ არის.

პრემიერი და პრეზიდენტი ერთობლივად შეთანხმდნენ არჩევნების თარიღის გამოცხადებაზე, სხვა მხრივ, განცხადება გაკეთებულია, საარჩევნო კამპანია უნდა დაიწყოს ადრე იმისთვის, რომ პოლიტიკურ პარტიებს მიეცეთ ყველა შესაძლებლობა, კონკურენტულ გარემოში განახორციელონ სრულად საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, – განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა. (ნიუპოსტი)

## „ამ ბიოცისტერნა ამერიკის ელჩის გამო უდანაშაულო ქართველს იჭერენ! დაჩმორებულო საქართველო!“




თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი ერმილე ნემსაძე განცხადებას ავრცელებს:

– ამერიკის ელჩის ინტერნეტფორუმზე შეურაცხმყოფელი მუქარისთვის პიროვნება დააკავეს და ორთვიანი პატიმრობა შეუფარდეს. კი, მაგრამ, თქვე შობელძაღლებო, როდის მერე იყო, ტერორისტი რაიმეს აფეთქებას აპირებდა და ამას ინტერნეტფორუმზე წერდა? რატომ დააკავეთ საქართველოს მოქალაქე? ემისარს შეეშინდა? კარგით, ამერიკელი ემისრის ლაჩრობა და სიმხდალე გასაგებია, მაგრამ პირს როდესაც აკავებთ ტერორიზმის ბრალდებით, მტკიცებულებად ინტერნეტფორუმზე დაწერილ ტექსტს წარადგენთ? სად არის მტკიცებულება, რომ მართლა აპირებდა ეს ადამიანი მაგას. საელჩოს სქემა უპოვეთ, ასაფეთქებელი ნივთიერება, იარაღი თუ სხვა რამ, რაც გახდებოდა პირის დაკავების საფუძველი?

ერთი ის პიჟონი მოსამართლე და გამომძიებელი მანახა, ვინც ამ ადამიანის დაკავება მოითხოვა და ვინც დაკავების სანქცია გასცა. ასეთი მონური სული და ხასიათი საიდან, თქვე უპატრონოებო, წვეთი ქართული სისხლი აღარ შემოგრჩათ?

ხვალ ვაპირებ, თავი ავიფეთქო რუსეთის საელჩოსთან. თუ ცოცხალი გადავრჩი, მერე წავალ და ამერიკის საელჩოს ავაფეთქებ. ჰე, მიდით ახლა და დამიჭირეთ! აბა, თქვენ იცით. ვაი, თქვენს პატრონს! ცხონებული ავლიპ ზურაბაშვილი რომ ცოცხალი იყოს, ფსიქიატრიულში აღარ შევიდოდა, რადგან გზად იმდენ პაციენტს გადაეყრებოდა, ვერ მიაღწევდა სამსახურამდე.

ხვალ იკრიბებიან ქართველი „ტერორისტი-შაჰიდები“ თბილისში. ნაწილდებიან სამი მიმართულებით: ამერიკის საელჩო, საქართველოს მთავრობის სასახლე და თბილისის საქალაქო სასამართლო. თავი უნდა აიფეთქონ. მე მივდივარ აქვე უბნის ბოლოში, ქუთაისში და პარლამენტი უნდა ავაფეთქო. თავს ვერ ვიმეტებ ასაფეთქებლად, რა ვქნა. ვინც გადარჩება, მერე სნაიპერული შაშხანით უნდა ამოვჟლიტო. მოკლედ, წინასწარ გაფრთხილებთ შსს-ს, უშიშროებას, ანტიტერორისტულ ჯგუფს, სახელმწიფო დაცვის სამსახურს. სანამ ჩამიდენია დანაშაული, დამიჭირეთ! თუ არა, რაცხა გლახას ვიზამ... შიზოფრენიკო და სულით მონა მოსამართლე, დედამოტ...ნულო ლაჩარო ამერიკის ელჩო და კორუმპირებულო საელჩოს აპარატის თანამშრომლებო, რომლებიც გაჭირვებულ ქართველებს საელჩოში ფეხის შედგმის სანაცვლოდ 500 ლარს ღლეტთ და უმრავლესობას უარით ისტუმრებთ. სად გინახავთ, ტერორისტი წინასწარ მღეროდეს, რა უნდა ააფეთქოს. გამოსირებულო სამართალდამცავო სისტემავ! არ შეიძლება დააკავო უდანაშაულო ადამიანი იმის გამო, რომ შეიძლება მომავალში დანაშაული ჩაიდინოს. კანონები ყველა საზოგადოებაში იქმნება ადამიანებისთვის და დანაშაულის ჩადენამდე პირი უდანაშაულოა. რა შეატყვეთ ამ ანგელოზივით შვილების მამას ტერორისტის და ისიც ბიოცისტერნა ამერიკის ელჩის და მისი თანამშრომლების გამო დანაშაულის ჩამდენის.

საქართველო დღეს ყველაზე უფრო დაჩმორებული, დაძაბუნებული, დადედლებული, უთავმოყვარეო ქვეყანაა.

**P.S.**: ფოტოზე გამოსახულია „სავარაუდო მომავალი ტერორისტი“, რომელიც ქართულმა სპეცსამსახურებმა დააკავეს და ამით გადაარჩინეს ამერიკის ბიო ცისტერნა ელჩი იან (ნა) კელი, – წერს ერმილე ნემსაძე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეუფარდა სულხან წულაძეს, რომელსაც ინტერნეტაქტიური პირები „თბილისის ფორუმიდან“ იცნობენ, როგორც იუზერს „სპლიყვი“.

სულხან წულაძე სწორედ „თბილისის ფორუმზე“ გამოქვეყნებული პოსტის გამო დააკავეს, სადაც ის ხუმრობით წერდა, რომ ამზადებდა თავდასხმას საქართველოში აშშ-ის საელჩოზე. წინასწარი ინფორმაციით, სამართალდამცველებს აშშ-ის საელჩომ მიმართა. (mediacity.ge)

## მეჭიაური პრეზიდენტზე: მაგას ბიუჯეტი საიდან აქვს, ვერ გავიგე, სადმე რამე ფული იშოვა?



პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური ინტერესდება, პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს წინასაარჩევნო პერიოდის თანადაფინანსებისთვის ფული საიდან აქვს.

როგორც მეჭიაური აცხადებს, ეს საარჩევნო პერიოდი უსაშველოდ არ უნდა გაიწელოს.

– მაგას ბიუჯეტი საიდან აქვს, ვერ გავიგე. სადმე რამე ფული იშოვა? პრეზიდენტის ფონდი იგივე ბიუჯეტია, რომელიც ჩვენი გადახდილი ფულითაა და არა მისი ხელსაქმით და შემოსულობებით შევსებული. მას თუ სხვა ფული აქვს, მაშინ აქედან გამომდინარე დააფინანსოს და არა ჩვენი ფული დახარჯოს. ჯერ თავისი ფული მოიძიოს. პრეზიდენტი საღ აზრს უნდა დაემორჩილოს და საღი აზრი ისაა, რომ არჩევნები ისე უნდა ჩატარდეს, რომ ყველა პოლიტიკურ სუბიექტს თანაბარი პირობები ჰქონდეს, – განაცხადა მეჭიაურმა.

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ მაისიდან წინასაარჩევნო კამპანიის გამოცხადების შემთხვევაში, არჩევნების ადმინისტრირების დაფინანსების ნაწილში, საჭირო თანხის ნაწილს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გაიღებს. (ინფო9)

## ხუთთვიანი წინასაარჩევნო კამპანია აბსოლუტურად მიუღებელია – ზვიად კვაჭანტირაძე



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ზვიად კვაჭანტირაძე წინასაარჩევნო კამპანიის ვადებზე კომენტარს აკეთებს. მისი განცხადებით, რაც იქნება პრემიერისა და პრეზიდენტის შეთანხმება, მმართველი გუნდი იმ სტანდარტებს მოერგება:

– მიგვაჩნია, რომ ეს ვადა არის გაწელილი და ვერც ერთ არგუმენტს ვერ ვპოულობთ ამის დასადასტურებლად. გავიარეთ ევროპული მაგალითები და ამის ილუსტრაცია შეიძლება ძალიან მარტივად. ზოგადად, ევროპული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ 5 თვე წინასაარჩევნო კამპანია არის აბსოლუტურად მიუღებელი. თუ პრეზიდენტი და პრემიერი გააგრძელებენ დიალოგს, რაზეც შეთანხმდებიან, იმას მოვერგებით, – განაცხადა ზვიად კვაჭანტირაძემ. (ნიუპოსტი)

## შავი ზღვის სანაპიროზე დელფინების გამორიყვის ახალი შემთხვევები დაფიქსირდა



გონიოს სანაპიროზე მკვდარი დელფინების გამორიყვის ახალი ფაქტებია დაფიქსირებული. სპეციალისტების განცხადებით, შემთხვევები ვირუსულ ინფექციას უკავშირდება. პირველადი დათვალიერებით, დელფინებს დაზიანებები არ აღენიშნებათ.

სარფიდან განმუხურამდე, შავი ზღვის სანაპიროზე დელფინების გამორიყვის ეს უკვე 25-ე შემთხვევაა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, მიზეზი მორბილვირუსული ინფექციაა, რომელიც მსგავსი მასშტაბით შავ ზღვაში 2012 წლის შემდეგ არ დაფიქსირებულა.

აჭარის გარდა, 20-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა აფხაზეთში.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მსგავსი შემთხვევები განმეორდება, ამიტომ ისინი მოსახლეობას მოუწოდებენ, გამორიყულ ცხოველებთან შეხებას მოერიდონ. (ნიუპოსტი)

## ნინო გიორგობიანი გვაზავას პასუხობს: „ვურჩევ, ინფორმაცია გადაამოწმოს იმ უწყებაში, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება“



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო გიორგობიანი შს მინისტრის ყოფილი მოადგილის, ლევან გვაზავას კომენტარს ეხმაურება.

– მინდა გამოვეხმაურო ბატონ ლევან გვაზავას კომენტარს, რომ თითქოს სუს-ის თანამშრომელმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია რუსეთში გაიტანა.

1. ეს პიროვნება უკვე დაკავებულია და მას ბრალი აქვს წარდგენილი 4 მუხლით: საქართველოს სსკ-ის 237-ე მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით - ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით - ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო გადაზიდვა; 180-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – თაღლითობა; 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება.

ის, რომ მან მნიშვნელოვანი მასალები ქვეყნიდან გაიტანა, არის დიდი ტყუილი. აღნიშნული პირის დაკავება სწორედ სუს-ის აქტიური მუშაობის შედეგად განხორციელდა და წინასწარ არ მოხდებოდა დაანონსება, როგორ და რა ფორმით ვაპირებდით მის დაკავებას.

2. ეს პირი მუშაობდა ღია წყაროებზე, რომ დაგიკონკრეტოთ, ღია წყაროები ნიშნავს იმ ინფორმაციას, რაც მედიით ყველასთვის არის ხელმისაწვდომი, მას სამსახურებრივად არ ჰქონდა წვდომა საიდუმლო დოკუმენტაციაზე, შესაბამისად, ვერ გაიტანდა მნიშვნელოვან ინფორმაციას.

3. რაც შეეხება იმას, დაისვა თუ არა ამ თემაზე კითხვები, პარლამენტში ბატონი ლევან იზორიას გამოსვლისთვის რომ მოგესმინათ, ნახავდით, რომ აღნიშნულ კითხვას ბატონმა ლევანმა უკვე გასცა პასუხი. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბატონ ლევან გვაზავას აღნიშნული განცხადების გაკეთებამდე ინფორმაციის გადამოწმება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში არც კი უცდია და თუ აქვს მცირედი ინტერესი, გაიგოს სიმართლე, ვურჩევდი მას, მომავალში, სანამ მსგავს მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრებს, ინფორმაცია გადაამოწმოს იმ უწყებაში, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება, – აღნიშნულია განცხადებაში. (kvira.ge)

## „საჯარო სივრცეში გამოთქმული განცხადების საფუძველზე, პირის დაკავების უპრეცედენტო ფაქტი დაფიქსირდა“



იურისტ ლევან ალაფიშვილის შეფასებით, სულხან წულაძის საქმე შესაძლოა, პირველი ნაბიჯი გახდეს სისხლის სამართლებრივ საქმეებში გამოხატვის სტანდარტის დასადგენად.

იურისტის თქმით, საქართველოში საჯარო სივრცეში გამოთქმული განცხადების საფუძველზე პირის დაკავების ფაქტი უპრეცედენტოა.

ლევან ალაფიშვილის განმარტებით, თავდასხმას უნდა ჰქონდეს კონკრეტული მიზანი და მოტივი, რომელიც სსკ 326-ე მუხლშია მითითებული. ეს გახლავთ: პოლიტიკური მოტივი, ხოლო მიზანი უნდა იყოს საერთაშორისო ურთიერთობების გართულება, დაზიანება.

– ასე რომ, რაღაც ინფორმაციის განთავსება საჯარო სივრცეში, არ არის საკმარისი ამ მუხლის ქმედების საბოლოოდ შესაფასებლად. გამოძიებას, სწორედ ამაზე მოუწევს პასუხის გაცემა, – აცხადებს ალაფიშვილი. მისივე თქმით, სასამართლომ წულაძისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება სსკ 326-ე მუხლის სიმძიმის გათვალისწინებით მიიღო.

– სავარაუდოდ, ეს ჩათვალა იმის გათვალისწინებით, რომ თვითონ მუხლის სანქცია არის 7-დან 12 წლამდე, გარდა ამისა, გამოძიება ახალი დაწყებულია და შესაძლოა, მას მართლაც დასჭირდეს რაიმე ისეთი ქმედება, რომ თავისუფლებაში ამ პირის ყოფნამ ხელი შეუშალოს. ამავე დროს, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება/არგამოყენების დროს, კიდევ 2 საკითხი წყდება: ე.წ. მტკიცებულებათა შეგროვებაში და მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის ალბათობა, ამავე დროს – მიმალვის ალბათობაც. ამ 3 სტანდარტის კვალობაზე და მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ მუხლი არ არის რიგითი კატეგორიის, რომელსაც შეიძლება, სახელმწიფოებრივი ინტერესის დაზიანება მოჰყვეს, სასამართლომ ჩათვალა, რომ გამოძიების პერიოდში, ამ პირის თავისუფლებაზე ყოფნა არ იქნებოდა მიზანშეწონილი, – აღნიშნა ალაფიშვილმა. იურისტის თქმით, დაკავებული პირის განცხადება თუ ხუმრობა, ჯდებოდა თუ არა გამოხატვის თავისუფლების სტანდარტში, გამოძიებამ უნდა შეისწავლოს და დაადგინოს. (pia.ge)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



D ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

# „თეთრსაყელოიანი ბანდიტების“ მხრიდან უსამართლობას ბოლო უნდა მოეღოს!“

„კომპანიამ ქვეყანაში შემოიტანა თანამედროვე არქიტექტურის, მენეჯმენტისა და მომსახურების სრულიად ახალი მიდგომა. ჩვენი პროექტები გამოირჩევა თავისი მასშტაბებით, მრავალფეროვნებით, ინოვაციური მიდგომებით, თანამედროვე არქიტექტურითა და რაც მთავარია, ხარისხით. ჩვენი მიზანია გარემოს განვითარება, რომელიც მოიტანს თითოეული ჩვენგანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. ეს არის მთავარი იდეა“.

ეს ციტატები სამშენებლო კომპანია „აქსისის“ ოფიციალური ვებგვერდიდანაა...

ჩვენ, აბაშიძის ქუჩა 34-36-ის მაცხოვრებლები, ვართ ის ადამიანები, რომლებმაც ჩვენი დანაზოგი კომპანია „აქსისში“ და მის შვილობილ კომპანიებში შევიტანეთ შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე, რათა მიგვეღო საცხოვრებელი ფართები შესაბამისი ინფრასტრუქტურით. უკვე ათი წელი შესრულდება, რაც ინვესტიცია განვახორციელეთ და რა მივიღეთ? პირველ რიგში, კომპანია „აქსისის“ მხრიდან ნაკისრი ვალდებულების არადროული შესრულება; შემდეგში შესრულებული სამუშაოების დაბალი ხარისხი და შესაბამისად, ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება. ავტოფარეხები დღემდე არ არის მზად; ვენტილაცია გაუმართავია; მოპირკეთება დაწყებულიც კი არ არის; წყალი ჩამოდის და -2 დონეზე ადგილი აქვს გრუნტის წყლების მოძრაობას როგორც კედლებიდან, ისე საძირკვლიდან, ხდება მისი დაგუბება; ლიფტის შახტში მოწყობილია წყლის აუზი, რომელიც ლიფტის უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას ემუქრება; გრუნტის წყლების სადრენაჟო აუზი დაუსრულებელია და ვერ ხერხდება ამ წყლების მოგროვება და გადაქაჩვა; საცხოვრებელ პირველ სართულზე სავენტილაციო არხიდან წყალი მოედინება და მაცხოვრებლებს, პრაქტიკულად, სახლში აწვიმთ; არ არის მოწესრიგებული ლიფტის შიდა ელექტროქსელი; დაუმთავრებელია ბინები, რაც ზრდის სითბური ეფექტის დანაკარგებს იმ ბინებში, სადაც მოსახლეობა უკვე შესახლებულია...

**„აქსისის“ „ჰაი-კლასის“ დაუმთავრებელი კორპუსის ერთ-ერთი ბინადარი, თამაზ ჩხიკვიშვილი, აღშფოთებული ჰყვება იმ პრობლემებსა და ვითარებაზე, რასაც ადგილი აქვს საცხოვრებელ სახლში:**

– 2008 წელს მივმართეთ დეველოპერულ კომპანია „აქსისს“, გვითხრეს, რომ ერთადერთი ბინა იყო დარჩენილი, დანარჩენი ყველა გაყიდული იყო. გვინდოდა, დაახლოებით, 200 კვ.მ საცხოვრებელი ფართის შეძენა, პირობა იყო, რომ უნდა გადაგვეხადა წინასწარ, სხვაგვარად არავითარ შეღავათს არ იძლეოდნენ. იმდროინდელი ფასებიდან გამომდინარე, ეს იყო ერთ-ერთი ძვირად ღირებული მშენებლობა, მაშინ 1 კვ.მ ღირდა, დაახლოებით, 1300 ევრო. ამას გარდა, 10 ათასი ევრო სრულად გადავიხადეთ ორ სადგომში. გავაფორმეთ ხელშეკრულება, რის მიხედვითაც „აქსისი“ არ იღებს განსაკუთრებულ ფუნქციებს თავის თავზე, გვჯეროდა, როდესაც ამხელა თანხას იხდი წინასწარ, ნამდვილად მიიღებ იმას, რაც ხელშეკრულებაში წერია. სხვა მხრივ, ჩვენ ადგილმდებარეობა, პირობები, განლაგება, ხელშეკრულებაში მითითებული ვადები – ყველაფერი გვაკმაყოფილებდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ამ სახლში მოსახლეობის დიდი ნაწილი ცხოვრობს, მათ შორის, მეც ჩემი ოჯახით – ნამდვილად არ შეიძლება ითქვას, რომ ეს სახლი არის დასრულებული. რა პირობებიც ხელშეკრულებაში იყო მომსახურების, ცხოვრების გაუმჯობესების თვალსაზრისით, საერთოდ არ შესრულდა და არც კი დაიწყო მისი შესრულება.

**— ლოგიკურია, რომ „აქსისს“ მიმართავდით ამ პრობლემებზე, რას გპასუხობდნენ კომპანიაში?**

– აღმოჩნდა, რომ „აქსისი“ არის ძალიან დახურული ორგანიზაცია, მათ ოფისთან მისვლის უფლება კი გაქვს, მაგრამ შესვლა – ნურას უკაცრავად! გამორიცხულია, რომ ვინმე ნახო. ხშირ შემთხვევაში, თანამშრომლები ამორალურად იქცევიან, მაპატიეთ და, საერთოდ ფეხებზე ჰკიდიათ კლიენტთან ურთიერთობა, იმალებიან, პასუხს არ გაძლევენ და ცინიკურად იქცევიან. კითხვაზე: როდის შეიძლება სახლი ან ცალკეული სამუშაოები დამთავრდეს? გპასუხობენ – არ ვიცით. რატომ შემოხვედით სახლში? ხომ იცოდით, რომ არ ვიცოდით, როდის დავამთავრებდით? ეს, ალბათ, უნდა გცოდნოდათ და ნუღარ გვეკითხებით, როცა გვექნება საშუალება, მაშინ დავამთავრებთო... ეს არის მათი კლასიკური პასუხი.

**— თქვენ „აქსისის“ მშენებარე სახლის თეთრი კარკასი იყიდეთ? როდის უნდა ჩაგბარებოდათ დასრულებული სახლი?**

– ხელშეკრულება გავაფორმეთ 2008 წელს და 2011 წელს უნდა ჩაგვბარებოდა. ცნობილი მოვლენების გამო 2011-ში ახალი ხელშეკრულება გავაფორმეთ და ბინა დასრულებული სახით უნდა ჩაგვბარებოდა 2012 წლის ივნისში, თუმცა დამატებითი ვადა „აქსისს“ ჰქონდა კიდევ 12 თვე; ყველა შემთხვევაში უკიდურესი დრო იყო 2013 წლის 30 ივნისი. სახლის მშენებლობა, რა თქმა უნდა, დაწყებული იყო, იმდროინდელი მდგომარეობით, ვიზუალურად ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ 2011-ში თუ არა, 2012-ში ნამდვილად დამთავრდებოდა. დღეს მოდაშია ყველაფრის აგვისტოს ომზე, ეკონომიკურ კრიზისზე დაბრალება, მაგრამ ამ კრიზისებს უკვე ჩავლილი ჰქონდა. „აქსისის“ დღევანდელი პასუხია, რომ მას მშენებლობის დასამთავრებლად სახსრები არ აქვს. მე და კორპუსის სხვა დანარჩენ მაცხოვრებლებს კი ეჭვი გვაქვს, რომ აქ ადგილი აქვს სახსრების გარკვეული მიმართულებით გადინებას, ანუ „აქსისი“ კარგად ახორციელებს იმ ტაქტიკას, რაც, სამწუხაროდ, საქართველოში დანარჩენ სამშენებლო კომპანიებსაც ახასიათებთ – წინასწარ აიღონ თანხა, არ დაამთავრონ ობიექტი, აღებული თანხის ძირითადი ნაწილი წარმართონ უკვე სხვა მშენებლობისთვის, შემდეგ უკვე იქ გამოართვან მოსახლეობას თანხა და ასე, ე.წ. კარუსელის პრინციპით, მოქმედებენ. რა თქმა უნდა, ისიც არ დაავიწყდებათ, რომ დანარჩენი თანხა ჯიბეში ჩაიდონ. კორპუსის მაცხოვრებლებმა მათ „თეთრსაყელოიანი ბანდიტები“ დავარქვით, „თეთრი ხელთათმანებით“ მუშაობენ და მე ვერავითარ სხვაობას ვერ ვხედავ იმ ბანდიტს შორის, რომელიც თანხას ძალით გართმევს და ამათ შორის, რომლებიც ე.წ. ხელშეკრულებებითა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ცდილობენ, წაგართვან ფული და საბოლოოდ, „გადაგაგდონ“! თავისთვის მოწყობილი აქვთ საკმაოდ კარგი სასათბურე პირობები – სასამართლოში რომც უჩივლო (და მე ვიცი, რომ ბევრს აქვს სასამართლოში სარჩელი შეტანილი მათ წინააღმდეგ), მოპასუხე კომპანიას აქტივები, მაგალითად – ქონება, გადაფორმებული აქვს სხვა კომპანიებზე და გამოდის, რომ სამართლებრივ დავაში რეალურ მოპასუხეს რაიმე ქონება არც აქვს! და მეორე: ყველამ იცის, რომ ჩვენს კორპუსში დარჩენილი აქვთ კომერციული ფართები გასაყიდად, რომლებიც ასევე გადაფორმებული აქვთ სხვებზე, ან შუამავლების მეშვეობით ყიდიან (ანუ თავად ისინი არ ჩანან), გვეუბნებიან – სანამ ამას არ გავყიდით, მანამდე თქვენს სახლს ვერ დავამთავრებთო.

**— რატომ არ იბერტყავენ ყურს „აქსისში“ ამ ყველაფერზე? აქ მხოლოდ „უსახსრობაშია“ საქმე?**

– ეს შენიღბულია იცით, რით? აბა, ვინმემ რამე გვითხრას, ჩვენ გვიცავს ეს, ის და ხელს იშვერენ იქითკენ, საითკენაც ნახევარ საქართველოს აქვს ხელი გაშვერილი. დარწმუნებული ვარ, მათი ეს ნათქვამი არარეალურია, უბრალოდ, ამასაც კი კადრულობენ, ეს არის მათი სტილი. გარედან კორპუსი, რომ იტყვიან „ავ თვალს არ დაენახვებაო“, ისეთია, მაგრამ საკმარისია, ერთი დღე დარჩე ამ კორპუსში, რომ მაშინვე ნახავ ამ დაუმთავრებელი მშენებლობის თანამდევი პრობლემების მთელ კომპლექტს. არიან მობინადრეები, რომლებსაც ჩვენს კორპუსში ბინები აქვთ ნაყიდი, მაგრამ არ გადმოდიან, რადგან დაინახეს, რა მდგომარეობაშია სახლი და რა მდგომარეობაში არიან ის მობინადრეები, ვინც უკვე ცხოვრობენ ამ კორპუსში. დღეს ჩვენ რა დაგვრჩენია? საბედნიეროდ, კორპუსის მთელი მოსახლეობა (მათ შორის, ის მობინადრეები, რომლებიც ჯერ არ გადმოდიან საცხოვრებლად) ერთ მუშტადაა შეკრული და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სამართლებრივი გზით ვაიძულოთ „აქსისი“, ეს მშენებლობა ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანოს – აღმოფხვრას არსებული ხარვეზები და სახლი ჩაერთოს ექსპლოატაციაში.

**— დედაქალაქის მერია როგორ რეაგირებს ამ ყველაფერზე, თუ გაქვთ ინფორმაცია?**

– აქ გაუგებარია საერთოდ ქალაქის მერიის პოზიცია. დღეს ის ძალიან დიდი შეტევების მსხვერპლია, მაგრამ მე, როგორც ერთი პიროვნება, ამ ქვეყნის ერთი მოქალაქე, დარწმუნებული ვარ, რომ მთელი ის უბედურება, რაც, ზოგადად, სჭირს დღეს ქალაქის მერიას, მათი უნიათობისა და ცუდი ხელმძღვანელობის შედეგიცაა. არის საკითხები, რომლის გამოსწორებასაც არაფერი სასწაული არ უნდა – ნიჭი, ორგანიზებულობა და გამოსწორების ნება-სურვილია საჭირო, რადგან მე ვერაფრით დავიჯერებ, ქალაქის მერია ხელს უწყობდეს ასეთ ქმედებებს, რომ არ იყოს კონტროლი ამაზე და „უპრაგონოდ“ აშენებს ის, ვისაც აშენება და ხალხის მოტყუება უნდა. როდესაც „აქსისთან“ მოვსინჯეთ ეს გზაც, – ავდგებით და ქალაქის მერიაში წავალთ-თქო, ასე გვიპასუხეს: სადაც გინდათ, იქ წადით, ზუსტად იგივე პასუხს მიიღებთ იქაც, რასაც ჩვენ გეუბნებით, არ ვიცით, როდის დავასრულებთ, იჯექით და ელოდეთო... კიდევ ერთხელ ვამბობ, სწორედ ეს არის ცინიზმის უმაღლესი გამოხატულება და ყველამ ჩვენ-ჩვენს უბანში, სამოქმედო არეალში ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ასეთი რაღაცები დღეს არ ხდებოდეს!“

როგორც ჩანს, „აქსისის“ შემართება და მაცხოვრებელთა პრეტენზიებზე პასუხი ასეთია – როგორი ქვეყანაც არის, ისე ვაშენებთ! მაგრამ მათ ავიწყდებათ მთავარი: ხალხის პროტესტს ძალიან დიდი ძალა აქვს, თუკი მას შეუქცევადი ხასიათი მიეცემა და საქმე სწორედ აქეთ მიდის – აბაშიძის 34-36-ის მაცხოვრებლები გაჩუმებას არ აპირებენ და ყველა სამართლიანი, კანონიერი გზით დაუპირისპირდებიან იმ განუკითხაობას, რასაც დეველოპერული კომპანია „აქსისის“ მხრიდან აქვს ადგილი:

„...ამ მდგომარეობას ჩვენ არ შევეგუებით, ყველა კანონიერ საშუალებას მივმართავთ ჩვენი დარღვეული უფლებების აღსადგენად, გამოვიყენებთ მასმედიას და ინფორმაციის გავრცელების სხვა ხელმისაწვდომ საშუალებებს, აქციებს გავმართავთ უშუალოდ კომპანია „აქსისის“ ცენტრალურ ოფისთან, ხმას მივაწვდენთ მათ თანადამფინანსებლებს, მათ შორის უცხოენოვან მასმედიის საშუალებებით, რათა მივაღწიოთ კონკრეტულ რეაგირებას, დასრულდეს და კეთილმოეწყოს საცხოვრებელი კორპუსი და დროულად იქნას ექსპლოატაციაში მიღებული, შემოწმდეს მისი მდგრადობა დადგენილი ნორმების და საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მე-4 თავის „ტექნიკური საფრთხის კონტროლი“ მოთხოვნათა შესაბამისად“.


ხელმოწერების თანდართული სია (დანართი N1)

| N | სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ტელეფონი | ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|







## „ყველგან რატომ უნდა აიკრძალოს, არ ვარ ადამიანი? ყავას ვერ ვსვამ უსიგარეტოდ“

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოხმარებაზე რეგულაციების შესაძლო დაწესებას სოციალური ქსელის ერთ-ერთი მომხმარებელი ეხმაურება.

– ყველგან რატომ უნდა აიკრძალოს, მე არ ვარ ადამიანი? სადაც აიკრძალება, არ შევალ. ყავას ვერ ვსვამ უსიგარეტოდ. ჭამის მერე უნდა მოვწიო, ქაქანის დროს აუცილებლად უნდა მოვწიო. ხოდა, თუ არ დავლიე, არ ვჭამე და არ ვილაპარაკე, სალფეტკს სახლშიც დავკეცავ... ბარემ „ატაში წამიკანონ“. აღარ მინდა ტვალეტში ფორთოჩკასთან მოწევა... ია უჟე ვ ასაკე, – წერს სოციალური ქსელის მომხმარებელი. (mediamall.ge)

## ავარია თბილისში — მამაო გადარჩა, 2 ქალბატონი კი მძიმედ დაშავდა



თბილისში, გურამიშვილის გამზირზე ორი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა. ერთ-ერთ ავტომობილს, რომელიც მთლიანად დაზიანდა, სასულიერო პირი მართავდა. მოძღვარი უვნებელი გადარჩა, ხოლო მის მანქანაში მყოფი მგზავრებიდან 2 ქალბატონი მძიმედ დაშავდა. ისინი სასწრაფო დახმარების მანქანამ კლინიკაში გადაიყვანა.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია. შსს-ს ინფორმაციით, ავარიის შედეგად 3 ადამიანი დაშავდა. (mediamall.ge)

## რუსეთმა მოსკოვსა და ცხინვალს შორის ე.წ. საზღვრის შესახებ შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა



რუსეთის დუმამ მიიღო კანონი ოფიციალურ მოსკოვსა და ოკუპირებულ ცხინვალს შორის ე.წ. სახელმწიფო საზღვრის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების რატიფიცირების შესახებ.

– შეთანხმება არის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ადგენს ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. სახელმწიფო საზღვარს რუსეთის ფედერაციასა და საქართველოსთან, – აღნიშნულია ხელშეკრულების განმარტებით ბარათში.

უცხოური მედიის ინფორმაციით, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ რატიფიცირების შედეგად შესაძლებელი იქნება საზღვრის დემარკაციის დაწყება. (pia.ge)

# დუბაიში ქართველის მკვლელობის ახალი დეტალები — ვის შეხვდნენ ტრაგედიამდე ქუთაისელი გოგონები







მკვლელობის ერთადერთი მოწმე საქართველოს მოქალაქეა, რომელიც ამ დრომდე დუბაის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული. საზარელ შემთხვევამდე, ქართველი გოგონები არაბ ახალგაზრდა მამაკაცს შეხვდნენ.

დუბაიში მოკლულ ქართველ გოგონას მისივე მეგობარი, ფიქრია გ-ძე ახლდა. იზოლატორში მყოფ ქართველს თარჯიმანი ჰყავს და მისი დაკითხვა ინტენსიურად მიმდინარეობს. 25 წლის ნინის ცხედარი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროშია მოთავსებული.

როგორც ფიქრია გ-ძის დეიდაშვილი აცხადებს, 25 წლის ნინის მკვლელობა 13 აპრილს, გამთენიისას, დაახლოებით 4-5 საათზე მოხდა.

ნინი და ფიქრია ორივე ქუთაისელები არიან. ნინი დუბაიში უკვე მეორედ, რამდენიმე დღის წინ ჩავიდა. მას იქ ფიქრია დახვდა. ნინი კლუბში მუშაობდა, ფიქრია კი – რესტორანში. რესტორანი და კლუბი გვერდიგვერდ არის. ტრაგედიის დილით გოგონები სამსახურის დასრულების შემდეგ შეხვედრაზე წავიდნენ.

– 13 აპრილს, გამთენიისას, ფიქრია და ნინო ერთი ბიჭის სანახავად წავიდნენ. ეს ბიჭი არაბია, რომელიც ნინის შეყვარებული იყო. მან ის ჯერ კიდევ მაშინ გაიცნო, როცა ნინი დუბაიში პირველად ჩავიდა. თუმცა, დაშორდნენ. არაბი ეჭვიანი იყო. ნინი დუბაიში მეორედ ჩავიდა. იმ დილით გოგონები ტაქსში ჩასხდნენ და ერთ-ერთ გაჩერებაზე ტაქსიდან გადმოვიდნენ. ნინი ბიჭთან სალაპარაკოდ მივიდა. რადგან დუბაიში ძალიან ცხელა, გაჩერებებზე კონდიციონერებია დამონტაჟებული. ფიქრია მეორე მხარეს, გაჩერების უკან იდგა. ფიქრიამ დაინახა, რომ ეს ბიჭი მარტო გამოვიდა და მარტო წავიდა. ის ნინის ელოდებოდა, მაგრამ არ ჩანდა. ნინი იგვიანებდა. ფიქრია მეორე მხარეს გადავიდა და ნინის ძებნა დაუწყო. ნინი ძირს ეგდო, ნაცემი. გონება დაკარგული ჰქონდა. არ ვიცი, სასწრაფო ვინ გამოიძახა. ფიქრია დაკავებული ჰყავთ, მაგრამ „კაპეზეზე“, ან ციხეში არ არის. ის ყოველ საათ-ნახევარში დაკითხვაზე გაჰყავთ. იგი მკვლელობის ერთადერთი მოწმეა. როგორც გავიგე, ნინის საქართველოში გადმოსვენებისთვის 8 000 დოლარია საჭირო. ოჯახს ამის ფინანსური საშუალება არ აქვს. სანამ საგამოძიებო მოქმედებები არ დასრულდება, მგონი, გადმოსვენებაც ვერ მოხერხდება. იქ ძალიან მკაცრი კანონებია, – ამბობს დაკავებული ქართველის ნათესავი.

მისივე თქმით, ფიქრია გ-ძეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა დაკარგული აქვს. მის ვიზას ვადა 20 მაისს ეწურება. იგი საქართველოში 20 მაისამდე უნდა დაბრუნებულიყო.

– ფიქრია საქართველოში 20 მაისამდე უნდა ჩამოსულიყო. პასპორტიც დაკარგული აქვს. თუმცა, საზღვრის გადაკვეთისას დაფიქსირებულია, რომ მას პასპორტი ჰქონდა და ვიზა 20 მაისს უთავდებოდა. რადგან არც პასპორტი გააჩნია, კიდევ ამიტომაც ჰყავთ დაკავებული. ქალმა, რომელიც ფიქრიას ახლა თარჯიმნად ჰყავს, გაუკეთა ვიზაც. ვფიქრობ, სანამ საგამოძიებო მოქმედებები არ დასრულდება, ფიქრიას საქართველოში არ გამოუშვებენ, – აცხადებს ფიქრია გ-ძის ნათესავი.

აღსანიშნავია, რომ ფიქრია გ-ძის დედა ემიგრანტია და ათენში იმყოფება.

დავუკავშირდით დუბაიში მოკლული გოგონას რამდენიმე მეგობარს ქუთაისში, თუმცა უმრავლესობას ამ საკითხზე საუბარი არ სურს. ერთადერთი, ვინც 25 წლის ნინოს შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა, ნინის მეგობარი კობა ფარტენაძეა.

კობა ფარტენაძის ინფორმაციით, ნინო დუბაიში დიდი ხანია იმყოფება. ის პერიოდულად საქართველოში მშობლებისა და შვილის სანახავად ჩამოდიოდა. დაახლოებით 20 დღის წინ ერთი კვირით ქუთაისში იყო ჩასული. ოჯახს იქიდან არჩენდა.

– როგორც ვიცი, ნინო დუბაიში ფიქრიასთან წავიდა. ჩვენ მასზე არანაირი ინფორმაცია არ გვაქვს. მასთან ხშირი კონტაქტი ჰქონდა. ეს „ფეისბუკიდანაც“ კარგად ჩანს. ჩვენი ინფორმაციით, რაც შევძელით, გაგვეგო, ისაა, რომ ტრაგედიის დღეს ისინი ერთად იყვნენ და კონფლიქტი ფიქრიას მოუვიდა, ნინო კი მას ეხმარებოდა. ასევე, გვაქვს ინფორმაცია, როდესაც ნინო საავადმყოფოში გადაიყვანეს, ცოცხალი იყო და შემდეგ გარდაიცვალა.

ინფორმაციას ფიქრიას დაკავების შესახებ კი ვერ დავადასტურებ, რადგან ვიცით, რომ ფიქრიამ მძიმე ფიზიკური დაზიანებები მიიღო და საავადმყოფოში იმყოფება.

ნინო ძალიან მხიარული გოგონა იყო, თუმცა საკმაოდ სევდიანიც. ყველაფერი გულთან მიჰქონდა. ნინო საკმაოდ კომუნიკაბელური იყო. მას არც ენობრივი ბარიერი ჰქონდა. უცხოეთში ცხოვრობდა და ბევრად უკეთ გრძნობდა თავს საზღვარგარეთ, ვიდრე საქართველოში. მეუღლეს დაშორდა. ქმართან ურთიერთობა წლებია არ ჰქონია. 6 წლის გოგონა ჰყავდა და მშობლები ზრდიდნენ, - ამბობს დუბაიში მოკლული გოგონას მეგობარი.

შეგახსენებთ, რომ დუბაიში, საქართველოს მოქალაქის გარდაცვალების შესახებ ინფორმაცია თავდაპირველად, ადგილობრივმა მედიამ გაავრცელა – დუბაის ერთ-ერთი ავტობუსის გაჩერების სიახლოვეს ქალის ცხედარი აღმოაჩინეს. სააგენტო **Gulf News**-ის ინფორმაციით, დაღუპული 25 წლის საქართველოს მოქალაქეა. გოგონა სასტიკად არის ნაცემი, შემდეგ ის გააუპატიურეს და მოკლეს.

გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, მომხდარის შესახებ პოლიციას მასთან ერთად მყოფმა ქალმა აცნობა, რომელიც ასევე საქართველოს მოქალაქეა.

არის თუ არა დაკავებული არაბი მამაკაცი, რომელსაც ნინო შეხვდა, ამ დრომდე უცნობია. (kvira.ge)

კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა კვირის მედია-ქრონიკა

## „მალე ფაქტებით დაგიმტკიცებთ, რომ ეს ვიდეო ყალბია“ — „მძიმე კაცის“ წამყვანი დავით კოვზირიძე



„მძიმე კაცის“ წამყვანი დავით კოვზირიძე ფალსიფიცირებულ პორნოვიდეოს გავრცელებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

– ამ თემაზე აღარ ვაპირებდი რეაგირებას, მაგრამ ისეთი ხმები მომდის, მომიწევს...

რამდენიმე დღის წინ მოხდა ის, რაც, მგონი, არც ერთი რეჟიმის დროს არსად არ მომხდარა – გავრცელდა ფალსიფიცირებული პორნოვიდეო, რომელშიც თითქოსდა მეც ვარ – საქართველოს მოქალაქე და ჟურნალისტი. ეს კადრები რამდენიმე წამს გრძელდება და ისეა დამონტაჟებული, რომ ერთ-ერთი მონაწილე მაქსიმალურად დამემსგავსოს, ვიდეოს ადევს ჩემი გადაცემის ქუდი.

ვინც ეს მოიფიქრა და გააკეთა, იმათზე რამდენიმე ტკბილი სიტყვა ადრეც ვთქვი და აღარ გავმეორდები.

მე მოვითხოვ საქართველოს პრეზიდენტისგან, მთავრობისგან და სამართალდამცავი ორგანიზაციებისგან, სასწრაფოდ გამოიძიონ, ვინ შექმნა და გაავრცელა ეს ვიდეო 21-ე საუკუნეში ევროპულ ოჯახზე მეოცნებე ქვეყანაში. ასევე, ვთხოვ დიპლომატიურ კორპუსს, დააკვირდეს მიმდინარე პროცესებს.

აქვე მინდა ამ ვიდეოს შემქმნელებზე ბინძურ „ადამიანებს“ შევეხო – მათ, ვინც დადის და ჭორაობს, თან ისე, რომ ვიდეო არც უნახავს, მათ შორის ჩემს ნაცნობებსაც, ასევე, მათ, ვინც ფოტოკოლაჟებს ქმნის, რაღაც ტექსტებს ადებს, ავრცელებს და ამაზე იცინის. სვავებს, რომლებიც დუჟმორეულები ელოდებიან, როდის დაუგდებენ სისხლიან ხორცს, რომ დაესიონ და დაჯიჯგნონ. მინდა მათ ვუთხრა – მალე ფაქტებით დაგიმტკიცებთ, რომ ეს ვიდეო ყალბია, ამ ფაქტებს დაგიყრით, დაესიეთ და გაძეხით კიდევ ერთხელ. (daijesti.pia.ge)

## თინა ბოკუჩავა: ეს არის პარლამენტი და არა ივანიშვილის ზოოპარკი!



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი თინა ბოკუჩავა პარლამენტის წევრებს მიმართავს, რომ პარლამენტი ბიძინა ივანიშვილის ზოოპარკი არ არის და დეპუტატები ზოოპარკის ბინადრებივით არ უნდა იქცეოდნენ.

– როდესაც გიორგი კანდელაკი საუბრობს და მესმის შეძახილები, თურმე ნაცემი რომ არ არის, მადლობა უნდა თქვას. ეს მართლაც მიუღებელია და მინდა შეგახსენოთ, რომ ეს ბატონი ბიძინა ივანიშვილის ზოოპარკი არ არის, ეს არის პარლამენტი, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო და ძალიან გთხოვთ, მისი ზოოპარკის ბინადრებივით ნურავინ მოიქცევა, მოვიქცეთ შესაბამისად, – აღნიშნა თინა ბოკუჩავამ. (ipress.ge)

## თვეზე მეტია, რუსთაველი გოგონა ჩინეთის ციხეშია

„ინფო რუსთავისთვის“ ცნობილი გახდა, რომ 20 წლის რუსთაველი გოგონა უკვე 40 დღეზე მეტია, ჩინეთის სამართალდამცავ სამსახურებს დაკავებული ჰყავთ და საპატიმროდან არ უშვებენ.

ინფორმაცია საკონსულო დეპარტამენტის თანამშრომელმა ირაკლი თოფურიძემ დაგვიდასტურა და გვითხრა, რომ მოქალაქის დაკავება შესაბამისის სამსახურების მხრიდან მოხდა მარტის დასაწყისში.

– თავდაპირველად დააკავეს 30 დღით. შეგვპირდნენ, რომ მარტის ბოლოს გამოუშვებდნენ, თუმცა მიმდინარეობს გამოძიება და კიდევ 30 დღე დაუმატეს. წესით, აპრილის ბოლოს უნდა გამოუშვან, ამას გვპირდებიან, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნამდვილად გამოუშვებენ. ჩვენ გვაქვს კონტაქტი სამართალდამცავებთან და როგორც კი გაათავისუფლებენ, ყველანაირად დავეხმარებით, რომ საქართველოში დაბრუნდეს. დაკავებული ნორმალურ მდგომარეობაშია, ჯანმრთელობის მხრივ თავს ცუდად არ გრძნობს.

გოგონას დაკავების მიზეზი უცნობია, ინფორმაციას არც ჩინეთში საქართველოს საკონსულო ფლობს. (mediamall.ge)

## ოკუპირებულ გალში აფხაზმა მებაჟემ საქართველოს მოქალაქე დაჭრა



ოკუპირებული გალის რაიონში აფხაზმა მებაჟემ საქართველოს მოქალაქე, 45 წლის დავით ძანძავა დაჭრა. შემთხვევა ჭუბურხინჯში მოხდა. დაჭრას წინ სიტყვიერი შელაპარაკება უძღოდა. თვითმხილველთა თქმით, ძანძავას აფხაზმა მებაჟემ ცეცხლი გაუხსნა და ფეხის არეში ორი ჭრილობა მიაყენა.

ძანძავას ახლობლებმა პაციენტის ზუგდიდში გადმოყვანა სცადეს, თუმცა ისინი რუსმა ოკუპანტებმა ე.წ. საზღვარზე არ გაატარეს.

დაჭრილი ოკუპირებული სოხუმის საავადმყოფოშია მოთავსებული. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. (ნიუპოსტი)

# ვახტანგ ხმალაძე: „პრემიერის ამ პასუხზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო?“



**„იმდენ საშინელ ბრალდებას ვისმენ „რესპუბლიკურ პარტიაზე“, რომელიც ახლოსაც არაა სიმართლესთან, ამიტომ ასეთ ხალხს ვერ დავემსგავსები“**


მაკა დეკანოსიძე

551 99-18-19




**„პრემიერის განცხადება „რესპუბლიკელების“ მიმართ ჩემთვის მოულოდნელი არ იყო“, — ამბობს „ალიასთან“ საუბარში პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე, „რესპუბლიკელი“ ვახტანგ ხმალაძე, რომელთან საუბარიც სწორედ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილისა და მედიის წარმომადგენელთა შეხვედრის განხილვით დავიწყეთ:**

**— ბატონო ვახტანგ, პრემიერმა თქვა, რომ არ აპირებს „რესპუბლიკელების“ გაშვებას, თუმცა ასევე აღნიშნა ისიც, რომ არჩევნებამდე შესაძლოა, რამდენიმე ცვლილება განხორციელდეს მინისტრთა კაბინეტში....**

– პრემიერის ამ პასუხზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო? აქ არაფერია განსაკუთრებული. საერთოდ კი, კანონი განსაზღვრავს, რომ, თუკი მინისტრი წარადგინეს პარლამენტის წევრობის კანდიდატად და ეს ხდება არჩევნებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, მაშინ ის ვალდებულია, გადადგეს თანამდებობიდან, ეს არის კანონის მოთხოვნა. ჩვენ ჯერჯერობით მივიჩნევთ, რომ ჩვენი პარტიის წარმომადგენლები უნდა იყვნენ თანამდებობებზე, აგრძელებდნენ თავის საქმეს, აკეთებდნენ იმას, რაც განსაზღვრულია სამთავრობო პროგრამით, მაგრამ როდის დადგება გარდამტეხი ეტაპი, ამის განსაზღვრა წინასწარ შეუძლებელია. ამიტომ ეს განცხადება, რაც მან გააკეთა „რესპუბლიკელების“ მიმართ, ჩემთვის მოულოდნელი არ იყო.

**— „ენდიაის“ კვლევები გაცილებით ადრეა ჩატარებული, სანამ თქვენი გუნდი განაცხადებდა, რომ ცალკე სუბიექტად გადის არჩევნებზე, ამიტომ ჯერ კიდევ დაუშლელი კოალიციის დაბალი რეიტინგი საგანგაშო არ არის? საერთოდაც, ენდობით ამ კვლევებს?**

– ვიღაცას სჯერა, ვიღაცას არ სჯერა, მეც მაინცდამაინც არ მჯერა. რაღაცა ტენდენციები ჩანს, ზოგ ნაწილში უფრო სანდოა, დანარჩენში – ნაკლებად, ეს არ არის ის თემატიკა, რომელზეც ვსაუბრობ ხოლმე.

**— მაშინ კადრების თემატიკაზე გადავიდეთ, გვინდა-არ გვინდა ამაზე საუბარი, ალბათ, კარგახანს მოგვიწევს, რადგან ყოველკვირეულად სერიებად გვთავაზობენ, სხვა საკითხია, რომ მედიასაშუალებები არ ასაჯაროებენ და თანამშრომლობენ პროკურატურასთან, მაგრამ ცალსახად უდიდესი პრობლემა აქვს სახელმწიფოს, თავისუფლად შეიძლება ახლაც და მომავალშიც ამ კადრებით უმაღლესი თანამდებობის პირთა დაშანტაჟება, სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ...**

– აკრძალული გემრიელიაო, ხომ ვიცით ეს გამოთქმა, იმ ადამიანებსაც, ვინც ამას ავრცელებს, ინტერესი კვებავთ. თუ არ იქნა ინტერესი, მათთვის აზრს კარგავს ეს ავანტიურა. გავრცელების თვალსაზრისითაც, განსხვავებით პირველი შემთხვევებისგან, როდესაც პრაქტიკულად მოხდა გამოფენა ამაზრზენი კადრების, რადგან გვიან ჩაირთო აკრძალვის მექანიზმი, უკვე შემდგომ მედიაც მოიქცა ღირსეულად, აღარ გაავრცელეს და ვფიქრობ, ეს იყო სწორი მიდგომა. რაც შეეხება შანტაჟსა და საფრთხეს, ეს მაკომპრომეტირებელი კადრები შეიძლება იყოს ნებისმიერი ქვეყნის სპეცსამსახურების ხელში, საფრთხე არის ყველასგან, ვისაც შეუძლია, რაიმეთი დაშანტაჟება. ის, რომ სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურებმა მაღალი თანამდებობის პირებს მიაღებინონ მათთვის სასურველი გადაწყვეტილება, ამისგან არსად და არავინ დაზღვეული არ ყოფილა, არც დღესაა და არც მომავალში იქნება. არა მარტო სპეცსამსახურების ხელში შეიძლება იყოს, არამედ სხვადასხვა პირების ხელშიც, ერთი მიზეზია შანტაჟი და მეორე შეიძლება იყოს პირისთვის მორალური ზიანის მიყენება, მორალურად განადგურება. ფარული მიყურადების, თუ გადაღების იმდენი საშუალება არსებობს, ამ საშუალების გამოყენება სათანადოდ მომზადებულ ნებისმიერ პირს შეუძლია, კერძო პირებსაც კი, თუ მათ აქვს სათანადო ცოდნა და ალჭურვილობა. ამისგან დაცული არავინ არ არის. პრობლემა სხვაგანაა, თან ძალიან საშიში და ცუდია, როდესაც ამას აკეთებს ხელისუფლება. იმიტომ რომ ხელისუფლების შესაძლებლობები, ასეთი ფარული თვალთვალი განახორციელოს, არის ძალიან დიდი, ეს არის ხოლმე ყველაზე სახიფათო და ჩვენ ვართ მოწმე იმისა, რომ 2013 წლამდე, სწორედ ხელისუფლება მოიპოვებდა კანონის დარღვევით პირადი ცხოვრების ამსახველ, ინტიმურ მასალას და ამას ინახავდა.

**— თუმცა გარანტია გვაქვს, რომ დღესაც იგივე არ ხდება? ბევრი ყოფილი ძალოვანი ინარჩუნებს თანამდებობას, იქნებ კვლავ აგრძელებენ ამ საქმიანობას, მასე კადრების გადაღების პოლიტიკურ ნებას ღიად არც წინა ხელისუფლება ადასტურებს...**

– ხელისუფლებას თუ არ უნდა, მსგავსი რამ განმეორდეს, უნდა გავიდეს ბოლომდე იმ პირებზე, ვინც მსგავს რამეს სჩადიოდა. დამკვეთზე გასვლა იურიდიულად შედარებით რთულია, რადგან წერილობით ხომ არ ხდებოდა ბრძანების გაცემა. რომც დაასახელოს შემსრულებელმა, სამართლებრივად ესეც არ არის მყარი, უტყუარი მტკიცებულება გჭირდება იმისთვის, რომ ბრალი წაუყენო, ამიტომ დამკვეთის გამოვლენა ყოველთვის რთულია, არც შემსრულებლის აღ-

ჟურნალისტური გამოძიება

მოჩნდა ადვილი. ასევე, გამოსაკვლევია, ვის ხელშია მასალები, ერთი და ორი ასლი რომ არ იქნებოდა, ესეც ფაქტია.

**— არ გიფიქრიათ, რომელი პოლიტიკური ძალა შეიძლება იდგეს ამის უკან?**

– ნებისმიერ დაინტერესებულ ჯგუფს შეუძლია ამის გაკეთება, ვინც მკადრებელია, ბევრი ასლებიდან მასალა სად გაიბნა, კაცმა არ იცის. თქვენ ჟურნალისტი ბრძანდებით, მე პოლიტიკოსი, თან პარლამენტის წევრი, თქვენ გაქვთ უფლება, ეჭვები ან აზრი გამოთქვათ ამაზე, მაგრამ მე ხელს ვერ დავადებ, რომც მქონდეს ეჭვი. რადგან ვიცი, რას ნიშნავს ტყუილი ცილის წამება, იმდენ საშინელ ბრალდებებს ვისმენ „რესპუბლიკურ“ პარტიაზე, რომელიც ახლოსაც არაა სიმართლესთან, ამიტომ ასეთ ხალხს ვერ დავემსგავსები, ხელს კონკრეტულად ვერავის დავადებ, სანამ არ მექნება ხელშესახები საფუძველი, რომ მე ეს ვთქვა...

# დავით გამყრელიძე

## რას ეუბნება „ალიას“


ნინო სამხარაძე

599 71-14-22




**არასაპარლამენტო ოპოზიცია აქციებით იმუქრება, თუმცა ერთია მუქარა, მეორეა, მისი განხორციელება, აქვს თუ არა რესურსი არასაპარლამენტო ოპოზიციას, აწიოს მუხტი და გამოიყვანოს ხალხი და დააყენოს ბარიკადებზე. რა თქმა უნდა, არა. ოპოზიციას ამის მუხტი არ გააჩნია, პრემიერთან ინტერპარტიული ჯგუფის შეხვედრა 15 აპრილს უნდა მომხდარიყო, მაგრამ ამ დღეს პრემიერი დაკავებული იყო ტოქშოუს წამყვანებთან. პრესკონფერენციის ტენდენცია არ გამოიყურებოდა ჯანსაღად, მწერალმა პაატა ქურდაძემ ამას მედიასეგრეგაცია უწოდა: „ვუყურე პრემიერის შეხვედრას პოლიტიკური ტოქშოუების წამყვანებთან, თავიდან ბოლომდე! ერთი კითხვაც არ გამომიტოვებია. ჩემთვის ყველაზე „საინტერესო“ ის იყო, რომ ამ ჩვენს წარმატებულ ტელევარსკვლავებს, აბსოლუტურად არ აინტერესებთ ისეთი უინტერესო საკითხები, როგორიც არის კულტურა, ეკოლოგია, საგარეო პოლიტიკა, ტერორიზმი, ისლამი. ბოლოს და ბოლოს, ადამიანის უფლებები, რომლის გამოც თავს იკლავენ თავიანთ გადაცემებში. და საერთოდ, ვინმემ ხომ არ იცის ეს მედიასეგრეგაცია — რეგიონალური და ცენტრის, ბეჭდვითი ჟურნალისტებსა, ტელე და ტოქშოუ „ელიტას“ შორის? და კიდევ, კარგი კარგი იქნება, ამ ქართველ „ტელესთარების“ ნაწილს ვინმემ ელემენტარული გაკვეთილი რომ ჩაუტაროს ჟურნალისტიკაში და აუხსნას, რომ პრესკონფერენცია არ არის ტოქშოუ, ის არ იმართება. იმისთვის, რომ მაყურებელმა გაიგოს, ესა თუ ის ჟურნალისტი ვის აძლევს ან არ აძლევს ხმას, ჟურნალისტის პროფესიის ფლობა გულისხმობს კითხვის ლაკონიურ დასმის ხელოვნებას და არა პოლიტიკურ განცხადებებს, რომელსაც სრულიად პრიმიტიული, პოპულისტური, ნერვული რიტორიკული კითხვები მოსდევს“... ამ ნერვიული კითხვებიდან ჟურნალისტების სუბიექტური პოზიციიდან, თუ ვინ ვის აძლევდა ხმას ამ არჩევნებზე, გამოიკვეთა, რომ პრემიერი არავითარ შემთხვევაში არ გააკეთებს კოალიციას „პატრიოტთა ალიანსთან“ და „გაერთიანებულ დემოკრატებთან“. ფრონტის ხაზი გახსნილია და მკვეთრად გავლებულია წითელი ხაზები, ე.წ. პრორუსულ ძალებსა და „ოცნებას“ შორის. რატომღაც პრემიერმა გადაწყვიტა, რომ საარჩევნოდ შედეგები წინასწარ განესაზღვრა მაშინ, როცა არავინ იცის, ვინ რამდენ პროცენტს აიღებს ამ არჩევნებზე. არც იმის პირობა ჩანს, რომ ხელისუფლება საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით რაიმე ცვ-**



**ლილებებისთვის მზად არის, რადგან ეს არის მისთვის ყველაზე კარგი მოდელი და ის, რაც სააკაშვილმა საკუთარ თავზე დაწერა, მემკვიდრეობით მიიღო „ოცნების“ ხელისუფლებამ. ამ საარჩევნო კანონის მიხედვით კი „ოცნებას“ გარანტირებული უმრავლესობა ექნება. თვითონ ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც თავის დროზე „რვიანის“ თუ „ექვსიანი“ ფორმატში მუშაობდნენ და სააკაშვილს გარემოს შეცვლაზე ებრძოდნენ, ბოლოს კი ეღლიცინებოდნენ, ის ხალხი იყო კოალიციაში. მოხდება თუ არა თემატური უმრავლესობის შექმნა, „რესპუბლიკელებს“, „ფორუმსა“ და „ნაციონალებს“ შორის პარლამენტში, საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით, ეს საკითხიც კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, რადგან „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე, რომელიც ინტერპარტიულ ჯგუფს უდგას სათავეში, ჩვენთან ინტერვიუში აცხადებს, რომ კონსენსუსი ამ საკითხზე მიღწეული არ არის. ვიდრე იგი დეტალურად ისაუბრებდეს ჩვენთან ინტერვიუში, აქვე გეტყვით, რომ ხმები იმის თაობაზე, თითქოს „ნაციონალური მოძრაობა“ და ახალი მემარჯვენეები ალიანსს ქმნიან, კაციტაძესთან ინტერვიუში არ დასტურდება. „ალიას“ კითხვაზე, რატომ წამოიწია ახალი მემარჯვენეებისა და „ნაცმოძრაობის“ ალიანსის თემამ, იგი პასუხობს:**

– „ახალმა მემარჯვენეებმა“ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას მივიღებთ პროდასავლური კურსის მქონე პოლიტიკურ ძალებთან, ჩამოვაყალიბდებით, ეს იქნება ბლოკი, ალიან-

**„თუ მივალ არჩევნებზე, „რესპუბლიკელებს“, „გირჩსა“ და „თავისუფალ დემოკრატებს“ შორის გავაკეთებ არჩევანს“**

ხალხის ხმა

ზაზა, 28 წლის, მუსიკოსი:

– იცით, ვის მივცემ ხმას? ვინც მარიხუანის დეკრიმინალიზაციას დაუჭერს მხარს. არ შეიძლება ადამიანებს, მოსაწევის გამო იჭერდნენ, არაა ეს ნორმალური. მეტი თავისუფლება და დემოკრატია სჭირდება დღეს ქვეყანას, ისე ვერ განვითარდება. ისე ნუ გაიგებთ, რომ ნარკოტიკების პროპაგანდას ვეწევი, მაგრამ მარიხუანის მოწევის გამო, არც ერთ თავმოყვარე და ნორმალურ ქვეყანაში არ აპატიმრებენ ადამიანებს. მოკლედ, ლიბერალური შეხედულების ვარ, ამიტომ თუ მივალ არჩევნებზე, „რესპუბლიკელებს“, „გირჩსა“ და „თავისუფალ დემოკრატებს“ შორის გავაკეთებ არჩევანს, ჯერ არ გადამიწყვეტია საბოლოოდ.

პოლიტიკოსებიდან გამოკვეთილად არავინ მომწონს, სახელმწიფოებრივი მაღალი დონის ხედვა აკლიათ, თუმცა მარგველაშვილი ყველასთან შედარებით დადებით პერსონად მიმაჩნია.

*მაკა დეკანოსიძე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ღარიბაშვილი კონსერვატორების სიის პირველი ნომერი იქნება? - რას ამბობენ პარტიაში



„კონსერვატიული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი პაატა კვიჟინაძე არ ადასტურებს მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც საქართველოს ყოფილი პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „კონსერვატიული პარტიის" სიის პირველი ნომერი იქნება.

– ამ ინფორმაციას არ ვადასტურებ, არც მოლაპარაკებები ყოფილა ბატონ ღარიბაშვილთან, - აღნიშნა კვიჟინაძემ.

რაც შეეხება პარტიის ლიდერს, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ზვიად ძიძიგურმა სატელეფონო ზარებს არ უპასუხა.

ღარიბაშვილსა და კონსერვატორებს შორის მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაცია დღეს **kvirispalitra.ge**-მ გაავრცელა.

გამოცემა ირწმუნება, რომ ირაკლი ღარიბაშვილი „კონსერვატიული პარტიის" სიის პირველი ნომერი იქნება.

ირაკლი ღარიბაშვილმა პოსტი გასული წელს, 23 დეკემბერს დატოვა. (ნიუპოსტი)

## რა ქონებას ფლობს მიხეილ სააკაშვილი?

ოდესის ოლქის გუბერნატორის, მიხეილ სააკაშვილის შემოსავალმა, 2015 წელს სახელფასო ანაზღაურების სახით, 38,6 ათასი უკრაინული გრივნა შეადგინა.

გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის მიერ შევსებული დეკლარაცია, ოდესის ოლქის ადმინისტრაციის საიტზე გამოქვეყნდა.

დოკუმენტით ირკვევა, რომ სააკაშვილი 6,92 ათასი და 500 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთებს და 97 კვ. მ საცხოვრებელ სახლს ფლობს.

რაც შეეხება გუბერნატორის ოჯახის წევრებს, მეუღლისა და შვილების მფლობელობაშია 754 კვ. მეტრი ფართის საცხოვრებელი სახლი.

როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, გუბერნატორისა და მისი ოჯახის წევრების პირად საკუთრებაში ავტომობილი არ არის.

დეკლარაციის მიხედვით, საზღვარგარეთ არსებულ საბანკო ანგარიშებზე მიხეილ სააკაშვილი 57 ათასი აშშ დოლარს, ხოლო უკრაინულ ბანკში 129,95 ათასი უკრაინულ გრივნას ფლობს.

რაც შეეხებათ ოჯახის წევრებს, საზღვარგარეთულ ანგარიშებზე მათ საკუთრებაში 48 ათას აშშ დოლარია.

ფინანსური ვალდებულებები გუბერნატორს არ გააჩნია. (pia.ge)

## „ქართული ოცნების" შიდა კვლევა: „ოცნება" - 33,2%, „ნაციონალური მოძრაობა" - 30,7%






„ქართული ოცნების" რეიტინგი შიდა კვლევებითაც პარტიის მესვეურებისთვის საკმად დამაფიქრებელია და დიდ წინააღმდეგობაში არ მოდის ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ კვლევებთან.

„ჯიეიჩენის" მიერ მოპოვებული ექსკლუზიური ინფორმაციით, „ქართული ოცნების" შიდა კვლევის შედეგების მიხედვით, რომელიც 1-3 აპრილს საქართველოს 10 ქალაქში ჩატარდა, პარტიების მხარდაჭერის რეიტინგი ასე გამოიყურება:

ქართული ოცნება - 33,2%;

ნაციონალური მოძრაობა - 30,7%;

თავისუფალი დემოკრატები - 7.9%;

რესპუბლიკური პარტია - 7,3%;

კვლევაში გაურკვევლად - ერთ პოლიტიკურ სუბიექტებად არიან დაჯგუფებული „პატრიოტთა ალიანსი და მრეწველთა პარტია", - 9,6% , ასევე, გაერთიანებულია ბურჯანაძის პოლიტიკური გაერთიანებისა და ეროვნული ფორუმის რეიტინგი - 11, 11%.

აღსანიშნავია, რომ „ქართული ოცნების" შიდა კვლევის მიხედვით არჩევნებში მონაწილეობას აპირებს გამოკითხულათა 73%.

გამოკითხვები ჩატარდა თბილისში, ზუგდიდში, თელავში, ქუთაისში, ბათუმში, ახალციხეში, გორში, მარნეულში, რუსთავსა და ოზურგეთში.

გამოკითხვის ათი პუნქტიდან ხუთში გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ" (მარნეული, რუსთავი, თბილისი, ოზურგეთი, თელავი) და ხუთში „ნაციონალურმა მოძრაობამ" (ზუგდიდი, ბათუმი, ქუთაისი, ახალციხე, გორი).

შეგახსენებთ, რომ „ქართული ოცნების" ერთ-ერთმა ლიდერმა ირაკლი სესიაშვილმა **NDI**-ის და **IRI**-ის კვლევებს ღიმილისმომგვრელი უწოდა და განაცხადა, რომ მათი კვლევები ნდობას არ იმსახურებს.

– შიდა კვლევებს ვატარებთ და მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, თვითკმაყოფილები არ ვიყოთ, ჩვენი პარტიის რეიტინგი საკმაოდ მაღალია. ვიტყოდი, რომ რამდენჯერმე უსწრებს სხვა ძალებს, - განაცხადა სესიაშვილმა, რაც 1-3 აპრილს ჩატარებული შიდა კვლევების შედეგებით არ დასტურდება.

საკითხს ეხმაურება „ქართული ოცნების" აღმასრულებელი მდივანი, რომელიც აცხადებს, რომლითაც ასევე დადგინდა, რომ „ქართული ოცნების" რეიტინგი მეორე ადგილზე გასული პარტიის პროცენტულ მაჩვენებლებს რამდეჯერმე აღემატება.

– სამწუხაროდ, **NDI** ვერ ახერხებს რეალური შედეგების დადებას, ეს პრაქტიკა უკვე წლების განმავლობაში გრძელდება, ასე იყო 2010 წელსაც, 2012-ში და ა.შ "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის" მიერ გამოქვეყნებულ კვლევის შედეგებთან მიახლოებული არასოდეს ყოფილა და ის ყოველთვის აცდენილი იყო რეალობას. 2012 წელს კვლევისა და არჩევნების შედეგებს შორის იყო კატასტროფული აცდენა. იგივე მოხდა 2012-13 წლებშიც. ბოლოს არჩევნები ჩატარდა გარდაბანში, რაც ერთგვარი ტესტი იყო „ქართული ოცნებისთვის." გარდაბნის არჩევნების შედეგების მიხედვით, შეგვიძლიათ თქვათ, რომ მეორე ადგილზე გასულ პარტიას რამდენჯერმე ვუსწრებთ", - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ. (ghn.ge; newposts.ge)

რომ არ არის გამორიცხული, პარტიის შიდა კვლევების შესახებ ინფორმაცია გასაჯაროვდეს.

– **NDI**-ის მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგები მთლიანად არის აცდენილი რეალობას. ამას ადასტურებს, პირველ რიგში, შიდა კვლევები, რომლებსაც ვატარებთ პერიოდულად. ბოლო კვლევა ორი თვის წინ ჩავატარეთ. ჩვენსა და მეორე ადგილზე მყოფ პარტიას შორის სხვაობა არის ძალიან დიდი, რამდენჯერმე ვუსწრებთ ამ პოლიტიკურ გაერთიანებას, - აღნიშნავს კობახიძე.

ირაკლი კობახიძის ინფორმაციით, შიდა კვლევა ჩაატარა „ნაციონალურმა მოძრაობამაც",

## პოლიტიკაში ბრუნდება?

### „მემარჯვენე" მამუკა კაციტაძე?

სი თუ კოალიცია. მთავარი არის ერთი რამ, ჩრდილოეთის მხრიდან შემოტევის გააქტიურების აგრესიის ფონზე აღარ არის იმის დრო, რომ ცალკეულმა პარტიებმა თავის გადარჩენისთვის დამოუკიდებლად შესვლისთვის და პარლამენტში ფრაქციების შესაქმნელად იზრუნონ. უნდა მოხდეს ძალთა მაქსიმალური კონსოლიდაცია, შესაძლებლობების ფარგლებში, რათა პროდასავლური ორიენტაციის პარტიებმა ძლიერი ერთობა შევქმნათ და გადამწყვეტი აქტორის როლი შევასრულოთ პარლამენტში. ვერ დაგეთანხმებით იმ მიზმაში, რომ „ახალი მემარჯვენეები" „ნაცმოძრაობასთან" ალიანსს შევკრავთ.

**— კულისებში გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ დავით გამყრელიძე აპირებს პოლიტიკაში დაბრუნებას. ადასტურებთ ამ ინფორმაციას?**

– მასთან ხშირი ურთიერთობა მაქვს, მათ შორის, ვსაუბრობთ პოლიტიკაზე, ბიზნესზე, სადაც ახლა არის, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გამიხარდებოდა მისი პოლიტიკაში ხილვა, რადგან ქართული პოლიტიკა ამ ტიპის კადრებით გაჯერებული არ არის, როგორიც დავით გამყრელიძეა, მისი პოზიცია არ იძლევა იმის იმედს, რომ დაბრუნდება პოლიტიკაში და



დღეს ამ თემაზე საუბარიც არ არის.

**— თქვენ გამორიცხეთ „ნაციონალურ მოძრაობასთან" რაიმე ტიპის ალიანსი, კოალიცია თუ ბლოკი. ვისთან წარმოგიდგენიათ ერთობა და რომელ პოლიტიკურ ძალებთან მართავთ მოლაპარაკებებს?**

– მოვიაზრებთ ყველას, ვისაც აქვს თანმხვედრი იდეოლოგია, პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსი, თუმცა, დავსძენ ერთს, ახლანდელი და ძველი სახელისუფლებო პარტიებიდან რთულად მაქვს წარმოდგენილი, ვინმე ჩვენთან ალიანსში იყოს...

**— მათ შორის, „ირაკლი ალასანია — თავისუფალი დემოკრატები"?**

– როდესაც შეხვალ ამ ტიპის კოალიციაში, როგორიც არის „ქართული ოცნება", ბუნებრივია, გადმოგვყვება წარსულიდან პასუხისმგებლობა, არ მინდა დავასახელო ის პოლიტიკური პარტიები, ვისთანაც ახლა მოლაპარაკებებს ვმართავთ. ჩვენთვის მთავარი თემაა, ბოლომდე მივიყვანოთ საარჩევნო გარემოს შეცვლის საკითხი, როგორც კი პროცესი დასრულდება დადებითად, ან უარყოფითად, ამის შემდეგ მოწოდებებს გავაკეთებთ არა მედიით, არამედ იმ პარტიებთან შედგება კომუნიკაცია, მესმის, პოლიტიკურ ლიდერებში არსებობს ამბიციები და ყველა მათგანი ცდილობს, მარტო გავიდეს არჩევნებზე, მაგრამ პოლიტიკაში ყოფნის ხანგრძლივი გამოცდილების საფუძველზე გეუბნებით, რომ ასეთი კოალიცია და ერთობა კეთდება არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე და ის ლიდერები, ვინც ასეთ ერთობაზე უარს ამბობენ, ბოლოს თანხმდებიან. თუ ჩვენი გაერთიანება არ გამოვა, ჩვენც მივიღებთ

### საარჩევნო კანონი

გადაწყვეტილებას, თუმცა მუშაობა ჯერ დაწყებული არ არის და წინასწარ დასკვნების გაკეთება, არასწორად მიმაჩნია... ზოგადად, გეტყვით, რომ პარტიების ნაწილი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არ კარგავს იმედს, რომ პარტია „ქართულ ოცნებასთან" ერთად მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას რაიმე ფორმით. ამიტომ ისინი უფრთხილდებიან დაპირისპირებას „ქართულ ოცნებასთან" და პირდაპირ მითხრეს, რასაც „ქართული ოცნების" პარტია იტყვის, იმას ვიტყვით, მათთან დაპირისპირებაში ვერ შევალთ, უნდა გვაპატიოო. მაგრამ არის ორი პარტია, სადაც საუბარია, რომ ისინი მზად არიან საარჩევნო კოდექსის ცვლილებების გამო დაუპირისპირდნენ ხელისუფლებას, თუკი ხელისუფლება გაჯიუტდება და თავისი ნებით ცვლილებებს არ განხორციელებს, მზად არიან საკუთარ პოლიტიკურ პარტნიორს – „ქართულ ოცნებას" დაუპირისპირდნენ. ისინი ამბობენ, რომ პარლამენტში თემატურ უმრავლესობას შექმნიან და საარჩევნო ცვლილებებს განახორციელებენ.

### ხალხის აზრი

#### „გაერთიანების შემთხვევაში მათ მივცემდი ხმას"

ლიკა, 45 წლის, დიასახლისი:

– სიმპათიებით ვარ განწყობილი ნინო ბურჯანაძის მიმართ, მაღალი რანგის პოლიტიკურ მოთამაშედ მიმაჩნია და გული მწყდება, რომ ვერ აქვს ისეთი მხარდაჭერა, როგორიც უნდა ჰქონდეს, ალბათ, უკეთესი გუნდი სჭირდება, ვიდრე ჰყავს. ძალიან არ მომწონს, კუკავას რომ დაუპირისპირდნენ გასულ წლებში, ვფიქრობ, ერთად უფრო დიდი ძალაა, კახაც ჭკვიანი ბიჭია, ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ პარლამენტში იყოს. მოკლედ არასაპარლამენტო ოპოზიციის რაღაც ნაწილი მაინც თუ გაერთიანდება, აჯობებს, ასე დაქსაქსულებს ნაკლებად აქვს შანსი, გაერთიანების შემთხვევაში მათ მივცემდი ხმას, ისე ცალ-ცალკე კი, ჯერ არ გადამიწყვეტია.

*მაკა დეკანოსიძე*



აი, რას წერენ პრემიერ კვირიკაშვილის ტელეჟურნალისტებთან შეხვედრაზე „ფეისბუქის“ ცნობილი მომხმარებლები.

**ირინა სარიშვილი:** ეეჰ ვამბობდი რა, ამას ისევ ღარიბაშვილი ჯობსთქო... ვერთობოდით მაინც.

**ნიკა გვარამია:** ტყუილსვერვიტან პრემიერი ამბობს, რომ

*ჩვენ სამთავრობო მედიები არ გვყავსო (სხვას რომ თავი დავანებოთ, ამას 20.30ზე რომ დაიწყო პრესკონფერენცია, ის პრემიერი ამბობს)

*რუსთავი 2ზე შეტევა სახელმწიფოს არ გუნოხროციელებიაო, პირიქით, ყველაფერი ვქენით რუსთავი 2ის სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობისთვისო

კიდევ ერთხელ ვკითხულობ, ეს არაფრითგამორჩეული უფერული კაცი რითი სჯობს ღარიბაშვილს, დედოფლისწყაროში კი არა და, ვაკეში რომ დაიბადა და გაიზარდა?

**ოთო კახიძე:** გიორგი კვირიკაშვილი არ არის პრემიერ-მინისტრი, რადგან მას ჰყავს უფროსი, ბატონიბიძინა.

ის არის ანგარიშვალდებული არა საზოგადოების, არამედ თავისი უფროსის წინაშე.

კი, უფრო გაწონასწორებულია, არ იგინება, არ იფურთხება, ნაცმოძრაობის წევრები უნდა გააუპატიურონო - არ ამბობს, მაგრამ ცვლილებების და რეფორმების გასატარებლად არც გეგმა აქვს, არც მანდატი და არც რესურსი.

ეს არის მთავარი.

**ნიკოლოზ მჟავანაძე:** თამარ ჩერგოლეიშვილს დამაწყანარებელი დაალევინეთ თორემ საცაა პროტესტის ნიშნათ ტანზე შემოიხევს კვირიკაშვილის თვალწინ.

**თამარა ჩერგოლეიშვილი:** შეხვედრამ ჩაიარა ძალიან ცივილიზებულად. აქ მე მკითხეს განსხვავება წინა პრემიერთან შედარებით, განსხვავება ალბათ ეს იყო, ასე ცივილიზებულად შეხვედრა სავარაუდოდ ვერ ჩაივლიდა წინა პრემიერთან. ეს ადამიანი წყნარი და მონოტონური მოსაუბრეა. რასაკვირველია მადლობა გადავუხადე მოწვევისთვის, მე პირველად მომეცა შესაძლებლობა მთავრობის, თუნდაც ფორმალურ მეთაურს კითხვა დავუსვა, იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი არ მეპატიჟებოდა ხოლმე, ღარიბაშვილი კი ასეთ შეხვედრებს არ მართავდა. რაც შეეხება თვითონ შეხვედრას, მე უკვე პრემიერსაც გავუზიარე ჩემი დაკვირვება, ის გვესაუბრა არა როგორც პროცესებზე პასუხისმგებელი პირი, არამედ როგორც დამკვირვებელი. ის ბევრ რამეში დაგვეთანხმა კიდეც, დაგვეთანხმა, რომ ქვეყანაში არის ძალიან მძიმე ვითარება, დაგვეთანხმა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა ხარვეზებით არის და ჯობს რომ ის იყოს ადამიანების საჭიროებებზე მიმართული, დაგვეთანხმა, რომ პრორუსული მედიის დაფინანსება ცუდია, დაგვპირდა რაღაც-რაღაცების გადამოწმებას, მე ახლა მივცემ მას იმის კრედიტს, რომ ახლა, ამჯერად გადაამოწმებს, მაგრამ ჩვენ გვახსოვს ასეთი დაპირებები მისგან როდესაც მას ირჩევდა პარლამენტი პრემიერის პოსტზე და გადამოწმების შედეგების შესახებ არაფერი ვიცოდით. აქედან გამომდინარე, მთავარი ჩემი დაკვირვება არის ის, რომ დღევანდელი ჩვენი პრემიერი არის პროცესების დამკვირვებელი და არა პროცესების წამმართავი.”

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●


ნინო ლაგარტყავა

571 99-92-33




>>> გაჭედილი თბილისი

# მალე, შესაძლოა, მანქანა არ მოგყიდონ,

## როგორ უნდა ეშველოს გაჭედილ „საცობებს“ და რა უნდა



„იაპონიაში არსებობს ადგილები, სადაც მანქანებს საცხოვრებელი კორპუსის თავზე, სახურავზეც კი აპარკინგებენ, რასაც ლიფტის სისტემით აკეთებენ“



ჩვენს დედაქალაქს ოფიციალურად პატრონი კი ჰყავს, მაგრამ რეალობა სხვა რამეს ამბობს. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ თბილისის ქუჩებში იმ საშინელ საცობებს, რომლებშიც, ალბათ, ყველა ჩვენგანი ყოველდღიურად ხვდება და გემრიელად გამოძინებასაც ასწრებს, თუ, რა თქმა უნდა, თავად არ ზის საჭესთან... თბილისის მინგრეულ-მონგრეულ გზებს „ტუზად“ ემატება პარკირების ადგილის არასაკმარისი რაოდენობა, რის გამოც ყველა თეორიული გასაჩერებელი ადგილიც კი დასწრებაზეა - ზოგი ტროტუარზე აჩერებს ავტომობილს, ზოგი მხოლოდ ავტომობილის ცალი მხარით არის „შემჯდარი“ ბორდიულზე, აბა, დანარჩენი ადგილი უკვე დაკავებული ხვდება... აქეთ ფაჩიკოს გარმონივით დაღრეცილი გზები, იქით – პარკირების ადგილის არქონა და კი ვიღებთ მერე ხოშიან საცობებს და კაციშვილი არ არის პატრონი, მათ შორის, უპირველესად არც თბილისის მერი დავით ნარმანია, რომელმაც მილიონი ხე ხომ დარგო და დარგო, ახლა კიდევ მილიონი ყვავილის დარგვაზე ფიქრში ათენ-აღამებს...

პარკირების საკითხთან დაკავშირებით, ინტერნეტში ძალიან საინტერესო ინფორმაციას გადავაწყდით. როგორც ბპნ.გე წერს, იაპონიაში არ შეიძლება, უბრალოდ, დააგროვო თანხა და შეიძინო ავტომობილი. იაპონელმა ავტომობილის შესაძენად უნდა დაამტკიცოს, რომ შეუძლია მისი შენახვა და მართვა ისე, რომ დისკომფორტი არ მიაყენოს გარშემომყოფებს. ამიტომაც ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას პარკირების პირადი ადგილის ქონა წარმოადგენს, რომელიც სახლიდან არაუმეტეს 2 კმ რადიუსში მდებარეობს. პარკირების ადგილს ხშირად ქირაობენ, მათი ღირებულება კი დაახლოებით იმავე უბნის ერთოთახიანი ბინის ფასია(!). იაპონელები ამ საკითხს გაგებით ეკიდებიან, ისინი მიიჩნევენ, რომ მანქანის გაყიდვა პარკირების ადგილის გარეშე იგივეა, რაც გაყიდო იარაღი ულიცენზიოდ. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პარკირების ადგილის ფლობა, არამედ მისი ზომაც. პოლიციაში საბუთების ჩაბარებისას მანქანის პატრონმა პარკირების ადგილის მონახაზიც უნდა წარადგინოს. პოლიციელს შეუძლია, არ გასცეს ახალთახალი ჯიპის ყიდვის ნებართვა, თუკი მიიჩნევს, რომ პარკირების ადგილი ძალზე პატარაა ავტომობილისთვის.

**შეიძლება იფიქროთ, სად ერეკლე და სად ყურებიანი ქუდიო, მაგრამ თუ ვერ გავუსწრებთ იაპონიას, იქნებ დავეწიოთ მაინც, კაცო? ათასნაირ მამაძაღლობას რომ გადმოვიღებთ ხოლმე სხვადასხვა ქვეყნებიდან, ამომავალი მზის ქვეყანაში არსებულ პარკირების ამ მოდელს თუ აბზაც-აბზაც არ გადმოვიღებთ, იქნებ, „წავემგვანოთ“ მაინც? რა ვიცი, იდეა კი არის მომხიბვლელი და არის თუ არა უტოპიური, ამაზე „საქართველოს ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ წარმომადგენელი ვასო ურუშაძე გვესაუბრა:**

**— რამდენად არის შესაძლებელი იაპონიაში არსებული პარკირების მოდელის თუნდაც მსგავსის საქართველოში გადმოტანა, დღევანდელ ვითარებაში?**

– პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ იაპონია არის ქვეყანა, სადაც, ზოგადად, სატრანსპორტო პოლიტიკა თავის განვითარებით არის მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი. ამასთანავე, მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა მოწესრიგებულია უმაღლეს დონეზე – იაპონიის ნებისმიერი ქალაქის მაცხოვრებელს შეუძლია, მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილდეს ქვეყნის ნებისმიერ ქალაქსა თუ კუთხეში და სარკინიგზო-საჰაერო... ანდაგო სხვადასხვა ტრანსპორტით შეუძლია, მიაღწიოს მთიან კურორტამდეც კი. მეორე: საგზაო ინფრასტრუქტურა უმაღლეს დონეზეა განვითარებული, მოწესრიგებული და ავტომობილის რაოდენობა ზუსტად შეესაბამება იაპონიის გზების გამტარუნარიანობის კოეფიციენტს. რაც შეეხება იაპონიაში არსებული პარკირების სისტემის მსგავსის შემოღებას: დღეს საქართველოში შეუძლებელია მსგავსი რეგულაციის შემოღება და რატომ: თბილისის მაგალითი რომ ავიღოთ, ერთ საპარკინგე ადგილას, რომელიც გამოყოფილია „სითი პარკის“ მიერ და ოფიციალურად დგას საგზაო ნიშანი, რომ დგომა-გაჩერება შეიძლება და ამ ადგილებს ავტომობილების რაოდენობაზე გავყოფთ, ვნახავთ, რომ ერთ ადგილზე მოდის 12 ავტომობილი. უნდა აღვნიშნო, რომ ეს არის 2014 წლის მონაცემები და დღეს შეიძლება 15-16 მოდიოდეს. ასეთ პირობებში, სანამ არ განვავითარებთ ინფრასტრუქტურას, მანამდე შეუძლებელია ამ რეგულაციის შემოღება და ვფიქრობ, არც იქნება მიზანშეწონილი ეს ხელისუფლების მხრიდან, რადგან, პირველ რიგში, მან მაქსიმუმი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მომდევნო მშენებლობების პროცესში, როცა ის ეხება საცხოვრებელ ობიექტებს, კომერციულ ფართებს – მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული ავტომობილების პარკირების ადგილები და ეს სტანდარტი იყოს დაცული მაღალ დონეზე. მეორე შემთხვევაში ისეთ უბნებში, სადაც თავის დროზე არასწორად მოხდა განაშენიანება, ან თავის დროზე ვერ გათვალეს ჩვენმა არქიტექტორებმა, ინჟინრებმა, რომ ასეთი საავტომობილო ბუმი იქნებოდა მსოფლიოში და საქართველოში, არ არის უბნები პარკირებისთვის. შესაბამისად, ასეთ დასახლებულ პუნქტებში უნდა აშენდეს მიწისქვეშა, მიწისზედა მრავალსართულიანი თუ მცირე კომპაქტური პარკინგის ადგილები. იაპონიაში არსებობს ადგილები, სადაც მანქანებს საცხოვრებელი კორპუსის თავზე, სახურავზეც კი აპარკინგებენ, რასაც ლიფტის სისტემით აკეთებენ.

**— უუჰ, სანამ ჩვენ მაგ დონემდე მივალთ, მანქანა სახურავზე ვერა, მაგრამ ვირი ხეზე ავა...**

– მაგას ვამბობ... ჩვენ შეგვიძლია, ხვალვე შემოვიღოთ აღნიშნული რეგულაციები, ვთქვათ, რომ აი, ავტომობილს ველარ იყიდით, თუ არ გაქვთ ადგილი პარკირგისთვის, მაგრამ ამით პრობლემას ვერ მოვაგვარებთ. ქვეყნისა და თბილისის საავტომობილო პოლიტიკა ის უნდა იყოს, რომ ავტომობილებისა და პარკინგის ადგილის რაოდენობა გავათანაბროთ და როცა ამ ყველაფერს მოვაწესრიგებთ, შემდგომში შეგვეძლება, დავიწყოთ მსგავსი რეგულაციების შემოღება. სანამ ხელისუფლება ვერ ავითარებს ინფრასტრუქტურას, მუნიციპალურ ტრანსპორტს, პარკირების ინფრასტრუქტურას, მანამდე ვერც ერთ ხელისუფლებას ვერ ექნება იმის ლეგიტიმაცია, რომ შემოიღოს რეგულაციები, აკრძალვები და შეზღუდვები. რა თქმა უნდა, ზოგადად, ყველა რეგულაციებს ჰყავს მომხრეები და მოწინააღმდეგეები და იმისთვის, რომ ნაკლები მოწინააღმდეგე გვყავდეს, ეს ყველაფერი სწორად, სწორ მიზანშედეგობრივად უნდა იყოს გათვლილი. ვფიქრობ, თბილისის მერიამ ნებისმიერ რეგულაციაზე ფიქრიც კი უნდა შეწყვიტოს და პირდაპირ გადავიდეს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ინიციატივა ცუდია, ის იაპონიაში ძალიან კარგად მუშაობს, იქ ავტომობილების ტექნიკური დათვალიერებაც არსებობს და იდეალურად მუშაობს – წელიწადში ორჯერ უწევთ მათ ავტომობილის ტექდათვალიერება. საკმაოდ დიდი გადასახადები არსებობს – გზის გადასახადი, ჰაერის დაბინძურების გადასახადი...

**— იაპონიაში პარკირების ადგილს ხშირად ქირაობენ კიდეც, მათი ღირებულება კი, დაახლოებით იმავე უბნის ერთოთახიანი ბინის ფასია...**

– კი, არის, მაგრამ იაპონიამ ეს შეძლო. იაპონია ინფრასტრუქტურულად იმდენად განვითარებული და ეკონომიურად იმდენად მდგრადი ქვეყანაა, რომ ამხელა თანხების გადახდის უფლებას მოქალაქეები თავის თავს აძლევენ და ვისაც სურს, ჰყავდეს ავტომობილი, ეს რეგულაციები და გადასახადები მათთვის შემაფერხებელი არ არის. მაგრამ ჩვენს პირობებში ამაზე საუბარი შეიძლება იყოს გრძელვადიან პერსპექტივაში მისაბაძი რამ და ძალიან კარგია, თუ ჩვენ იაპონიას მივბაძავთ საერთოდ ბევრ რამეში.

**— ხელისუფლება, ამ შემთხვევაში დედაქალაქის მერია, ამბობს, რომ ქალაქში არსებული საცობები არის ბევრი ავტომობილის არსებობის ბრალი, საუბრობენ იმაზეც, რომ საცობებს მარჯვენასაჭიანი მანქანებიც ქმნიან... რეალურად კი, თბილისის მერია არ უსწორებს თვალს იმ არსებულ პრობლემებს, რასაც ჰქვია მონგრეული ინფრასტრუქტურა და საერთოდ, ლამის, მისი არარსებობა და პარკინგის**

**საჭირო რაოდენობის ადგილების არქონა. თქვენი შეფასება მაინტერესებს: კონკრეტულად რისი ბრალია დედაქალაქში არსებული საცობები?**

– საცობები არის ძალიან ფართომასშტაბიანი პრობლემა, მაგრამ ვეცდები, მაქსიმალურად მოკლედ გითხრათ: მთავარი ფუნდამენტური პრობლემა, რაც დღეს საცობებს წარმოქმნის, არის ბალანსის დარღვევა ავტომობილების რაოდენობასა და საგზაო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის კოეფიციენტს შორის. რეალურად, ქალაქ თბილისში გვაქვს გზები, ქუჩები, მაგისტრალები და მათ აქვთ თავიანთი რესურსი, დღის, საათის განმავლობაში რამდენი ავტომობილი შეუძლია, გაატაროს. ავტომობილების რაოდენობა კი აჭარბებს ამ გამტარუნარიანობას, თითქმის, ორჯერ. შესაბამისად, დღის საათებში, როდესაც ავტომობილების მაქსიმალური რაოდენობა არის ექსპლოატაციაში, ხდება გამტარუნარიანობის კოეფიციენტის შემცირება, წარმოიქმნება მოძრაობის შეფერხება, რაც ქმნის საცობს. წარმოიდგინეთ, რა რაოდენობის ავტომობილებიც თბილისშია, ერთ დღეს რომ გადავიტანოთ გორში, ხომ გაჩერდება მთელი გორი? გორის ქუჩებს ხომ თავისი გამტარუნარიანობის კოეფიციენტი აქვთ? იგივე მოხდა თბილისში: 2012 წლამდე ინფრასტრუქტურა მეტ-ნაკლებად ვითარდებოდა – ახალი ხიდები, შემოვლითი გზები, ესტაკადები აშენდა, მაგრამ 2012 წლის შემდეგ, თვალს თუ გადავავლებთ, მოდის ასეთი ტენდენცია, რომ მთლიანად შეჩერდა ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების შექმნა, შეჩერდა თბილისის შემოვლითი რკინიგზა, შეჩერდა მარშალ გელოვანის გამზირზე არსებული ხიდის მშენებლობა და სხვა, რომლებიც გათვლილია გზების გამტარუნარიანობის კოეფიციენტის გაზრდაზე. მეორე პრობლემა: ერთია, რომ ავტომობილების რაოდენობა, რა თქმა უნდა, გაიზარდა და დღეს უკვე მილიონ 200 ათასამდე ავტომობილია დარეგისტრირებული საქართველოში. თბილისში კი, დაახლოებით, 600 ათასამდე აღწევს მათი რაოდენობა. ერთია, რომ ამდენი ავტომობილია რეგისტრირებული ქვეყანაში, მაგრამ მეორეა, რამდენი ავტომობილია ყოველდღიურად ექსპლოატაციაში?

**— რით არის გაპირობებული თბილისში ყოველდღიურად ამდენი მანქანის მოძრაობა?**

– იმით, რომ არ გვაქვს მუნიციპალური ტრანსპორტი. ჩვენ რომ გვქონდეს განვითარებული, მოწესრიგებული, საკმარისი მგზავრთა ნაკადების გადამყვანი მუნიციპალური ტრანსპორტი, შეიძლება ავტომობილის მქონე ბევრმა ადამიანმა გადაწყვიტოს მისით მგზავრობა და მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების დროს იმგზავროს საკუთარი ავტომობილით. შესაბამისად, შემდეგი პრობლემა, რაც ამ ყველაფერს კიდევ უფრო ართულებს, ეს არის პარკირება. უკვე დღეს ცენტრალურ ქუჩებშიც კი, მაგალითად, როგორიცაა გამსახურდიას გამზირი, პეკინის ქუჩა – გზა არის, დაახლოებით, ერთზოლიანი და ამ შემთხვევაში ორი ზოლი, ორივე მხარეს დაკავებული აქვს პარკირებას. ეს რომ ასე არ იყოს, დაახლოებით, ორჯერ გაიზრდებოდა ერთი ქუჩის გამტარუნარიანობა. მსგავსი პრობლემა გვაქვს ყველა ქუჩაზე, ყველა უბანში, ყველა გზაზე, სადაც გზის სავალი ნაწილის გარკვეული ტერიტორია მიაქვს პარკირებას იმიტომ, რომ სხვა ალტერნატივა არ არსებობს. ის ავტომობილები მოქალაქეებმა სადღაც ხომ უნდა დააყენონ? უკვე ტროტუარებიც კი ათვისებულია და ათვისებულია ნებისმიერი ადგილი, სადაც თეორიულადაც კი არის შესაძლებელი მანქანის დაყენება.

**— თქვენ ისაუბრეთ ინფრასტრუქტურის პრობლემაზე, თუმცა მე კიდევ სხვა კუთხით მინდა დავსვა კითხვა: ასეთ დროს მერიამ თავის გასამართლებლად შეიძლება გამოიყენოს ის არგუმენტი, რომ სხვადასხვა უბნებში მიმდინარეობს გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებიო, რაც სწორედ იმიტომ კეთდება, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა კარგად იარონო... არადა, ორიოდე დღის წინ, სწორედ ამ სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, ვორონცოვის მოედანზე ისეთ საშინელ საცობში მოვხვდი, ძლივს მივაღწიე სახლამდე... ერთია, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებ, მაგრამ რამდენად სწორად აკეთებ ამას — ამაზე არ უნდა იფიქრონ?**

– მინდა ხაზი გაუსვათ: ეს არ არის ახალი გზის მშენებლობა, ეს არის არსებული გზის რეაბილიტაცია. თბილისის მერია დღეს თუ რამე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს აკეთებს, თითქმის ყველა, გამონაკლისების გარდა, არის ძირითადად სარეაბილიტაციო სამუშაოები, რასაც ის არაეფექტურად ახორციელებს. შემიძლია, რამდენიმე მაგალითი ჩამოგითვალოთ: „ზაჰესის" ხიდი, რომლის ტენდერიც გამოცხადდა 2014 წელს და 2015 წლამდე იქ საერთოდ არაფერი არ გაკეთებულა და კომპანიის დირექტორი დაიჭირეს, რადგან მან სამუშაო ვერ შეასრულა. ახლა მესამედ ცხადდება ტენდერი და ხიდის მშენებლობა სულ ახლახან დაიწყო; მეორე შემთხვევა: ბარათაშვილის ხიდი, რომელიც რამდენიმე თვე იყო გადაკეტილი ნაწილობრივ, მიდიოდა სარეაბილიტაციო სამუშაოები და, უბრალოდ, კომიკური სიტუაცია შეიქმნა – ხიდის სიმაღლე შეამცირეს, პირველივე მოძრავი სატვირთო ავტომობილი მას გამოედო და მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა. ახლახან დაასრულეს ხიდის ქვეშ თვითონ გზის საფარის ნაწილის დაწევა, დათხელება, რადგან თვითონ ხიდს უკვე ვეღარაფერი მოუხერხეს... ამ ორი მაგალითით ძალიან მარტივად წარმოსადგენია, თუ რასთან გვაქვს საქმე. ერთი მხრივ, საქმე გვაქვს თბილისის მერიის არაკომპეტენტურობასთან, მათ არაკვალიფიციურ კადრებთან და მეორე მხრივ, საქმე გვაქვს რაღაც კორუფციულ გარიგებებთან, ტენდერებში ჩართულ კომპანიებთან დაკავშირებულ ნეპოტიზმთან – ტენდერებს იგებენ ისეთი კომპანიები, რომლებსაც არანაირი ტექნიკა და გამოცდილება არ გააჩნიათ. ასევე, თბილისის მერიას გზის მშენებლობის უსაფრთხოების სტანდარტი და გათვლები არ აქვს, რომ, როცა იწყებენ გზის რეაბილიტაციას, მაგალითად, თქვენ რომ ვორონცოვი ახსენეთ – დარწმუნებული ვარ, თბილისის მერიის სატრანსპორტო სამსახურს ამის ანალიზი არ გაუკეთებია, რომელ საათებში უნდა მოხდეს და რა მოჰყვება ამა და ამ ქუჩების გადაკეტვას, ხომ არ გამოიწვევს საცობებს? დარწმუნებული ვარ, ეს ტენდერი მოიგო ვიღაც კომპანიამ, რომელმაც დადგა გამაფრთხილებელი ნიშანი, რომ გზა არის გადაკეტილი და საერთოდ არავინ არ მუშაობს იმაზე, რა მოჰყვა ამის გაკეთებას. აქ სისტემურ პრობლემასთან გვაქვს საქმე, მთლიანად ქვეყანაში, განსაკუთრებით კი თბილისშია ტრანსპორტის პოლიტიკის პრობლემა და სანამ მთლიანად ეს სისტემური პრობლემა არ მოგვარდება, მსგავსი საგზაო პრობლემების წინაშე ვიდგებით მუდამ.

# თუ პარკინგის ადგილი არ გექნება!

## ქნას მძღოლმა, თუ გასაჩერებელ ადგილს ვერ პოულობს?



„წარმოიდგინეთ, რა რაოდენობის ავტომობილებიც თბილისშია, ერთ დღეს რომ გადავიტანოთ გორში, ხომ გაჩერდება მთელი გორი? გორის ქუჩებს ხომ თავისი გამტარუნარიანობის კოეფიციენტი აქვს? იგივე მოხდა თბილისში: 2012 წლამდე ინფრასტრუქტურა მეტ-ნაკლებად ვითარდებოდა — ახალი ხიდები, შემოვლითი გზები, ესტაკადები აშენდა, მაგრამ 2012 წლის შემდეგ ყველაფერი გაჩერდა"





## გაჭედილი თბილისი

**აღმოჩნდა, რომ არც მთლად უიმედო სიტუაციაა ამ რეგულაციის საქართველოში დანერგვის კუთხით, ოღონდ პარკირების ადგილის დასაქირავებლად რომ ერთოთახიანი ბინის ფასს მიათხლიშავ კაცი, ამას არ ვგულისხმობ! ახლა უკვე იმით დავინტერესდით, პარკირების რამდენი ადგილია თბილისში ოფიციალური მონაცემებით და საერთოდ, რამდენი საშვია გაცემული? კომენტარისთვის „სითი პარკის" მედიაკომუნიკაციების მენეჯერს, ლევან ტაბიძეს დავუკავშირდით:**

– საშვების შესახებ ინფორმაცია ამ ეტაპზე არ მაქვს და ორშაბათამდე ვერ გეტყვით (კომენტარი ჩაწერილია 17 აპრილს. – ნ.ლ.), ისიც თუ მითხრეს, რომ ამ ინფორმაციის გაცემა შესაძლებელია. რაც შეეხება ადგილებს: ბოლო ინფორმაციით, როდესაც მე რამდენიმე თვის წინ გადავამოწმე, დაახლოებით, 40 ათას ადგილამდე იყო მერიის მიერ გადმოცემული, თუმცა უფრო დეტალურად შემიძლია, ორშაბათს გადაგიმოწმოთ. ადგილები არ ეკუთვნის „სითი პარკს", ეს ეკუთვნის მერიას, ანუ „სითი პარკი" არ წყვეტს, სად იქნება პარკირება და სად – ამკრძალავი ნიშანი. თუ ვთქვათ, ამკრძალავის შემთხვევაში, საერთოდ არ აქვს შეხება „სითი პარკს" ნიშნის დამონტაჟებასთან და ასევე, როგორც გითხარით, სად იქნება ის და სად არა, პარკირების შემთხვევაში ასეთი სიტუაციაა: მერია იღებს გადაწყვეტილებას, სად უნდა გამოიყოს პარკირება, ამის შემდეგ ჩვენ გვაძლევს კონკრეტულ მისამართებს და ჩვენ ამ კონკრეტულ მისამართზე, რამდენ ადგილსაც გადმოგვცემს (და ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ჩვენ მოვაწყოთ პარკირების ადგილი, დავამონტაჟოთ შესაბამისი საგზაო ნიშნები და ასევე, მოვახდინოთ მოხაზვა), გადმოცემის შემდეგ ჩვენ ვაკეთებთ მოხაზვას, მონიშვნას. შემდეგ უკვე „სითი პარკი" ახდენს ოპერირებას, რაც არის კომპანიის მთავარი ფუნქცია.

**ერთი სიტყვით, თუ ახლანდელი და მომავალი ხელისუფლებები ინებებენ და ქვეყნის, განსაკუთრებით კი დედაქალაქის საგზაო ინფრასტრუქტურას მოაწესრიგებენ, ავტომობილის მთლად კორპუსის სახურავზე დაპარკინგების რა გითხრათ, მაგრამ არაა გამორიცხული, რამდენიმე წელიწადში ავტომობილი თავისი პარკირების ადგილიანად ვიყიდოთ, რაც მართლაც აღმოფხვრის გზებზე საცობის პრობლემებს და ყველას ჩვენ-ჩვენი ავტომობილის გასაჩერებელი ადგილი „სპრავედლივად" გვექნება.**

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები



იუნა შაფათავა

ვოცნებობ სამსახურზე. ამდენ დებილ ბოზში მარტო ჩემი სექს იმიჯი ადარდებს დამსაქმებელს? მე სექსიც ვიცი დაუვიწყარი, მაგრამ მუშაობა და პახაობა -24/7 უფრო მაგარი. 2012-დან რაც პოლიტ. ნიშნით დედა მიტირეს - გინდა თუ არ ოცნებისტიაო, ამ ოცნების უტვინო ბოზებმაც აიწყვეს ცხოვრება იუნა ბოზიაო. როდის გავხდი ბოზი??? პორტირებულმა ბოზებმაც აიწყვეს. იმპოტენტებმაც და ფარულმა გეებმაც. მარტო მე დავრჩი. დისკრიმინაცია არააა სექს თემაზე სამსახურში არ მიიღო? სექს როლზე??? თქვენ რომ ფარულად დაბოზაობთ რა გგონიათ არ ვიცით ვინ ვის ლოკავს???? რა ისტერიკაში ხართ ვიდეო ჩანაწერებზე??? მოგხადეს ნილბები?????? მე კი, რაც კი უტვინო დებილი კომპანია იყო, ყველგან ვიმუშავე 350 და 500 ლარად. მომბეზრდა. არ უნდათ საჯარო სისტემაში იმიტომ რომ ჩემი მძიმე ხასიათით დებილს, დებილს ვუწოდებ და კრეტინს, კრეტინს. პრასტიტუტკას კი პრასტიტუტკას. არ უნდა არავის, შიდა სანზარეულოში ჩამახედოს, იმიტომ რომ ჭამთ და სორი, სადაც ჭამთ იქ იმას შვრებით. არც 50 ლარიანი გადასაღები დღე მინდა, ნუ მირეკავთ, ტილიან დებილ სერიალებზე. ცოტა ჩააჩოჩეთ თქვენი ბოზები. სასწაფოდ, ბოზების მფარველებო, მჭირდება სამსახური! არა რეკლამის აგენტი, არა თქვენთვის საიმიჯოდ -იუნა გაყიდის ნაგავსაც - არა! მენეჯმენტი, მარკეტინგი. ჯანდაბას საჯარო სისტემა იყოს. პროტოკოლით ჩაცმას მაინც გასწავლით, დებილკებო.

მიპოვეთ რამე. ჟურნალისტებს - არც ერთ არხს და გამოცემას არ გაძლევთ ინტერვიუს, არ მაინტერესებს რას წერთ, არც ერთს არ გცემთ პატივს ყველანი გაყიდულები ხართ. მხოლოდ ჩემი სარეკლამო მასალით ვარ დაკავებული. კი, სექსი და კიდევ სექსი. თქვენზე მაგარი, თან უანგარო, სიამოვნებისთვის. მხოლოდ გასართობი შოუები და კარგი განწყობა. მინიმალური სასტარტო ხელფასი -1500 ევრო. ეს არის დისკრიმინაცია!!!! აბსოლუტური და კრიმინალური! მარტო დეა მუშაობს ამდენი წელია ამ ოჯახში და იმასაც ჭამენ ბოზები და შურიანები და ჩემკენ იშვერენ თითს -შენი და ბოზია!!!! ეს თქვენ ხართ ბოზები და პროსტიტუტკები!!!! ხალიავშიკები და უნახავები!!!!!

მე ვიცი ჩემი თავის ფასი და თუ არ ვიპოვი სამსახურს, კარიკატურად გაქცევთ ყველას; მომბეზრდა ყველას სიჩუმე!!! რატომ იცავთ პრასტიტუტკებს???? ყველასი გამოჩნდეს, ახია !!!

ბოზი მეძავი პრასტიტუტკა ჩინოვნიკის გადასაწყვეტი არ უნდა იყოს ჩემი ცხოვრება! გაეთრიეთ მე მუშაობა მენატრება, ბიუჯეტის მათხოვარო აფერისტო მლიქვნელო პროსტიტუტკებო!!!!"-

ნატალია სვანიძე: ასეთი მწარე სიმართლე კარგა ხანია არ მომისმენია ამ საკითხზე, ყოჩაღ!

„თავი დავანებოთ სვეტიცხოველს, გელათს, ვეფხისტყაოსანს, ჩემზე მეტი ვინ შექმნა?“



„რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში ჩართვისას მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მოსახლეობას მიმართა.

– ოდესმე საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, რომელიმე ეპოქაში, თავი დავანებოთ სვეტიცხოველს, გელათს, ვეფხისტყაოსანს, ცალკე აღებულ პერიოდებში, საქართველოს ათასწლოვან ისტორიაში ოდესმე ყოფილა ასეთი შემთხვევა, ამდენი რამე გაკეთებულიყოს, რასაც ახლა ჩვენ ვაჩვენებთ მთელ მსოფლიოს და ვამაყობთ?

აბა, 6 მილიონი ტურისტი ვიღაცა ინაშვილის სანახავად ხომ არ ჩამოდის? ოდესმე, რომელიმე ეპოქაში შექმნილა იმაზე მეტი, ვიდრე ე.წ. ავადსახსენებელი 9 წლის განმავლობაში? ამ 9 წელიწადში შეიქმნა უფრო მეტი, ვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს ნებისმიერ სხვა პერიოდში. ეს მე გავაკეთე და გააკეთა „ნაციონალურმა მოძრაობამ", მაგრამ ჩვენი იდეა ის არ არის, რომ ეს ჩვენ გავაკეთეთ. ჩვენი იდეაა საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ლტოლვა აღმშენებლობისკენ, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ამასთან, მისივე თქმით, ეპოქა არ შეიძლება მარტო 9 წლით შემოიფარგლოს. ეპოქა უნდა გაფართოვდეს, ეპოქა უნდა გაგრძელდეს, უნდა შეივსოს ახალი ხალხით, რადგან ყველანაირ ადამიანს ახასიათებს დაღლა, ცვეთა, გაფუჭებაც კი.

– საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რომ ფუნდამენტურად ახალი ხალხი უნდა მოვიდეს. საჭიროა ძალიან ბევრი ნიჭიერი, მაგარი ადამიანი, რომლის რესურსიც საქართველოში არის. ძალიან კარგია, რომ ასეთი ნიჭიერი ხალხი მოილტვის პოლიტიკაში. იმედია, ჩემ პარტიაშიც ესმით, რომ ახლა საჭიროა წინ გავუშვათ ახალი ხალხი, ახალი გამოცდილება. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ძველ ხალხზე უარი უნდა ვთქვათ, ეს იქნება მიუტევებელი შეცდომა. პარტიამ გაუძლო პოლიტიკურ რეპრესიებს, მისი ლიდერები სხედან ციხეში სრულიად უსამართლოდ, გადაუარეს და არ გატყდა, არ დაიშალა. ეს მეტყველებს, რომ ეს არის ბევრად დიდი, ვიდრე ცალკე არსებული სააკაშვილი, სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე. მე და ჩემ მეგობრებს გვაერთიანებს იდეა, იდეის გარშემო საქართველომ უნდა გააგრძელოს გაერთიანება და უნდა გაარძელოს რეფორმები, - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

# პრემიერსა და პრეზიდენტს შორის კინკლაობის რინგი გახსნილია



**რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენი ტვინის გამოლაყება, დაბოლება, მოტყუება და გადაგდება არჩევნებამდე სამი თვით ადრე დაიწყება თუ ხუთი თვით ადრე?**





ნინო სამხარაძე
599 71-14-22

თავდაუსხმელობის პაქტი ანულირებულია. პრემიერსა და პრეზიდენტს შორის კინკლაობის რინგი გახსნილია, წამმზომი – ჩართული.

**ამ ბრძოლაში მოგებული კვლავ ხელისუფლება დარჩება, წაგებული — ხალხი, რადგან მშიერ და გაღატაკებულ მოსახლეობას სულაც არ ადარდებს, ძალაუფლებას დახარბებულ პარტიებს როდის აენთებათ „მწვანე“ საარჩევნო კამპანიისთვის. რა მნიშვნელობა აქვს, ჩვენი ტვინის გამოლაყება, დაბოლება, მოტყუება და გადაგდების ათვლის წერტილი არჩევნებამდე სამი თვით ადრე დაიწყება თუ ხუთი თვით ადრე?**

მოკლედ, პრეზიდენტი არჩევნების თარიღთან დაკავშირებით ახალ განკარგულებას მაისის დასაწყისში გამოსცემს.

**როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, მთავრობამ ის დაარწმუნა, რომ არჩევნების 60 დღემდე ადრე გამოცხადება ქვეყანას ფინანსურად დაანგრევდა თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს ასე არ არის და თურმე შეიძლება, ის უფრო ადრეც დაინიშნოს. ანუ პრეზიდენტი ბრძანებს, რომ მთავრობამ და მისმა მეთაურმა მომატყუა და მეც დიდი კოვზით ფუნა ვჭამეო.**

კი მაგრამ, ბატონო პრეზიდენტო, მთელი „სამართლის ლომები“ თქვენთან რომ გადმოაბარგეთ, ამხელა ხელფასები დაუნიშნეთ და ჩვენი ჯიბიდან „პოლიტიკურ შაბაშებს“ უხდით, ბუმბულს არჩევენ, თუ რჩევებს გაძლევენ?! რა საჭირო იყო საგანგებო ბრიფინგის გამართვა და აცეტებული ტექსტის წაკითხვა, არჩევნებს 8 ოქტომბერს ვნიშნავ და საარჩევნო კამპანიას 8 აგვისტოს გახსნილად ვაცხადებო?! ჰეი, თქვენ, ყველას მანდ, მეტი საქმე აღარ გაქვთ?! მშიერ ხალხზე იფიქრეთ, სანამ ბარიკადები არ აუგიათ!

პრეზიდენტი ამბობს, არჩევნების თარილი დადგენილია – ეს არის 8 ოქტომბერი და არ შეიცვლებაო, არადა სააკაშვილმა 2012 წელს საარჩევნო თარილი რომ გამოაცხადა, ორშაბათი იყო და ემიგრანტებს არ მიეცათ არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა. მაშინ ივანიშვილმა ეს გარემოება გააპროტესტა, ახლა კი 8 ოქტომბერი შაბათი დღეა და ემიგრანტს არჩევნებში მონაწილეობა იგივენაირად ეზღუდება, რადგან მათი დასვენების დღე არის კვირა, რას ნიშნავს ეს?! ემიგრანტებს ხმის მიცემის შესაძლებლობას უზღუდავთ?

ახალი დაპირისპირების საბაბი პრემიერსა და პრეზიდენტის შორის ხდება დოკუმენტი, რომელიც საარჩევნო კამპანიის დაწყების თარიღს განსაზღვრავს. პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა არჩევნების თარიღთან დაკავშირებული განკარგულება პრეზიდენტს მოტივირებული შენიშვნებით უკან გაუგზავნა და განაცხადა, რომ წინასაარჩევნო პერიოდად აღებული უნდა იყოს 3 თვე და უმჯობესი იქნება, თუკი პრეზიდენტი არჩევნებთან დაკავშირებულ განკარგულებას 8 ივლისს გამოაქვეყნებს.

**მარგველაშვილი, სავარაუდოდ, მეგობარ პარტიებთან და არასამთავრობოებთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, აცხადებს, რომ ის მზადაა, სარჩევნო კამპანიისთვის პრეზიდენტის სარეზერვო ფული გამოყოს და 5 თვით ადრე დაიწყოს საარჩევნო კამპანია... რაზეც უმრავლესობამ მარგველაშვილს ორკესტრირებულად დასცინა და „არასერიოზული“ განცხადება წაღმა-უკუღმა უტრიალა, შენ პრეზიდენტის სარეზერვო თანხები საკუთარი ჯიბის ფული ნუ გგონიაო...**

განსაკუთრებით ყელყელა აღმოჩნდა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ირაკლი სესიაშვილი, რომელიც პრეზიდენტს ტრიკოს რეზინივით გაეჭიმა: „საკითხს გონივრულად და რაციონალურად უნდა მივუდგეთ. წინასაარჩევნო პერიოდში, რიგი შეზღუდვები წესდება, ხოლო მეორე მხრივ, პოლიტიკურ ძალებს გარკვეული ადმინისტრაციული შესაძლებლობები უფართოვდება. აბსოლუტურად გონივრულია სამი თვე. ჩვენ რესურსი ადეკვატურად უნდა გამოვიყენოთ. როცა პრეზიდენტი ამბობს, რომ მზად არის, საარჩევნო ფინანსებს შეეხიდოს, ეს ცოტა არასერიოზული განცხადებაა. პრეზიდენტს სარეზერვო ფონდის ფული საკუთარი ჯიბის ფული ნუ ჰგონია!“

**დიდი ამბავი, პრეზიდენტს სარეზერვო ფონდი საკუთარი ჯიბის ფული ეგონოს, თქვენ ხომ რას ამბობთ, ბიუჯეტი ხალხის ფული გგონიათ და თქვენს ხოშზე არ ფლანგავთ!**

# როგორც 4 წლის წინ, ახლაც, 4000 კაცში ვერ მოიძებნა ადამიანი, ვინც იტყვის, რომ „ენდიაის“ კვლევებში მიიღო მონაწილეობა





ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი („ენდიაი“) საქართველოში აღქმულია ერის „დაჩმორების“ ინსტიტუტად. საქართველოს მმართველი პოლიტიკური ელიტა ერის დაჩმორების ამ ინსტიტუტს, დღემდე ვერაფერს უხერხებს და მისი კვლევების შედეგად, მუდმივ აღშფოთებაში იმყოფება. არადა, ჩვენ გვახსოვს, მათი ოპოზიციაში ყოფნისას, რა პროტესტი მოჰყვებოდა ხოლმე „ენდიაის“ კვლევებს და რა ეპითეტებით ამკობდნენ ლუის ნავაროს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ „ნაციონალური მოძრაობას“ ნავარო კომპრომატებით ჰყავდა გამოჭერილი, თუმცა, ამის გარეშეც, რა თქმა უნდა, ამერიკელები საკუთარ პროექტს – „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნას ამ კვლევებით აძლიერებდნენ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, „ენდიაის“ კვლევის მიხედვით, „ნაციონალური მოძრაობის“ გამოკითხულთა 37% უჭერდა მხარს, „ქართულ ოცნებას“ – 12%. მაშინაც გამოკითხული იყო დაახლოებით იგივე რაოდენობის ადამიანი, როგორც ახლა, დაახლოებით 4000 ადამიანი, მაგრამ არჩევნებზე, მაშინაც, როგორც დღეს, ვერ მოიძებნა ადამიანი, ვინც იტყვის, რომ ამ კვლევებში მიიღო მონაწილეობა. ამას თავი დავანებოთ, ფაქტია, რომ მაშინ არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ დიდი უპირატესობით მოიგო, მაგრამ რა ხდება დღეს?

დრო ყველა პოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ მუშაობს, ხალხს კი, ამ დრომ წაართვა უკანასკნელი ლუკმაპური. „ქართულმა ოცნებამ“ მმართველობის ოთხი წლისთავზე, თავი ვერ დაიძვრინა „ნაცმოძრაობის“ მძევლობისგან და ვერ ისწავლეს სახელმწიფოს მართვა. ამიტომაც, ყოველი არჩევნების შემდეგ, რაც კი „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩატარდა, ამომრჩეველი იმედგაცრუებული რჩება და ახლანდელი კვლევები აჩვენებს, რომ 61%-ს გადაწყვეტილი არ აქვს, წავა არჩევნებზე თუ არა. ამ ხნის მანძილზე ვერც ერთმა პოლიტიკურმა ძალამ ვერ მოიპოვა ხალხის ნდობა. როცა ამომრჩევლთა უმრავლესობა მშიერია, ყოველდღე ვისმენთ, რომ ფინანსური პრობლემების გამო ადამიანები თავს იკლავენ, ლაპარაკი იმაზე, რომ მოსთხოვო ამომრჩეველს, გააკეთოს სწორი არჩევანი, უკვე თავხედობაა.

ვინ ენდობა „ენდიაის“ კვლევებს და ვინ – არა, ეს ცალკე საკითხავია, თუმცა დაიდო სურათი. კვლევები ჩატარდა კოალიცია „ქართული ოცნების“ დაშლამდე.

ერთ-ერთ კითხვაზე – „ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, რომელ პარტიას (გაერთიანებას) მისცემდით ხმას?“, პროცენტები ასე გადანაწილდა: „ოცნება“ – 29%, „ნაციონალები“ – 27%, „თავისუფალი დემოკრატები“ – 10%, „ლეიბორისტები“ – 6%, „პატრიოტთა ალიანსი“ – 5%. არ იცის, ხმა ვის მისცეს – 6%, პასუხზე უარს ამბობს – 12%, არც ერთს – 1%, სხვა – 5%.

ვინ იქნება ასეთი ციფრების დამკვეთი, ამას მკითხაობა არ სჭირდება, ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამ ოთხი წლის მანძილზე „ოცნებას“ არ აღმოაჩნდა იმის ერთი ადგილი, „ენდიაი“ თავის ადგილას „მოეჯინა“. პრინციპში, არც არის გასაკვირი, ამერიკის ხსენებაზე, ამ ხელისუფლებას მაგრად აკანკალებს ხოლმე და ვინ რას გაბედავდა?

## „პოლიტიკოსებიდან, ალასანიას გარდა, დავით უსუფაშვილს გამოვარჩევ“

ხალხის აზრი

**ნანა, 54 წლის, რეპეტიტორი:**

**– ძალიან მომწონს ირაკლი ალასანია და მისი გუნდი, განათლებული, ჭკვიანი ხალხია, ამიტომ მათ მივცემ ხმას, დიპლომატები არიან, კარგი საერთაშორისო კონტაქტებით, დასავლური კურსით, გაწონასწორებულები და ამიტომ დროა, ქვეყანა მშვიდ მმართველობაზე გადავიდეს, რესპუბლიკელებსაც ჰყავთ ჭკვიანი პოლიტიკოსები და „ოცნებამ“ დაკარგა ინტელექტუალური ბირთვი, პოლიტიკოსებიდან, ალასანიას გარდა, დავით უსუფაშვილს გამოვარჩევ, ბრძენი, მშვიდი კაცია, კარგი პარლამენტის თავმჯდომარე, მათ შორის ვინც გვყოლია, ამიტომ არ მინდა ეს ადამიანი პარლამენტის ან პოლიტიკური პროცესების გარეთ დარჩეს.**

**მაჟორიტარებზე კი უმეტესწილად პიროვნული ღირსებებიდან გამომდინარე ვილებ გადაწყვეტილებებს და არა პარტიული ნიშნით.**

*მაკა დეკანოსიძე*

# რა იყო იმ ფარულ კადრებში, რომელიც 11 აპრილს „ალიას“ გამოუგზავნეს?

## რა გამოდის, უსუფაშვილი აღიარებს, რომ ის სექსკადრები, რომელშიც მისი ძალიან ახლობელი ადამიანი ჩანს, ნაღდია და ჩერგოლეიშვილსა და კოვზირიძეს მსახიობები თამაშობენ?

## თამარ ჩერგოლეიშვილისა და „მძიმე კაცის“ სიმართლის დამტკიცების ყველაზე მოკლე და უტყუარი გზა...

დათო მეტრეველი
591 41-27-97

პირადი ცხოვრების ამსახველი ახალი ვიდეოკადრები 11 აპრილს გავრცელდა და ამჯერად „ალიას“ ერთ-ერთ ელექტრონულ ფოსტაზეც მივიღეთ. როგორც ჩანს, ვინც ამ ვიდეოებს ტვირთავს სოციალურ ქსელში, ის ხალხი მუქარის ასრულებას აპირებს და რაც მათ ხელთაა, იმ კომპრომატებს გამოაქვეყნებენ. შეგახსენებთ, რომ როდესაც პირველად ერთ-ერთი პოლიტიკოსი ქალბატონის სექსუალური ცხოვრების ამსახველი ვიდეო გაავრცელეს, დაიმუქრნენ, რომ სხვასაც არ დაინდობდნენ, ხელისუფლების ბევრ წარმომადგენელს გამოუქვეყნებდნენ კომპრომატებს, რადგან ეს კომპრომატები „ნაცმოძრაობის“ ხელშია და სწორედ მათით აშანტაჟებენ ხელისუფლების წარმომადგენლებს, რაც ხელს უშლის ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას. შესაბამისად, თუ ეს კომპრომატები გასაჯაროვდა, „ნაციონალებს“ შანტაჟის იარაღი აღარ ექნებათ ხელში და უნდა ვივარაუდოთ, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი გააქტიურდება. ყოველ შემთხვევაში, ეს გათვლა აქვთ ამ კომპრომატების გამსაჯაროებლებს, თუ ცხადია, მართლა „ნაცმოძრაობის“ მოწინააღმდეგე და სამართლიანობის აღდგენის მომხრე ძალა აკეთებს ამას. თუმცა, შესაძლოა, ქვეყანაში საყოველთაო პანიკის დასათესად, ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით, სწორედ „ნაციონალები“ აკეთებენ ამას. შესაძლოა, უნდათ, საქმე იქამდე მიიყვანონ, რომ ხალხს ათქმევინონ – ოღონდ ეს ფსიქოტერორი დასრულდეს, ეგ სამართლიანობის აღდგენა საერთოდ აღარ გვინდაო. ეს ლოგიკა მუშაობდა მანამ, სანამ ბოლო კადრები არ გავრცელდა. წინა ვიდეოებისგან განსხვავებით, სადაც მხოლოდ „ქართული ოცნების“ ყოფილი და მოქმედი პოლიტიკოსები ფიგურირებდნენ, ამჯერად სწორედ „ნაცმოძრაობის“ აქტიურ მომხრეთა, მეტიც, მათი გუნდის წევრთა სექსუალური ხასიათის ვიდეოები აიტვირთა ინტერნეტში. რატომ „ნაციონალების“ მომხრეების? თუ თავად „ნაციონალები“ აკეთებენ ამას, კვალის დასაფარავად თავისიანები გაიმეტეს, მათი კომპრომატები გაასაჯაროვეს? ამას ერთად-ერთი ახსნა შეიძლება ჰქონდეს – მხოლოდ „ქართული ოცნების“ პოლიტიკოსებსა და სხვა გავლენიან ფიგურებზე რომ ავრცელონ კომპრომატები, თეთრი ძაფით იქნება ყველაფერი ნაკერი, ცხადია, ყველა უჭკუოც კი მიხვდება, რომ ამას „ნაციონალები“ აკეთებენ კონკურენტების დისკრედიტაციისთვის, ხელისუფლებისთვის პრობლემების შესაქმნელად, ახლა კი, ვინც ამას „ნაციონალებს“ აბრალებდა, ამის თქმის საშუალება წაერთვათ – უკვე „ნაციონალებზეც“ გასაჯაროვდა კომპრომატები, „ნაცებს“ სათქმელი მიეცათ, – ამას ჩვენ რომ ვაკეთებდეთ, აბა, ჩვენიანს ხომ არ გავწირავდით და მათზე კომპრომატებს ხომ არ დავდებდითო? თუმცა, აქაც არსებობს ბევრი „მაგრამ“.

დღემდე „ალია“ თავის პუბლიკაციებში თავს იკავებდა გავრცელებულ სექსუალურ ვიდეოებში ასახული ადამიანების პერსონიფიცირებისგან, მხოლოდ მინიშნებებით ვწერდით მათზე და ანგარიშს ვუწევდით როგორც ამ ადამიანებს, ასევე მათი ოჯახების წევრებსა და ახლობლებს. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს ვიდეოები ბევრს ნანახი ჰქონდა, ბევრმა გადმოცემით იცოდა ამ „ვიდეოგმირების“ ვინაობა. ქართულმა მედიამ ერთსულოვნად, ერთგვარი ტაბუ დაადო მათი სახელების ხსენებას და სოციალურ ქსელშიც კი მინიშნებებით საუბრობდნენ ამ ადამიანებზე. გარდა ამისა, თავად ვიდეოებში ასახულ ადამიანებს, არც უარყვიათ და არც დაუდასტურებიათ, თავად იყვნენ ამ კადრებში თუ არა. მოკლედ, თავი აარიდეს ამ თემაზე კომენტარებს. სულ ბოლოს გავრცელებულ ფირებთან კი განსხვავებული სიტუაციაა – ეს ხალხი კატეგორიულად უარყოფს, რომ თავად არიან კადრებში და ერთმა ამის მტკიცებულებაც წარმოადგინა, რამდენად დამაჯერებელი, ეს სხვა საქმეა. გარდა ამისა, სოციალურ ქსელში დაიდო ამ ვიდეოებიდან ამოღებული ფოტოები, ინტერნეტზე კი საქართველოს მოსახლეობის ლამის ნახევარი, 2 მილიონამდე ადამიანი სარგებლობს და რა დააშავეს მათ, ვისაც ინტერნეტი არ აქვს და ინფორმაციას პრესის საშუალებით ეცნობა? არც არაფერი. ჰოდა, რადგან თავად ამ კადრების მსხვერპლები საუბრობენ ღიად.






მოკლედ, ერთ ვიდეოში, სავარაუდოდ, „ნაცმოძრაობის“ ლიდერის მეუღლე, მედიაორგანიზაცია „ტაბულას“ დამფუძნებელი თამარ ჩეგოლეიშვილია ასახული მამაკაცთან და ქალთან ერთად. მეორეში კი „ტაბულას“ გადაცემა „მძიმე კაცის“ წამყვანი დავით კოვზირიძე არატრადიციული სექსის დროს. ვიდეოში საერთოდ არ ჩანს „თამარ ჩერგოლეიშვილის“ სახე... გიგა ბოკერიას მეუღლემ განაცხადა, რომ ეს ჯგუფური სექსით დაკავებული ქალი თავად არ არის, ვიღაც სხვაა და ზემოთ რომ მტკიცებულება ვახსენებთ, სწორედ ის წარმოადგინა – ზურგზე გაკეთებული ტატუ. ვიდეოში თამარ ჩერგოლეიშვილს ტატუ ნამდვილად არ ჩანს... თუმცა, სკეპტიკოსები იმასაც ამბობდნენ, ისეთ პოზაშია, არ გამოუჩნდებოდაო... მოკლედ, ჩერგოლეიშვილის აზრით, ამ ვიდეოზე ის არ არის ასახული, სექსით სხვა, მას აღნაგობით ძალიან რომ ჰგავს, ის ქალია დაკავებული, ეს ყველაფერი ვიდეომონტაჟია და სხვა არაფერიო.

დავით კოვზირიძეც უარყოფს, რომ ვიდეოზე ის არის დაფიქსირებული და „ფეისბუკზე“ დაწერა: „ყველას, ვისაც ამ ვიდეოების შექმნის იდეა გაუჩნდა, მერე პერსონაჟები მოძებნა, მერე დაამონტაჟა და მერე გაავრცელა, მოგიტყანთ ბოზი დედის ტრაკი:-)“ იმავე „ფეისბუკის“ სხვა პოსტში კი დავით კოვზირიძე აცხადებს, მალე დაამტკიცებს, რომ ეს ვიდეო ყალბია და ამ ფაქტებს დადებს. მოკლედ, კოვზირიძე პირდაპირ იძახის, ვიდეოკადრებში მე არ ვარ, ჩემს მაგივრად ორალური სექსით სხვაა დაკავებული, ეს ვიღაცა მე მგავს და ვიღაცამ ჩემი პერსონაჟები მოძებნა და მონტაჟი გააკეთაო. არადა, ვიდეოში ასახული მამაკაცი, მართლა ძალიან ჰგავს დავით კოვზირიძეს და ეს შეუიარაღებელი თვალით აშკარად ჩანს... არადა, თუ ეს ჩანაწერი 2012 წლამდე გაკეთდა, იმ დროს დავით კოვზირიძის გადაცემა „მძიმე კაცი“ არც კი არსებობდა, მას მხოლოდ ბეჭდური და ონლაინმედიით იცნობდა საზოგადოება და მინიმუმ ათჯერ ნაკლებ პოპულარული იყო, ვიდრე დღეს არის. ასეთ ადამიანებზე კი, როგორც წესი, სპეცსამსახურები არ ნადირობენ მარტივი მიზეზის გამო – ისინი არ სჭირდებათ, არ აინტერესებთ, მათთვის არც საფრთხეს წარმოადგენს და არც რაიმე სამომავლო ღირებულებას.

ძალიან საინტერესოა, რომ თამარ ჩერგოლეიშვილისა და დავით კოვზირიძის ამ ვერსიას, რომ ვიდეოში მათ ნაცვლად მსახიობები თამაშობენ სექსუალურ სცენებს, პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილიც იზიარებს: „არც ერთი რეჟიმი არ მისულა იქამდე, რომ საწოლებში ჩამწერები დაემონტაჟებინა, ინსცენირებისთვის მსახიობები დაექირავებინა და პოლიტიკოსებზე არასწორი ინფორმაცია ამ გზით შეეგროვებინა“, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა ამ ახალი კადრების გავრცელების შემდეგ. არ ვიცი, პარლამენტის საკმაოდ განათლებული თავმჯდომარე გვყავს და როგორ დაიჯერა, რომ დავით კოვზირიძისა და თამარ ჩერგოლეიშვილის კომპრომეტირებისთვის ვინმემ მსახიობები დაიქირავა? მეეჭვება, დავით უსუფაშვილს დავით კოვზირიძის ბედი აღელვებდეს. ჩემი ვარაუდით, ამ განცხადებით მან გიგა ბოკერიას თხოვნა შეასრულა. ჰო, როცა დავით უსუფაშვილის ოჯახის ძალიან, ძალიან ახლობელ ქალბატონზე და მოქმედ პოლიტიკოსზე გამოქვეყნდა მსგავსი, სექსუალური ხასიათის ვიდეო, მაშინ უსუფაშვილს არაფერი უთქვამს, კომენტარი არ გაუკეთებია. რა გამოდის, უსუფაშვილი აღიარებს, რომ ის სექსკადრები,

### ფარული კადრები

რომელშიც მისი ძალიან ახლობელი ადამიანი ჩანს, ნაღდია და ჩეგოლეიშვილსა და კოვზირიძეს მსახიობები თამაშობენ? თუ მისი განცხადება იმასაც გულისხმობს, რომ მისი ახლობელი ქალბატონის სექსვიდეოშიც მსახიობები თამაშობენ? თუ ასეა, როგორც ამბობენ, იმ ვიდეოში ერთი მოქმედი მინისტრი მამაკაციც არის, და მართლა გაურეკიათ სააკაშვილის ხელისუფლებასა და მის სპეცსამსახურებს, მსახიობების, გრიმიორებისა და ორეულების ძებნის მეტი, მგონი, სხვა არაფერი უკეთებიათ და რასაც მაგათ ვაბრალებთ, იმ უბედურებების გასაკეთებლად, უბრალოდ, დრო აღარ დარჩებოდათ.

თამარ ჩერგოლეიშვილსა და დავით კოვზირიძეს თუ სიმართლის დამტკიცება სურთ და ამ თავიანთ სიმართლეში დარწმუნებულნი არიან, თუ უნდათ, ხალხმა დაიჯეროს, რომ იმ ვიდეოკადრებში ეგენი არ არიან და ორეულები თუ დაგრიმული მსახიობები ასრულებენ მათ როლს, ამის გაკეთება ძალიან მარტივად და თანაც, მოკლე დროში შეუძლიათ და აქამდეც შეეძლოთ, გაეკეთებინათ. ადგენენ, ექსპერტიზაზე წაიღონ ის ვიდეოები, ექსპერტიზა მოახდენს პირთა იდენტიფიცირებას, კადრებში ჩერგოლეიშვილი და კოვზირიძე თუ არ არიან, იტყვის, ესენი არ არიანო, თან დააყოლებს, ეს კადრები დამონტაჟებულიაო და ამ დასკვნას ორივეს მისცემს. მერე ეს დასკვნა დადონ „ფეისბუკზე“ და ყველა ხმას ჩაიკმენდს, ბევრი ბოდიშსაც კი მოუხდიან, ვინც დაიჯერა, რომ ვიდეოში ეგენი არიან. რა ვიცი, „ფეისბუკზე“ სტატუსების წერას და თავის მართლებას ეს ჯობია – ყველაზე მოკლე და უტყუარი გზა სიმართლის დამტკიცებისა.

---

## „გადავწყვიტე, ნათელაშვილს მივცე ხმა, შევიდეს პარლამენტში, გვაცინებს მაინც“

### ხალხის აზრი

გვაინტერესებს ეს პოლიტიკური კინკლაობები, ვინ დაიშლება, ვინ სად წავა და ა.შ. ძირითადად ვიცით, რომ გავლენის სფეროებს ვერ ინაწილებენ. მაინც ვფიქრობ ხოლმე, ვინ შეიძლება გვიშველოს, ან კარგი უნდოდეს ქვეყნისთვის, პასუხი ჯერ არ მაქვს. თუ ასე გაგრძელდა და ახალი ჯანსაღი ძალა არ გამოჩნდა, გადავწყვიტე, ნათელაშვილს მივცე ხმა, ამდენი წელია წვალობს და, ბოლოს და ბოლოს, შევიდეს მაინც პარლამენტში. გვაცინებს მაინც.

*მაკა დეკანოსიძე*

გერო, 28 წლის, უმუშევარი:

– ყველაზე ძალიან წასვლა მინდა აქედან. რაც თავი მახსოვს, სულ სკამებისთვის იბრძვიან, რევოლუცია, გადატრიალებები, ყველაფერი გამოვიარეთ. „ოცნების“ იმედი გვქონდა და იმანაც არ გაამართლა, დავიღალეთ ამდენი კინკლაობით, პოლიტიკით, ყველას უკეთესი ცხოვრება გვინდა და არ

ნინო სამხარაძე
599 71-14-22



„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა არ გამორიცხავს, რომ საქართველოში შესაძლოა, რევოლუციური სცენარით განხორციელდეს მოვლენები. მის პათოსს იზიარებს ნინო ბურჯანაძე, რომელმაც „ენდიაის“ კვლევების გამოქვეყნების შემდეგ განაცხადა... 

მანია მეორე ტურით გამხდარიყო მერი. ეს არის წინაპირობა, ვივარაუდოთ, რომ 2016 წლის არჩევნები იქნება ურთულესი და აუცილებლად მოჰყვება ბევრ რეგიონში მეორე ტურის ჩატარების აუცილებლობა მაჟორიტარულ ოლქებში.

„ენდიაის“ კვლევები სულაც არ არის საჭირო და არც ციფრებით მტკიცება იმისა, რომ 2012 წლის შემდეგ მოსახ-

**ივანიშვილი, რომელთა რეიტინგიც კატასტროფულად დაბალია. ამ ფონზე ვინ შეიძლება ჩაუდგეს სათავეში რევოლუციურ პროცესებს, წარმოუდგენელია. ვნახოთ, რა სცენარის განვითარებას ვარაუდობს კუკავა და ვის მოიაზრებს ისეთ ქარიზმატულ ლიდერს, ვისაც შეუძლია ქვეყანაში გაიმეოროს 2003 წელი და 2012 წლის ოქტომბერი...**

– არ გამოვრიცხავ ჩვენს ქვეყანაში „ქართულ მაიდანს“, ერთი მიზეზი იმისა, რომ „ოცნების“ რეიტინგი კიდევ უფრო დავარდეს.

**— 2012 წლის არჩევნებზე, ფაქტობრივად, ივანიშვილს მისცეს ხმა და არა კოალიცია „ქართულ ოცნებას“, „ენდიაის“ კვლევები გვერდით რომ გადავდოთ, ისედაც საზოგადოებაში ბიძინა ივანიშვილის მიმართ ნდობა დაცემულია. ვისი და რისი იმედი აქვს ივანიშვილს, როგორ მოახერხებს მისი პარტია უმრავლესობით მოსვლას?**

ოპოზიციური გაერთიანება, რომელიც დაამხობს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას, 2016 წლის არჩევნები რომ გააყალბოს.

**— რევოლუციას სჭირდება ლიდერი, დრომ ეს ლიდერი ვერ შექმნა, პოლიტიკური ველი ცარიელია, ვის უნდა გაჰყვეს ეს ხალხი?**

– გეთანხმებით, რომ რევოლუციას ლიდერი სჭირდება და ამიტომ ვამბობ, რომ 2016

პრიოლობა

ტორიტეტი და ხალხში გაჩნდა ახალი პოლიტიკური ლიდერის მოთხოვნა, რომელიც ამ უნიათო ხელისუფლებას ჩამოაცილებს. დღევანდელი ოპოზიცია ამას ვერ ახერხებს. თუმცა, მერწმუნეთ, მოვა დრო და გამოჩნდება ისეთი ლიდერი, ვისაც ხალხი გაჰყვება. აი, მაგალითად, რატომ გახდა მიხ-

# „ქვეყანაში შეიქმნება რადიკალური ოპოზიციური გაერთიანება, რომელიც დაამხობს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას“






დეგ განაცხადა, რომ ეს არის მესიჯი დასავლეთიდან, მოეწყოს „ქართული მაიდანი“, ანუ არეულობა. ამ აზრს არ ეთანხმებიან ექსპერტები და ანალიტიკოსები და ისინი მიიჩნევენ, რომ, თუ გამოსვლები მოეწყობა, ეს იქნება არა დასავლეთის მიერ ორგანიზებული, არამედ რუსეთისგან, სწორედ მათ აწყობთ დღეს ქვეყანაში დესტაბილიზაცია.

„ენდიაის“ კვლევები პოლიტიკური სპექტრისთვის განხილვის საგანი გახდა, ამ კვლევებმა ერთი რამ ცხადი გახადა, რომ ტენდენცია არის შემაშფოთებელი და დღეს დავა იმაზე, ვენდობით თუ არა მათ კვლევებს, უკვე მეორეხარისხოვანია, რადგან ძირითად ნაწილში კვლევების შედეგები ასახავს ხალხის დამოკიდებულებას. ძალიან უნდა მოინდომო, რომ ამას მიაღწიო, როცა მაღალი ლეგიტიმაციით მოდიხარ ხელისუფლებაში, თუმცა ეს არის რეალობა, რომელსაც თვალი უნდა გაუსწორო – 69% ამომრჩევლისა უარს ამბობს, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. ეს განწყობა ჩვენ ვიგრძენით მაშინ, როცა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მოსახლეობის დიდმა ნაწილმა უარი თქვა, მიეღო არჩევნებში მონაწილეობა და ხელისუფლებას დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისთვის, რომ ნარ-

ლეობა გაცილებით გაღატაკდა, ვიდრე მანამდე, რა თქმა უნდა, გარემო ფაქტორები ამომრჩეველს საერთოდ არ ადარდებს, თუ რა სავალუტო შოკებს განიცდიდა კავკასია, თურქეთი, რუსეთი თუ დასავლეთი... ნებისმიერ შემთხვევაში ხალხი პასუხს ხელისუფლებისგან ითხოვს. ხელისუფლება გვარწმუნებს, რომ ქვეყანაში ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა, რიგითი ადამიანი ამას იღებს ძალიან დიდ ანეკდოტად, რადგან იცის, რომ მისი მაცივარი ცარიელია და ჯიბეში ლარიც არ აქვს. სასიკეთო ცვლილებები მოხდა მხოლოდ მოსახლეობის 10%-ისთვის, ვინც დღეს ხელისუფლებაშია და გადანაწილებული არიან სახელმწიფო სტრუქტურებში.

**და მაინც, რატომ არის „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა დარწმუნებული, რომ ამ ქვეყანაში რევოლუციური სიო გარდაუვალია, მაშინ, როცა იგივე „ენდიაის“ კვლევებით იკვეთება, რომ ქვეყანა განიცდის პოლიტიკური ლიდერის დეფიციტს. მაშინ, როცა დავით ბაქრაძე ნომერ პირველ პოლიტიკოსად სახელდება, ეს მიანიშნებს ზუსტად იმას, რომ ქვეყანაში არ არსებობენ ძლიერი პოლიტიკური ლიდერები და კატებს აყეფებენ. რეალურად კი მოცემულობა არის ასეთი, რომ ქვეყანაში არსებობს ორი პოლიტიკური ლიდერი — მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა**

არეულობას, რომელიც უკვე დააანონსდა. ერთია, მჯერა თუ არა „ენდიაის“ კვლევების, მაგრამ მეორეა, ამ კვლევების შედეგად ირკვევა, ჩემს პარტიას, რომელიც კვლევების მიხედვით დაბალი მაჩვენებლით ფიგურირებს, ბარიერს გადალახავს. ბევრი პარტია ვერ მოხვდა ამ მონაცემებში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სახელისუფლებო გუნდს რეიტინგებში აქვს 15%, ეს არის კატასტროფული მაჩვენებელი. თუ ბიძინა ივანიშვილი განახორციელებს გეგმას და აიღებს აბსოლუტურ უმრავლესობას პარლამენტში, ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში არეულობა გარდაუვალია. როცა მმართველ პარტიას 15% აქვს, შეიძლება გააყალბო და აიღო 25%, მაგრამ შანსი არ არსებობს, მიიღო აბსოლუტური უმრავლესობა და ეს არაკანონზომიერება აუცილებლად გამოიწვევს მღელვარებას პოსტსაარჩევნო პერიოდში. ივანიშვილი და კვირიკაშვილი ახლა მუშაობენ ახალ საარჩევნო სიაზე, ეს სია მათი გემოვნებით დაიწერება და გარწმუნებთ, ეს იქნება იმაზე უარესი სია, ვიდრე დღემდე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ლოიალურ სახეებზე გააკეთებენ აქცენტს, ხალხისთვის შესაძლოა, ეს ხალხი არ იყოს ცნობადი, არ ენდობოდნენ მათ და ეს გახდეს კიდევ ერთ-

– შეიძლება ამ ვითარების ზუსტი პროგნოზირება ორი სცენარით: როგორც ჰქონდა ორი არჩევანი შევარდნაძეს, შემდეგ უკვე სააკაშვილს, როგორც გააყალბა 2003 წელს ედუარდ შევარდნაძეს არჩევნები, ხოლო მიხეილ სააკაშვილმა 2008 წელს, თუმცა ხელისუფლებამ ადმინისტრაციული ბერკეტების დახმარებით შეძლო ამ არჩევნების გაყალბება, ასევე იქნება „ქართული ოცნებაც“, ის გამოიყენებს ადმინისტრაციულ რესურსს. თუ ვერ მიიღებს უმრავლესობას, მაშინ უნდა გადავიდეს ოპოზიციაში, ან შექმნას კოალიციური მთავრობა. მეორე სცენარის მიხედვით, არჩევნების სხვადასხვა მექანიზმებით გაყალბების შემთხვევაში, შესაძლოა, არ მოჰყვეს ამ ფაქტს მყისიერი რეაქცია, მაგრამ არჩევნებიდან ერთ ან ორ წელიწადში, გარწმუნებთ, ამას მოჰყვება რეაქცია, ქვეყანაში შეიქმნება რადიკალური

წლის არჩევნები რომ გაყალბდეს, ამას არ მოჰყვება მყისიერი რევოლუცია. დიახ, არ არის პოლიტიკური ლიდერი საქართველოში, რომელიც ხალხს ბარიკადებზე გაუძღვება, მაგრამ მეორე მხრივ, თუკი არჩევნები გაყალბდება, პოლიტიკურ ლიდერზე გაჩნდება მოთხოვნა. 2003 წელს, შემდგომ უკვე 2008 წელს, ქართველმა ხალხმა თქვა, – ვინც მოგვაშორებს შევარდნაძეს, შემდგომ – მიხეილ სააკაშვილს, მზად ვართ, გავყვეთ ნებისმიერს ვითარებაში, იგივე მოხდება 2016 წლის არჩევნების შემდეგ, ხაზგასმით ვამბობ, თუკი მოხდება მისი გაყალბება. დაუკვირდით, როგორ მიდის პროცესი დინამიკაში, „ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათი რეიტინგი თანდათან იკლებს და ხალხი უნდობლობას უცხადებს „ოცნების“ ლიდერებს, მათ არ მოსწონთ ნარმანია, მეჭიაური, ვოლსკი... დინამიკაში ქვემოთ მიექანება ივანიშვილის ავ-

ეილ სააკაშვილი პოპულარული 2003 წელს, მან დაანახა ქართველ ხალხს, რომ შეეძლო შევარდნაძის ჩამოცილება. 2012 წელს ხალხმა დაინახა, რომ ბიძინა ივანიშვილს შეეძლო სააკაშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილება. ასევე, აუცილებლად გამოჩნდება ისეთი პოლიტიკური ლიდერი, ვინც ამ ხელისუფლებას ჩამოგვაცილებს. დღეს ვერ ვხედავ ახალ პოლიტიკურ სახეს, რომელსაც აქვს ბრძოლის უნარი და მზაობა, რომ პროცესი სწორად წაიყვანოს. ახალ პოლიტიკურ ლიდერებს შევხვდი, მათთან კომუნიკაცია მქონდა, მაგრამ მათი ამბიციები 5%-იანი ბარიერის გადალახვის სცენარს აღარ სცილდება.

**— შეიძლება მოხდეს ისე, რომ ამ ორპოლუსიანი ლიდერების გარშემო იტრიალოს პოლიტიკამ? მაგალითად, მოძლიერდეს სააკაშვილი და მან მოაწყოს რევოლუცია, ქართველებს ხომ მოკლე მეხსიერება გვაქვს. ვიღაცებმა უკვე დანაშაული ჩამოუ-**

## „რამდენიმე არჩევნებზე ვიყავი უკვე და ყოველთვის ვხაზავ ყველა პარტიას და კანდიდატს, ამის შემდეგ კი ზედ ვშარდავ“

ხალხის აზრი

ირაკლი, 26 წლის, ხელოვანი:

– არავინ არ მომწონს, არავის არ უნდა ნამდვილი დემოკრატიული მმართველობა, არადა ქვეყანა მხოლოდ ასე გადარჩება, ისე მომავალი არ გვაქვს და ეს უნდა შეიგნოს პოლიტიკურმა სპექტრმა. მაგრამ ყველა თავის თავზე ირგებს კანონსაც და სკამსაც და სოციალური ლოზუნგებით მოსულები, ბოლოს გვეუბნებიან, რომ იცით, რა? ლარი და თვრამეტი საკმარისია დღიური ულუფისთვის, სირცხვილია, უბრალოდ. ერთ საიდუმლოს გეტყვით, არ ვიცი, დაწერთ თუ არა, რამდენიმე არჩევნებზე ვიყავი უკვე და ყოველთვის ვხაზავ ყველა პარტიას და კანდიდატს, ამის შემდეგ კი ზედ ვშარდავ, არც ერთი მეტის ღირსი არაა, არ ვხუმრობ, მართლა ასე ვშვრები და თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, ეს დაწერეთ, ძალიან გთხოვთ, ალბათ, წელსაც იგივე ტრადიციის გამეორება მომიწევს.

*მაკა დეკანოსიძე*

**წერეს, სისხლიანი ხელები დაბანეს და პარალელს ავლებენ, მიშას დროს გაცილებით უკეთ ვიყავითო...**

– არ გამოვრიცხავ, პოლიტიკაში 100%-იანი პროგნოზების გაკეთება არ შეიძლება, პოლიტიკური პროცესები დამატებითი ფაქტორებით შედგება. არჩევნების გაყალბებას აქვს სხვადასხვა ფორმა, 2003 წელს რევოლუციური სცენარი წინასწარ დადგმული არ იყო. მაშინ შევარდნაძის მთავრობას მეტი დიპლომატიურობა რომ გამოეჩინა, სააკაშვილი მზად იყო, პარლამენტში შესულიყო და ამით, დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ სწორედ მაშინდელი ხელისუფლების გამაღიზიანებელმა მოქმედებებმა განაპირობა ის, რომ 2003 წელი რევოლუციით დასრულდა. ამიტომ დღევანდელ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, ვის გადაალახვინებს ბარიერს, რომელ პოლიტიკურ სუბიექტს შეიყვანს პარლამენტში და ა.შ. დღეს ქართველი ხალხი მზად არ არის, მიხეილ სააკაშვილი მიიღოს პოლიტიკურ ლიდერად, მაგრამ ვხედავთ ისეთ ტენდენციებს, როცა ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, გაირეცხოს „ნაცმოძრაობა“, გადაარჩინოს, როგორც პოლიტიკური ძალა, რადგან საქართველოში ვისი რეიტინგიც სჭირდება ამ ხელისუფლებას, ესაა „ნაციონალური მოძრაობა“.

**— პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საკუთარი ნებით ფრონტის ხაზი გახსნა „პატრიოტთა ალიანსთან“ და ბურჯანაძესთან. მან ჟურნალისტებს პრესკონფერენციაზე კატეგორიულად თქვა, რომ ამ ორ ძალასთან „ქართული ოცნება“ კოალიციას არ შეკრავს, ეს მაშინ, როცა არჩევნების შედეგებზე საუბარიც კი ჯერჯერობით ნაადრევია. რას ფიქრობთ მის განცხადებაზე?**

– მოდით, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ, ჯერ ერთი, კვირიკაშვილის გადასაწყვეტი არ არის, ვინ ვისთან შექმნის ალიანსს, ან კოალიციას. ამას გადაწყვეტს ამერიკის ელჩი საქართველოში, კვირიკაშვილის განცხადება კი ნიშნავს იმას, რომ ამ ხელისუფლებას აქვს კომპლექსი, რომ ის არის ბრალდებული პრორუსობაში, 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ თავის მართლების პოზაში არიან, რომ არ არიან პრორუსულები. გიმეორებთ, რომ ეს განცხადება თავის მართლებას ემსახურება, თორემ რატომ მაინცდამაინც „პატრიოტები“, ბურჯანაძე და არა „ლეიბორისტები“, ან ალასანიას პარტია? დიახ, ეს თემა საერთოდ არ დგას დღის წესრიგში, არჩევნებამდე არავინ იცის, რა მოხდება და რა შედეგი დაიდება არჩევნების შემდეგ. კვირიკაშვილმა ეს განცხადება გააკეთა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, რომ ის უფრო პროდასავლურია, ვიდრე მისი წინამორბედი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც ეხმარებოდა პატრიოტთა ალიანსს. ხაზი გაუსვა, ამ ძალისგან თავი შორს მიჭირავსო. მართალი გითხრათ, პრემიერის პრესკონფერენციას ვუსმენდი და ჩემთვის, მისი არც ერთი გზავნილი არ იყო მნიშვნელოვანი. ის გაცილებით კარგი ექსპერტი იქნებოდა, რომელიმე არასამთავრობოში რომ ემუშავა, ვიდრე, პრემიერ-მინისტრი. ამ დღეებში ვუსმინე პუტინის, ერდოღანის, მერკელის პრესკონფერენციებს, ეს იყო ლიდერების პრესკონფერენცია. მაგალითად, მე რომ ვიყო პრემიერ-მინისტრი დიდი სიამოვნებით ავიყვანდი ჩემს მრჩევლად კვირიკაშვილს, ძალიან კარგი ადამიანი და კარგი ჩინოვნიკია, მაგრამ არა, ლიდერი. ასე რომ, დღეს გიორგი კვირიკაშვილი ასრულებს ივანიშვილის მრჩევლის როლს, ვიდრე ის არის დამოუკიდებელი პრემიერი.

**— თქვენ ამბობთ, რომ ივანიშვილი უმრავლესობას მოიპოვებს მხოლოდ არჩევნების გაყალბების შედეგად, მაგრამ არ გიფიქრიათ, რომ შესაძლოა, მას არჩევნების გაყალბება არც კი დასჭირდეს, ისე შექმნას უმრავლესობა, მეტიც, საკონსტიტუციო უმრავლესობა, პარლამენტში გასული პარტიებიდან დეპუტატების ყიდვის ხარჯზე?**

– მართალია, მაგრამ ეს მას ძალიან ძვირი დაუჯდება. საკონსტიტუციო უმრავლესობის შექმნის შესაძლებლობა მას ტექნიკურად ექნება, თუკი ძალიან დიდ ფულს გადაიხდის. მაგრამ ეს საზოგადოების აზრის წინააღმდეგ წასვლაა და გილიოტინაზე საკუთარი ფეხით ასვლის ტოლფასია, რაც უფრო მეტად გააბრაზებს ხალხს, ხალხის რეაქცია იქნება ძალიან მწვავე.



**„ხალხი უნდობლობას უცხადებს „ოცნების“ ლიდერებს, მათ არ მოსწონთ ნარმანია, მეჭიაური, ვოლსკი... დინამიკაში ქვემოთ მიექანება ივანიშვილის ავტორიტეტი და ხალხში გაჩნდა ახალი პოლიტიკური ლიდერის მოთხოვნა, რომელიც ამ უნიათო ხელისუფლებას ჩამოაცილებს“**



მაკა დეკანოსიძე

551 99-18-19

# კინოცენტრის დირექტორად ბანკი „ქართუს“ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ყოფილ უფროსს ნიშნავენ?!







კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის შესარჩევი კონკურსი სკანდალის ფონზე ტარდება. შუალედური შედეგების დადების შემდეგ, კინემატოგრაფისტები აღშფოთებას ვერ მალავენ, რადგანაც ორეტაპიანი კენჭისყრის შედეგად, „კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის“ დირექტორობის სამი კანდიდატი გამოვლინდა: მარინა ხოხლენკო-კალტრაიდერი, ზურაბ მაღალაშვილი და გაგა ჩხეიძე.

სამ კანდიდატს შორის კი ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა მარინა ხოხლენკო-კალტრაიდერმა მიიღო, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობისა და ბიზნესის დიპლომირებული სპეციალისტია. როგორც მისი სივი-დან ირკვევა, კინოსთან არასდროს არავითარი პროფესიული შეხება არ ჰქონია. ამიტომ გაურკვეველია და ეჭვს ბადებს მის მიმართ გამოჩენილი ასეთი მხარდაჭერა, რომელიც კონკურსისთვის სპეციალურად შექმნილმა საკონსულტაციო საბჭომ გამოხატა შემდეგი შემადგენლობით: ლანა ღოღობერიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, ლევან კოღუაშვილი, ბაადურ წულაძე, ზურა ინაშვილი, კონსტანტინე ესაძე, ნატო მურვანიძე, თინა ყაჯრიშვილი, პაატა იაკაშვილი, ნანა დოლიძე, ნინო (ნანა) ჯორჯაძე.

კანდიდატურები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს წარედგინა.

როგორც „ალიასთან“ საუბარში კინემატოგრაფისტთა ერთ-ერთი ჯგუფი აცხადებს, მინისტრი უახლოეს დღეებში მიიღებს გადაწყვეტილებას და დიდი ალბათობით, ეს მარინა ხოხლენკო-კალტრაიდერი იქნება.

„გაოგნებულები ვართ, 13 კანდიდატს შორის, რომელთა უმეტესი ნაწილი კინოსთან უშუალო კავშირში იყვნენ, აარჩიეს კანდიდატი, რომელსაც არავითარი საერთო ამ სფეროსთან არ აქვს, გარდა იმისა, რომ, იმედია, კინო მაინც ექნება ნანახი. წარმოუდგენელი რამ ხდება, საბჭო, რომელიც რეჟისორებისა და მართლაც დარგის პროფესიონალებისგან შედგება, მოულოდნელად ირჩევს და ხმების უმეტესობას აძლევს მარკეტინგის სპეციალისტს. ამ დარგს რომ გაუძღვე, არაა მხოლოდ მენეჯერული თვისებები საჭირო, კინო უნდა გესმოდეს, რაიმე გადაკვეთის წერტილი მაინც უნდა გქონდეს, რაც ამ ადამიანის ბიოგრაფიაში არ არის. საბჭოს წევრებმა საზოგადოებას უნდა განუმარტონ, რატომ და რა ლოგიკით გააკეთეს ეს არჩევანი, ისედაც უკან დახეულ ქართულ კინოს კიდევ ეს უნდა? დაუშვებელია ამ პიროვნებისთვის კინოცენტრის ჩაბარება. იმედი გვაქვს, ქართული კინოს გულშემატკივრებს ამაზე მკაცრი პროტესტი ექნებათ, უნდა მორჩეს, ბოლოს და ბოლოს, არაპროფესიონალებისთვის დარგების ჩაბარება, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიღაცამ ასე ისურვა“, – ამბობენ რეჟისორები და კინემატოგრაფისტები.

პასუხი კითხვაზე – რატომ უნდა აწყობდეს მრჩეველთა საბჭოს (რომლის შემადგენლობის დიდი ნაწილი ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ თავგამოდებული გულშემატკივარია), მარინა ხოხლენკო-კალტრაიდერიი აკონტროლებდეს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრს. ამ ქალბატონის სივი-შივე იკვეთება, რომ მარინა ხოხლენკო-კალტრაიდერიი 2009-2011 წლებში ბანკი „ქართუს“ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი გახლდათ.

თუკი ივანიშვილის სტრატეგიებს კარგად გავიხსენებთ, მას არაერთხელ უთქვამს, რომ ფინანსების გამჭვირვალობისთვის აუცილებელ პირობად ხშირად ამა თუ იმ სტრატეგიულ სფეროში თავისი წარმომადგენლის დანიშვნას მოითხოვდა, რადგან ფინანსებზე კონტროლის მექანიზმები ჰქონოდა. ჰოდა, ძნელი მისახვედრი არც ამ შემთხვევაშია, კვალი ვისთან მიდის...

შეგახსენებთ, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი 3 წლის ვადით ინიშნება.

**„საბჭოს წევრებმა საზოგადოებას უნდა განუმარტონ, რატომ და რა ლოგიკით გააკეთეს ეს არჩევანი, ისედაც უკან დახეულ ქართულ კინოს კიდევ ეს უნდა? დაუშვებელია ამ პიროვნებისთვის კინოცენტრის ჩაბარება“**

## ხალხის ხმა

**„მომწონს ეს ხელისუფლება, მიშას მმართველობას ნამდვილად ჯობია“**

ზურაბი, 65 წლის, პენსიონერი, ინჟინერი, ჰესების მშენებელი:

– იცით, რა? მე გავეცანი „ენდიაის“ კვლევას და ძალიან არადამაჯერებელი შედეგებია. არ ვიცი, ვინ გამოკითხეს, ქუჩაში, არა მგონია, ბევრ ინტელექტუალს შეხვდე, ჩვენ ვიცით, რომ მასა ბნელია. მე პირადად მომწონს ეს ხელისუფლება, მიშას მმართველობას ნამდვილად ჯობია, ხალხმა ამოისუნთქა, ის დაძაბულობა აღარაა, რაც წლების წინათ იყო. ერთმანეთს არ ჭამს ხალხი და ხელისუფლებისგან არ მოდის სიბოროტე, ამიტომ ის მინუსები, რაც აქვთ, ვფიქრობ, უნდა მივუტევოთ, დრო მივცეთ კიდევ, რადგან „ნაციონალებზე“ ცუდები ნამდვილად არ არიან. ჩემი შვილი ერაყში დაიღუპა, მისი დაკარგვის ტკივილს ვერაფერი შემივსებს, მაგრამ ამ ხელისუფლებამ ეს გმირი ხალხი ნამდვილად დააფასა, რაშიც ირაკლი ალასანიას წვლილიც ძალიან დიდია. ის ნამდვილად კარგ ლიდერად მიმაჩნია. მაგრამ მომწონს კვირიკაშვილიც, მიუხედავად ბევრი შენიშვნისა, ივანიშვილიც, ამიტომ ამ ორ ძალას შორის ვმერყეობ, ჯერ ვერ გადამიწყვეტია, ვის მივცემ ხმას. სხვა არც ერთი პარტია არ მომწონს და ნამდვილად არ გავაკეთებ არჩევანს დანარჩენების სასარგებლოდ.

*მაკა დეკანოსიძე*

# „ეგონათ, პაპავას გადადგომით პრობლემა მოიხსნებაო, მაგრამ შეეშალათ“

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბუნტი გრძელდება. რექტორი ლადო პაპავა კი გადადგა, მაგრამ სტუდენტები კვლავ ითხოვენ დანარჩენი მოთხოვნების შესრულებასაც: პირველი — უნივერსიტეტში სტუდენტთა წარმომადგენლობას უნდა ახორციელებდნენ საფაკულტეტო საბჭოებსა და სენატში არჩეული წევრები. ყველა სხვა სტუდენტური სტრუქტურა უნდა გაუქმდეს; მეორე — დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს რექტორისა და აკადემიური საბჭოს არჩევის წესი, აკადემიური საბჭოს შემადგენლობა; მესამე — მთავრობის თავმჯდომარემ პასუხი გასცეს ყველა კითხვას; მეოთხე — გატარდება თუ არა განათლებისა და მეცნიერების რეფორმა 2013 წელს შემუშავებული კონცეფციის მიხედვით, რა იგეგმება უნივერსიტეტებში სწავლების ხარისხის ასამაღლებლად, გაიზრდება თუ არა უნივერსიტეტის დაფინანსება, დასრულდება თუ არა „ოდეერების“ საქმის გამოძიება. 16 აპრილს სტუდენტებმა, ფაქტობრივად, აიღეს უნივერსიტეტის მე-6 კორპუსი (ეს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კორპუსია) და კარი შიგნიდან აჭედეს ფიცრებით. შემდეგ მათ გადაინაცვლეს





**მთავრობის სახლთან, სადაც ითხოვდნენ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას. სტუდენტების აქციაზე მივიდა უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, ამჟამად რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ლადო პაპავა. როგორც ბატონი ლადო აცხადებს „ალიასთან“ საუბარში, ის ვალდებულია, ბოლომდე გაერკვეს სიტუაციაში და იყოს იქ, სადაც სტუდენტები არიან:**

– 16 მარტს „აუდიტორია 115“-მა შეწყვიტა აქციები და იქვე გაკეთდა განცხადება: დღის წესრიგში დადგა რამდენიმე მოთხოვნა, თუ ეს მოთხოვნები არ შესრულდებოდა, ერთ თვეში ისევ განახლდებოდა აქციები. მოთხოვნები ძირითადად ეხებოდა უმაღლესი განათლების კანონში შესატან ცვლილებებს, რაც არ შესრულდა, მთავრობამ ცვლილებები არ წარადგინა პარლამენტში. განათლების სამინისტრომ მოამზადა ცვლილებების პროექტი, გაგზავნა უმაღლეს სასწავლებლებში განსახილველად, მაგრამ სტუდენტებმა ჩათვალეს, რომ ეს არ არის ის, რასაც დაჰპირდათ მათ მინისტრი. აი, ამიტომ განახლდა აქციები.

**— სამინისტრომ ამ პროექტით რა შესთავაზა სტუდენტებს?**

– რაც შესთავაზა, ამაზე მე ნამდვილად არ მინდა საუბარი... სტუდენტები თვლიან, რომ სამინისტრომ შესთავაზათ კოსმეტიკური ცვლილებები და არა რეალური რეფორმა.

**— არ გაუქმდა გაუგებარი სტუდენტური სტრუქტურები, არ შეიცვალა აკადემიური საბჭოს წევრების არჩევის წესი, ასეა ხომ?**

– კი, არ შეიცვალა... მე ვიყავი აქციაზე, შევხვდი სტუდენტებს, სანამ ჯერ კიდევ რექტორი ვარ, ეს ჩემი ვალდებულებაა. მე არასოდეს მიჭირდა ურთიერთობა სტუდენტებთან და არც მაშინ გამიჭირდება, როცა ჩვეულებრივი ლექტორი ვიქნები.

**— თქვენ გადადექით და ეს არის ერთადერთი ცვლილება, მორჩა, ხომ?**

– კი, ბატონო, მე ჩემი წილი პასუხისმგებლობა ავიღე, რათა უნივერსიტეტისთვის ზიანი არ მიმეყენებინა, დანარჩენი ყველას თავისი პასუხისმგებლობა აქვს, მე ვერ ავიღებ ჩემ თავზე იმას, რაც ეკუთვნის, მაგალითად, განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ან პრემიერ-მინისტრს. მე ვერ გამოვადგები მათ მრჩევლად არა იმიტომ, რომ არ ვიცი, რა ვურჩიო, არამედ, მინდა, დავიცვა სუბორდინაცია. არავის არაფერს ვურჩევ, ყველამ თავად განსაზღვროს თავისი წილი პასუხისმგებლობა, ეს უნდა გაიზიარონ, ამას ვერ გაექცევიან.

**— შეიძლება ვცდები, მაგრამ მე პირადად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ იყო და არის ძალა, რომელმაც გადაწყვიტა თქვენი ბედი, ანუ მოგიშორეს. ამას მიაღწიეს და მეგონა, სიტუაცია განეიტრალდებოდა. თქვენ ხედავთ რაღაც ძალას, რომელიც არ ჩერდება?**

– ქვეყანაში რომ ვიღაცას სტაბილურობა არ აწყობს, ეს ფაქტია. ამ პრობლემას, პირველ რიგში, თვალი უნდა გაუსწოროს მთავრობამ.

**— მთავრობა რატომ არ უსწორებს თვალს ამ პრობლემას?**

– მე არ ვიცი... შეიძლება მათ ეგონათ, პაპავას გადადგომით პრობლემა მოიხსნებაო, მაგრამ შეეშალათ. ახლა არჩევნები დანიშნულია 20 აპრილს და ეს იქნება უპრეცედენტო უნივერსიტეტის ისტორიაში და თანაც ბრიყვული. მოქმედ კანონში არის ბრიყვული ჩანაწერი და ჩვენ იძულებული ვართ, ამ ბრიყვულ ჩანაწერს დავემორჩილოთ.

**— რას გულისხმობთ?**

– ეს ჩანაწერი კანონში გაჩნდა 2013 წლის ზაფხულში პარლამენტის ინიციატივით. საქმე ის გახლავთ, რომ სიბრიყვის გამო, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს აირჩევს მთელი უნივერსიტეტი, აკადემიური პერსონალი და სამეცნიერო პერსონალი, ანუ ყველა, ვისაც აქვს დოქტორის ხარისხი. ასეთი კი დღეს უნივერსიტეტში არის 1311 კაცი. ამხელა მასშტაბური არჩევნები უნივერსიტეტში არ ყოფილა. თუმცა გულდასაწყვეტია, რომ ეს იქნება არა რექტორის არჩევნები, არამედ მოვალეობის შემსრულებლის. ამის შემდეგ რექტორს ისევ აირჩევს აკადემიური საბჭო. აი, ეს პრობლემაც არის ის, რასაც სტუდენტები აყენებენ.

**— როგორც ვიცი, რექტორის არჩევნები აგვისტოში იქნება.**

– რექტორის არჩევნები უნდა დანიშნოს ახალმა აკადემიურმა საბჭომ, რომელსაც უხელმძღვანელებს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

**— ეს უკვე კურიოზია, რა საჭიროა მოვალეობის შემსრულებლის ასე პომპეზურად არჩევა, თუკი რექტორი ისევ აკადემიურმა საბჭომ უნდა აირჩიოს?**

– მე ხომ გითხარით, რომ კანონში ბრიყვული ჩანაწერია? მე ამაზე სულ ვწუხდი, ვეუბნებოდი განათლების მინისტრს, პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ხელმძღვანელობას, ეს არ არის სწორი, შეცდომაა, სჯობს, მოვალეობის შემსრულებელს ირჩევდეს აკადემიური საბჭო და შემდეგ მთელმა უნივერსიტეტმა აირჩიოს რექტორი, მას უფრო მეტი ლეგიტიმაცია ექნება. ეს ხომ ძალიან მარტივი რამეა? თუ ვინმეს არ უნდა გაგება, რა თქმა უნდა, მისთვის მიუღებელია.

**— ლოგიკა სადამდე მიდის, შეიძლება, რომ მოვალეობის შემსრულებელი აგვისტოში გახდეს რექტორი?**

– კანონი ამას არ გამორიცხავს.

**— კულუარებში ლაპარაკობენ, რომ რექტორად დავით ნარმანიას ამზადებენ.**

– ვერ გეტყვით... ბატონი

### ვერსია

ნარმანია ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორია, კარგი ურთიერთობა მაქვს, მას უფრო ბევრის გაკეთება შეეძლო უნივერსიტეტისთვის, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გააკეთა. ნარმანია რომ რექტორობის კანდიდატად განიხილება, მეც ჭორის დონეზე ვიცი, ფაქტს ვერ დავადასტურებ. ნამდვილად არ ვიცი, ვინ გახდება რექტორი, ამას ერთად ვნახავთ. ერთი რამ ვიცი, ამ საკითხს ყოფილ რექტორს, ლადო პაპავას არავინ არ შეუთანხმებს.

**— რა უნდა გაეკეთებინა ნარმანიას და არ გააკეთა?**

– მას შეეძლო პრობლემების მოგვარება, მაგრამ რატომღაც ყოველთვის თავს იკავებდა. შეიძლება ჰქონდა ბარიერებიც მერიაში, რასაც მე ვერ ვხსნი.

**— თქვენ არ გაქვთ პრეტენზია, რომ აგვისტოში ხელახლა იყაროთ კენჭი რექტორის თანამდებობაზე?**

– არა, მე საკმაოდ თავმოყვარე ადამიანი ვარ, რის გაკეთებაც შემეძლო, გავაკეთე, ვამაყობ ამით და 19 აპრილს, ანუ არჩევნებამდე ერთი

---

### „ქოცებს“ არ მივცემდი ხმას, „ნაცების“ დაბრუნებაც მაგრად არ მინდა“

**ხალხის აზრი**

**გივიკო, 34 წლის, სარეკლამო კომპანიის პროექტმენეჯერი:**

**– იცი, რა არის? არის თემები, რაც ამ ხელისუფლების მომწონს და უფრო მეტი არ მომწონს, ანუ „ქოცებს“ არ მივცემდი ხმას, „ნაცების“ დაბრუნებაც მაგრად არ მინდა. ვერც ალასანიას გუნდს ვენდობი. გიდერი, როგორც ასეთი, არ ვიცი, ვინ არის. ახალი ძალა დამანახეთ, ვერც ერთ ძალას ვერ ვენდობი, რაც წარმოდგენილია დღეს, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო სივრცეში. კვირიკაშვილი კიდე შეიძლება, ნორმალური ტიპი ჩანს. მაგრამ შედეგი მინდა რო დავინახო და ვერ ვხედავ. დაპირებებით კი ყველა გვპირდება ბევრს, მაგრამ რეალურ სურათს ყველა კარგად ვხედავთ.**

**ახალი ჯანსაღი ძალა კი არსად ჩანს ჯერ და აი, მანდ დაგვერხა. ბურჯანაძეს და მისნაირებსაც საერთოდ გაუვიდათ ვადა, მგონი. მოკლედ, დღევანდელი პოლიტსპექტრი არ „მევასება“, „იდიოტების სხოდკაა“. დავფიქრდები, წავიდე თუ არა არჩევნებზე, მხოლოდ იმიტომ რომ მიშა არ დავაბრუნოთ, მაგრამ რომ ვუყურებ, ესენიც ძალიან გაბოროტდნენ, მოსახლეობის რეალური პრობლემები არც აინტერესებთ და არც მის გადაჭრაზე ფიქრობს ვინმე. მოკლედ, ჯერ არ გადამიწყვეტია, ხმის დაკარგვაც არ მინდა, მაგრამ აზრსაც ვერ ვხედავ, რა. ძალიან სამწუხარო რეალობა გვაქვს.**

*მაკა დეკანოსიძე*

---

### „კარგად იყვნენ, მე მაგათზე ხმის მიმცემი არ ვარ“

**ხალხის აზრი**

**გოგია, 62 წლის, „საპოჟნიკი“:**

– მე „პატრიოტთა ალიანსი“ მომწონს, აი, ნამდვილი ჯიგრები არიან, თარხან-მოურავი და ინაშვილი, სახალხო გმირები არიან, სულ „ობიექტივს“ ვუსმენ რადიოში, გულს მაინც მოვიფხან ცოტას, ამათი შემხედვარე, „ნაცებიც „და „ქოცებიც“ გარიგებულები არიან და კარგად გრძნობენ თავს ერთად, თუ „ოცნებას“ არ უნდოდა, მხარდამჭერები დაეკარგა, მაშინ ეს ხალხი უნდა დაესაჯა. არ გააკეთეს ეს? ახლა კარგად იყვნენ, მე მაგათზე ხმის მიმცემი არ ვარ.

*მაკა დეკანოსიძე*

დღით ადრე, ჩავატარებ პრესკონფერენციას, სადაც შევაჯამებ ჩემს საქმიანობას. ვისაუბრებ იმაზე, რა გავაკეთე, რა ვერ გავაკეთე, რა არ გავაკეთე და რატომ.

**— მას შემდეგ, რაც გადადექით, სამთავრობო წრეებთან გქონდათ საუბარი?**

– რა თქმა უნდა, სამთავრობო წრეებთან მაქვს შეხება, მაგრამ ჩემს გადადგომაზე არავისთან არ მქონია საუბარი. მე პერიოდულად სხვადასხვა ფორმატში ვხვდები ხოლმე მთავრობის წევრებს. რექტორი რომ აღარ ვიქნები, ალბათ, მერეც მომიწევს შეხვედრები. სანამ რექტორი გავხდებოდი, მანამდეც მქონდა ურთიერთობები.

**— მე ცოტა სხვა რამის კითხვა მინდოდა, ხომ არ შემოუთავაზებიათ რაიმე თანამდებობა?**

– არანაირი შემოთავაზება არ ყოფილა და არც ველოდები. მე საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობა მეკავა და სამწუხაროდ, „ქართული ოცნების“ მთავრობისგან ეს არ იქნა ადეკვატურად აღქმული. დარწმუნებული ვარ, „ქართულ ოცნებაში“ საერთოდ არ ფიქრობენ, რომ რამე შემომთავაზონ. მე ვარ უნივერსიტეტის პროფესორი, გავაგრძელებ ჩვეულებრივად მუშაობას, ასევე, ვარ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და ამითაც ვამაყობ.

**— ბატონო ლადო, სტუდენტების ერთ-ერთი მოთხოვნაა, გატარდეს რეფორმა 2013 წელს შემუშავებული კონცეფციის მიხედვით. ეს რა კონცეფციაა, რას გულისხმობენ?**

– სხვათა შორის, მეც გამიკვირდა, როცა ეს წავიკითხე... ეს ის კონცეფციაა, რომელსაც შეიძლება პირობითად დაერქვას: „ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო“. ამ კონცეფციას 2013-შიც ვაკრიტიკებდი და ახლაც ვაკრიტიკებ. ეს არის ოცნება იმის შესახებ, როგორი უნდა იყოს საქართველოში განათლების სისტემა და მეცნიერება. ოცნება, რომელსაც არ გააჩნია მატერიალური საფუძველი, არის ფუჭი ოცნება.

**— შეგიძლიათ, მითხრათ, ამ ფუჭი ოცნების მთავარი ძარღვი რა არის?**

– უნდა შემოღებულიყო დენუარის მექანიზმი, უნდა ამოქმედებულიყო საერთაშორისო რეფერირება ჩვენი პროფესორებისა, სანამ თანამდებობებს დაიკავებდნენ. ამისთვის კი დღეს არ არსებობს არც მატერიალური ბაზა და არც დაფინანსება, უნივერსიტეტის კორპუსებია გასარემონტებელი, ლაბორატორიებია გასარემონტებელი, სამედიცინო კლინიკა გვჭირდება და ამისთვის არ არსებობს თანხები და ასე შემდეგ. მთავრობამ უნდა გაიკრას ხელი ჯიბეზე, რათა უნივერსიტეტი უნივერსიტეტს დაემსგავსოს, ჩვენ არ უნდა ვიყოთ ჩამოკიდებული მხოლოდ სტუდენტის მოტანილ ფულზე. როცა ეს ყველაფერი გაკეთდება, ამის შემდეგ შეიძლება საუბარი რაღაც კონცეფციებზე. ყველამ ვიცით, რა ტრაგედიაც დატრიალდა ვერეს ხეობაში, დაინგრა ჩვენი ჰიდრო-მეტეოროლოგიური ლაბორატორია, რომელიც სჭირდება არამხოლოდ უნივერსიტეტს, ასევე ქვეყანას. იქ უნდა ხდებოდეს სტუდენტების მომზადება. დღემდე ვერ გადაწყვიტეს, რომ ამ ტერიტორიაზე შევიდეთ და დავიწყოთ ლაბორატორიის აღდგენა. თუ მთავრობას რამის გაკეთება უნდა, მივიდნენ და ნახონ, რა მდგომარეობაშია სტუდენტების საცხოვრებელი კორპუსი ბაგებში. დღემდე ასევე ვერ გადაწყდა, რომ ეს კორპუსი გადმოეცეს უნივერსიტეტს. იქ ჩვენი სტუდენტები ცხოვრობენ, მაგრამ შენობა არ არის უნივერსიტეტის ბალანსზე. საქმე ძალიან ბევრია, მაგრამ, სამწუხაროდ, ენერგია იხარჯება სხვა კუთხით.

**„ქართულ ოცნებაში“ საერთოდ არ ფიქრობენ, რომ რამე შემომთავაზონ“**

# 131-ე ბაღის თანამშრომელი შარშან დაიჭირეს ქურდობაზე და რატომ დასჭირდათ ახლა ამ კადრების ჩვენება?

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, თბილისის №131 საბავშვო ბაგა-ბაღის კუთვნილი, დიდი ოდენობით საკვები პროდუქტების მითვისების ფაქტზე, ამავე ბაღის სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი მარინე ღუდუმიძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. საგამოძიებო უწყება აღნიშნულ ფაქტზე სათვალთვალო კამერის მიერ გადაღებულ ვიდეომასალას აქვეყნებს, სადაც ჩანს, როგორ იპარავს საბავშვო ბაღის გამგე საწყობიდან საკვებ პროდუქტებს. გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნული გზით, ჯამში, ბრალდებული მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა სახელმწიფოს მიერ ბაგა-ბაღისთვის გამოყოფილი თანხით შეძენილ 48 919 ლარის პროდუქციას.**

**„ალიას“ „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე, გია ბურჯანაძე ესაუბრა:**

**„ამ დირექტორებმა პირი რომ მოაღონ და მოყვნენ — სად რა კორუფციული სქემა მუშაობს, ძალიან ბევრს მოუწევს პასუხისგება“**






– კადრები, რომლებიც რამდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი საზოგადოებისთვის, არ არის ახალი. ეს ამბავი მოხდა შარშან. თვითონ ფაქტი არ არის განსაკუთრებულად ახალი. წლებია, ვსაუბრობ კვების ბლოკში არსებულ პრობლემებზე. ის, რომ ხდებოდა ბაგა-ბაღებიდან პროდუქტების მითვისება, ამაზე ინფორმაცია დიდი ხანია გვაქვს. ამის დამადასტურებლად გვქონდა ფოტო-ვიდეომასალები, რომლებსაც სხვადასხვა მხარეები გვაწვდიდნენ – ბაგა-ბაღების მიმდებარედ მაცხოვრებელი მშობლები, ბაგა-ბაღების თანამშრომლები და ა.შ. ეს მასალები მე, თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელს, თემურ თორდინავას, პაკეტებით გადავეცი შარშან და შარშანწინ. შესაბამისად, მთელი ამ ხნის მანძილზე, არავის შეუშლია ხელი შავბნელი ოთახებიდან მათთვის მისაღები პროდუქტების ზიდვაში გარკვეული პირებისთვის. რატომღაც მარტო ახლა გაახსენდათ, რომ თურმე ასეთი რამეები ხდებოდა.

**— ახლა რატომ გადაწყვიტეს მაინცდამაინც ამ კადრების ჩვენება საზოგადოებისთვის, თუ ასეთი ძველია?**

– რეალურად, ბაგა-ბაღები კარგი დასაყრდენია ხელისუფლებისთვის საარჩევნოდ, როგორც საარჩევნო უბნების, ასევე ხმების მხრივ. ყველას კარგად მოეხსენება, რომ საარჩევნო უბნების დიდი ნაწილი ბაგა-ბაღების შენობებშია, ამიტომაც ასეთ სტრატეგიულ ადგილებში სჭირდებათ მათი ხალხი. გარდა ამისა, ბაგა-ბაღების დირექტორების უკან, არის ძალიან ბევრი პედაგოგი, მათი ოჯახები, რომლებიც აირჩევენ არსებულ ხელისუფლებას, რომ გაიხანგრძლივონ თანამდებობაზე ყოფნის დრო. ყველა ვხედავთ, რა ხდება დღეს საკადრო ცვლილებების თვალსაზრისით. ბაღების დირექტორების განთავისუფლება-დანიშვნას ვგულისხმობ. ხელისუფლების ოპონენტები ამბობენ, რომ ეს ხდება პოლიტიკური ნიშნით. ამ კადრების გამომზეურება დღეს თორდინავას სისტემისთვის არის დაცვისა და ფარის საშუალება. გამოაქვეყნეს ეს კადრები, რომ უთხრან ხალხს – აი, პოლიტიკური ნიშნით კი არა, ასეთი ფაქტების გამო ვხსნითო ამ ხალხს. თორდინავამ და მისმა გუნდმა, ძალიან კარგად იციან, რომ ბაგა-ბაღის დირექტორის განთავისუფლება არ არის ისეთი ადვილი, როგორც ეს ზოგ-ზოგიერთებს წარმოუდგენიათ. ამ დირექტორებმა პირი რომ მოაღონ და მოყვნენ – სად რა კორუფციული სქემა მუშაობს, ძალიან ბევრს მოუწევს პასუხისგება. მით უმეტეს, როცა კვების ბლოკის იმ თანამშრომლებზეა საუბარი, რომლებიც სატენდერო საკითხებში კარგად არიან ჩახედულები. ბაღების 75% დღემდე „ნაციონალია“, რომლებიც არ აპირებენ პოზიციების დათმობას და ამიტომაცაა დღეს ატეხილი დიდი გამიშვი-გამაკავე.

აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ამ 131-ე ბაღს დღეს ჰყავს ახალი გამგე, მაგრამ იწერება, რომ საქმე ეხება 131-ე ბაღის გამგეს, რაც გაუგებრობას იწვევს საზოგადოებაში და ყველას არსებული დირექტორი ჰგონია. ამ საკითხში არა მარტო ფინანსური პოლიცია, არამედ სხვა სამსახურებიც უნდა ჩაერთონ. ყველა უნდა იყოს დაინტერესებული – სურსათის ეროვნული სააგენტო, თბილისის ბაგა-ბაღების მართვის შესაბამისი კომისია, რომელიც აბსოლუტურად არაფერს არ აკეთებს ამ მიმართულებით, იმიტომ რომ თავადვე არიან გარეულები კორუფციაში. კვების ბლოკზე ბევრ თანამდებობის პირს დორბლიც კი გადმოსდის. ყოველწლიურად იზრდება ბაგა-ბაღების კვების ბლოკის დაფინანსება და 68 მილიონი ლარია დღეის მდგომარეობით. ეს 68 მილიონი, თავისი სამოქმედო ტენდერებით, ზეგეგმური მუშაობებით და ა.შ. ბევრს აფიქრებს, რომ მიითვისოს.

**— რაც შეეხება სათვალთვალო კამერებს. რატომ დამონტაჟდა ბაგა-ბაღებში?**

– ეს მოხდა რამდენიმე წლის წინათ. პრევენციისთვისო, მაშინ ასე ახსნეს. პედაგოგების მხრიდან ყველა სახის დანაშაული რომ აერიდებინათ – ბავშვებზე ძალადობა და ა.შ. რაზეც ადრე ხშირად საუბრობდნენ. ეს იყო პედაგოგებისა და დირექტორების შეურაცხყოფა, თუმცა რეალური მიზეზი იყო კვების ბლოკის კონტროლი. ყოველთვის არსებობდა ეჭვები ამის თაობაზე. ჩვენი ორგანიზაცია აგრძელებს მუშაობას ბაგა-ბაღების მონიტორინგის მიმართულებით. ახლა გვაქვს მონიტორინგი რძის პროდუქტებზე. არ აკმაყოფილებს მოთხოვნილ ნორმებს ტენდერში გამარჯვებული კომპანიების მიერ წარმოდგენილი რძის პროდუქტები. ასევე, მოთხოვნილ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს ხორცი – სტანდარტი ითვალისწინებს უმაღლესი ხარისხი რბილს და ამ დროს შედის საქონლის დაბალი ხარისხის ხორცი. სახელმწიფო დაახლოებით 13 ლარს იხდის საქონლის ხორცში და ამ დროს შედის 6-7-ლარიანი ხორცი. სამწუხაროდ, არავინ არ ინტერესდება ამ ყველაფრით გარდა თქვენი გაზეთისა და ჩვენი ორგანიზაციისა.

## ხალხის აზრი

**„სააკაშვილი ნამდვილად ბევრს შრომობდა, წყალში არ უნდა ჩავუყაროთ“**

მაია, 46 წლის, ინდმეწარმე:

– მე „ნაციონალების“ მომხრე ვარ, მომწონდა ის პროგრესი, რაც 9 წლის მანძილზე ჰქონდათ, ბევრი რამ გაკეთდა, ინფრასტრუქტურა არ არსებობდა ქვეყანაში, ბოლოს და ბოლოს, და თუ ახლა რამეს ჰგავს ქვეყანა, ნურავინ იტყვის, რომ მათი დამსახურება არაა. იყო ხარვეზებიც, რაც ძალაუფლების გამო დაემართა ზოგიერთ „ნაციონალს“, მაგრამ ამის გამო ის შრომა და თავდადება, რაც ქვეყნის კარგი იმიჯის შექმნას ემსახურებოდა და ამისთვის სააკაშვილი ნამდვილად ბევრს შრომობდა, წყალში არ უნდა ჩავუყაროთ. მჯერა, რომ, თუ უმრავლესობაში კვლავ მოვლენ, ბევრად კარგად გაუძლევებიან ქვეყანას, გაითვალისწინებენ ძველ ხარვეზებს, მიხვდებიან, რომ მთლად ასეთი მკაცრი მმართველობაც არ ამართლებს, მაგრამ ახლა რომაა მიშვებული ყველაფერი თავის ნებაზე, ასე ნამდვილად არ უნდა იყოს. ყველა სტრუქტურა არაეფექტურია, უნიჭობის ზეიმია, სადაც არ უნდა შეხვიდე და საშინელი ბიუროკრატიაა. მოკლედ, უმრავლესობაში თუ არა, დიდი დოზით მაინც უნდა იყვნენ პარლამენტში. მიშა აუცილებლად უნდა დაბრუნდეს, მის გარეშე პარტიას აკლია შემართება და ბრძოლის ჟინი. ლიდერად მას მივიჩნევ კვლავ, რადგან ის თვისებები რაც ნამდვილ პოლიტიკოსს უნდა ქონდეს, ქარიზმა, გულმოდგინება და იმის დაჯერება, რასაც აკეთებს, საქართველოში მხოლოდ მას შეუძლია. ბაქრაძე, დინჯი, კარგი პოლიტიკოსია, კარგი დიპლომატი, მაგრამ მას აკლია ქარიზმა და ის ბევრი თვისება, რაც მიშას აქვს. ასევე, უჭკვიანესია გიგა ბოკერია, ასეთ პოლიტიკურ მოღვაწეს ყველა ქვეყანა ინატრებდა.

*მაკა დეკანოსიძე*

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**„საინტერესოა, კიდევ რამდენი ქალბატონი, ბავშვი და მოხუცი უნდა მოკლან, აწამონ, იძალადონ, რამდენი მამაკაცი უნდა დახოცონ, რამდენ ბანკს უნდა დაესხნენ თავს, რამდენი ოჯახი უნდა ააწიოკონ და გაამწარონ, რომ სახელმწიფომ შსს-ს ეს დოყლაპია ხელმძღვანელობა კაბინეტებიდან მიაბრძანოს, შსს-ს პოლიტიკა შეცვალოს და უზრუნველყოს საზოგადოების წევრთა დაცვა!" — წერს ზაზა ჭაია „ფეისბუკის" საკუთარ გვერდზე და იმისთვის, რომ შეიცვალოს არსებული ვითარება — ხელისუფლებას 13-პუნქტიან რეკომენდაციას აწვდის.**

**„ალიას" „სამართალდამცავთა ლიგის" იურისტი, ზაზა ჭაია ესაუბრა:**

– თუ სახელმწიფოს უნდა, რომ შეწყდეს მკვლელობები, წამება, ძალადობა, განუკითხაობა და ქაოსი, ვალდებულია:

1. გადადგეს შს მინისტრი; 2. გადადგნენ შს მინისტრის მოადგილეები; 3. გადადგნენ შსს-ს დეპარტამენტების უფროსები;

4. შეიცვალოს შსს-ს პოლიტიკა; 5. შეიცვალოს საკადრო პოლიტიკა;

6. შეწყდეს დანაშაულის დამალვა; 7. შეწყდეს სტატისტიკის გაყალბება; 8. შეწყდეს ძალადობა შსს-ს შენობებში; 9. შეწყდეს მოქალაქეთა განცხადებებისადმი აგდებული დამოკიდებულება; 10. იზრუნონ პოლიციელთა პროფესიულ ამაღლებაზე; 11. იზრუნონ პოლიციელთა მატერიალურ მდგომარეობაზე; 12. იზრუნონ პოლიციელთა ოჯახების სოციალურ დაცვაზე; 13. იზრუნონ საზოგადოებაში პოლიციის პოპულარიზაციაზე!

**— თქვენ ამბობთ, რომ პირველ რიგში, სახელმწიფომ უნდა გადააყენოს შს მინისტრი, შს მინისტრის მოადგილეები, შს სამინისტროს დეპარტამენტების უფროსები. რატომ, რას ცვლის ეს საკითხი? ისევ ამ გუნდის წევრები არ მოვლენ?**

– ეს გუნდი დღეს სისტემაში ქმნის პოლიტიკასა და ამინდს. მინისტრი არის პოლიტიკური ფიგურა, ის არ არის ოპერატიული თანამშრომელი, შესაბამისად, მინისტრის მოადგილეები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები, რომლებიც ქმნიან სამინისტროს პოლიტიკას, აუცილებლად უნდა გადადგნენ. არავისთან არ გვაქვს პიროვნული ინტერესი, მაგრამ აქ საუბარია გუნდზე, მათ პროფესიონალიზმზე მაქვს პრეტენზია, იმიტომ, რომ ისინი ვერ ამშვიდებენ და ვერ აწყნარებენ ქვეყანას, ვერ უზრუნველყოფენ საზოგადოების წევრთა უსაფრთხოების დაცვას. ხელიდან არის წასული კონტროლი.

**— რას გულისხმობთ კონტროლის ხელიდან წასვლაში?**

– იმას, რომ არ წყდება ბანკებზე ყაჩაღური თავდასხმები. დედამიწის არც ერთ ქვეყანაში არ ხდება, რომ 3-4 წელიწადში 100-ზე მეტ ბანკზე ყოფილიყოს განხორციელებული ყაჩაღური თავდასხმები. ეს ხდებოდა მე-19 საუკუნის ველურ დასავლეთში. სირიაში, ლიბიაში და ერაყში, სადაც ომი მძვინვარებს, იქაც კი არ ხდება ის, რაც აქ ხდება ამ მხრივ. წინა წლებს რომ თავი დავანებოთ, მარტო შარშან და წელს 50 ქალზე მეტია მოკლული. არ ვისაუბრებ ბავშვების მკვლელობებზე, ძალადობაზე... მარტო ძალადობის ათასობით შემთხვევაა აღნუსხული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომელთა მესამედზეც კი არ არის სისხლის სამართლის საქმეები აღძრული. ვინმეს ახსოვს, რომ პოლიციის ეზოში ვინმეს ორი პოლიციელი მოეკლას? ან ის, რომ პოლიციელის მკვლელობაზე ძებნილს კიდევ პოლიციელი მოეკლას? ან პროკურორი დაეცხრილოთ მანქანაში, მანქანები დაეწვათ... ამიტომაც ეს პასუხისმგებლობა უნდა გადაინაწილოს მთელმა გუნდმა და უნდა წაბრძანდნენ.

**— გამოსავალი რა არის?**

– შს სამინისტროში აღდგა ოთხი სისტემური დანაშაული. ესენია: პირველი – დანაშაულის დამალვა; მეორე – სტატისტიკის გაყალბება; მესამე – ძალადობის აღდგენა პოლიციის ოფისებში; მეოთხე – გულგრილი, აგდებული დამოკიდებულება დაზარალებულ მოქალაქეთა განცხადებებზე. ეს ოთხი რამ არის, რაც ღუპავს შს სამინისტროს და სისტემაში მომუშავე ოფიცრებს.

**— დანაშაულის დამალვას დავუბრუნდეთ — კონკრეტული მაგალითები გაქვთ?**

– 2015 წელს, ერთ-ერთ ტოქშოუში ოპონირებას მიწევდა ერთი იურისტი. მე ვიცოდი, რომ დანაშაულის გახსნის დაახლოებით 70%-იანი მაჩვენებელი ჰქონდა მაშინ სამინისტროს. ჩემი ოპონენტი კი მისწორებდა, – არა, ბატონო, მეტიაო. 70%-იანი დანაშაულის გახსნა არ აქვს არც ფინეთს, შვედეთს, ნორვეგიას, დანიას, ბელგიას, შვეიცარიას... დაახლოებით 70%-იანი დანაშაულის გახსნა აქვს ჩრდილოეთ კორეას და კიდევ ერთ-ორ ქვეყანას და როგორ წარმოგიდგენიათ, შვეიცარიასა და ფინეთზე უფრო მშვიდ ქვეყანაში ცხოვრობთ?! ბუნებრივია – არა. ეს ყველაფერი ადასტურებს იმას, რომ შს სამინისტრო დანაშაულს მალავს მასობრივად. ამას ემატება გაყალბებული სტატისტიკა. ეს ყველაფერი ხელმძღვანელობის კისერზეა, აქ არაფერ შუაში არ არიან რიგითი პოლიციელები.

**— თუკი მსოფლიოში ასეთი მაჩვენებელია, მაშინ, რაში სჭირდება სამინისტროს მონაცემების გაყალბება?**

– ამ საკითხით მეც დავინტერესდი. პრივატულ საუბრებში მოვიკითხე საკითხი. ამ საკითხს კი ერთი ახსნა აქვს – თუკი, რამდენიმე წლის წინათ დანაშაულის გახსნა ხანდახან 40%-ს აჭარბებდა, დღეს მიზნადაა ქცეული, რომ უნდა იყოს იმ ძველ მაჩვენებელზე მეტი. უფრთხიან – ვინმემ არ თქვას, რომ ადრე მათზე უკეთ მუშაობდნენ. სხვა ახსნა ამ ყველაფერს არ აქვს. რომ ჩატარდეს მონიტორინგი – სხვადასხვა ქალაქებისა და პროვინციების მასშტაბით – შესული განცხადებების, ამ განცხადებებზე რეაგირებისა და გახსნის მაჩვენებლების, საქართველოში მივიღებთ კატასტროფულ მაჩვენებელს. ვნახავთ, რომ არათუ 60-70%, 15%-საც ვერ აღწევს დანაშაულის გახსნის რეალური მაჩვენებელი.

**— რაც შეეხება ძალადობას პოლიციის შენობებში — ერთ-ერთი ასეთი უახლესი მაგალითი, „პატრიოტთა ალიანსის" ახალგაზრდული ორგანიზაციის ლიდერი, თარხან გასვიანია, რომელიც ამბობს, რომ ის რამდენიმე დღის წინ პოლიციელებმა სცემეს. საქმეზე პროკურატურა გამოძიებასაც აწარმოებს. რა ხდება ამ მიმართულებით რეალურად, თქვენ რა ინფორმაცია გაქვთ?**

– ვერ დავარღვევ უდანაშაულობის პრეზუმფციას და პიროვნულად ვერავის დავადანაშაულებ, მაგრამ ის ოთხი სისტემური დანაშაული, რომელიც ხელმძღვანელობამ აღადგინა, მისი არაპროფესიონალიზმიდან გამომდინარე – მათ შორის ძალადობა პოლიციის ოფისებში, თავიდან ბოლომდე არის შს სამინისტროს ხელმძღვანელობის კისერზე. ეს დანაშაულები კი, უნდა აღმოიფხვრას სასწრაფოდ, იმიტომ, რომ ეს ვნებს პოლიციელთა პროფესიულ ამაღლებას, ხელს უშლის დანაშაულის ობიექტურ გახსნას და არასახარბიელოდ განაწყობს საზოგადოებას პოლიციელების მიმართ.

**— თქვენ ამბობთ, რომ საკადრო პოლიტიკა უნდა შეიცვალოს. არსებულ ხელისუფლებას ოპონენტები სწორედაც რომ იმას საყვედურობენ — საკადრო პოლიტიკა რომ არ შეცვალა და ისევ ყოფილი ხელისუფლებისდროინდელი კადრები მუშაობენ სისტემაში. თუკი თქვენ ამბობთ, რომ ეს ოთხი სისტემური დანაშაული იმ ხელისუფლების დროს იყო აღმოფხვრილი და ახლა აღდგენილია, მაშინ სადაა ლოგიკა — რატომ უნდა გადაიხედოს საკადრო პოლიტიკა?**

– საკადრო პოლიტიკაში ვგულისხმობ შემდეგს – დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ქვეყანამ ვერ მიაღწია იმას, რომ პოლიცია იყოს დეპოლიტიზებული. წლების განმავლობაში ვმუშაობდი სისტემაში და ვხედავდი, როგორ იცვლებოდნენ კადრები სისტემაში ხელისუფლების ცვლილებებთან ერთად. ეს უნდა დასრულდეს. პოლიციელი არის პოლიციელი და ის თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი პოლიტიკისგან – გარდა საარჩევნო ურნისა, სადაც ის თავის არჩევანს გააკეთებს.

**— თქვენ, ასევე, საუბრობთ — პოლიციელთა პროფესიულ ამაღლებაზე, პოლიციელთა მატერიალურ მდგომარეობაზე და პოლიციელთა ოჯახების სოციალურ დაცვაზე. რატომ ამახვილებთ ამ საკითხებზე ყურადღებას? სხვა, ნებისმიერ სახელმწიფო სამსახურთან შედარებით, ყოველთვის, თითქმის ერთ-ერთი ყველაზე კარგი მდგომარეობა ჰქონდათ, ამ მხრივ, და ახლა რა ხდება?**

– პოლიციელებს ყოველთვის ჰქონდათ მზარდი ხელფასი და სულ რომ ქვეყანა თავზე გვექცეოდეს, ეს ასე უნდა იყოს. პოლიციელებს უნდა ჰქონდეთ ზეგანაკვეთური ანაზღაურება, საუბარი მაქვს რიგით პოლიციელებზე. უნდა დახუნძლონ პრემიებით. უნდა გაუიაფონ დაზღვევის პაკეტი. უნდა იზრუნონ პოლიციელთა და მათ ოჯახის წევრთა სოციალურ დაცვაზე. დღეს, რიგით პოლიციელს, მთელი თავისი ხელფასი, აღების წუთიდან – შეაქვს ბანკში. ადამიანი, რომელსაც ხელში უჭირავს იარაღი და უნდა იზრუნოს ჩვენს უსაფრთხოებაზე, ფინანსურად სრულიად უუნაროა. ამაზე ძალიან დიდი გავლენა იქონია ეროვნული ვალუტის გაუფასურებამაც. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს ზრუნვა ამ პოლიციელებზე და დაუფაროს ყველა ფინანსური ვალდებულება, რაც ბანკებთან აქვთ.

**— და რამდენად აქვს ბიუჯეტს ამის შესაძლებლობა, სურვილიც რომ იყოს. ან ყოველწლიური ზრდა, რამდენად საფუძვლიანი მოთხოვნაა?**

– შს სამინისტროს ბიუჯეტი, მთელი ამ ხნის განმავლობაში იყო ძალიან მზარდი. სრული შესაძლებლობა არსებობს, რომ ის, რაც მე გითხარით, განხორციელდეს.

**— სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საზოგადოებაში პოლიციის პოპულარიზაციაზეო, ამბობთ, — რას გულისხმობთ? როგორც ვხედავთ, აქტიურად იღებს საიმიჯო კლიპებსაც სამინისტრო და რიგით გმირ პოლიციელებსაც აპიარებს სხვადასხვა მედიასაშუალებებით.**

– დააკვირდით, როგორი მასობრივი ხასიათი მიეცა პოლიციელების შეურაცხყოფას – ლამის პირდაპირ კადრები დაიდო, როგორ ჩამოახიეს პოლიციელს სამხრე, გაიხსენეთ ნაცემი, თვალამოთხრილი, ნასროლი, დანადარტყმული პოლიციელები... ბათუმში, თარეშ მუკბანიანი რომ მოკლეს, მის დაკრძალვაზე შს სამინისტროს ოფიციალური არც ერთი პირი არ ჩასულა. მხედრული პატივითაც კი არ დაიკრძალა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არ დაღუპულაო. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პოლიციის ღირსების დაცვა.

**— რას აპირებთ იმ შემთხვევაში, თუკი სამინისტრო არ გაითვალისწინებს თქვენ მიერ შეთავაზებულ პუნქტებს?**

– გვაქვს ვრცელი გეგმა. ჩვენი ორგანიზაცია არის საერთაშორისო პოლიციის ასოციაციის წევრი, სადაც გაერთიანებულია 66 სახელმწიფოს 650 ათასი პოლიციელი – როგორც მოქმედი, ასევე ყოფილი. ჩვენ გვაქვს რამდენიმე ათეულ ფურცელზე დაწერილი რეკომენდაციები – პოლიციელთა დანიშვნის წესიდან პოლიციელთა მუშაობის წესამდე და თუ დაინტერესდებიან, მობრძანდნენ, ან ჩვენ მივაწვდით. გვინდა, რომ შს სამინისტრო იყოს წარმატებული, მაგრამ სამწუხაროა, რომ ამ დრომდე არაფერს არ აკეთებენ საამისოდ.

# ზაზა ჭაია: „თუ სახელმწიფოს უნდა, რომ შეწყდეს მკვლელობები, წამება, ძალადობა, განუკითხაობა და ქაოსი, ვალდებულია გადადგეს შს მინისტრი"

**„ალია": მკვლელობებს, ძალადობას, განუკითხაობის ქაოსს შს მინისტრის გადაყენება კი არა, მინიმუმ კახა თარგამაძის მინისტრობის დროინდელი კანონმდებლობის აღდგენა სჭირდება! სახელმწიფოს არ უნდა ეშინოდეს საკუთარი მოქალაქეების, ეს არის მთავარი!**



**„პოლიციელებს ყოველთვის ჰქონდათ მზარდი ხელფასი და სულ რომ ქვეყანა თავზე გვექცეოდეს, ეს ასე უნდა იყოს"**

## ულტიმატუმი

**„ალია" კომენტარისთვის შსს-ს პრესსამსახურს დაუკავშირდა, სადაც გვიპასუხეს: „არამიზანშეწონილი და არასერიოზულია ზაზა ჭაიას ტენდენციური დამოკიდებულებების, კარიერული ისტორიის, მიზანმიმართული ინსინუაციებისა და პოლიტიკური ანგაჟირებულობის გათვალისწინებით, მის არაკომპეტენტურ მოსაზრებებზე რაიმე სახის კომენტარის გაკეთება."**

**„ალიას" გამომცემელი, გიორგი ბრეგვაძე:**

**ზაზა ჭაიას პოლიციური პათოსი გასაგებია — ქვეყანა თავზეც რომ გვექცეოდეს, პოლიციელებისთვის უნდა ყვაოდეს. 25 წელია „ალია" ამბობს, რომ თუ საზოგადოება პოლიციას ენდობა და მასზე ზრუნავს, აძლევს ხელფასს, ავტომობილს, საწვავს, ყიდულობს იარაღს, ტყვიებს და ამაზე არც არავინ დაობს, რომ ეს ასე არ უნდა იყოს, ასევე უპირობოდ აუცილებელია მათზე მზრუნველი მოქალაქეებისთვის იარაღის ტარების უფლების მიცემა, თუნდაც ლიცენზიის გაყიდვით. რაც შეეხება მინისტრის გადადგომას, ისტორიული პრაქტიკით დადასტურდა, რომ ყველაზე მეტად ვისაც ებრძოდა „ალია" — კახა თარგამაძის მინისტრობისას, გაცილებით უკეთესი კანონმდებლობა არსებობდა — რიგით მოქალაქეს შეეძლო თავდაცვის მიზნით შეეძინა და ეტარებინა საფანტის ტიპის პისტოლეტი ან რევოლვერი. შემდეგი, „რეფორმატორთა" გუნდის, მათ შორის ოქრუაშვილის მობრძანებისას, ეს აიკრძალა და ახლა „ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ღარიბაშვილისა და წულუკიანის უგუნური, გაუაზრებელი და მოქალაქეთა თავდაცვის უნარიანობის წინააღმდეგ გამიზნული კანონპროექტით, შენახვის უფლებით არსებული იარაღის დაშლა და სეიფში ნაწილებად შენახვა დაკანონდა. მკვლელობებს, ძალადობას, განუკითხაობის ქაოსს შს მინისტრის გადაყენება კი არა, მინიმუმ კახა თარგამაძის მინისტრობის დროინდელი კანონმდებლობის აღდგენა სჭირდება! სახელმწიფოს არ უნდა ეშინოდეს საკუთარი მოქალაქეების, ეს არის მთავარი!**

## ხალხის აზრი

### „ტვინი წაიღეს უკვე, გაიგონ, რომ რიგით ადამიანებს არც ერთი არ მოსწონთ"

ამათზე, ანუ „ქოცებზე" და „ნაცებზე", ერთი კარგი რუსული გამოთქმა მახსენდება, ვეცდები ქართულად ზუსტად გადმოვცე: ერთხელ ზამთარში ხეზე იჯდა ჩიტი, გაიყინა და ჩამოვარდა, ამ დროს გვერდით მოდიოდა ძაღლი და მოისაქმა ჩიტზე, ჩიტი გათბა და დაიწყო ჭიკჭიკი, ამ დროს უეცრად გამოჩნდა კატა, დაინახა მოჭიკჭიკე ჩიტი და შეჭამა. აქედან მორალი: როცა ნეხვში ზიხარ, არ უნდა იჭიკჭიკო. ასეა რა, არც ერთს არ აქვს მორალური უფლება, საზოგადოებას მხარდაჭერა თხოვოს, ძალიან გაფარჩაკდნენ, რა.

*მაკა დეკანოსიძე*

ბაჩო, 30 წლის, უმუშევარი:

– საერთოდ, არასდროს ვყოფილვარ არჩევნებზე, ვინც არ უნდა მოვიდეს, ერთმანეთზე უარესია, ამიტომ არც არჩევნების და არც ცვლილების არ მჯერა, არც პოლიტიკოსების ვინმესი და არავის არ მივიჩნევ ხალხის გულშემატკივრად, „ნაცებიც" და „ქოცებიც" თავის კეთილდღეობისთვის იბრძვიან. რაც შეეხება რეიტინგებს, მართლა ტვინი წაიღეს უკვე, გაიგონ, რომ რიგით ადამიანებს არც ერთი არ მოსწონთ, მათი პარტიული ფანები კი არ არის მთლიანად ეს ქვეყანა.

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# თბილისელი და ქუთაისელი კრიმინალების საიდუმლო „სხადნიაკი“ ისანში

**„დაახლოებით 23 კაცი იყო... არკვევდნენ, ვის რა წილი უნდა აეღო ჯართის ბიზნესიდან, მანქანების ბაზრობებიდან და „მარშრუტკის“ ხაზებიდან“**







ერთ-ერთი სერბული გამოცემის ონლაინგამოკითხვის მიხედვით, საქართველო „დანაშაულის ინდექსის“ მიხედვით, 6 ყველაზე უსაფრთხო ქვეყანას შორის მოხვდა. თუმცა რეალურ ცხოვრებაში გახშირებულია მკვლელობები, ქურდობის ფაქტები, ბანკის ძარცვა...

ამას ემატება ისიც, რომ პოლიციის თანამშრომლებს ძიება და საქმის გახსნა არც ეხალისებათ და არც სათანადო უნარები გააჩნიათ საამისოდ. ერთადერთი, რაც მათ არ ეზარებათ, ადამიანების უმიზეზოდ დაკავება, ცემა და სხვადასხვა ფორმით ძალადობაა. ეს ტენდენცია ბოლოს განსაკუთრებით თვალშისაცემია, თბილისის სხვადასხვა უბნებში ძალიან გახშირდა ახალგაზრდებზე პოლიციელთა მხრიდან უკანონოდ თავისუფლების აღკვეთა და ძალის გადამეტება. ამაზე ბევრი იწერება, თუმცა, სამწუხაროდ, რაიმე სასიკეთო სიახლე ნამდვილად არ გვაქვს.

სამაგიეროდ სიახლეა კრიმინალურ სამყაროში, რომელზეც სამართალდამცავები ან შეგნებულად იბრმავებენ თვალს, ან ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტებისთვის არ სცალიათ...

**სულ ახლახან თბილისში, დღისით-მზისით ქუთაისელი და თბილისელი კრიმინალების ე.წ. სხადნიაკი შედგა. როგორც „ალიასთვის“ გახდა ცნობილი, ამ შეკრებაზე კრიმინალებმა საკონტროლო ტერიტორიები და სფეროები გადაინაწილეს, კონკრეტულად რომელ სფეროებზეა საუბარი და სად მოხდა კრიმინალების თავშეყრა, ამაზე ჩვენი რესპონდენტისგან შეიტყობთ, რომლის ვინაობას, მისი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არ ვასახელებთ:**

**— სად მოხდა კრიმინალების შეკრება და რა გადანაწილებაზეა საუბარი?**

– ისანში „მეტროსტროის“ დასახლებაში შეიკრიბნენ და არკვევდნენ, ვის რა წილი უნდა აეღო ჯართის ბიზნესიდან, მანქანების ბაზრობებიდან და „მარშრუტკის“ ხაზებიდან. იქ იყვნენ, როგორც დასავლეთ საქართველოდან, ქუთაისიდან ჩამოსული კრიმინალები, ასევე თბილისელი ქურდები...

**— და პოლიციას არ ჰქონდა ინფორმაცია?**

– ნუ, ეგ რა ვიცი, ჰქონდა თუ არა, ალბათ, ჰქონდა და დაიკიდეს.

**— რომელ სამარშრუტო ხაზებს ეხებოდა?**

– თბილისი-ქუთაისის და დასავლეთის მიმართულებით.

**— ანუ ხაზების მფლობელებს უჯდებიან წილში?**

– ხო, ეგრე გამოდის, ან ძველ წილებს სთხოვენ, თან ჯართის ბიზნესს ესხმიან თავს და კიდევ მანქანების ბაზრობებს.

**— ეს ამბავი ვინმე თვითმხილველისგან იცი თუ ჭორის დონეზე?**

– თვითმხილველისგან ვიცი, ვინც იქ იყო, ე.წ. სხოდკაზე.

**— სადმე კერძო სახლში მოხდა შეხვედრა?**

– არა, ჯართის ჩამბარებელ პუნქტში.

**— რამდენი ადამიანი იყო დაახლოებით?**

– დაახლოებით 23 კაცი იყო.

**— ვინმე ცნობილის გვარი ფიგურირებდა? არა მგონია, რიგით კრიმინალებს დაენაწილებინათ ტერიტორიები...**

– კი, ერთი ვინმე ჩორნა თერჯოლსკი, ავტორიტეტი.

**— თბილისის კრიმინალებმა აჯობეს თუ ქუთაისელებმა?**

– უფრო შეთანხმება მოხდა, „ჯობნამდე“ არ მისულა საქმე, გარიგდნენ... მე მხოლოდ ეს მშრალი ინფორმაცია ვიცი, ბევრს ვინ მეტყოდა. უბრალოდ, შოკი იყო, რომ გავიგე, 90-იანი წლები ხომ არაა, მალე სხვა სფეროებზეც გადავლენ... ამიტომ ჩავთვალე საჭიროდ რომ ეს ამბავი გამეხმაურებინა.

ეს ამბავი კი, რაზეც ახლა მოგიყვებით, სოციალური ქსელით გავრცელდა. ადვოკატმა ირაკლი ზაქარეიშვილმა მოსახლეობას გაუგონარი ფაქტი ამცნო. გასაგებია, რომ ეს ადვოკატი „ნაციონალების“ თავგამოდებული დამცველია, მაგრამ ფაქტები, რომელსაც ის ყვება, პოლიციისთვის ნამდვილად ადვილი გადასამოწმებელია.

აი, რას წერს ზაქარეიშვილი „ფეისბუკის“ პირად გვერდზე: „დღეს წერეთელზე გაქურდეს ჩემი ნათესავის ბინა, სადაც მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. მოპარულია საოჯახო ტექნიკა და მუშის ხელსაწყოები... ზარალმა შეადგინა დაახლოებით 8000 ლარი...

ხელოსანი, რომელსაც დილით ბინა გაქურდული დახვდა, მივიდა იქვე მდებარე დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს მე-4 განყოფილებაში და მომხდარის შესახებ განაცხადა. პოლიციის შენობის მე-2 სართულზე გამომძიებელმა გამჯაშვილმა, ქურდობის ფაქტის შესახებ განცხადების დასაწერად მისული კაცი, უკან გამოაბრუნა, განცხადება არ დააწერინა და შემდეგი სიტყვებით გაისტუმრა: „ათასი ქურდობა ხდება, მილიონში ერთი პროცენტია იმის შანსი, რომ გაგიმართლოს და საქმე გაიხსნას, ამიტომ ნურც შენ წვალობ და ნურც ჩვენ გვაწვალებ, აზრი არ აქვს მაინც და ეგებ შენით გაარკვიო რაიმე, წადი სახლშიო“. შეცბუნებულმა და ყურებჩამოყრილმა ხელოსანმა დამირეკა და მომხდარის შესახებ შემომჩივლა. გადავდე ყველა საქმე და ხსენებულ პიროვნებასთან ერთად პოლიციის განყოფილებაში მივედი. მე-2 სართულზე დაგვხვდა სამუშაო სავარძელზე ნებიერად გართხმული გამომძიებელი გამჯაშვილი, რომელსაც განვუცხადე, რომ მსურდა ხელმძღვანელობასთან შეხვედრა. გამჯაშვილმა ბრძანა, – უფროსი ადგილზე არ არის, ხოლო მოადგილეს სძინავსო. ამის შემდეგ „გამომძიებელმა“ მობილურზე დაურეკა ვიღაც პიროვნებას და ჩვენი მისვლის შესახებ შეატყობინა, უთხრა, – იმ ხელოსანმა ადვოკატი მოიყვანაო... შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა, – დაიცადეთ, მოადგილე გაიღვიძებს და მიგიღებთო.

მე დავრეკე შსს-ს გენინსპექციის ნომერზე (126) და ვაცნობე ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ. გენინსპექციის წარმომადგენელს, აგრეთვე, ტელეფონზე ესაუბრა გაქურდული ხელოსანიც. ამის შემდეგ „მოადგილემ“ მალევე გაიღვიძა და მიგვიღო. კაბინეტში გამომძიებლის თანდასწრებით დამიწყო ნოტაციის კითხვა: ეს კაცი უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია, უკან ოპერატიული თანამშრომელი გავაყოლეთ, ჩვენ ჩვენი ოპერატიული მეთოდები გვაქვს და არ იცით თქვენო...

მოკლედ რომ ვთქვა, პოლიციელები „ვაიძულე რა“, დაეწყოთ გამოძიება, დავტოვე განყოფილების შენობა.

ჩემი წასვლის შემდეგ განყოფილებაში ამტყდარა ერთი ამბავი: დაეტაკნენ საცოდავ ხელოსანს – რატომ მოიყვანე ადვოკატი და რატომ დარეკეთ შსს-ს გენინსპექციაშიო. იმის მაგივრად, რომ ქურდობის საქმისთვის მიეხედათ, დაიწყეს ზეწოლა საწყალ ხელოსანზე: აიძულებდნენ მას, გენინსპექციაში დაერეკა და დაეფიქსირებინა, თითქოს აღელვების ნიადაგზე მიაწოდა მათ მცდარი ინფორმაცია და პოლიციის მხრიდან მის მიმართ უყურადღებობას ადგილი არ ჰქონია. ხელოსანი წინააღმდეგი იყო, შეესრულებინა პოლიციელების მოთხოვნა და აი, აქ მოხდა სასწაული: გამომძიებელმა გამჯაშვილმა, გაქურდული ხელოსნის ტელეფონით თავად დარეკა გენინსპექციის ნომერზე (126) და შეატყობინა შემდეგი: მე ვარ ესა და ეს (ხელოსნის სახელი გვარი), ბინა გაქურდული დამხვდა და აღელვების ნიადაგზე დავრეკე თქვენთან, მოგაწოდეთ მცდარი ინფორმაცია, თითქოს პოლიციამ უყურადღებოდ დამტოვა, რასაც ადგილი არ ჰქონია და გთხოვთ, მიიღოთ ცნობადო...

აღსანიშნავია, რომ ყოველივე ეს ხდება განყოფილების უფროსის მოადგილის თანდასწრებით, მისავე კაბინეტში.

პოლიციის შენობიდან 8 საათის შემდეგ გამოსულმა ხელოსანმა შემატყობინა მასზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ, რაც, ასევე, ორივემ ჩვენივე ტელეფონის საშუალებით ვაცნობეთ შსს-ს გენინსპექციას. რა რეაგირება ექნება გენინსპექციას, ეს მომავლის თემაა, თუმცა ფაქტი, რომ გაქურდვის შემთხვევაში მოქალაქეებს უწევთ, პოლიციას გამოძიება აიძულონ, ნამდვილად საგანგაშოა“.

თუმცა სამართალდამცავი ორგანოები თურმე იძიებენ კიდეც საქმეებს, მათ ოპერატიულად და დიდი მონდომებით გახსნეს თბილისის ფორუმზე დაანონსებული ამერიკის ელჩზე განსახორციელებელი თავდასხმა, სასამართლომ „დამნაშავეს“ უკვე შეუფარდა კიდეც სამთვიანი წინასწარი პატიმრობა. საქმე კი შემდეგში გახლდათ:

## » უსაფრთხო ქვეყანა?!!

11 აპრილს ინტერნეტფორუმის მომხმარებელმა სულხან წულაძემ (სპლიყვი) თბილისის ფორუმზე (ფორუმ.გე) გახსნა „სახუმარო თემა“, სადაც თითქოსდა ის ამზადებდა თავდასხმას საქართველოში აშშ-ს ელჩზე. მეტი დამაჯერებლობისთვის მან გამოიყენა გუგლიდან ამოღებული ფოტო, რომელიც აშშ-ის საელჩოსა და მიმდებარე ტერიტორიის ადგილმდებარეობას ასახავდა. როგორც შემდგომში გაირკვა, სულხან წულაძემ შესაძლო თავდასხმის სცენარი გადმოიღო ცნობილი ამერიკული სერიალიდან „სამშობლო“, სადაც მოქმედებები მის მიერ აღწერილი სცენარის ანალოგიურად ვითარდება. აღნიშნულთან დაკავშირებით ქართულმა სამართალდამცავმა ორგანოებმა მოახდინეს რეაგირება და სულხან წულაძე დააკავეს. ჩატარდა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებებიც, კერძოდ: სულხან წულაძის საცხოვრებელი სახლისა და სამუშაო ადგილის ჩხრეკა, პერსონალური კომპიუტერების, მობილური ტელეფონების, ელექტრონული მეხსიერების მატარებლების, პერსონალური მონაცემების დამუშავება და ა.შ. მიმდინარე წლის 14 აპრილს სულხან წულაძეს მთავარმა პროკურატურამ წარუდგინა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, რაც საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე თავდასხმას გულისხმობს. 15 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნის საფუძველზე სულხან წულაძეს აღმკვეთი ღონისძიების სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. აღსანიშნავია, რომ პროკურატურამ პატიმრობის მოთხოვნის აუცილებლობა დაასაბუთა სამხილების განადგურების, მოწმეებზე ზეწოლის განხორციელებისა და პირის მიმალვის საშიშროების ალბათობის გამო. საგულისხმოა, რომ საქმეში არსებული ერთადერთი მტკიცებულება არის „თბილისის ფორუმზე“ გახსნილი თემა, ხოლო სულხან წულაძე დაკავების მომენტიდან თანამშრომლობს გამოძიებასთან. ოჯახი კი აქტიურად გადის კონსულტაციებს იურისტებთან და გარდა ამისა, მიმართავს კანონით დადგენილ ნებისმიერ საშუალებას, სულხან წულაძის უდანაშაულობის დასამტკიცებლად.

გასაგებია, რომ სამართალდამცავებმა პრევენციის მიზნით მოახდინეს რეაგირება და ბრალი წარუდგინეს წულაძეს, თუმცა „სახუმარო თემაში“ დაანონსებული დანაშაული თუ ბოროტი ხუმრობა, რამდენად შეიძლება გამოდგეს კომპრომატად და ამის გამო პასუხისგებაში მისცენ ადამიანი, ეს უკვე ფანტასტიკის ჟანრსაც კი სცდება.

მოკლედ, ეს საქართველოა, „დანაშაულის ინდექსის“ მიხედვით მსოფლიო ექვსეულში შესული უსაფრთხო ქვეყანა, გვიხაროდენ!

---

## » ხალხის აზრი

**„არც ახლანდელი ხელისუფლება მომწონდა და არც წინა, ახალი ლიბერალური მიდგომები სჭირდება ქვეყანას“**

ანა, 20 წლის, სტუდენტი:

**– სხვათა შორის, რომ გადავხედო პარტიებს, ყველაზე მეტად „გირჩი“ მომწონს, ახლოს არიან ჩემს შეხედულებებთან, მართლა კარგი „ტიპები“ არიან და თუ არჩევნებზე წავალ, მათ მივცემ ხმასაც. ახლებურად ხედავენ ქვეყნის მომავალს, ლიდერიც, ზურა ჯაფარიძე მომწონს, ძალიან მაღალი დონის მოაზროვნე მგონია. დიდი ხანი არაა, რაც პოლიტიკაშია, მას არც შესაძლებლობა ჰქონია, რაიმე გადამწყვეტი გაეკეთებინა. მაგრამ თუ არჩევანია, არც ახლანდელი ხელისუფლება მომწონდა და არც წინა, ახალი ლიბერალური მიდგომები სჭირდება ქვეყანას და ამას სწორედ „გირჩში“ ვხედავ, საბჭოთა ტიპის მმართველობისგან უნდა განთავისუფლდეს, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანა.**

*მაკა დეკანოსიძე*

## facebook



**დემურ გიორხელიძე**

ყველა წითელი ხაზი გადაკვეთილია!

ყველა დაუშვებელი დასაშვებია!

პასუხისმგებლობის მინიმალური ზღვარი დარღვეულია!

სატანისტური სისასტიკე ადამიანებს შორის ნორმაა!

სახელმწიფო - მხოლოდ პოეტური მუზის ერთ-ერთი ალმგზნებია!

მოკლედ, მაგარ შარში ვართ!

ალტერნატიული ელიტის რესურსი თუ არ მოიძებნა,

ეს უბედურება ტრაგედიაში გადაიზრდება!

P.S. "ელიტა" - აქ გამოყენებულია სოციოლოგიაში არსებული ცნების ზუსტ შესატყვისად... ჩემთვის ეს ის ხალხია, რომლებსაც გააჩნიათ თავისუფალი არაკონიუნქტურული პასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნის და ხალხის მომავლის წინაშე, გააჩნიათ მსოფლმხედველობა და მოქმედებენ მის ფარგლებში!

**ელიზბარ ელიზბარაშვილი:** ბატონო დემურ ალტერნატიული ელიტის რესურსი არსებობს და თან საკმაოდ დიდი, მთავარია "ელიტას" რას დავუძახებთ, და სად და "ვინ" ეძებს მას.

**დემურ გიორხელიძე:** ელიტა - ეს პირველ რიგში ინტელექტუალური ელიტაა, რომელსაც აქვს პერსონიფიცირებული თავისუფალი კონიუნქტურისაგან პასუხისმგებლობა საკუთარი ქვეყნის და ხალხის წინაშე.... ანუ, ეს ცნება სოციოლოგიაში გამოყენებული ცნების ზუსტი თანხვედრაა ჩემთვის.

**ელიზბარ ელიზბარაშვილი:** როგორც ელიტის ცნება სწორედ განსაზღვრეთ, ასევე იქნებ სწორედ განსაზღვროთ თუ სად უნდა ვეძიოთ ასეთი ადამიანები

**დემურ გიორხელიძე:** ასეთი ადამიანები უნდა ვეძიოთ ჩვენს ირგვლივ და აუცილებლად ვიპოვით... ან მთელი ქვეყნის ყოველ კუთხე-კუნჭულში... არის ეს რესურსი ჯერ: უამრავი წესიერი ადამიანი, რომელსაც არ აკლია სიმართება, მაგრამ თავის თავზე პასუხისმგებლობის სრულად ასაღებად ბიძგი და თვითრწმენა და საკუთარი ძალის რწმენა სჭირდებათ

• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები •

# მეგის ქარდავას რომან დუმბაძის

## რომან დუმბაძის მკვლელობის

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37








**2010 წლის მაისში, როდესაც მოსკოვში რომან დუმბაძე მოკლეს, მისი მკვლელობის სავარაუდო შემკვეთთა შესახებ სამი ვერსია გავრცელდა: 1. დუმბაძე მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ მოაკვლევინა. 2. დუმბაძე ასლან აბაშიძემ მოიშორა. 3. დუმბაძე მოსკოვში საკუთარ ბიზნესს შეეწირა და სავარაუდოდ, ან ბიზნესპარტნიორებმა მოიცილეს, ან კონკურენტებმა**

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილ უფროსს, მეგის ქარდავას, გენერალ რომან დუმბაძის განზრახ მკვლელობის ბრალდება წაუყენა 190-ე მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით. გამოძიებით დადგენილია, რომ მეგის ქარდავა შუამავლის მეშვეობით რუსეთში, კერძოდ, მოსკოვში მოქმედ კრიმინალურ დაჯგუფებას დაუკავშირდა და რომან დუმბაძის მკვლელობა შეუკვეთა. 2012 წლის 21 მაისს, მოსკოვში ოთხკაციანმა ჯგუფმა აღნიშნული მკვლელობა განახორციელა, მკვლელობის ოთხივე შემსრულებელი სასჯელს რუსეთის ფედერაციაში იხდის, ხოლო შუამავალი, რომელმაც მეგის ქარდავა ამ ოთხეულთან დააკავშირა, საქართველოში დააკავეს – აი, ეს განაცხადა პროკურატურამ. ამ ხალხის ვინაობას გამოძიება ჯერ არ აკონკრეტებს. საქმე სახელმწიფო უშიშროების სამსახურმა (სუს-ი) გასხსნა. გავრცელებული ინფორმაციით, მეგის ქარდავამ დუმბაძის მკვლელებს 250 000 დოლარი გადაუხადა.

რომან დუმბაძე ბათუმში მსახურობდა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 25-ე ბრიგადას ედგა სათავეში. 2003 წელს, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ხელისუფლებაში მოსულმა მიხეილ სააკაშვილმა და მისი გუნდის წევრებმა აქტიური მოქმედება დაიწყეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის, ასლან აბაშიძის დასამხობად. აჭარაში ხავერდოვანი რევოლუციის მოწყობის პარალელურად, განიხილებოდა აჭარაში სამხედრო შეჭრის ვარიანტი და ამ გზით აბაშიძის ხელისუფლების დამხობა. ეს ინფორმაცია ასლან აბაშიძესაც ჰქონდა. მან აჭარაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და აჭარაში სამხედრო შეჭრის შემთხვევისთვის საჭირო სამხედრო ზომებიც მიიღო. ამ ყველაფერს კი გენერალი რომან დუმბაძე ხელმძღვანელობდა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ჩატარებულ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს ასლან აბაშიძემ ბოიკოტი გამოუცხადა, არ ცნო მათი შედეგები. აჭარაში განლაგებული თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილების ჯარისკაცებისა და ოფიცრების დიდი ნაწილი ახალი ხელისუფლების მხარეს გადმოვიდა, ისინი აჭარიდან გამოიქცნენ და თბილისში ჩამოვიდნენ. გენერალმა რომან დუმბაძემ კი საქართველოს პრეზიდენტს, ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალს, მიხეილ სააკაშვილს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა და ბოლომდე ასლან აბაშიძის გვერდით დადგა. 2004 წლის 6 მაისს, აჭარაში ხავერდოვანი რევოლუციის მოწყობის შემდეგ, ასლან აბაშიძე და მისი ახლო გარემოცვის წევრები მოსკოვში წავიდნენ, რომან დუმბაძე კი ბათუმში დატოვეს. რომან დუმბაძე იმავე დღეს თავად გამოცხადდა საქართველოს უშიშროების სამინისტროს კონტრტერორისტულ დეპარტამენტში, სადაც ის დააკავეს. დუმბაძე მალევე სამშობლოს ღალატის ბრალდებით გაასამართლეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. თუმცა, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, უშუალოდ ასლან აბაშიძის თხოვნით, რუსულმა მხარემ რომან დუმბაძე 10 სამოქალაქო ტყვეში გაუცვალა ქართულ მხარეს და გენერალ ბორისოვის მეთვალყურეობის ქვეშ ის მოსკოვში ჩაიყვანეს. 2010 წელს დუმბაძემ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. 2012 წლის 21 მაისს, მოსკოვში, საკუთარ სახლთან ახლოს, რუბლოვსკაიას გზატკეცილზე, რომან დუმბაძე მოტოციკლიდან დაცხრილეს. დამნაშავეები შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, დაჭრილი დუმბაძე კი ადგილზევე გარდაიცვალა. 2014 წლის 3 აპრილს, მოსკოვის კუნცევსკის სასამართლომ ქართველი გენერლის მკვლელობაში ბრალდებული გოჩა კვირიკაშვილი დამნაშავედ ცნო და 14-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. სასამართლომ დაადგინა, რომ მკვლელობის პირდაპირი შემსრულებელი 52 წლის გოჩა კვირიკაშვილია, რომელმაც მკვლელობა დაკვეთით, 20 ათასი ამერიკული დოლარის სანაცვლოდ განახორციელა. მან შექმნა ჯგუფი, რომელშიც რომან ბელქანია, ალექსანდრე ბერიშვილი და მისი ნათესავი თორნიკე კვირიკაშვილი შედიოდნენ. შემდგომში, ამ სამეულსაც სხვადასხვა ვადით პატიმრობა მიუსაჯეს. საქართველოს პროკურატურა არ აკონკრეტებს, დუმბაძის მკვლელები ეს ადამიანები არიან თუ არა, მაგრამ, სავარაუდოდ, სწორედ ესენი უნდა იყვნენ, რადგან რომან დუმბაძის მკვლელობის ბრალდებით, რუსეთში ამ ოთხეულის გარდა, კიდევ სხვა ოთხეული და თანაც, ოთხივე ქართველი, არ გაუსამართლებიათ. თუ ასეა, მაშინ გაუგებარია ჩვენი პროკურატურის პოზიცია, როცა აცხადებს, დუმბაძის მკვლელთა ვინაობას ჯერ არ გავამხელთო და მარტო ის განაცხადეს, რომ ისინი რუსეთში იხდიან სასჯელსო. გოჩა კვირიკაშვილისა და მისი ჯგუფის წევრების დუმბაძის მკვლელობის ბრალდებით გასამართლების ამბავი რუსეთის პროკურატურამ ოფიციალურად გამოაცხადა, შესაბამისად, 2 წლის წინათ ეს ამბავი ქართულმა, რუსულმა და უცხოურმა მედიამ გააშუქეს და დასამალი რაღაა, ვერ გავიგე.

მოდით, ახლა მეგის ქარდავას მივხედოთ. პროკურატურა აცხადებს, რომ ქარდავა რუსეთში შუამავლის მეშვეობით დაუკავშირდა კრიმინალური დაჯგუფების მეთაურს, მას ფული გადაუხადა და რომან დუმბაძის მკვლელობა შეუკვეთა. ლოგიკურად, ქარდავამ ფული გოჩა კვირიკაშვილს გადაუხადა. თუმცა, აქ მთავარი ის არის, რა მოტივი ჰქონდა მეგის ქარდავას რომან დუმბაძის მკვლელობისა. ქარდავა დუმბაძეს საერთოდ არ იცნობდა, რასაც რომან დუმბაძის ახლობლები ადასტურებენ. მოსკოვში მყოფი რომან დუმბაძე ქარდავას ხელს არაფერში უშლიდა და არანაირი მიზეზი არ ჰქონდა

### შურისძიება?!

მისი მოკვლისა. გამოდის, რომ მკვლელობის რეალური შემკვეთი სხვა არის, რომლისგანაც ქარდავამ დავალება მიიღო და შეასრულა. შესაბამისად, მეგის ქარდავაც ერთ-ერთი შემსრულებელი უნდა იყოს ამ დანაშაულისა და არა მთავარი.

მიხეილ სააკაშვილმა „აჭარის რევოლუციის“ შემდეგ რომან დუმბაძე სამშობლოს გამყიდველის სინონიმად აქცია, ლამის დღე არ გავიდოდა, ეს კაცი რომ არ ეხსენებინა ბოღმითა და ღვარძლით. ერთხანს მიივიწყა, შემდეგ კი, როცა რუსეთის ხელისუფლებამ დუმბაძე ტყვეებში გაუცვალა ჩვენს ხელისუფლებას და რუსეთში ჩაუყვანეს ასლან აბაშიძეს, დუმბაძეს ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები, პირველ რიგში კი ისევ სააკაშვილი, ხშირად ახსენებდნენ, აცხადებდნენ, რომ რუსეთმა მოღალატე დუმბაძე იმიტომ გაათავისუფლა, რომ ის საქართველოს საწინააღმდეგოდ გამოეყენებინა, დუმბაძეს ბრალს სდებდნენ რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში. ეს თემა რატომღაც 2008 წლის ომის შემდეგ წამოიჭრა, მანამდე გენერალი რუსეთის აგენტობაში არ დაუდანაშაულებიათ. კულუარულად ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ მიხეილ სააკაშვილი ასლან აბაშიძეს

არ აპატიებდა შეურაცხყოფას, რომ ომის დროს, როცა საქართველოს ხელისუფლება რუსეთს ყურებით ჰყავდა დაჭერილი, გენერალ დუმბაძის განთავისუფლება უშუალოდ რუსეთის გენერალიტეტს სთხოვა და მიზანსაც მიაღწია. მაშინვე გავრცელდა ხმები, რომ სააკაშვილი დუმბაძეს არ აცოცხლებდა, ასლან აბაშიძისგან და რუსეთის ხელისუფლებისგან შეურაცხყოფილი, მოაკვლევინებდა და ამით იძიებდა შურს. მოკლედ, ლოგიკურად, გენერალ დუმბაძის მკვლელობის მოტივი საქართველოში ქვეყნის იმჟამინდელ პრეზიდენტსა და ხელისუფლების სხვა გავლენიან ჩინოსნებს ჰქონდათ, რომლებიც ძალიან შეურაცხყოფილნი დარჩნენ დუმბაძის ტყვეებში გაცვლითა და მისი განთავისუფლებით.

ლეს, ან კონკურენტებმა. ამ ვერსიებზე საუბრობდა ქართული და უცხოური მედიაც, მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის კონტროლირებადი მედია, განსაკუთრებით „რუსთავი 2“ და „რეალ ტვ“ აპელირებდნენ ბოლო ორ ვერსიაზე და ბუნებრივია, კრინტს არ სძრავდნენ იმის შეახებ, რომ გენერალ დუმბაძეზე შური, შესაძლოა, სააკაშვილმა და მისი ხელისუფლების სხვა ლიდერებმა იძიეს. მაშინვე გაჟღერდა სააკაშვილის გარემოცვიდან იმ ხალხის ვინაობა, ვინც სავარაუდოდ, სააკაშვილის ბრძანებით, უშუალოდ შეუკვეთა დუმბაძის მკვლელობა. ამბობდნენ, რომ რომან დუმბაძის მკვლელობის დამკვეთი შს მინისტრი, ვანო მერაბიშვილი იყო, სხვები აცხადებდნენ, რომ ეს მისმა მოადგილემ და სამინისტროს უშიშროების სამსახურების კურატორმა, ამირან ერთ-ერთ მაღალჩინოსანს, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის ყოფილ უფროსს, მეგის ქარდავას წაუყენა ბრალი გენერალ რომან დუმბაძის მკვლელობაში და შემკვეთად ის დაასახელა, შესაბამისად, გამოირიცხა ბოლო ორი ვერსია, გენერალი არც ბიზნესინტერესების გამო მოკლეს და არც ასლან აბაშიძეს შეუკვეთავს მისი მკლელობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არც ასლან აბაშიძე, არც რომან დუმბაძის ბიზნესპარტნიორები თუ კონკურენტები მეგის ქარდავას არ დაავალებდნენ დუმბაძის მოცილებას, ამის გაკეთება რომც ნდომებოდათ, რუსეთშივე მოძებნიდნენ შუამავალს. შესაბამისად, მკვლელობის შესახებ გავრცელებული იმ სამი ვერსიიდან რჩება ერთი – რომან დუმბაძის მკვლელობა მეგის ქარდავას მკვლელობის მოტივი არ ჰქონდა, არც პირადი და არც სამსახურებრივი, სავარაუდოდ, მას ვიღაცამ უბრძანა და ეს დავალება შეასულა. ვის შეიძლებოდა მისთვის დუმბაძის მკვლელობა დაევალებინა და თანაც, 250 000 დოლარიც გადაეცა საამისოდ, უკვე მოგახსენეთ მათ შესახებ – მიხეილ სააკაშვილი და მისი უახლოესი გარემოცვის წევრები. ამიტომ გამოძიება მეგის ქარდავაზე არ უნდა შეჩერდეს, გენერალ დუმბაძის მკვლელობის გამოძიება უნდა გაგრძელდეს და მკვლელობის რეალური შემკეთი უნდა დაისაჯოს, ვინც არ უნდა იყოს ის. ლოგიკურად, ეს არ იყო ერთი ჩვეულებრივი მკვლელობა, სავარაუდოდ, ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა ჩადენილი შურისძიების მოტივით, რადგან, დიდი ალბათობით, მასში გარეულნი უნდა იას მინისტრობისას, მანამდე კუდ-ში დათა ახალაიამ ის დეპარტამენტის უფროსად დანიშნა. მათ გარეშე, ქარდავა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს არ იღებდა, ორივე სტრუქტურაში მუშაობისას, შეიძლება ითქვას, მათ გარეშე ნაბიჯსაც არ დგამდა. მეტიც, როცა საბერძნეთის პოლიციამ ძებნილი დათა ახალაია დააკავა, ასევე, ძებნილმა და უკრაინაში გაქცეულმა მეგის ქარდავამ საქართველოს ხელისუფლების დაშანტაჟება სცადა – სოციალურ სქელში განაცხადა, თუ პროკურატურა დათა ახალაიას ბრალს არ მოუხსნის, ავდგები და ხელისუფლების ლიდერებზე კომპრომატებს გამოვაქვეყნებო. მოკლედ, ახალაიების უერთგულესი მეგობარი და თანამებრძოლი იყო ქარდავა. ნება მიბოძეთ, რომან დუმბაძის მკვლელობის ჩემეული

## » შურისძიება?!

სააკაშვილის გადახდილი უნდა იყოს „ნაცმოძრაობის“ ე.წ. ობშჩიაკიდან. ვიმეორებ, მეგის ქარდავა ნამდვილად არ იყო ის ფიგურა სააკაშვილის ხელისუფლებაში, რომელიც მოსკოვში, გენერალ დუმბაძის მკვლელობას მარტო გადაწყვეტდა, დაგეგმავდა და შეუკვეთდა, ახალაიების, ან შესაძლოა, სააკაშვილის გარემოცვის სხვა წევრების ბრძანების გარეშე, ის ამას არ და ვერ გააკეთებდა, დიდი ალბათობით კი, გარემოცვის ეს წევრები სწორედ ძმები ახალაიები, ან მათგან ერთ-ერთი უნდა ყოფილიყო.

თუ ჩვენმა სამართალდამცველებმა არ გააგრძელეს ამ მიმართულებით გამოძიება, გენერალ რომან დუმბაძის მკვლელობის რეალურ შემკვეთზე გასვლას

# მკვლელობის მოტივი არ ჰქონდა!

## რეალური შემკვეთი ჯერ არ დაუკავებიათ?!



**მაშინვე გავრცელდა ხმები, რომ სააკაშვილი დუმბაძეს არ აცოცხლებდა**





2012 წლის მაისში, როდესაც მოსკოვში რომან დუმბაძე მოკლეს, მისი მკვლელობის სავარაუდო შემკვეთთა შესახებ სამი ვერსია გავრცელდა: 1. დუმბაძე მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ მოაკვლევინა. 2. დუმბაძე ასლან აბაშიძემ მოიშორა. 3. დუმბაძე მოსკოვში საკუთარ ბიზნესს შეეწირა და სავარაუდოდ, ან ბიზნესპარტნიორებმა მოიცი-მესხელმა გააკეთა, სახელდებოდა კუდ-ის შეფი, დათა ახალაია, მისი ძმა, თავდაცვის მინისტრი, ბაჩო ახალაია, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების მაშინდელი თავმჯდომარე, გივი თარგამაძე, გენერალური პროკურორი, ზურაბ ადეიშვილი... ახლა კი, როცა მთავარმა პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების შეუკვეთეს ან თავად მიხეილ სააკაშვილმა, ანდა მისი პოლიტიკური გარემოცვის წევრებმა. თუ პროკურატურა რასაც აცხადებს, ის მართალია და სუს-მა ეს საქმე უხარვეზოდ გამოიძია, მაშინ გამოდის, რომ რომან დუმბაძის მკვლელობის რეალური შემკვეთი ჯერ არ დაუკავებიათ. მეგის ქარდავას, უკვე მოგახსენეთ, გენერლის იყვნენ საქართველოს იმჟამინდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობის მაღალი პირები.

ერთ მნიშვნელოვან დეტალზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება. მეგის ქარდავა არის დათა და ბაჩო ახალაიების უახლოესი მეგობარი, ვიდრე თავდაცვის სამინისტროს დეპარტამენტის შეფი გახდებოდა ბაჩო ახალა-ვერსია შემოგთავაზოთ. გენერლის მოშორება შურისმაძიებელმა სააკაშვილმა გადაწყვიტა, მან დათა ან ბაჩო ახალაიებს, ან ორივეს ერთად დაავალა დუმბაძის მკვლელობა, მათ კი ამ საქმის უზრუნველყოფა მეგის ქარდავას მიანდეს, ის 250 000 დოლარიც, რომელიც ქარდავამ მკვლელებს გადაუხადა შუამავლის მეშვეობით, მიხეილ არ შეეცადნენ და გამოძიება ამ ეტაპზე დაასრულეს, მკვლელობის შემკვეთად მეგის ქარდავა დარჩა, მაშინ საზოგადოებას დარჩება სრულიად საფუძვლიანი ეჭვი, რომ ხელისუფლებას საქმის ბოლომდე გამოძიება არ აწყობს, ის ხელს აფარებს სააკაშვილსა და მისი ახლო გარემოცვის წევრებს, არ სურს მათ მომაკვდინებელი დანაშაული – პოლიტიკური მკვლელობა დაუმტკიცოს.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●

facebook



მორიგი ე.წ. ფარული კადრების გავრცელების შემდეგ „მძიმე კაცთან“ წამყვანი დავით კოვზირიძე „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

**დავით კოვზირიძე**

ამ თემაზე აღარ ვაპირებდი რეაგირებას, მაგრამ ისეთი ხმები მომდის, მომიწევს:)

რამდენიმე დღის წინ მოხდა ის, რაც მგონი არცერთი რეჟიმის დროს არსად არ მომხდარა - გავრცელდა ფალსიფიცირებული პორნო-ვიდეო, რომელშიც თითქოსდა მეც ვარ - საქართველოს მოქალაქე და ჟურნალისტი. ეს კადრები რამდენიმე წამს გრძელდება და ისეა დამონტაჟებული, რომ ერთ-ერთი მონაწილე მაქსიმალურად დამემსგავსოს, ვიდეოს ადევს ჩემი გადაცემის ქუდი.

ვინც ეს მოიფიქრა და გააკეთა, იმათზე რამდენიმე ტკბილი სიტყვა ადრეც ვთქვი და აღარ გავმეორდები.

მე მოვითხოვ საქართველოს პრეზიდენტისგან, მთავრობისგან და სამართალდამცავი ორგანიზაციებისგან, სასწრაფოდ გამოიძიონ, ვინ შექმნა და გაავრცელა ეს ვიდეო 21-ე საუკუნეში ევროპულ ოჯახზე მეოცნებე ქვეყანაში. ასევე ვთხოვ დიპლომატიურ კორპუსს, დააკვირდეს მიმდინარე პროცესებს.

აქვე მინდა ამ ვიდეოს შემქმნელებზე ბინძურ „ადამიანებს“ შევეხო - მათ, ვინც დადის და ჭორაობს, თან ისე, რომ ვიდეო არც უნახავს, მათ შორის ჩემს ნაცნობებსაც, ასევე მათ, ვინც ფოტო-კოლაჟებს ქმნის, რაღაც ტექსტებს ადებს, ავრცელებს და ამაზე იცინის. სვავებს, რომლებიც დუჟმორეულები ელოდებიან, როდის დაუგდებენ სისხლიან ხორცს, რომ დაესიონ და დაჯიჯგნონ. მინდა მათ ვუთხრა - მალე ფაქტებით დაგიმტკიცებთ, რომ ეს ვიდეო ყალბია, ამ ფაქტებს დაგიყრით, დაესიეთ და გაძეხით კიდევ ერთხელ.

ყველაზე დიდი შეურაცხყოფა მე და ჩემს ოჯახს სწორედ თქვენ, ამ საზიზღრობის გამავრცელებლებმა მომაყენეთ, ამიტომ თქვენთვის გასაგებ ენაზე გეტყვით:

შეგეცით თქვენ, თქვენს დედებს, შვილებს, დედმამიშვილებს და ყველას, ვინც გიყვართ.

**ეკა ხოფერია:** კარგი დათო, ვინ უყურებს ან ვის სჯერა! ჩემს ირგვლივ, ნაცნობ/მეგობრებს არც უნახავთ და უკვე ყველა ხვდება, მგონი, რომ მარაზმია

**დავით კოვზირიძე:** თურმე ყველა უყურებს:)

**ეკა ხოფერია:** არ დაიჯერო ეგ ამბავი))) მე მგონი , არის რაღაც მცირე ნაწილი ფბ -ზე და ის მხოლოდ)

**ნანუკა ჟორჟოლიანი:** ჭორების გამავრცელებლები და ასეთი თემებით მოსეირეებიც ბედუკაძეები არიან.



Facebook

ირმა ინაშვილი

ჰოლანდიის რეფერენდუმმა დაშოკა თითქმის ყველა ევროსტრუქტურა. პრაქტიკულად, პანიკაა. ევროსტრუქტურების მაღალჩინოსნები ღიად საუბრობენ ევროკავშირის ჩამოშლის საფრთხეებზე... ნიჰილიზმზე, რაც ევროგაერთიანების მიმართ ევროპის მოსახლეობას შორის იზრდება. ბრიტანეთის კრიზისიც ამ კვირაში მწვავე ფაზაში შედის: დარჩება, თუ გავა. პარალელურად, ნატო საუბრობს რუსეთთან დიალოგის დაწყების აუცილებლობაზე. 20 აპრილიდან დიალოგის ფორმატი იხსნება. ჩვენ ვდგავართ ღია კართან, სადაც მორიგჯერ არ გვიშვებენ! შეცვლილია საქართველოს თავდაცვის მინისტრის მგზნებარე ტონიც: თურმე MAP- ზე არც ვსაუბრობდით... ვარშავის სამიტიც მკაფიოდ პროგნოზირებს, რომ გაფართოების პოლიტიკა არ იგეგმება!!! სადაა ქართული პოლიტიკური ექსპერტიზა?! სადაა ანალიტიკა?! სადაა რეალური ხედვა და შეფასებები, როგორ აისახება საქართველოზე ევროპულ სივრცეში მიმდინარე პროცესები?! ჩვენ ხომ ევროპა ვართ, სადაც რომ ჩაფრინდე, პირდაპირი ავიარეისებიც არ გვაქვს, რამდენიმე ქვეყანას უნდა დაარტყა წრე და ისე მოხვდე ბრიუსელში. სადაა და აქაა, საქართველოში!!! მაგრამ ანალიზის ნაცვლად, დაკავებულია იმით, როგორ დაჰყოს პოლიტიკური სპექტრი პრორუსებად და პროამერიკელებად, თუ პროევროპელებად! მე მიმაჩნია, რომ ეს პრაქტიკა არის გოიმობა! ეს ტენდენცია არის კომპლექსის, ფობიის გამოხატულება! ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ შიშისგან, რომ ვიღაცა... (მართლა, აგენტი) რაღაცა იარლიყს მოგვაკერებს და ამით დავზიანდებით! ამიტომ, თურმე, უნდა ვისაუბროთ ფრთხილად და ვიტყუოთ თავიც და ვატყუოთ მოსახლეობაც, რომელიც, სხვათა შორის, არ ტყუვდება!!! სამყარო იცვლება... გარეთ მიდის ეპოქალური ძვრები... ისე არ დაგვემართოს, რომ ყველა... იგივე, მთელი ევროპა, ახალ, ულტრაჩქაროსნულ მატარებელში ავიდეს, ხოლო ჩვენ დავრჩეთ დინოზავრი ქართველი ექსპერტების პრორუსულ- პროამერიკულ- პროევროპული ფორმულების ამარა... ჩვენ უნდა მოვხვდეთ ახალ მატარებელში და არ უნდა ჩავრჩეთ იარლიყების სამყაროში. ამისათვის საჭიროა თამამი, შემოქმედებითი პოლიტიკური აზროვნება და არა ჩაბჟირება, რომ მაინც შედიხარ სადღაც, სადაც არ გიშვებენ!!! ვიმეორებ: ქართულ ინტერესზე და ქართულ იდეაზე, საქართველოს ინტერესზე მაღლა არ დგას არც ერთი გაერთიანება. მე კი, მეჩვენება, რომ ვიღაცა ძალიან ცდილობს ჩვენს დატოვებას აკვიატებული იდეების მძევლობის ქვეშ.

თამაზ ჭეიშვილი: დოქტორი იოჟეფ ჰებელსი: ,,მომეცით მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციების ყველა საშუალება და მე გამოვათაყვანებ მსოფლიოს,,! მასობრივი ინფორმაციები საქართველოში, ,,ექსპერტების,, საშუალებით, ერის გამოთაყვანებას ცდილობენ! ეს ,,რენეგატი - პარაგმატები,, იმ მეძავეებს გვანან, ტუ კარგად შეევაჭრე,შ ეიძლება ჩალის ფასადაც კი ,,დაგაკმაყოფილონ,,!

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●

# რა სკანდალი მოხდა ჯაჯანიძის შოუს ჩაწერაზე, რაც ეთერში არ გავა!

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



ახალგაზრდული ნაციონალისტური ორგანიზაცია „ქართული ძალის“ ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ბურნაძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა ვიდეო, სათაურით: „ქართული ძალის“ პროტესტი ჯაჯანიძის შოუში!“ რომელსაც თან ერთვოდა წარწერა-მოწოდება — „სირცხვილი! ბორდელი! მოკალი შენი ტელევიზორი!“ ვიდეოს ნაწილი შედგება გია ჯაჯანიძის შოუს „სხვა რაკურსის“ სხვადასხვა გადაცემებიდან ამოჭრილი კადრებით, მაგალითად, ერთ-ერთ კადრში გადაცემის სტუმარი წითელთმიანი ახალგაზრდა გოგონა დივანზეა წამოწოლილი, მხოლოდ საცვალი აცვია, მკერდი უჩანს და ამბობს: „ტრაკზე ხელის წამორტყმა ცუდი არ არის ყოველთვის... ცუდი კი არა, სასიამოვნოა...“ ერთ-ერთი სტუმარი გოგონა კი საკუთარ ტრაკზე არსებულ „ტატუს“ ხსნის — კირჩხიბის ნიშანია, 69 რიცხვებითო... ვიდეოს თან ახლავს ვრცელი ტექსტი, რა პროვოკაციას ჰქონია ადგილი გადაცემის ჩაწერაზე, სადაც „ქართული ძალის“ წარმომადგენლები იყვნენ მიწვეული. ბოლოსკენ კი ჩანს, რომ სამხედრო ფორმებში ჩაცმული უნიღბო ახალგაზრდები, საქართველოს დროშით ხელში ყვირიან — „სირცხვილი! ბორდელი! მოკალი შენი ტელევიზორი!“

„ალიამ“ გადაწყვიტა, გაერკვია, კონკრეტულად რა მოხდა გია ჯაჯანიძის შოუს ჩაწერაზე, რომელიც ჯერ არ გასულა ეთერში და ახალგაზრდული ნაციონალისტური ორგანიზაცია „ქართული ძალის“ ხელმძღვანელს, ნიკოლოზ ბურნაძეს ესაუბრა:

— მოკლედ, თავიდან რომ დავიწყოთ: როდის დაგირეკეს ჯაჯანიძის გადაცემიდან? რა თემაზე უნდა მისულიყავით და რატომ მიგიწვიეს?

— ორშაბათს, 11 აპრილს, მომწერა გია ჯაჯანიძის შოუს წარმომადგენელმა. მითხრეს, რომ „ქართული ძალის“ შესახებ უნდოდათ სიუჟეტის ჩაწერა. სამშაბათს „იმედის“ ოფისში მივედით და დაველაპარაკეთ შოუს პროდიუსერს, რომელმაც გვთხოვა, რომ აუცილებლად ნიღბებით შევსულიყავით სტუდიაში და იქ წამყვანი დაგვისვამდა კითხვებს. ბოლო ნახევარი წელია, „ქართული ძალა“ აქტიურად მუშაობს, ჩავატარეთ დემონსტრაციები რუსული მცოცავი ოკუპაციის წინააღმდეგ ზაფხულში, შემდეგ სოხუმის დაცემის დღეს მდუმარე აქციით პატივი მივაგეთ აფხაზეთში დაცემულ გმირებს, აქტიურად ვითხოვთ და ხელმოწერებს ვაგროვებთ გიორგი მაზნიაშვილის ძეგლის დადგმის მოთხოვნით. 3 აპრილს ჩავატარეთ ანტიიმიგრაციული მსვლელობა აღმაშენებლის გამზირზე, სადაც 100-ზე მეტი ახალგაზრდა ნაციონალისტი იყო მოსული. ყოველივე ამის შემდეგ, გია ჯაჯანიძე დაინტერესდა ჩვენი „ფაშისტობით“ და მოინდომა შოუს დადგმა ჩვენით. დაგეგმილი იყო, რომ „ქართული ძალის“ შეძახილებით უნდა შევსულიყავით სტუდიაში, სანახაობა დაგვედგა და მერე „ბატონი“ ჯაჯანიძე გაგვირჩევდა იმას, ვართ თუ არა ეგრეთ წოდებული „თანამედროვე ფაშისტები“?.. სიმართლე გითხრათ, შემოთავაზება როგორც კი მივიღე, დაუფიქრებლად დავთანხმდი, რადგან დიდი ხანია, რაც მინდოდა პირში მეთქვა სიმართლე მათთვის. სიმართლე კი ის არის, რომ ტელევიზიების უმრავლესობა სასირცხვილო ბორდელს დაემსგავსა, საიდანაც მოდის მხოლოდ ტყუილი და ნაგავი. სამწუხარო ის არის, რომ ამ პროვოკაციას ხალხი ყოველღამე ეგება. საკუთარ შვილებს აყურებინებენ, როგორ ხდებიან ცნობილები სრულიად უნიჭო ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ სულიერი და ფიზიკური ბოზობით. „ქართული ძალაც“ მაგიტომ უნდოდათ გამოეყვანათ ვილაც „ბნელი ფაშისტები“, აგრესიული ჩაცმულობით და შეძახილებით ინტელექტუალურ დუელში გია ჯაჯანიძესთან, მაგრამ იმედები გავუცრუეთ და ცოტა სხვანაირი შოუ დავუდგით.

— რას გულისხმობთ?

– გადაღების დღეს გაგვატარეს რეპეტიცია, როგორ შევიდოდით „ქართული ძალის“ შეძახილით სტუდიაში (რაც შესაძლებელია ჩაიწერეს და მხოლოდ ეგ ნაწილი გაუშვან), ხოლო უშუალოდ ჩაწერისას სტუდიაში შესვლისთანავე მოვიხსენით ნიღბები და ის სათქმელი ვუთხარით, რის თქმაც მეც და საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს დიდი ხანია, უნდა, უთხრას ამ ხალხს: „სირცხვილი! ბორდელი! მოკალი შენი ტელევიზორი!“ ინტერვიუს ჩაწერაზეც უარი ვთქვით, რა თქმა უნდა, და მშვიდად დავტოვეთ „იმედის“ ოფისი. თავიდან დაცვის სამსახური არ გვიშვებდა და მობილურების წართმევის მცდელობა ჰქონდათ, რომ ვიდეო არ გამოგვეტანა გარეთ. მობილურის დატოვებაზე მკაცრი უარი ვთქვი და რამდენიმეწუთიანი ლაპარაკის მერე გამოგვიშვეს. ჩვენ შეგვეძლო ჯაჯანიძესთან დავმჯდარიყავით, გაგვეცა პასუხი იმ კითხვებზე, მაგრამ ვიცოდით, რომ მათი მიზანი მხოლოდ სანახაობა იყო და არა ჩვენი საქმიანობის ობიექტური გაშუქება. ამიტომაც ვამჯობინეთ რომ ეს შანსი გამოგვეყენებინა და რიგითი ქართველისთვის გვეთქვა: „მოკალი შენი ტელევიზორი!“ დავიწყეთ კამპანია, რომელსაც საკმაოდ პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა „ქართული ძალის“ ოფიციალურ გვერდზე „ფეისბუკზე“, ან თუნდაც ჯაჯანიძის გვერდზე თუ გადახვალთ, ნახავთ კომენტარებს, როგორ აფასებს ხალხის ამ ყველაფერს. საკმაოდ სერიოზული დარტყმა განიცადა ამ კონკრეტულმა გადაცემამ, ჩვენი დადებული ვიდეოს გაზიარებაც კი მოუწიათ და ორჯერ ახსნა-განმარტების გაკეთება, მაგრამ ნელ-ნელა ხალხი გონზე მოდის და იმედი გვაქვს, რომ, რაც დრო გავა, უფრო და უფრო ნაკლებად მომგებიანი გახდება ტელევიზიებისთვის მსგავსი სამარცხვინო შოუების დადგმა. ეს ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული... დროა, მივხვდეთ, რომ არავინ არ მოვა აქ ჩვენს საშველად და თუ რამე არ მოგვწონს ჩვენ თვითონვე უნდა გავაკეთოთ რამე. არ მოგწონს ჯაჯანიძეს შოუ? მაშინ გამორთე და ნუ უყურებ, შენ მეგობრებსაც ეგ უთხარი და ეცადე, იყო აბსოლუტური შენს სამოქალაქო პროტესტში.













ალნიშნული გადაცემის ჩაწერისა და ზოგადად, თემის ირგვლივ, „სხვა რაკურსის“ „ფეისბუკის“ ოფიციალურ გვერდზე მართლაც ორი სახის განმარტება წერია, რომელთაც აქვე გთავაზობთ:

„მოძრაობა ქართული ძალის“ წევრებმა, რომლებსაც „ფაშისტებს“ ეძახიან, „სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად“ გადაცემის ჩაწერის პროცესში პროვოკაცია განახორციელეს და პროტესტი გამოხატეს ქართულ მედიაზე, ისინი სხვადასხვა ლოზუნგებითა და შეძახილებით შეეცადნენ გადაცემის ჩაწერის პროცესის ჩაშლას. „სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად“, ყოველ ხუთშაბათს, 22 საათზე...

აქ აზრი იყოფა და ბჭობა უსასრულოდ გრძელდება... მა-

**» სკანდალი**

გრამ სხვადასხვა ჯგუფები არაერთ ინტრიგნულ ხერხებს მიმართავენ გადაცემის დახურვასთან დაკავშირებით... „ეს რა მარაზმია“, „სირცხვილია“, „საზოგადოების დაცინვაა“ — რეპლიკები არ სრულდება „სხვა რაკურსის“ გარშემო, თუმცა გადაცემა რეიტინგში პირველობას ინარჩუნებს. ეს ის გადაცემაა, რომელიც ააშკარავებს ქართულ რეალობას და მაყურებელს რეალურ სახეს უხატავს... ეს ჩვენ ვართ, ეს ჩვენი რეალობაა, ეს მოგვწონს, გვაინტერესებს და ვუყურებთ... ჩვენ ვქმნით იმ პროდუქტს, რაც სურს ჩვენს მაყურებელს და ღიად ვსაუბრობთ არსებულ პრობლემებზე! ჩვენთვის პრიორიტეტი ჩვენი მაყურებელია, ჩვენ ვმუშაობთ მხოლოდ თქვენთვის“.

და მეორე განმარტება:

„ჩვენს არაერთ სტუმარს გამოუხატავს აზრი, იმსახურებს თუ არა გადაცემა „სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად“, ტელესივრცეში ეთმობოდეს ეთერი. აღსანიშნავია, რომ თავად გია ჯაჯანიძემაც მოაწერა ხელი პეტიციას გადაცემის დახურვასთან დაკავშირებით. ვიდეორგოლის ავტორებიც რამდენიმე დღის წინ გადაცემაში დავპატიჟეთ, როგორც „მოძრაობა ქართული ძალა“, ამ ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება, გამოეყენებინათ ჩვენი ეთერი და გამოეხატათ მათი დამოკიდებულება გადაცემის მიმართ, თუმცა მათ „დავალება“ ვერ შეასრულეს, სრულიად ბავშვური ფორმით (ფლეშმობი), რაც ყველასთვის სასაცილო და არასერიოზული აღმოჩნდა. საზოგადოების იმ ნაწილის საყურადღებოდ, ვინც ჯერ კიდევ ვერ მიხვდა, რას ემსახურება „სხვა რაკურსი“: გადაცემის მიზანი მხოლოდ „ტრაკებზე“, „ბოზებზე“ და „გეებზე“ არ არის ორიენტირებული. ჩვენ ვაშუქებთ ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებს. ამიტომ ფაქტი ის არის, რომ გადაცემა ყურებადი და რეიტინგულია. „მოძრაობა ქართული ძალა“ თუ კიდევ დაინტერესდება მსგავსი ფლეშმობით, შეგიძლიათ, წინასწარ შეგვატყობინოთ, რომ ასეთი სასაცილო და გაუთვალისწინებელი აღარ გამოგვივიდეთ, ვინაიდან პ.ს. შეგახსენებთ, ჩვენი გადაცემა პირდაპირ ეთერში არ გადის. გისურვებთ წარმატებებს“.

სამართალი

# რა ხდებოდა „ალიასა“ და არქიმანდრიტ სერაფიმეს სასამართლო პროცესზე?

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50



**ჩემი შეგნებული ცხოვრება ისე გავიარე, რომ სასამართლოს სცენებს მხოლოდ თეატრებსა და ფილმებში ვუყურებდი, მაგრამ ამ სცენებმა ერთი კონკრეტული სასამართლო დავის შემდეგ ჩემს რეალურ ცხოვრებაში გადმოინაცვლა, ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ აღარც „კვირის ქრონიკა“ არსებობს (ის დღეს „ყოველკვირეული ალიას“ სახელით გამოდის) და აღარც მე ვარ ამ რედაქციის წევრი, ამ შუა მარხვაში, 2 წლის წინანდელი ამბავი უნდა შეგახსენოთ: 2014 წელს „ქრონიკაში“ დაიბეჭდა სტატია, სადაც სვეტიცხოვლის ტაძრის გიდი — ციცინო ზივზივაძე არქიმანდრიტ მამა სერაფიმეს უჩიოდა. სტატიის დაბეჭდვის შემდეგ კი არქიმანდრიტმა ზივზივაძის ნაცვლად გაზეთს უჩივლა, — წერილი რატომ დაიწერაო. საქალაქო სასამართლოში პროცესი 2 წლის მანძილზე მიმდინარეობდა და საბოლოოდ, მხარეთა შორის მორიგებამ შემდეგი ხასიათი მიიღო:**

(სტილი დაცულია)

ერთის მხრივ მოსარჩელე ევგენი ჭედია (არქიმანდრიტი სერაფიმე),

წარმომადგენლის – იამზე მარიამიძის სახით, და მეორეს მხრივ მოპასუხეები: ციცინო ზივზივაძე, წარმომადგენელი – გელა ნიკოლაიშვილი და შპს „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“, წარმომადგენლის – თამარ ოქრუაშვილის სახით, ვთანხმდებით შემდეგზე: მოპასუხე ციცინო ზივზივაძე აცხადებს, რომ მის საგაზეთო ინტერვიუში (გაზეთი „კვირის ქრონიკა“, 2014 წლის 23-29 ივნისი, №25) აღნიშნული და მოსარჩელის მიერ სადაოდ გამხდარი გარემოებები არ ყოფილა კატეგორიული მტკიცების ხასიათის და იგი მათ ასეთად მხოლოდ აღიქვამდა. იგი ხაზს უსვამს ასევე იმ გარემოებას, რომ მამა სერაფიმეს (მოსარჩელე ევგენი ჭედია) მხრიდან მის მიმართ თანხის მოთხოვნას და წინასწარ გამიზნულ შევიწროვებას ადგილი არ ჰქონია და მიიჩნევს, რომ მან ასეთი დასკვნა მამა სერაფიმეს საუბრის შესაძლო არასწორი აღქმის შედეგად გააკეთა. მას არ ჰქონია მოსარჩელისათვის პატივისა და ღირსების შელახვის განზრახვა.

მოპასუხე შპს „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ აცხადებს, რომ ციცინო ზივზივაძესთან და ნანა სულავას გაზეთ „კვირის ქრონიკაში“ და ინტერნეტ გვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუებში მოსარჩელის შესახებ მითითებული ბიოგრაფიული და სხვა დეტალები არ წარმოადგენს არც გამოცემისა და არც თავად ჟურნალისტის პოზიციას. ამ უკანასკნელმა რესპონდენტების სიტყვები მხოლოდ გაზეთის ფურცლებზე გადაიტანა და მას არ ჰქონია მოსარჩელისათვის პატივისა და ღირსების შელახვის განზრახვა.

მოსარჩელე ევგენი ჭედია (არქიმანდრიტი სერაფიმე) იღებს მოპასუხეთა ამგვარ განმარტებებს.

მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მორიგების აქტის ხელმოწერით საქმეზე დავას შეწყვეტენ.

მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მორიგების აქტის საფუძველზე გამოტანილი განჩინება გამოქვეყნდება გაზეთ „კვირის ქრონიკის“ პირველივე ნომერში და განთავსდება გამოცემის ვებ გვერდზე“.





გაზეთისთვის ამ მორიგების აქტში ყველაფერი მისაღები იყო გარდა ბოლო აბზაცისა, სადაც განჩინების გამოქვეყნებაზე იყო საუბარი. 2016 წლის 15 აპრილს, ჩვენ გარდა, სასამართლოზე მოპასუხედ ციცინო ზივზივაძე გამოცხადდა და შეგახსენებთ, ეს იქ ქალბატონია, რომლის ინტერვიუც დავის მიზეზი გახდა. სასამართლოს ასევე ზივზივაძის ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი დაესწრო, ხოლო, რაც შეეხება გაზეთის მხარეს, აქ უკვე საკუთარ თავს ჩვენვე ვიცავდით. თუ რა ხდებოდა სასამართლოზე, ამას რამდენიმე წამში მოგიყვებით, მაგრამ მანამდე გეტყვით, რომ სასამართლოს დაწყებამდე მოსარჩელის ნდობით აღჭურვილ პირს იამზე მარიამიძეს, რომელთანაც ამ ხნის მანძილზე უკვე ახლობლური ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, წინასწარ ვუთხარით, რომ, გაზეთი მორიგების ტექსტს ეთანხმებოდა, მაგრამ განჩინების გამოქვეყნებას არ აპირებს და მან ეს განცხადება სრულიად მშვიდად მიიღო: არ აქვს მნიშვნელობა, შეიძლება, სხვაგან გამოვაქვეყნოთო. მოკლედ, ახლა დარბაზის კარს მივხურავთ და პროცესზე რაც ხდებოდა, ბიბლიაზე ხელის დადებით, დაწვრილებით მოგიყვებით. შეგახსენებთ, სასამართლოს პროცესს მოსამართლე ასმათ კოხრეიძე წარმართავს და ის უცნაური საუბარიც, რაც მორიგების აქტს მოჰყვა, სწორედ მოსამართლისგან წამოვიდა. სასამართლო პროცესის დასაწყისში მორიგების აქტი ხმამაღლა იქნა წაკითხული და, რომ ველოდებოდით, მოსამართლე ხელს ჩამოგვართმევდა და წარმატებას გვისურვებდა, ასე არ მოხდა:

**მოსამართლე ასმათ კოხრეიძე:** მართალია, ჩვენ მორიგებას ვამტკიცებთ, მაგრამ სასამართლოს აინტერესებს, ამის შემდეგ რა ხდება? ქალბატონი ციცინო რაიმე პირობას ხომ არ მოგვცემს, რომ მომავალში დაუფიქრებლად რამეს არ მოიმოქმედებს? ანუ, იმედია, ჯერ დაფიქრდება და, თუ ვინმემ გააბრაზა, სანამ ადვოკატს, ბატონ გელას არ ნახავს, ხომ არ ჯობია თავი შეიკავოს?

**გელა ნიკოლაიშვილი:** ჯერ ის აღვიქვათ, რა წერია მორიგების აქტში: ზივზივაძე აცხადებს, რომ ინტერვიუში ტყუილი არაფერია, მაგრამ მამა სერაფიმეს მისთვის პირდაპირ კი არ მოუთხოვია თანხა, არამედ სასულიერო პირის სიტყვები შესაძლოა, არასწორად აღვიქვიო, ესაა ახსნა. რაც შეეხება მომავალს, მოგეხსენებათ, ადამიანური ურთიერთობები ისე იცვლება, შეიძლება, მამა სერაფიმე და ციცინო ზივზივაძე მომავალში ახლობლები გახდნენ, შეიძლება – კვლავ კონფლიქტი მოხდეს და ამიტომ ზივზივაძე წინასწარ ვერ განსაზღვრავს, რომ სასულიერო პირზე მომავალში არაფერს იტყვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაა.

**მოსამართლე:** ასეთი რამ არ მითქვამს! ვამბობ, რომ მომავალში პირდაპირ ჟურნალისტს კი არ მიაკითხოს, ჯერ ადვოკატს ესაუბროს და, თუ აუცილებლად ჩათვლის, მხოლოდ მაშინ დაუკავშირდეს გაზეთს.

რატომ არ გინდათ განჩინების გამოქვეყნება?

**(აქ უკვე საუბარში მე ვერთვები) — და რატომ უნდა გამოქვეყნდეს?**

**მოსამართლე:** აგიხსნით, როცა მამა სერაფიმემ მომართა სასამართლოს, მას მხოლოდ ზივზივაძესთან ურთიერთობის დარეგულირება არ სურდა, მას გარკვეული უხერხულობის განცდა ჰქონდა, მას რაღაც ეწყინა და სასამართლოს სთხოვა საქმის გარკვევა. მამა სერაფიმეს სურს, საბოლოოდ გაზეთის მკითხველმა წაიკითხოს, რომ ადგილი მცირე დაძაბულობას ჰქონდა და ამან განაპირობა ზივზივაძის მონათხრობი.

**— გაზეთს ამ სტატიის დაწერის დროს არაფერი შეშლია: ამ შემთხვევაში მე, ჟურნალისტმა, ჩემი პროფესიული ვალი მოვიხადე და სანამ ჟურნალისტი ვარ, იგივეს გავაკეთებ — მოვუსმენ ჩემთან მოსულ ადამიანს, კითხვებს დავუსვამ, შემდეგ ფაქტს გადავამოწმებ და ამის შესახებ დავწერ. რა, რაიმე გადაცდომას ჰქონდა ადგილი?**

– და გამოქვეყნებას რა უდგას წინ?

**— ის, რომ გაზეთი არ თვლის საჭიროდ, რადგანაც ეს ამბავი დაასრულა! გაზეთის პოზიცია აბსოლუტურად მართალი იყო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემგან, ჟურნალისტისგან, გადაცდომას ადგილი არ ჰქონია, ერთი სიტყვაც არ ყოფილა ისეთი, რასაც ჩვენს წრეში „პაკაზაწელნი ვისტუპლენიას“ ვუწოდებთ. რა, რამე შემეშალა?**

– ვინ ამბობს ამას?

**— აბა, რატომ უნდა გამოქვეყნდეს? კერძო გაზეთში ადგილი ფული ღირს.**

– ნახეთ, რა ხდება, ჟურნალისტი კმაყოფილია, რომ მხარეებს შორის მორიგება მოხდა, უკან არაფერზე იხევს, რადგანაც თვლის, რომ ამ ამბავში სრულიად ზედმეტია... არ ვიცი, თუკი მამა სერაფიმეს ადვოკატი ამაზე თანახმაა, მაშინ სასამართლო უკან დაიხევს და მორიგებას დაგიმოწმებთ.

**— გაოცებული ვარ: ჩვენს გადაწყვეტილებას არ აპროტესტებს მომჩივანი მხარე, თავად განაცხადეს, სხვაგან გამოვაქვეყნებთო და სასამართლოსთვის რა პრობლემაა?**

– რატომ იჩენთ ასეთ სიხისტეს? რა ევროსასამართლო ხართ, რომ გადაწყვიტეთ და მორჩა? სასამართლოს არ ენდობით? სასამართლო მიმართულია მხარეების მოსარიგებლად!

**— ჰოდა, ორივე მხარე მოვრიგდით უკვე!**

**გელა ნიკოლაიშვილი:** დიახ, ჩვენ უკვე შევთანხმდით კონკრეტულ საკითხზე და თუ სასამართლოს არ შეუძლია, დაამტკიცოს მორიგების აქტი, ამ შემთხვევაში ჩვენ დავას გავაგრძელებთ და იცოდეთ, რომ მოვიგებთ. გისმენდით და რადგანაც ამ საკითხს ასეთი პრინციპული მნიშვნელობა მიეცა, ახლა უკვე ჩვენი პოზიციაცაა, რომ, ეს აქტი არ გამოქვეყნდეს, მიუხედავად იმისა, რომ თავიდან არ ვიყავით ამის წინააღმდეგი. ვიმეორებ, პრინციპულად მოვითხოვთ, არ გამოქვეყნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვაგრძელებთ დავას და დარწმუნებულები ვართ, რომ საქმეს მოვიგებთ! ერთი საათია, ვამბობთ, რომ ორივე მხარე ერთ აზრზე ვართ და დაიხიოს სასამართლომ.

მოსარჩელის ნდობით აღჭურვილ პირი იამზე მარიამიძე უკვე მერამდენედ ადასტურებს, რომ მის მხარეს პრეტენზია არ აქვს და საბოლოოდ, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას, რომ მორიგება იმ სახით დარჩეს, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორი წლის წინათ დაწყებული დავა გაზეთის გამარჯვებით დასრულდა!

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●




**„რესპუბლიკელი“ დავით ზურაბიშვილის აცხადებს, რომ ღარიბაშვილის დროს ძალიან ბევრი ნეგატიური პროცესი დაიწყო, რის გამოც აუცილებელი გახდა კოალიციის რეფორმირების პროცესი. მისი თქმით, სრულიად შავრაზმული პრორუსული ტიპის ძალების მომძლავრება საქართველოში გარკვეულ წილად მოხვდა იმიტომაც, რომ ამ ძალებისთვის ღარიბაშვილი იყო ერთგვარი ცენტრი. „ყველა ის ადამიანი, დაწყებული ლადო სადღობელაშვილიდან დამთავრებული რეზო ამაშუკელით ასეთი ტიპის ადამიანებისთვის ღარიბაშვილი იყო მთავარი ორიენტირი“. ზურაბიშვილს „ფესიბუქში“ ასე ეხმაურებიან.**

ლადო სადღობელაშვილი: შე კგბს სტაჟიანო აგენტო! "დები" ბერძენიშვილების იდეებით შეპყრობილო! ვერ შეასრულეთ სააკაშვილის გეგმა-დავალება არა?- ვერ მიიღეთ მოსახლეობისგან "დავალებული" კოაბიტაცია და გძვრებათ არა პოლიტიკური სული?! ხო და აწი ნახე შე სოროსის მანქურთო რა დღეში მეყოლები! შენ არ იყავი შე უმადურო ბიძინა ივანიშვილს აუგად, რომ მოიხსენიებდი განცხადებებში?! წადი ბიძიკო საბურთალოს მიხედე, აგერ ორი წელია რაც მაჟორიტარი ხარ (სხვათაშორის ბიძინას დამსახურებით) და არაფერი გაგიკეთებია! ბოკერიას და რამიშვილი თუთბერიძეს სულიერი ძმა! ეკლესიის და საქართველოს მტრებო! დიახ ჩვენ „შეგისრულეთ" მთელ რესპუბლიკურ პარტიას და ვერ გადახარშეთ არა?! ჯერ სადხართ - შენ თუ თავზე კალგოტკა არ ჩამოგაცვა კაცი არ ვიყო!!

P.S. ღარიბაშვილი როდიდანააა პრორუსების ორიენტირი გამაგებიე?! ირაკლის პრემიერობის დროს და მისი ძალისხმევით გაფორმდა ასოცირების ხელშეკრულება!!!

ალექსანდრე თამაზაშვილი: ამ ადამიანის სიბრიყვეს საზღვარი არ აქვს:))

ომარ ნიშნიანიძე: დღეს უკვე გავაკეთე კომენტარი საჯაროდ ამ იდიოტიზმზე, ყველაფრის მკადრებელი არ უნდა იყო კაცი და ბოლმიანი, თუმცა არც მიკვირს... ირაკლის ეროვნულობა და კაცობა მისაბაძია და ამის?



პარლამენტარმა გიორგი კანდელაკმა გია ვოლსკის ვრცელი ფეისბუქ-პოსტი მიუძღვა, რასაც „ნაციონალების“ დიდი მხიარულება მოჰყვა.

**გიორგი კანდელაკი**

ბატონ გია ვოლსკის წყენია რომ მე იგი პრორუსულ პოლიტიკოსად მოვიხსენიე. დღეს ლუკა კურტანიძესთან ერთად მოვიდა და პირდაპირ „პრავების კაჩავი“ დამიწყო ჭეშმარიტ ძველბიჭურ სტილში. მე მას განვუმარტე რომ ნამდვილად არ მივიჩნევ პროდასავლურ პოლიტიკოსად და მიმაჩნია რომ არაპროდასავლურობა ავტომატურად პრორუსულობას ნიშნავს (ასე არ ვთვლიო მეო, კიდევ ერთხელ აღიარა). შემდეგ ბატონი ვოლსკი გადავიდა ხელების შლაზე და ჩემთვის იმის ახსნაზე რომ თურმე სანამ მის შესახებ ვისაუბრებ „კარგად უნდა დავფიქრდე“ „წინააღმდეგ შემთხვევაში კი ცხვირში მომხვდება.“

მე მას ვუთხარი რომ ნამდვილად არ ვთვლი პროდასავლურ პოლიტიკოსად და ვიტყვი იმას რასაც ვფიქრობ და ვერც მისი ულირსი მუქარა, ცხადია, ვერ შემაშინებს. კომპარტიის ცეკას ინსტრუქტორების დრო საქართველოში სამუდამოდ დასრულდება წელს ოქტომბერში. საქართველო იქნება დამოუკიდებელი, მდიდარი და წარმატებული ქვეყანა.

**ნიკა გვარამია:** ბატონო?
**გოგი გიგიაშვილი:** გია ვოსკი პრორუსი პოლიტიკოსი კი არა რუსია!!!
**ნიკა გვარამია:** ეთნიკურად რუსი რომაა, ეგ მის პოლიტიკურ ორიენტაციასთან რა კავშირშია?
**თამარა ჩერგოლეიშვილი:** ნეტა თვითონ ხვდება რეალურად რა გვგონია?
**თორნიკე შარაშენიძე:** რა გინდა, პრორუსულობა ჯერ კიდევ უტყდებათ.
**გიორგი ბარამიძე:** სამარცხვინო ამბავია. პარლამენტი ქუჩის, ძველბიჭური გარჩევების ადგილი არაა. ერთია, რომ ამას კადრულობენ, მაგრამ ივანიშვილის ბანდის წევრები ამასაც კი ვერ ხვდებიან, რომ ასეთი საქციელით ვერაფერს მოიგებენ.

• Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები •

# „მოწევაზე ჯარიმებიღა გვაკლდა ახლა, ჯერ იყო და, გააძვირეს, ახლა ეს...“

**„ადამიანები სტრესულ ვითარებაში ცხოვრობენ ბოლო ათწლეულებია, ხომ მართალია. არა მგონია, ახლა ამ პრობლემისთვის გვცხელოდეს, ქვეყანაში სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებია გადაუჭრელი“**

ლაურა აბრამია
591 97-67-09



**ამ დღეებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საზოგადოების თავშეყრის ადგილებში თამბაქოს მოწევაზე ახალი რეგულაციები ამოქმედდება, ამ რეგულაციების მიხედვით, მოქალაქე, რომელიც მოწევს ისეთ ადგილებში, სადაც ეს აკრძალული იქნება, დაჯარიმდება. კანონი ამის შესახებ კარგა ხანია არსებობს, მაგრამ კონტროლის მექანიზმები ჯერ არაა განსაზღვრული, ახალი რეგულაციები ასამდე ქვესაკითხის დაზუსტებას გულისხმობს, თამბაქოს კონტროლის ალიანსის წარმომადგენლობა საქართველოში დიდი ხანია, ამის დამკვიდრებას ითხოვს.**

**კახა ღვინიანიძე, ზემოხსენებული ალიანსის ერთ-ერთი წევრი:**

– იმ კატასტროფული სიტუაციების გამოსასწორებლად, რომელიც დღეისთვის საზოგადოებრივ შენობებშია, თამბაქოს კვამლის რაოდენობის მხრივ, აუცილებელია შენობებში მოწევის სრული აკრძალვა, ჩვენ დიდი ხანია ველოდებით ამ კანონმდებლობის შექმნას საქართველოში და, აგრეთვე, მისი აღსრულების მექანიზმების გაძლიერებას, ამიტომ ჩვენი ორგანიზაციების გაერთიანება ამას დიდი ყურადღებით აკვირდება და იმედი გვაქვს, რომ ის მიიღებს სრული აკრძალვის სახეს... თამბაქოს მოხმარება იწვევს გულის დაავადებებს, აორტის ანევრიზმის გახეთქვას, ფილტვების ქრონიკულ ობსტრუქციულ დაავადებებს, კატარაქტას, პნევმონიას და სასუნთქი გზების ინფექციებს. ასევე ფილტვის, საყლაპავი მილის, კუჭის, ხორხის, პირის ღრუს, თირკმლის, ყელის, შარდის ბუშტის, პანკრეასის, პროსტატისა და საშვილოსნოს სიმსივნეებს.

საქართველოს დაავადებათა კონტროლის ხელმძღვანელობა, უკვე წლებია, ხაზს უსვამს, რომ საქართველო ევროპაში არის იმ ქვეყანათაგანი, სადაც თამბაქოს მოხმარება მეტად გავრცელებულია. საქართველოს მოსახლეობის 30% მოიხმარს სიგარეტს. მწეველი მამაკაცების პროცენტული რაოდენობაა 55, ხოლო მწეველი ქალების (სხვადასხვა კვლევების თანახმად) 18-21%. მოზარდების 16-17% ეწევა.

ყოველწლიურად საქართველოში 11 000 ადამიანი იღუპება თამბაქოს მიერ გამოწვეული ზიანით, რაც არის საერთო სიკვდილიანობის 20-22%. ამ 11 000 ადამიანიდან 8 000 არის აქტიური მწეველი, ხოლო 3 000 პასიური.

რას ფიქრობს ამ რეგულაციების ამოქმედებაზე თბილისის მოსახლეობა? „ალიამ“ ამის დასადგენად ქუჩები ჩამოიარა.

საკმაოდ გლამურული შუახნის ქალბატონი ჩქარი ნაბიჯებით და ანთებული სიგარეტით რომ მოდიოდა ამრეზით შეხვდა, ჩემს კითხვას, – სხვა საქმე არა გაქვთ ხო? – მომაძახა, – მინდა და ვეწევი, მოვიდეს ვინმე და ამიკრძალოსო, თან არ გაჩერებულა, სანამ გამაგონებდა, აგრძელებდა, – იცით, რა? ნეტა სხვა ყველაფერი დალაგებული იყოს ამ ქვეყანაშიო.





**ერეკლე, 26 წლის:**

– მე არ ვეწევი, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, დისკომფორტს მიქმნის ისეთ ადგილებში, სადაც დახურული სივრცეა, ისედაც უჰაერობაა და სიგარეტის სუნი უფრო ამძიმებს ჰაერს... ვფიქრობ, უნდა აიკრძალოს ასეთ ადგილებში სიგარეტის მოწევა.

**დათო, 49 წლის:**

– მთელი ცხოვრება ვეწეოდი, დაახლოებით ორი თვეა, მცდელობა მაქვს, გადავაგდო სიგარეტი, სხვათა შორის, ეს გაძვირებამ განაპირობა... მინდა გითხრათ, რომ არც სამსახურში, არც სახლში ოთახში არასდროს მომიწევია, აი, ქეიფის დროს რესტორანში და რამე თავს ვერ დავდებ. მართალია, ასეთ ადგილებში ჩვენი მენტალობის ხალხს ამასთან შეგუება გაუჭირდება, ალბათ, ბევრი წინააღმდეგობაც იქნება, მაგრამ ნამდვილად საჭიროა რაღაცა რეგულაციები და მივესალმები.

**მიშა, ტაქსის მძღოლი, 62 წლის:**

– ვეწევი რომელია, აბა, რა ვქნა, ადვილი კი არაა, არ ვიცი, გენაცვალე, თუ სხვებისთვის აიკრძალება, კაი, ფოეფოე ადგილებში მე არც დავდივარ და თუ მოვხვდი, კაი ჰა, არ მოვწევ, ეხლა ამის ჯარიმები მახდევინონ კიდევ, ისედაც ყელამდეა ამათი ჯარიმები, რაღაც მეეჭვება, ჩვენი ხალხი ამას დადებითად შეხვდეს. აგე, გენაცვალე, ბოდიში და საჯდომი დადებული არ აქვთ მანქანაში და მეკითხებიან, მოწევა შეიძლებაო? და პასუხი არც მაქვს გაცემული, ხელში უჭირავთ სიგარეტი. თქვენადა, ხომ არ იცით, ტაქსებშიც აიკრძალება მოწევა (დადებითი პასუხის მოსმენის მერე მოჭუტული თვალებით მეკითხება)? მე კაი, ჩუმად მოვწევ, რა გამაძლებინებს, მაგრამ მგზავრებს თამამად ვეტყვი, – უი დაგაჯარიმებენ-მეთქი და დავისვენეეებ...

**„კულტურაა ელემენტარული, შენი მწეველობით სხვა ადამიანს არ შეუქმნა დისკომფორტი“**

**ჯონი, 72 წლის:**

– უნდა აკრძალონ, მით უმეტეს, მწეველი არ ვარ. თავისთავად მე მაწუხებს, კარგი იქნება, რატომაც არა? მე გეტყვით, ამ ხნის კაცი ვარ, ეს მოწევა ჩემს ახალგაზრდობაში იყო ახალი ხილი და მოდა. ახალგაზრდების გასაგონად ვიტყვი, რომ ახლა საზღვარგარეთ მოწევა გოიმობად ითვლება, ასე გამიგია ყოველ შემთხვევაში. იქნებ გაითვალისწინონ ეს, ჯანსაღი ცხოვრების წესით იცხოვრონ.

**ოთარი, 37 წლის:**

– ალბათ, სპეციალური ადგილები უნდა დააწესონ, ეს დიდი ხნის წინ უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ არა მგონია, ეს ჩვენი ხალხისთვის მისაღები იყოს ამ ეტაპზე, ამ ფონზე.

– რას გულისხმობთ?

– ადამიანები სტრესულ ვითარებაში ცხოვრობენ ბოლო ათწლეულებია, ხომ მართალია, არა მგონია, ახლა ამ პრობლემისთვის გვცხელოდეს, ქვეყანაში სხვა მნიშვნელოვანი პრობლემებია გადაუჭრელი, არ ვიცი, აბა, რა გითხრათ. ჯარიმები დაწესდებაო, ეს ცოტა არ მოეწონება ჩვენს ხალხს, მაგრამ ცუდი ნამდვილად არ იქნება, რომ შეიკავებდნენ თავს კონკრეტულ ადგილებში მოწევისგან.

**თამაზი, 51 წლის:**

– არანაირი აზრი არ მაქვს, კარგით, ასე გეტყვით, საქართველო არ არის ისეთი განვითარებული ჯერ. მსგავსი რეგულაციები შეიძლება შემოიღონ ადრე თუ გვიან, რაც შეეხება იმას, არის თუ არა ხალხი ამისთვის მზად, ასე თუ მივუდგებით საკითხს, გეტყვით, რომ ჩვენი ხალხი არასდროს მზად არ იქნება. ვფიქრობ, არც საზღვარგარეთის ქვეყნებში არ იყო ხალხი მზად, მაგრამ მიეჩვივნენ, ასე ეტაპობრივად მოიკიდებს ჩვენშიც ეს კულტურა ფეხს. დიახ, კულტურაა ელემენტარული, შენი მწეველობით სხვა ადამიანს არ შეუქმნა დისკომფორტი. მე დაახლოებით 5 წელია, რაც არ ვეწევი. აზრი ექნება ამ აკრძალვებს, არამწეველი ადამიანების ჯანმრთელობას რომ არ ავნოს სხვამ.

**ზურა, 34 წლის:**

– ქუჩაში მოწევა აიკრძალება? გააჩნია, ქუჩაში სად მოწევ, თუ ურნაა, ან სპეციალური ადგილი, სადაც შეიძლება, რა ვიცი.

– თუ ეს რეგულაციები ძალაში შევა, ბატონო ზურა, საუბარი იმაზეცაა, რომ ასე ანთებული სიგარეტით ხელში, როგორც ახლა აქ მესაუბრებით, შეიძლება დაჯარიმდეთ...

– მოწევაზე ჯარიმებიღა გვაკლდა ახლა, ჯერ იყო და, გააძვირეს, ახლა ეს... რა ვიცი, შეიძლება კარგიც იყოს და ბევრმა თავი დაანებოს ამ მავნე ჩვევას, მათ შორის მეც...

**ქ-ნი ციცი, 56 წლის:**

– გადასარევი იქნება, მე თუ მკითხავთ, მეც ვეწეოდი, ამერიკაში სანამ არ მოვხვდი, იქ ყველგან ვერ მოწევ და საერთოდაც, ცხრა კვარტალი უნდა გაიარო, რომ ადგილი იპოვო, სადაც მოწევა შეიძლება, მერე იქ უკვე სხვანაირად უყურებენ მოწევას, არაა მაინცდამაინც დიდი კულტურა, მე ასე დავაკვირდი, ჰოდა, მივესალმები, დიდი ხნის წინ უნდა გაკეთებულიყო ეს, ანუ დაწესებულიყო სპეციალური ადგილები. წარმოიდგინეთ, რესტორნები როგორი გადავსებულია ჩვენთან და სუფრასთან ყოველი მეორე ეწევა, თავი არ აგტკიებიათ ასეთ დროს? უდიდესი დისკომფორტია, ხომ მართალია? ასე რომ, შემოიღონ, მივესალმები.

# საქართველოში აშშ-ს ელჩთან ხუმრობა 7-20 წლამდე ჯდება?!

## ვინ არის სულხან წულაძე, მეტსახელად „სპლიყვი“

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



**11 აპრილს, ინტერნეტ ფორუმის მომხმარებელმა სულხან წულაძემ (სპლიყვი), „თბილისის ფორუმზე“ გახსნა „სახუმარო თემა“, სადაც თითქოს, ის ამზადებდა თავდასხმას ამერიკის საელჩოზე საქართველოში და კერძოდ, ელჩზე. სულხან წულაძე სამართალდამცავებმა დააკავეს. ჩატარდა მისი საცხოვრებელი სახლისა და სამუშაო ადგილის ჩხრეკა, პერსონალური კომპიუტერების, მობილური ტელეფონების, ელექტრონული მეხსიერების მატარებლების, პერსონალური მონაცემების დამუშავება და 14 აპრილს პროკურატურამ წარუდგინა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, რაც საერთაშორისო დაცვით მოსარგებლე პირზე თავდასხმას გულისხმობს და ითვალისწინებს 7-დან 20 წლამდე პატიმრობას. 15 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ სულხან წულაძეს აღმკვეთი ღონისძიების სახით ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. ამის შემდეგ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ გაავრცელა განცხადება, სადაც ამერიკელები მადლობას უხდიან ქართველ სამართალდამცავებს, რომ მათ იხსნეს ელჩი იან კელი. ახლა კი ამტკიცებენ დაკავებულის ოჯახის წევრები, ეს ყველაფერი ხუმრობა იყოო, მაგრამ უკვე გვიანია. ამერიკელები ასეთ ხუმრობებზე აცრილები არიან. საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი, ვალერი ხაბურძანია „ალიასთან“ საუბარში ამბობს, რომ ეს დაკავება მოხდებოდა აშშ-ის საელჩოში ერთ-ერთი ბრიყვი რეზიდენტის დაჟინებული მოთხოვნით. ამის შემდეგ საელჩოს გაეზრდება ასიგნებები უსაფრთხოებისთვის და თვითონ რეზიდენტი მიიღებს პრემიას:**

– ჩემი ვარაუდის დასადასტურებლად 2003 წლის შემთხვევას გავიხსენებ, როდესაც თედო ჯაფარიძის მეშვეობით, კატეგორიულად მომთხოვეს, პასუხისგებაში მიმეცა 70 წლის კაცი, რომელმაც მცირე, ე.წ. მარტენის ღუმელი მიჰყიდა ირანელს. მოთხოვნა იმდენად კატეგორიული იყო, იძულებული გავხდი, საქმე აღგვეძრა, ვიცოდი იმ მოხუცს პირობითს მისცემდნენ და ამით ბიოგრაფია დიდად არ გაუფუჭდებოდა.

— **ბატონო ვალერი, გარდა პრემიებისა და ამერიკელების სიფრთხილისა თუ შიშისა, ხომ არ გვაქვს საქმე საზოგადოების დაშინებასთან, რომ ამიერიდან მსგავსი ხუმრობა არავინ გაბედოს?**

– რა თქმა უნდა, ეს ემსახურება შიშის დანერგვასაც. მაგალითად, ამერიკელებს შეუძლიათ, ცრემლები აღვარღვარონ „შარლ ებდოს“ გამო, თურმე მათ აქვთ გამოხატვის თავისუფლება და ამავე დროს არ აქვს ადამიანს ხუმრობის საშუალება. როდესაც ასეთი ფაქტი აშკარა ხუმრობაა, რა საჭიროა სერიოზული მიდგომა? ამ კაცმა სარკასტულად დახატა ის სიტუაცია, რაც არის დაკავშირებული ამერიკელებთან. სხვათა შორის, ამერიკელებს უყვართ ბევრი რამის გაზვიადება და ხშირად იღებენ უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს, რაც ბოლოს მიდის სისულელემდე. რასაკვირველია, უსაფრთხოების გამკაცრება ვერ მოიტანს შედეგს, თუ არ ებრძოლე იმ მიზეზს, რასაც ჰქვია ტერორიზმის შექმნა. ის, რომ ტერორიზმის თვალსაზრისით ბევრი რამე ამერიკელების ხელით იქმნება, ეს არის ფაქტი მთელ მსოფლიოში.

— **დავიჯერო, ამერიკელები დღეს სოციალურ ქსელებს ისე გვიკონტროლებენ, რომ თითოეულ ფრაზას იჭერენ?**

– არა, მაგათ წარმოდგენა არ აქვთ, რა ხდება ჩვენთან, ეს ვიღაცამ აუტვირთა ამერიკელებს საიტზე და მისწერა, ნახეთ, თქვენზე თავდასხმა იგეგმებაო. საელჩომ ეს ყველაფერი გაუგზავნა პროკურატურას, რომელმაც „პატიოსნად“ შეასრულა მითითება. ნეტა ჩვენი პროკურატურა ასე ოპერატიულად სხვა საქმეებს ხსნიდეს. ახლა „ნაციონალურ“ წრეებში მიდის მოწოდებები: აი, დიახაც, უნდა დაეჭირათ, როგორ გაბედა ჩვენი ერთადერთი მოკავშირის წინააღმდეგ ასეთი რამ? ამერიკელებს ჩვენზე ზრუნვით დღე და ღამე არ სძინავთ, შენ კიდევ ტერაქტით ემუქრები?! თუ დღეს ვიღაცამ აუტვირთა ამერიკელებს და რეზიდენტმა თავი გაიგიჟა, ჩემი მინისტრობის დროს პირდაპირ სისტემაში მყავდნენ ასეთები, რომლებსაც ამბები მიჰქონდათ საელჩოში. იმ 70 წლის კაცს, რომელიც მე ვახსენე, პირობითი მისცეს, როგორც მახსოვს, ვაგონშემკეთებელ ქარხანაში მუშაობდა, ღუმელი გაყიდა 5 ათას დოლარად.

— **ამერიკელებს ჩვენი ღუმელი რაში აინტერესებდათ?**

– მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს იყო ჩათვლის ვარიანტი, უნდა წარმოეჩინათ, რომ მუშაობდნენ. ეს ღუმელი ორმაგი დანიშნულების პროდუქციააო, ირანელები ატომური იარაღის შექმნაზე მუშაობენ და იქ გამოიყენებენ, თავიანთ სამხედრო პოტენციალს წინ წასწევენო.

— **მაგ 70 წლის კაცის დაკავების გარდა, კიდევ რას აკეთებდნენ? ალბათ, ეგ არ იქნებოდა ერთადერთი შემთხვევა.**

– მაგალითად, მე ამერიკელებთან კონტაქტის პერიოდში, სისულელეების გარდა, არაფერი მინახავს. ერთი პერიოდი ჩაციკლულები იყვნენ მოსმენებზე, მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ: თბილისის ერთ-ერთ რაიონში, „ასანში“ ერთი ტერორისტი ხვდება მეორე ტერორისტს, აქ თუ შეგვიძლია რამე ღონისძიება ჩავატაროთო? ვეუბნები, ჩვენთან „ასანი“ არ არსებობს, გვაქვს რაიონი „ისანი“, თქვენ საიდან მოიტანეთ ეს ინფორმაცია? აი, ჩვენ გამოგვიგზავნეს დაშიფრული სატელეფონო საუბარი. შეიძლება, ეს სატელეფონო საუბარი ჩვენს სპეციალისტებს მოვასმენინოთ? თქვენ ადგილების დასახელებასაც კი ვერ იგებთ-მეთქი. არა, ჩვენ ამას ვერ მოგასმენინებთ!

— **მერე რა მოხდა, „ასანში“ ჩაატარეს სპეცოპერაცია?**

– არა, არაფერი არ ჩაუტარებიათ... მივხვდი, რომ ამერიკელებს აძლევდნენ ყალბ ჩანაწერებს, თითქოს აგენტურისგან მოდიოდა ინფორმაციები და ფულს ცინცლავდნენ. როდესაც უშიშროებაში მივედი, 30 ათასი დოლარი ჰქონდათ აღებული ვიღაცებს ვითომ ღონისძიებაში და უგზავნიდნენ ამგვარ ინფორმაციებში. თვითონ რეზიდენტიც თავს „იტყუებდა“, მოტეხილი ფულიდან წილში გადიოდა. იყო ერთი ასეთი შემთხვევა – გვჭირდებოდა ერთ-ერთი ტერორისტისთვის თვალ-ყურის დევნება, 2002 წლიდან ამერიკელებს საამისო ტექნიკური საშუალებები ჰქონდათ და ვუთხარით, „ჯიპიესის“ მიმღებით დაგვეხმარეთო. ასეთი მიმღები დღეს ყველას გვაქვს ტელეფონის სახით. ჩამოიტანეს აპარატი 4 თვის მერე, რომელიც იყო დაახლოებით 30 სანტიმეტრი თავის ანტენიანად. ეს ტერორისტების „ნივისთვის“ უნდა აგვეკრა ქვემოდან და ამის შემდეგ ადევნებდნენ თვალ-ყურს. „ნივა“ მაღალი მანქანაა, აპარატი – ადამისა და ევას დროინდელი. მე ვუთხარი, სანამ ამას კაცი „ნივას“ააკრავს, ხომ მოაჭრიან თავს-მეთქი? პატარა აპარატებიც ჰქონდათ ამერიკელებს, მაგრამ იმას ჩვენ არ გვაძლევდნენ, გვიგზავნიდნენ ჩამოწერილს, გადაგდებულს და ვადაგასულს. დღეს უკვე აღარ არის სახელმწიფო საიდუმლოება და ერთსაც გეტყვით: ჩვენ იმ პერიოდში მოსასმენი აპარატურა არ გვქონდა, ტელეფონებს ვერ ვუსმენდით და ამერიკელებს ვთხოვეთ... სხვათა შორის, მაგ მხრივ მაშინ რუსებიც დაგვეხმარნენ და ეს რომ ამერიკელებმა დაინახეს, მოგვცეს აპარატურა. მანქანა, რომელშიც ეს აპარატურა განათავსეს, იყო სტაფილოსფერი ჯიპი და როცა პანკისის ხეობაში შევდიოდით, უკვე ყველამ იცოდა, რაც ხდებოდა, არიქა, მოდის უშიშროების მანქანაო. ვეუბნებოდი, რომ იქ საჭირო იყო შეუმჩნევლად სიარული, არ გვიჯერებდნენ, თავები ყველაზე ჭკვიანები ეგონათ და აკეთებდნენ ასეთ სისულელეებს. იმ პერიოდში ერთ ტერორისტს ვეძებდით, სახელად ალოაკი, რომელიც მესამე იყო „ალ-ქაიდას“ სიაში. საკმაოდ დიდი სამუშაო გავწიეთ, მაგრამ ვერ მოვიხელთეთ. ამერიკელებმა ჩამოგვიყვანეს სპეციალისტი, თქვენ ცუდად მუშაობთ, ეს მაგარია, ავღანეთშიც იყო, ვიეტნამშიც და ჭკუას დაგარიგებთო. ეს კაცი სპეციალური ჯგუფის მეშვეობით ხეობაში დილით შემყავდა, საღამოს გამომყავდა... დაახლოებით ერთ თვემდე ვატარეთ, შედის, გამოდის, შედის, გამოდის, შედეგი არ ჩანს. მერე ირაკლი ალასანიას ვუთხარი, ერთი გავარკვიოთ, ეს კაცი რას აკეთებს, ბოლო-ბოლო, როდემდე უნდა ვატაროთ-მეთქი? ჩავედით მე და ირაკლი, გამოვაყვანინე ხეობიდან და მეუბნება, ჯერ ვმუშაობ, შედეგი არ მაქვსო. იქვე სუფრა გავაშლევინე ბიჭებს, მოვატანინე ღვინო. თავიდან დაიწყო, მე არ ვსვამო. მე ვუთხარი,

ხუმრობაზე ჯერილები

როგორ, შენი მშობლები უნდა ვადღეგრძელო, არ დალევ-მეთქი? გაუკვირდა, ჩემს მშობლებს საიდან იცნობთო? ერთი ჭიქა დავალევინეთ, მერე დედმამიშვილები დავულოცეთ, ამაზე მთლად გადაირია. მესამე ჭიქა რომ დალია, მეუბნება, მე უკვე მაქვს გეგმა, როგორ უნდა დავიჭიროთ ტერორისტიო. გამიხარდა, ყოჩაღ, ამას გეგმა ჰქონია-მეთქი. სასწრაფოდ დავხურე სუფრა და მოვემზადეთ ჩასანიშნად, ჩასაწერად, რა უნდა გავაკეთოთ. ესე იგი, მე მაქვს ასეთი გეგმაო, თბილისში რომ ჩამოვედი და აეროპორტიდან მოვდიოდი, ვიღაცები იდგნენ და ამოწმებდნენ ყოველ მანქანასო, ჩვენც შეგვამოწმესო, მეც ვფიქრობ, აქაც მოვაწყოთ ასეთივე რეიდიო. ალბათ, რომელიმე მანქანაში იქნება ტერორისტი და დავიჭერთო. კარგად მახსოვს ირაკლი ალასანიას სახე, რომელსაც ეწერა: ვაი, ამის პატრონს! პანკისის ხეობაში, დუისის ზემოთ კომუნისტების დროსაც კი „გაის“ მანქანა არ მდგარა, მთები იწყება. როცა ვუთხარი, ეს სისულელეა-მეთქი, იმ მზვერავსაც და რეზიდენტსაც ეწყინათ.

— **ბოლოს როგორ დამთავრდა მზვერავის ამბავი, წაიყვანეს ამერიკელებმა?**

– წაიყვანეს და ის ტერორისტიც მერე აზერბაიჯანელებმა დაიჭირეს. აი, ასეთი მიდგომებით მოქმედებენ ამერიკელები, არც შენ გენდობიან, ამ დროს ადგილობრივ სიტუაციას არ იცნობენ და ჩვენ გვიყურებენ, როგორც მეორეხარისხოვან ადამიანებს. ახლა ამ ბიჭს რა მუხლითაც ასამართლებენ, 7-დან 20 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს, საბოლოოდ, ალბათ, პირობითს მისცემენ, რაღაცას მოიფიქრებენ, თუ ჭკუა აქვთ, მაგრამ თუ უფრო მეტ გონიერებას გამოიჩენენ, საერთოდ უნდა გაათავისუფლონ. პრინციპში, სადაც პრემიერ-მინისტრი ღარიბაშვილი ამერიკის ელჩმა მოახსნევინა ივანიშვილს, ეს რატომღა გვიკვირს?








## Facebook ამბები



ცოტნე გამსახურდია 13 აპრილს ერთ ერთ რუსულ საიტზე გავრცელებულ ინფორმაციას „ფეისბუქზე“ ეხმაურება.

**ცოტნე გამსახურდია**

გილოცავთ, ძვირფასო ევროფილებო, აღსრულდა! 17 აპრილიდან ევროკავშირში უვიზო მიმოსვლა ექნებათ... რუსეთის მოქალაქეებს! იქნებ გამახსენოთ სამთავრობოებმა თუ არასამთავრობოებმა, რა რეკომენდაციები და ნორმები აღასრულა რუსეთის სახელმწიფომ?

თუ ასე გაგრძელდა, მაგათ ნატოშიც მალე მიიღებენ! ჩვენამდე, ყოველ შემთხვევაში

**შორენა თეთრაული:** სხვათაშორის ცოტნე, ჯერ კიდევ გიჟის დროს და დღესაც, როდესაც ყვიარიან რუსეთზე და რუსული ენის შეასწავლა არ შესწავლაზე და ისიც ამერიკას იშველიებენ,იციან კი რომ აქ მაღალ კლასებში ისწავლება ეს ამერიკისთვის „საძულველი„ ქვეყნის ენა?! ან იციან კი რა ბიზნესები აქვთ და საერთოდ როგორ არიან აქ?!

**ვალერი კვარაცხელია:** და სხვათაშორის, ამერიკის დაარსებამდე სძულდათ რუსეთი როგორც იმპერია, მის აღმოსავლელ თუ დასავლელ სლავ ნათესავებს, ბალტიელებს და მოწინავე და პროგრესულად განწყობილ ძალებს მთელს მსოფლიოში.. ნუ, ახლა თურქებსაც რომ არ ეხატებოდათ რუსები გულზე, ეს უკვე სხვაა, მეტნაკლებად რეაქციონერი ძალების„ მტაცებლების დავა იყო

## facebook



გიორგი კვირიკაშვილის პრესკონფერენციის შემდეგ „კავკასიის“ დირექტორი ნინო ჯანგირაშვილი „ფეისბუქზე“ წერა:

ნინო ჯანგირაშვილი

როგორ ვერ ვამჩნევ ცვლილებებს კაცო, ბრმა კი არ ვარ. თუ ადრე ყველა ღირშესანიშნავი ღონისძიება 21:00 იწყებოდა, ახლა 20:30 ზე იწყება.

**ნიკა გვარამია:** შენ ხარ პელე ჩემ თვალში. საზმაუზე გადავრთავ, როგორც კი შეფად დაინიშნები

**ნინო ჯანგირაშვილი:** შენი აზრით კომპლიმენტს რომ მეუბნები საზმაუს საინფორმაციოს შეფად დანიშვნით, აი მაგაზე ვკვდები სიცილით.

**ნიკა გვარამია:** აბა კარგად დააკვირდი. საინფორმაციოს შეფს უკვე რახანია აღარ ვწერ.

**ნინო ჯანგირაშვილი:** აააა, მაშინ ჰოოოო. დავწინაურებულვარ.)))))

**ნათია კოზერიძე:** ნინო, შენთვის არასოდეს მითქვამს, 2010-ში კვირის პალიტრას ინტერვიუ მივეცი მედიის ტემაზე, სადაც ვთქვი, რომ კავკასიის საინფორმაციო გაცილებით დაბალანსებულია, ვიდრე მოამბეთქო. ''პიკიდან' მაგდებდნენ მაგ სიტყვების გამო, გაგდების მიზეზში ჩამიწერე. მართლა!

**ნინო ჯანგირაშვილი:** მადლობის მეტი რა მეთქმის.

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●

გიორგი გაჩეჩილაძე
593-30-28-70



# პარლამენტის ყველაზე სკანდალური ჩხუბები და გაწევ-გამოწევა

## „ბიჭოოოოოო..... ზვიაააააააად, რამ გამოგაშტერააა.....“







საქართველოს პარლამენტი „ოდიოზური“ დეპუტატების სიმცირეს არასოდეს განიცდიდა. „დისიდენტ“ ირაკლი წერეთელსა და „მორბენალ“ ნოდარ ნათაძეს წინა წერილში შევეხეთ. ახლა კი იმ დროის კიდევ ერთი „კოლორიტული“ ფიგურა, ცხონებული ლუიზა შაკიაშვილი უნდა წარმოგიდგინოთ.

მისი „ბობოქარი“ გამოსვლები საქართველოსთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხებზე „მარად დაუვიწყარი“ იქნება ჩვენი საზოგადოებისთვის.

როდესაც 1994 წლის პირველი მარტის სხდომაზე საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შემადგენლობაში შესვლის საკითხი წყდებოდა, ლუიზა შაკიაშვილმა პროტესტის ნიშნად საბჭოთა კავშირის ჰიმნი „დასცხო“. ამის შემდეგ ის აცხადებდა, შევარდნაძის მიერ „განხიბლული“ აღმოვჩნდიო. თვითმხილველების მტკიცებით, იმ სხდომაზე შაკიაშვილმა „საქმის გასარჩევად“ შევარდნაძეზეც კი გაიწია, მაგრამ „სისხლიანი გარჩევა“ არ ან ვერ შედგა: ქალბატონი ლუიზა „შეაკავეს“.

რამდენიმე წლით ადრე იგივე ქალბატონი ზვიად გამსახურდიას მტრობდა. თავის დროზე შაკიაშვილი გაჰკიოდა: „ბიჭოოოოოო..... ზვიაააააააად, რამ გამოგაშტერააა.......“

ირაკლი წერეთელმა ერთხელ „შევარდნაძის კარვის ქალი“ უწოდა, რის გამოც შაკიაშვილი მას კინაღამ ფიზიკურად შეეხო. თუმცა ეს ინციდენტი მაინც მშვიდობიანად დასრულდა – ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერთა ჩარევის შედეგად...

იმ სხდომაზე ედუარდ შევარდნაძე ლუიზა შაკიაშვილს კი „გადაურჩა“, მაგრამ მთავარი „განსაცდელი“ ერთ თვეში ელოდა. 1994 წლის 31 მარტს საქართველოს პარლამენტში თბილისის პოლიციის იმდროინდელი უფროსი, დავით ზეიკიძე კბილებამდე შეიარაღებულ პოლიციელებთან ერთად შეიჭრა. ქალაქის მთავარმა „პოლიცმაისტერმა“ პარლამენტის სხდომათა დარბაზის ფოიეში დებოში მოაწყო, შეურაცხყოფა მიაყენა სახელმწიფო მეთაურსაც, ბოლოს კი სხდომათა დარბაზში შევიდა. ეს ყველაფერი ხდებოდა უცერემონიოდ, ყოველგვარი კანონისა და ეთიკის ნორმების დარღვევით. დავით ზეიკიძე შინაგან საქმეთა ახლად დამტკიცებული მინისტრის კანდიდატურას აპროტესტებდა.

1995 წლის სექტემბერში პარლამენტში კიდევ ერთი დიდი „გაწევ-გამოწევის“ ფაქტი დაფიქსირდა. ელდარ შენგელაიას წინადადებით ყველა ახლად არჩეულ დეპუტატს უფლებამოსილების მიღებამდე ფსიქიატრიული შემოწმება უნდა გაევლო. შემოთავაზებულმა წინადადებამ რამდენიმე დეპუტატის აშკარა გაღიზიანება გამოიწვია. საკითხს, რომელსაც პარლამენტარებმა თავისი დროის საკმაოდ ხმაურიანი ნაწილი დაუთმეს, თამამად შეიძლება ეწოდოს მსჯელობა თემაზე: „გიჟები და პარლამენტი“. ზემოთ უკვე ნახსენები ლუიზა შაკიაშვილი ამ „შემოწმების“ კატეგორიული წინააღმდეგი წავიდა და მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებს ლევან მამალაძესა და გიორგი ბარამიძეს, რომლებმაც მხარი კინოფილმ „შერეკილების“ რეჟისორს დაუჭირეს, შემდეგი ფრაზით მიმართა: „თქვენ, მეოცე საუკუნის გარიჟრაჟის კომკავშირლებო, სსრკ-ში გაზრდილი ხართ, საბჭოური მენტალიტეტი არ შეგცვლიათ და ამიტომაც აზროვნებთ ძველი სტერეოტიპებით. მე თქვენგან განსხვავებით თავისუფალი ქიზიყის შვილი ვარ და იცოდეთ, ვისაც სხვა ჰგონია გიჟი, სწორედ ის არის შეურაცხადი“.

შენგელაიას მხარი აუბა ქალბატონმა ნანა დევდარიანმაც, რომელმაც „სარწმუნო წყაროებზე“ დაყრდნობით, ყველას ამცნო, რომ პარლამენტში ფსიქიატრთა რამდენიმე პაციენტი „იმყოფებოდა“. „თუ კარგია, ახლა შენ გააღე პირი და თქვი: „ა-ა-ა“ გაიფიქრა დეპუტატმა თემურ სუმბათაშვილმა და დასჭექა: „თქვენ ხართ გასასინჯი ყველანი, ედუარდ! აღარ შეიძლება ნანა დევდარიანის მიკროფონთან მუდმივად ყოფნა, თქვენ შეგწევთ უნარი, გავლენა იქონიოთ მასზე და შეაჩეროთ ამ ქალის აქტიურობა“.

ალბათ, ბატონი ელდარ შენგელაია მართალი გახლდათ. სამწუხაროდ, მის მიერ შემოთავაზებული წინადადება დეპუტატებმა ხმათა უმრავლესობით არ მიიღეს. შედეგი? მალე პარლამენტსა და სრულიად საქართველოს ახალგაზრდა და დიდი მომავლის მქონე პოლიტიკოსი მიხეილ სააკაშვილი მოევლინა.

მომდევნო საპარლამენტო სკანდალი სწორედ რომ სააკაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. 2000 წლის 22 აპრილს, დიადი ლენინის დაბადების დღეს, მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის უწყებათაშორისი კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე ანზორ ბალუაშვილს ფიზიკურად დაუპირისპირდა. მათ შორის მომხდარი „კამათი“ პროკურატურის შესახებ კანონპროექტს უკავშირდებოდა.

თავიდან ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ კომისიის წევრების კეთილგანწყობა თურმე მაშინ დაირღვა, როცა სააკაშვილმა თავის გამოსვლაში პროკურატურას გახრწნილი და კორუმპირებული სისტემა უწოდა. ამ სიტყვებზე სააკაშვილს გენპროკურორის პირველი მოადგილე ანზორ ბალუაშვილი წამოუხტა და კონკრეტული გვარების დასახელება მოსთხოვა. სააკაშვილს გვარები არ დაუსახელებია, სამაგიეროდ ბალუაშვილი მწყობრიდან გამოუყვანია სიტყვებით: „მთელი პროკურატურა სინაგოგად გადააქციე, რა გვარებს მთხოვ?“

სინაგოგის ხსენებაზე ბალუაშვილი იმდენად გაბრაზებულა, სააკაშვილისკენ გაუწევია. პროკურატურის წარმომადგენლები ბალუაშვილს ამშვიდებდნენ, რომელსაც სხდომა მიუტოვებია. ამ ისტორიას მოგვიანებით პროკურატურის თანამშრომლები ერთმანეთს ჩუმად უყვებოდნენ. მათივე ინფორმაციით, დახურულ სხდომას ხმამაღალი გინება და გაწევ-გამოწევაც არ აკლდა.

წინა წერილში ორი „ცნობილი ჩხუბისთავი“ – პეტრე ცისკარიშვილი და ვახტანგ რჩეულიშვილი ვახსენე. მათ რიცხვს დავით კირკიტაძეც უნდა მივუმატოთ.

თავის დროზე პარლამენტის უმრავლესობის სახე დავით კირკიტაძე მუშტების ქნევის „საპასუხისმგებლო“ საქმეში რამდენჯერმე იყო შემჩნეული. კირკიტაძის პირველი სკანდალი პარლამენტში შედგა, როდესაც მან დაცვის თანამშრომელს, სოსო ჯებისაშვილს მოსთხოვა, მასთან მისული სტუმარი პრეზიდენტის ფლიგელიდან შეეშვა. „თხოვნა“ ხელჩართული ჩხუბით დასრულდა, თუმცა კირკიტაძემაც და დაცვის თანამშრომელმაც ჟურნალისტებთან ეს ამბავი დამალეს და განაცხადეს, რომ მხოლოდ გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

კირკიტაძის სახელმა ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე „გაიელვა“. ერთხელ რესტორან „მონოპოლში“ იჩხუბა, მერე კი ბოლნისის სტადიონზე მყოფმა რუსთავის „ოლიმპი“-ცხინვალის „სპარტაკის“ შეხვედრის დასრულების შემდეგ ამ მატჩზე მსაჯების დამკვირვებელი ამირან კაჭახიძე სასტიკად სცემა. რასაკვირველია, კირკიტაძე არც ერთ შემთხვევაში არ დასჯილა.

სხვათა ჩხუბი, ალბათ, გადამდებია. სხვანაირად რა ახსნა უნდა მოვუძებნოთ იმ ფაქტს, რომ „სოლიდურმა და დარბაისელმა“ ვასილ მაღლაფერიძემ ერთხელ თავი ვერ შეიკავა და „ხელჩართულ ბრძოლაში“ გადაეშვა. 2003 წლის 19 ნოემბერს ნახევარმა პარლამენტმა იხილა, როგორ მიუახლოვდა ვასილ მაღლაფერიძე ლევან მამალაძის რჩეულს – ვაჟა ლელუაშვილს, ხელი ჰკრა და კიბეებიდან დააგორა. მართალია, ლელუაშვილი ორიოდ კვირა იწვა და თავს იტკიებდა, მაგრამ ისიც კი „შავს მიაწვა“ და ოფიციალურად განაცხადა, ხალიჩაზე ფეხი დამისხლტა და კიბეებზე თვითონ დავგორდიო. ამ ინციდენტის გამო პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე არ აღუძრავთ.

საქართველოს პარლამენტში ერთ-ერთი ხმაურიანი დაპირისპირება უკვე 2009 წლის ოქტომბერში დაფიქსირდა: დიმიტრი ლორთქიფანიძე ჯონდი ბაღათურიას დაუპირისპირდა.




ვნებათაღელვა დიმიტრი ლორთქიფანიძის იმ მოთხოვნას მოჰყვა, რომელიც პატიმართა შეწყალების საკითხთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნას ითვალისწინებდა.

ლორთქიფანიძის ამ მოთხოვნას მთელი საპარლამენტო ოპოზიცია იზიარებდა, ბაღათურიას გარდა. ბაღათურიამ ოპოზიცია პოლიტიკურ სპეკულანტობაში დაადანაშაულა. მისი თქმით, ოპოზიცია ამ საკითხის გააქტიურებით იმას მიაღწევდა, რომ ხელისუფლება პატიმართა შეწყალებაზე საერთოდ უარს იტყოდა.

ამის შემდეგ სესიაზე ლორთქიფანიძემ ბაღათურიას საცემად გაიწია, თუმცა, მას ხელი თარგამაძე-ცაგარეიშვილმა და მანდატურებმა შეუშალეს.

***გაგრძელება იქნება***

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



„ყოველკვირეული ალიას" 4-10 აპრილის ნომერში (№14) გამოვაქვეყნეთ სტატია სათაურით: „ბერი ექვთიმე სამების საკათედრო ტაძარში არსებულმა ე.წ. მღვდლების მაფიამ შეიწირა", სადაც საუბარი იყო 2016 წლის 31 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ პროცესზე. მცირე ამონარიდი სტატიიდან:

**„ბერ ექვთიმეს (თეიმურაზ ხუციშვილს), რომელიც ბოლოს კვეთებულის ლოცვებს ატარებდა სამების საკათედრო ტაძარში, მიუსაჯეს 6 წლით პატიმრობა. ბერი ექვთიმე დააპატიმრეს 2015 წლის 4 ივლისს და ბრალი წაუყენეს, რომ მან კვეთებულის ლოცვის დროს არასწრულწლოვან (14 წლის) ბიჭს, ვ.ქ.-ს ინტიმურ ადგილზე, კერძოდ, კუდუსუნზე სცხო ზეთი. ბერ ექვთიმეს თავის დროზე უჩივლეს არასრულწლოვნის მშობლებმა. როგორც ინკოგნიტო წყარო უყვება „ალიას", მამაო სრულიად უდანაშაულოა:**

**„მამაომ ზეთი აცხო ინტიმურ ადგილზე, სხვა ბრალი არ აქვს. ბავშვი მოუყვა, ბიჭებთან კონტაქტი მაქვსო, მამაომ უთხრა, ეს ცუდი საქციელიაო და შეულოცა. თვითონვე არ უნდა გახმაურება იმიტომ, რომ ადვოკატი უკრძალავს, ექსპერტიზა ჩაუტარდა და ვერაფერი დაამტკიცა. ეს ჯანმრთელობის ლოცვებია, ანუ ადამიანს სადაც ტკივილები აწუხებს, იქ უკეთებს ლახვარს და ზეთს აცხებს. პატრიარქის კურთხევით ატარებდა ამ ლოცვებს. ეს ბავშვი ერთ-ერთ სტადიონზე ბიჭებთან დადიოდა, იქ სვამდნენ, თვრებოდნენ და მერე ამყარებდნენ სექსუალურ კავშირს. მას უთქვამს მამაოსთვის, ასეთი საქციელი შვიდჯერ ჩავიდინეო, შეეცოდა, დაარიგა და ლოცვები წაუკითხა".**

**სტატიის გამოქვეყნების შემდეგ „ალიამ" მოძებნა არასრულწლოვანი ბიჭის დედა, მარინა ქოჩარიანი, რომელიც საუბარზე დაგვთანხმდა:**

– სამებაში მუშაობდა ერთი ბიჭი, მორჩილი იყო, სერგო ჰქვია, რომელსაც ჰქონდა კავშირი ამ მამაოსთან, ექვთიმესთან. იმ პერიოდში ჩემი შვილი დადიოდა ეკლესიაში, მოძღვრის აყვანა უნდოდა. უარი არ მითქვამს. ეკლესიაში შეხვდა სერგო, რომელსაც იცნობდა ჩემი შვილი. ის ჩვენთანაც იყო ერთხელ სახლში მოსული. ერთ დღესაც შემთხვევით კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს ეკლესიასთან, ჩემი შვილი ძაღლს ასეირნებდა... ამ დროს მოვიდა მამაოც, მანქანა გააჩერა. ბავშვი გაესაუბრა, მივიდა მასთან, თავი დაალოცვინა. ცუდი არაფერი არ შემიმჩნევია, მამაოს ანაფორა ეცვა და ჯვარი ეკეთა.

**— ქალბატონო მარინა, ფაქტია, რომ ექსპერტიზა ჩატარდა და ძალადობის ფაქტი არ დადასტურდა.**

– ვერ მოასწრო! ჩემი შვილი ღამის 12 საათზე სახლიდან გაიყვანა სერგომ. მამაოს მანქანაში ჩასვა და ბავშვი წაიყვანა. ეგ თუ მამაოა და ეკლესიურად ცხოვრობს, რაში სჭირდებოდა ღამის 12 საათზე წაყვანა?

**— თურმე თქვენი შვილი მოუყვა მამაოს, რომ სტადიონზე დადიოდა, იქ ბიჭები სვამდნენ და შემდეგ ერთმანეთთან სექსუალურ კავშირს ამყარებდნენ.**

– ჩემი შვილი სტადიონზე მარტო არ დადიოდა, სულ მე დავყვებოდი და ასეთი რამ გამორიცხულია. ჩემი შვილი არასოდეს არ ტყუის... იმის მერე, რაც მამაოსთან იყო, აბსოლუტურად გაუწონასწორებელი გახდა.

**— რას გიყვებათ ბავშვი, მამოსთან რა მოხდაო?**

– მანქანაში რომ ჩაუჯდა, მამაოს უკითხავს, ქალისთვის ან კაცისთვის თუ ჰქონდა ნაკოცნი. მერე ბავშვმა მითხრა, დედა, მანქანაში რაღაც დამივარდა და ასაღებად რომ დავიხარე, მამაომ კისერში ჩამავლო ხელი და შემეშინდაო... თან მანქანაში უკანაც ძაღლი ჰყავდაო. ხმა არ ამომიღია, მიმიყვანა სახლში და ჩაკეტა კარებიო. მე ვუთხარი, მამაო, წამიყვანე სახლში, დედაჩემი ძალიან ინერვიულებს-თქო. ასე მიპასუხა, ნუ გეშინია, აქ ახლა მთვრალი კაცები არიან და ვერ წაგიყვანო. ღამის 4 საათზე ვიპოვე ბავშვი მამაოსთან სახლში, სერგოს მეშვეობით. არც მეუბნებოდა სერგო, სად იყო ჩემი შვილი, ძლივს ვათქმევინე.

**— რა მოხდა ბერ ექვთიმესთან სახლში, რას ჰყვება თქვენი შვილი?**

– მამაოს უთქვამს ბავშვისთვის, იბანავეო. ამას უთქვამს, არ მინდა, მამაო, სუფთა ვარო. ნუ გეშინია, შენამდეც მომყავდა აქ ბავშვები, გოგოებიცო, ბიჭებიცო, ვაბანავებდი და ვუშვებდიო.

**— ქალბატონო მარინა, ბერმა თქვენს შვილს რა დაუშავა, რაში სდებთ ბრალს? ჰქონდა თუ არა გაუპატიურების მცდელობას ადგილი?**

– ჩაკეტა კარები და ბავშვს ფსიქიკური აშლილობა დაემართა, ძალიან შეეშინდა... ბავშვი ყვება, რომ მამაო ხელებს უფათურებდა. მე იმიტომ კი არ ვუჩივლე მამაოს, რომ ჩემს შვილს რამე დაუშავდა, ჩემი შვილი გადარჩა, მაგრამ პოლიციას იმიტომ მივმართე, რომ სხვა ბავშვებისთვის არ დაეშავებინა რამე. ფსიქოლოგებთან დამყავდა, ბავშვი ძალიან დამცირებულად გრძნობს თავს. თვითონ იმ სერგომაც აღიარა, მამაომ ჩემზეც განახორციელა სექსუალური ძალადობაო. მამაომ ბავშვს სექსუალური ფილმები ჩაურთო და აყურებინა. ღამის ოთხი საათი იყო, კარებზე დავაკაკუნეთ და მამაომ კარი ცოტა ხნის მერე გაგვიღო. ბავშვი გიჟივით გამოვარდა. სახლში რომ მოვიყვანეთ, სულ კანკალებდა. მშობლის დაუკითხავად ღამის თორმეტზე არასრულწლოვნის წაყვანა როგორ შეიძლება?!

როგორც ხედავთ, ქალბატონი მარინა ქოჩარიანი თითქოს დამაჯერებლად ყვება და სასამართლომ დაუჯერა კიდეც, მაგრამ აქ არის რამდენიმე დეტალი, რომელიც ეჭვს იწვევს: პირველი – როგორც ბერ ექვთიმეს მრევლის რამდენიმე წევრი აცხადებს „ალიასთან", მამაოს ხშირად დაჰყავდა სახლში ქუჩის უპატრონო ბავშვები, აჭმევდა და აბანავებდა, ფულსაც აძლევდა. კი, მაგრამ ამ ბავშვს ხომ ჰყავს პატრონი? ამაზე მრევლში გვპასუხობენ, რომ ის შეეცოდა, როგორც დაჩაგრული. მარინა ქოჩარიანის ოჯახი ძალიან ღარიბია და, ფაქტობრივად, ბავშვი ქუჩაში იზრდება; მეორე – ვინმე სერგო, რომელზეც იგივე ქოჩარიანი საუბრობს, ფსიქიკურად იმდენად გაუწონასწორებელია, რომ მისი ჩვენება გამოძიებამ არ მიიღო მხედველობაშიო. ამასთანავე, გამოძიების საქმეში არ დევს

## რას უყვება „ალიას" არასრულწლოვანი ბიჭის დედა, რომელიც ბერ ექვთიმეს სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებს?!

## „ბავშვი ყვება, რომ მამაო ხელებს უფათურებდა!"

**„მამაოს უთქვამს ბავშვისთვის, იბანავეო. ამას უთქვამს, არ მინდა, მამაო, სუფთა ვარო. ნუ გეშინია, შენამდეც მომყავდა აქ ბავშვები, გოგოებიცო, ბიჭებიცო, ვაბანავებდი და ვუშვებდიო"**





**„თვითონ იმ სერგომაც აღიარა, მამაომ ჩემზეც განახორციელა სექსუალური ძალადობაო. მამაომ ბავშვს სექსუალური ფილმები ჩაურთო და აყურებინა"**

### სკანდალი

ბავშვის, ანუ დაზარალებულის დახასიათება და ფსიქოლოგების დასკვნა ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის შესახებ; მესამე – ქოჩარიანი ამბობს, მამაომ ჩემს შვილს სექსუალური ფილმები ჩაურთო და აყურებინაო. არადა, „ალიასთან" თავად ბავშვი ამბობს, რომ სექსუალური ფილმები კი არა, ბერმა მულტფილმების ყურება შესთავაზა, მაგრამ უარი უთხრა; მეოთხე – ქალბატონმა მარინამ ჩვენგან შეიტყო, რომ გამოძიებამ სერგოს ჩვენება არ გაითვალისწინა და აღშფოთდა, მაშინ გამოდის, რომ ამ ადამიანმა ყველა შეცდომაში შეგვიყვანა და ის უნდა დაისაჯოსო. თუმცა სერგოს ტელეფონის ნომერსა და კოორდინატებს არ გვიმხელს; მეხუთე – ქალბატონი მარინა ამტკიცებს, რომ სამების საკათედრო ტაძარში თვითონ და მისი ოჯახის წევრები საერთოდ არავის იცნობენ. თუმცა მის შვილს (გოგოს) საუბრისას წამოსცდა, რომ იქ ჰყავს ერთი ახლობელი; მეექვსე – როგორც დაზარალებული ბავშვი ამბობს, როცა ის სერგომ მანქანაში ჩასვა, მამაოს უთხრა, რომ მისმა მშობლებმა ყველაფერი იცოდნენ და არ იყო არავითარი პრობლემა.

**ამ საქმეს გაგრძელება ექნება, ჩვენ აშკარად მივდივართ ძალიან საინტერესო ფინალისკენ. „ალიას" მომდევნო ნომერში უკვე დეტალურად მოგიყვებით, ვინ არის „ლეგენდარული" სერგო, რომელსაც ბავშვები მიჰყავდა ბერ ექვთიმესთან და თურმე მასთანაც კი ჰქონია სექსუალური ურთიერთობა. ასევე, მოგიყვებით იმაზეც, სადამდე მივყავართ კვალს სამებაში და რა ხდება კონკრეტულად ტაძარში.**

**„მანქანაში რომ ჩაუჯდა, მამაოს უკითხავს, ქალისთვის ან კაცისთვის თუ ჰქონდა ნაკოცნი... მერე ბავშვმა მითხრა, დედა, მანქანაში რაღაც დამივარდა და ასაღებად რომ დავიხარე, მამაომ კისერში ჩამავლო ხელი და შემეშინდაო..."**

## Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები • Facebook ამბები



„რუსთავი 2"-ის გენდირექტორი სამშაბათს გავრცელებული ფარული კადრების შემდეგ „ფეისბუქზე" წერს.

**ნიკა გვარამია:**

ხოდა, გაითვალისწინეთ:

1. სახეს ნუ დამიბლარავთ, თუ შეიძლება, არაა პრობლემა. პირიქით, ორგაზმის დროს ძალიან აღტკინებული გრიმასა მაქვს ხოლმე, ნახოს ერმა

2. ჩემი ტატუები ადგილზე იყოს, რაც მე მაგათ გაკეთებაზე ვიწვალე

3. ვინმე მსუქანმა არ ითამაშოს ჩემი როლი, წყალში არ ჩამიყაროთ 25 კილოს დაკლება, ძალიან მეწყინება.

**რატი მაისურაძე:** ჰო,თუ რამე საიდუმლო ტატუ გაქვს.ისე გაყალბებას რა უნდა?! ან ვაბშე მაგარი 10 "საიდუმლო" ტატუ უნდა გაიკეთო და ყველაზე ახლო გარემოცვიდან თითოს თითო უნდა აჩვენო. ასე გახვალ "იუდაზე".

**ნიკა გვარამია:** მე ძალიან მხატვრული ტატუები მაქვს და არაერთი, გაყალბება ძალიან გაჭირდება,

**თამარა ჩერგოლეიშვილი:** ვაიმე ვნახეთ უკვე - თელმა სოფლიომ

**ნიკა გვარამია:** ეგ ერთი, ჩიტო. კიდე ბევრი მაქ სუ სხვადასხვა ადგილებზე... შენ ვაფშე რა გალაპარეკბს, შე სექსუალურო ქალო?!!!

**თამარა ჩერგოლეიშვილი:** რა უნდოდათ ვერ გავიგე - "ვაბშე". რას ემსახურება ეს საგიჟეთი - გვტროლავენ, თუ რა უნდათ.

**ია ფარულავა:** ჰააჰაააა ჩავიფსიიიიიი.

**ნიკა გვარამია:** რა უნდოდათო? გამოქვეყნდება ხვალ ენდიაის ლურსმნები ოცნების კუბოში და მიხვდები

**თამარა ჩერგოლეიშვილი:** კი, მაგრამ რას აღწევენ იმით, რომ ვიღაცას გონია რომ თრისამში გამომიჭირა?

facebook

პრემიერ კვირიკაშვილის ტელეჟურნალისტებთან შეხვედრის შემდეგ „ლეიბორისტმა“ გიორგი გუგავამ „ფეისბუქში“ მოკლედ და სხარტად დაწერა,

**გიორგი გუგავა**
პრემიერის გამოსვლიდან გავიგეთ ის, რომ ვერაფერი გავიგეთ))

**გიორგი ქართველიშვილი:** ხალხი რომ გადააგდეს არ არი გასაგები...

**გიორგი გუგავა:** ნუ ეგ კვირიკაშვილის გამოსვლამდეც ვიცოდით)))

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

15 აპრილს, სიყვარულის დღეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა, ბიძინა ივანიშვილის დროით – 20 საათსა და 30 წუთზე (20/30) ტელეჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა. ამჯერად მხოლოდ ტოქშოუების წამყვანებს შეხვდა. მივყვეთ პრესკონფერენციის მსვლელობას და გავარკვიოთ მთავარი: რა ითქვა ახალი, ანუ რა ითქვა ისეთი, რაც აქამდე არ ვიცოდით და პირი დავაღეთ? მოდით, ნაადრევ დასკვნას ნუ გავაკეთებთ, ამ კითხვაზე პასუხი დასასრულისთვის შემოვინახოთ. გიორგი კვირიკაშვილს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წარმომადგენელმა ჰკითხა, როდის დაიწყება საარჩევნო კამპანია და როგორ აპირებთ იმ უხერხული სიტუაციიდან გამოსვლას, რომელიც საარჩევნო კამპანიის დაწყების თარიღთან დაკავშირებით შეიქმნა? უხერხულობაში იგულისხმება ის, რომ პრეზიდენტი მარგველაშვილი იძახის, საარჩევნო კამპანია მაისში უნდა დავიწყოთ, მოსამზადებლად 5 თვე გვჭირდებაო, მთავრობა ამტკიცებს, ამისთვის 60 დღეა განკუთვნილი კანონით და 30 დღესაც დავამატებთ, 7 მილიონი ლარი ზედმეტად რომ არ ვხარჯოთ, იყოს 3-თვიანი ციკლიო. კვირიკაშვილის თქმით, პრეზიდენტთან კონსულტაციები გრძელდება, არჩევნების თარიღი, 8 ოქტომბერი, ალბათ, აღარ შეიცვლება, იყო გარკვეული გაურკვევლობა, მაგრამ არა მგონია, ეს კონფრონტაციად შეფასდესო. არადა, რომელ კონსულტაციებზეა საუბარი, როცა იმავე 15 აპრილს პრეზიდენტის მრჩეველმა, გიორგი აბაშიშვილმა განაცხადა, მარგველაშვილი გადაწყვეტილებას არ ცვლის, საარჩევნო მარათონი მაისში დაიწყებაო? ჟურნალისტი ცოტა მეტად რომ ყოფილიყო საქმეში ჩახედული, საკითხი უფრო საინტერესოდ გაიშლებოდა – აშკარაა, პრეზიდენტი ჯიუტობს, რა იქნება შემდეგ? რა იქნება და პრემიერ-მინისტრს სხვა გზა აღარ რჩება, ხელი უნდა მოუწეროს. თუ უარს იტყვის, პრეზიდენტს აღარ აქვს უფლება, მესამედ გამოსცეს აქტი 6 თვის განმავლობაში და ამის გაკეთება მოუწევს ნოემბერში, საიდანაც ხელახლა უნდა გადავითვალოთ 5 ან 3 თვე, ასე კი მივდივართ მომავალი წლის გაზაფხულამდე. პრემიერ-მინისტრი ახლა იძულებულია, ხელი მოაწეროს 5-თვიან ციკლს. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარლამენტს მოუწევს თავისი უფლებამოსილების გაგრძელება მინიმუმ 6 თვით და აქ უკვე ირღვევა კონსტიტუცია. ტელეკომპანია „იმედი“ დაინტერესდა, რა არის გიორგი კვირიკაშვილის პირადი გამოწვევა და ხომ არ ცდილობს, დაამტკიცოს, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკოსია? კვირიკაშვილი რომ ივანიშვილი იყოს, რაღაც არაორდინარული პასუხის მოლოდინი შეიძლება გვქონდეს, მაგრამ ახლა რა, პრემიერი იტყვის, დამოუკიდებელი პოლიტიკოსის იმიჯის შექმნას ვცდილობო? რა, ვინმესთვის ახალია ის ამბავი, რომ ირაკლი ღარიბაშვილი გაუშვა და გიორგი კვირიკაშვილი მოიყვანა ბიძინა ივანიშვილმა? მართლა ხომ სასაცილოა იმ ადამიანების მიეთ-მოეთი, რომლებიც ამტკიცებენ ხოლმე, ივანიშვილი არც პოლიტიკაში ერევა და არც ეკონომიკურ საკითხებშიო. როგორ გეკადრებათ? ეს ადამიანი ყველა საკითხში ერევა და ყველა მოვლენას აკონტროლებს. როგორ ერევა და როგორ აკონტროლებს, ეს უკვე სხვა თემაა. სხვათა შორის, როცა კვირიკაშვილი ამბობს, მასთან მწვავე დებატებიც კი მქონიაო, ისიც უნდა იცოდეს, რომ ივანიშვილთან მწვავე დებატებს აზრი აქვს რაღაც გარკვეულ პერიოდში, თუ ამან დაუსრულებელი ხასიათი მიიღო, მერე კონტაქტს შეწყვეტს და უნდა მიხვდე, რომ წასული ხარ პოლიტიკური ორბიტიდან.

პრემიერი შეეხო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასაც და თქვა, რომ, ამ მხრივ, იქნება კორექტირება:

„მინისტრებს არ უნდა ჰქონდეთ საყოველთაო ჯანდაცვის პაკეტი, საკუთარი შემოსავლებით უნდა უზრუნველყოფდნენ. მე არ მაქვს საყოველთაო ჯანდაცვის პაკეტი და ვსარგებლობ კერძო დაზღვევით“.

უკაცრავად, მხოლოდ მინისტრებს არ უნდა ჰქონდეთ? წესით, ყველა თანამდებობის პირს უნდა გაუუქმდეს საყოველთაო დაზღვევა, ვისი შემოსავლებიც პენსიონერის შემოსავალზე 20-ჯერ მაინცაა მეტი. სხვათა შორის, პრესკონფერენციის დამთავრებისთანავე რამდენიმე პოლიტიკოსმა გააკეთა მცდარი განცხადება, ნახეთ, კვირიკაშვილმა თქვა, არჩევნების შემდეგ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა გაუქმდება და ისევ სააკაშვილის მიზნობრივი მეთოდი იქნება შემოღებულიო. სიმართლე უნდა ითქვას, კვირიკაშვილმა გასაგებად განაცხადა, მინისტრებს კარგი ხელფასები აქვთ და კერძო დაზღვევაზე გადავიდნენო. მან ასევე განაცხადა, შავი ჯიპები და ძვირად ღირებული მანქანები მზარავს, ვერ ვიტანო. მერე რა? შავი ჯიპები და შარვლიანი ქალები უფალსაც კი სძაგს, მაგრამ ამით რა იცვლება?

# უფალი უფლებამოსილია, მოითმინოს, ყველა თავის ნებაზე ხართ, ბატონო პრემიერ-მინისტრო? როდესაც თქვენი ხელქვეითები




## რა თქვა ახალი?!

ლება? კარგი, უფალი უფლებამოსილია, მოითმინოს, ყველა თავის ნებაზე მიუშვას და ანგარიში ბოლოს გაასწოროს, თქვენც ხომ უფალი არ ხართ, ბატონო პრემიერ-მინისტრო? როდესაც თქვენი ხელქვეითები ფულს ფუფუნებაში ხარჯავენ, ხომ უნდა აღკვეთოთ?!

ყურადღება! „ტაბულას“ ხელმძღვანელი კვირიკაშვილს „ქართული ოცნებისა“ და ივანიშვილის დაპირებებს ახსენებს, რომელიც კომუნალური გადასახადების შემცირებას და დევნილებისთვის ტარიფების განულებას ეხება. კვირიკაშვილი კვლავ ფორმაშია:

„დაპირებების 100%-ით შესრულება ბუნებაში არ ხდება. სოციალური უზრუნველყოფის სისტემა მომავალში გახდება უფრო ფოკუსირებული იმ ფენებზე, რომლებსაც ეს უფრო მეტად სჭირდებათ. არ ვიცი, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ის, რომ ბიძინა ივანიშვილმა გასცა დაპირება, თითქოს ხმის მიცემის შემთხვევაში დევნილები განთავისუფლდებოდნენ კომუნალური გადასახადებისგან, ათასნაირი ინფორმაცია ტრიალებს, ამას აუცილებლად გადავამოწმებ“.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, თუ საარჩევნო დაპირებების 60 პროცენტი შესრულდა, ეს კარგ შედეგად ითვლება. თუ 60 პროცენტი

**როცა კვირიკაშვილი ამბობს, მასთან მწვავე დებატებიც კი მქონიაო, ისიც უნდა იცოდეს, რომ ივანიშვილთან მწვავე დებატებს აზრი აქვს რაღაც გარკვეულ პერიოდში, თუ ამან დაუსრულებელი ხასიათი მიიღო, მერე კონტაქტს შეწყვეტს და უნდა მიხვდე, რომ წასული ხარ პოლიტიკური ორბიტიდან**

ვერ შესრულდა, ხელისუფლება უნდა გადადგეს და დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები. დღემდე საქართველოში არავის ჩაუტარებია კვლევა, რა დოზით არ შესრულდა დაპირებები. თუმცა, რა კვლევა გვჭირდება, ხალხი ისეა გაღატაკებული, ეს მთავრობა დიდი ხნის წინ იყო გასაყრელი. მაგალითად, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ირაკლი სესიაშვილი ამტკიცებს, ყველა დაპირება თითქმის შევასრულეთ და არჩევნებამდე 100 პროცენტით შევასრულებთო. ეს რომ უკვე თავხედობა და დაცინვაა, წყალი ხომ არ გაუვა...

მოკლედ, რაღაც მომენტამდე პრემიერი ნორმალურად შესამცირებელია ბიუროკრატია".

ჯერ ერთი, გადამეტებული პრემიების გაცემის შემთხვევები კი არ იყო, ამას ჰქონდა და აქვს მასობრივი ხასიათი. მეტიც, ბევრ უწყებაში პრემიებს იწერენ წინასწარ, ანუ ავანსად, რაც სისხლის სამართლის დანაშაულია. მეორე – როცა საჯარო სამსახურებში მაღალი ხელფასით კვალიფიციური კადრები მოგყავს და მეუბნები, რომ ისინი კარგად მუშაობენ, ეს უნდა ეტყობოდეს ქვეყანასაც. ელემენტარული ჭეშმარიტებაა – მე ვქირაობ ძვირად ღირებულ სპეციალისტს იმისთვის, რომ მქონდეს უფრო მეტი უკუგება, თუკი ფულს ვხარჯავ, არ ქართველომ წარმატებებს მიაღწია და ეს ჩემი განცხადება არ არის მიმართული საგარეო მომხმარებლისთვის, რომ იქ გამოვჩნდეთ უფრო ტოლერანტული ჩვენს ოპონენტებთან მიმართებაში. იყო ამ ქვეყანაში რაღაცები, რაც ჩვენს მოქალაქეებს და მეც მომწონდა – მომწონდა საგადასახადო, საბაჟო რეფორმა. თუმცა 2007 წლიდან მოყოლებული ამ ქვეყანაში ცხოვრება გახდა კოშმარი, ესეც არ უნდა დავფაროთ, მაგრამ ამაზე აქცენტების გაკეთება აღარ აინტერესებს ხალხს, უნდა ვილაპარაკოთ მომავალზე. დავასრულოთ პიროვნული შეურაცხყოფები, რაც არ უნდა ევროპელები ვიყოთ, ჩვენ ოთ, მომავალზე ვილაპარაკოთო, შემდეგ კი გვახსენებს, როგორი ევროპელებიც არ უნდა ვიყოთ, მაინც კავკასიელები ვართ და პიროვნული შეურაცხყოფა ჩვენზე მძაფრად მოქმედებსო. ასე არ გამოვა, ვისაც 9 წლის განმავლობაში პიროვნული შეურაცხყოფაც მიაყენეს, ქონებაც წაართვეს და ოჯახიც გაუუპატიურეს, იმ კავკასიელმა როგორ დაივიწყოს ყველაფერი? არ იქნება სამართლიანობის აღდგენა – არ იქნება მშვიდობა, ეს ყველა პრემიერმა და ყველა ხელისუფლებამ უნდა გაიგოს. ბატონო პრემიერო, აღადგინეთ სამართლიანობა და მერე ვილაპარაკოთ მომავალზე!

ისევე როგორც მისი ბელადი, მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ „ასავალ-დასავალი", „ობიექტივთან" ერთად, ქვეყანაში ატარებს ანტიდასავლურ კურსს. პრინციპში, თუ პიდარასტებთან, ჩათლახებთან და ბოზებთან ბრძოლა ანტიდასავლური კურსია, სიმართლეს ამბობს. იცით, რა გამოდის? ერთმანეთის საწოლებში ძრომიალი, ლოკვა და გადალება პროდასავლური ღირებულებაა, თუ იტყვი, რომ ერთიც, მეორეც და მესამეც ამაზრზენია, მაშინ პრორუსი ხარ. პრემიერი არ გამორიცხავს, ინსტიტუციებში მუშაობდნენ ადამიანები, რომლებსაც კიდევ ჰქონდეთ სურ-

## რა თქვა ახალი?!

ისტრო, ადამიანების საძინებლებში ძრომიალი ისეთი რამეა, არასოდეს დამთავრდება და ბუნებრივია, თქვენ კი არა, თქვენი ბელადი და მამამარჩენალი ივანიშვილიც კი ვერ იქნება გარანტი. სხვა საკითხია, თუ ეს მკაცრად დასჯადი იქნება და სახელმწიფო მოხელეები ხშირად ვერ გააკეთებენ ამას!

დაბოლოს, გიორგი კვირიკაშვილმა, რატომღაც ღიად და მოურიდებლად განაცხადა, ვერც ახლა და ვერც მომავალ პარლამენტში, ჩვენ ვერ ვიქნებით ვერანაირ სტრატეგიულ პარტნიორობაში ვერც „პატრიოტთა ალიანსთან" და

# მიუშვას და ანგარიში ბოლოს გაასწოროს, თქვენც ხომ უფალი არ ფულს ფუფუნებაში ხარჯავენ, ხომ უნდა ალკვეთოთ?!

**კვირიკაშვილმა თქვა, შავი ჯიპები და ძვირად ღირებული მანქანები მზარავს, ვერ ვიტანო. მერე რა? შავი ჯიპები და შარვლიანი ქალები უფალსაც კი სძაგს, მაგრამ ამით რა იცვლება?**




მსჯელობდა, ცოტა ადეკვატური იყო, აი, მერე კი იგივე მარაზმში ვარდება, როგორშიც ჩვენი მინისტრები არიან დიდი ხანია:

„იყო შემთხვევები, რომ პრემიების გაცემა იყო გადამეტებული. თუმცა ხელფასების შემცირებაზე ვერ დაგეთანხმებით, რადგან, თუ კვალიფიკაციის დონეს დავწევთ, საჯარო სექტორში კვალიფიკაციური ადამიანების მოყვანა გაგვიჭირდება, თუმცა მაქვს თუნდაც შესაბამისი უკუგება და მოსახლეობა შიმშილით მეხოცება, მაშინ საქმე გვაქვს დანაშაულთან!

პრემიერ-მინისტრის განცხადებით ქვეყანაში დაპირისპირების ხანა უნდა დასრულდეს, მოქალაქეებმაც და მთავრობამაც მომავალზე უნდა ილაპარაკონ:

„რაც შეეხება 9 წელს, ეს იყო წარმატებებისა და წარუმატებლობის პერიოდი. იყო მიმართულებები, სადაც სავართ კავკასიელები, პიროვნული შეურაცხყოფა არის მომაკვდინებელი, ადამიანმა შეიძლება ვერ გაუძლოს. ისე წავიდეთ წინ რომ არ ვლანძღოთ ერთმანეთი. შეიძლება არ მოგწონდეს ვინმეს აზრი მაგრამ განსხვავებული აზრის გამო არ უნდა გეზიზღებოდეს".

პრემიერს კი უნდა, რომ „მშვიდობის მტრედის" როლი შეასრულოს, მაგრამ წინააღმდეგობაში ვარდება: ჯერ ამბობს, ყველაფერი დავივიწყსწორედ ამ თემაზე დაუსვა შეკითხვა კვირიკაშვილს „ობიექტივის" წარმომადგენელმა, ბონდო მძინარიშვილმა, მაგრამ პასუხი იყო იგივე, ახალი არაფერი.

ჩერგოლეიშვილი კვირიკაშვილს ედავება, ხელისუფლება რატომ დებს სარეკლამო თანხებს ისეთ მედიასაშუალებებში, რომლებიც პრორუსულ პროპაგანდას ახორციელებენ და დასავლურ ღირებულებებს ებრძვიანო? ჩერგოლეიშვილი, ვილი, უკანონო ქმედებები ახორციელონ:

„მე ვიქნები გარანტი იმისა, რომ ჩვენ წავალთ იმ მიმართულებით, როცა ადამიანების საძინებლებში ძრომიალი დამთავრდება ამ ქვეყანაში. მე ვარ გარანტი და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს მახინჯი ავადმყოფური მისწრაფება ერთხელ და სამუდამოდ ამოიძირკვოს ამ ქვეყანაში".

არა, ბატონო პრემიერ-მინვერც ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ ძალასთანო. ეს სიმართლეა, ბიძინა ივანიშვილი რომ ნინო ბურჯანაძეს ვერ იტანს, ამაზე არაერთხელ დავწერეთ და ბუნებრივია, არც მასთან თანამშრომლობას აპირებს. რაც შეეხება „პატრიოტთა ალიანსს", ივანიშვილს კი აქვს ირმა ინაშვილისადმი სიმპათიები, მაგრამ მისი გარემოცვა ვერ იტანს!

რა გავიგეთ ახალი პრემიერის პასუხებიდან? ფაქტობრივად, არც არაფერი!

● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ● Facebook ამბები ●



15 აპრილს ვანო მერაბიშვილს მეგობრებმა დაბადების დღე „ფეისბუქით" მიულოცეს.

**კობა სუბელიანი:** ვანო მერაბიშვილს მინდა მივულოცო დაბადების დღე. ძალიან ბევრი ბოროტი მითი დაიმსხვრა მის შესახებ არსებული და ძნელია მის ადგილას ყოფნა და საერთოდ ჩვენი ბიჭების ადგილას ყოფნა. მხოლოდ ოთხ კედელში გამომწყვდევას არ ვგულისხმობ. ძნელია იმის გადახარშვა რომ ერთ დროს პირში შემგცინცინებდნენ და დღეს ზოგს საერთოდ არ ახსოვხარ და ზოგი კიდევ წაქცეულზე წიხლს გაყოლებს. ასეთი ყოფილა ცხოვრება. გაძლებას გისურვებთ სუყველას.

**გივი თარგამაძე:** ოდნავ გადავაცილე. მაპატიებს. არ აქვს მნიშვნელობა, ჩემს მეგობარს, ძმაკაცსს, ვანო მერაბიშვილს გაუმარჯოს. ვულოვავ მიშოს, პატარა დათუნას და თაკოს, საქართველოს პატრიოტის დაბადების დღეს გილოცათ. დანარჩენი...

**მამუკა გამყრელიძე:** ვანო მერაბიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს!

ცხოვრებამ ისე ინება, რომ ეს ადამიანი მხოლოდ კარგი მხრიდან გავიცანი. არც თუ დიდხანს მომიწია მასთან ერთად საქმის კეთება, მაგრამ იმ მცირე დროშიც დამამახსოვრა თავი, როგორც გულანთებულმა ენთუზიასტმა, რომელსაც ქვეყნისათვის არც ძალა და არც დრო არ დაუშურებია. თვალები ენთებოდა და უბედნიერესი ხდებოდა როცა რაღაც ახალი და კარგი კეთდებოდა საქართველოსთვის.

შეიძლება ვინმეს განსხვავებული შეხედულება ჰქონდეს, მაგრამ იმედია დღეს თავს შეიკავებთ. ეს კაცი თავის დაბადების დღეს ციხეში ხვდება.

გილოცავ „პატივცემულო" და იმედია მალე გამოხვალ.




*რამდენიმე დღის წინ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სტუმრად ვიყავი და გიორგი კეკელიძე მოვინახულე. „სახალისო მოგონებების“ რუბრიკის „მასალისთვის“ მისულს, გიორგიმ ერთი იდეა შემომთავაზა: აგერ მაქვს რამდენიმე, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მოგონება. მართალია, ზოგიერთ მათგანზე „სახალისოს“ ვერ იტყვი, მაგრამ გარკვეული დოზით მათში იუმორის აღმოჩენა მაინც შეგიძლიათ. ეს ამბები ჯერ კიდევ გამოუცემელ „გურული მოგონებების“ მესამე ნაწილში განთავსდება და ნებას გრთავთ, წიგნის გამოსვლამდე ისინი „ალიას“ მკითხველებმა შეაფასონო.*

გიორგი გაჩეჩილაძე
593-30-28-70



# გიორგი კეკელიძის „გურული მოგონებების“ მესამე, გამოუქვეყნებელი ნაწილი ექსკლუზიურად „ალიასთვის“

## დაკრძალვები

ვისაც ცოტა ღრმა წარსულში უცხოვრია, იოლად ემახსოვრება ჩვენებური დაკრძალვების გარდაუვალი ფინანსური რიტუალი – „ფულის დაწერა“. სანამ მიცვალებულს წრეს შემოუვლი, შესასვლელში, ვითარცა ცერბერი, ზის გამხდარი კაცი – თუ ზაფხულია, კისერზე ოფლისმშრობად შემოფენილი შინდისფერი ცხვირსახოცით და „ფულს წერს“. ეს ამ დროს აუცილებელი წესი გახლავთ, ოჯახის ჭირისუფლის დამატებითი გასაჭირი, ერთგვარი „სევდა პლუსი“. კაცის სიკვდილი ხომ ცალკე სწყინთ და ცალკე ამ საკითხის გახსენება. მიდიან და ცერბერ ღლონტს კარნახობენ: „კიკვაძე ჯიმშერი, დაწერე მაქანე 50 ლარი. ცენტერაძე მაგული – 50 ლარი. ნაკაშიძე ბესარიონ – 75 ლარი. ჩხარტიშვილი ლუიზა – 20 ლარი, ვიწობი სირცხვილით, ახლა ელანძე მეტი არ მაქვს, მარა მუუწერე მაქანე, რო ორი გზობა სადილი მევიტანე და მესაფლავეებს ყველს მივცემ“. აპოლონ წულაძის წიგნში („ეთნოგრაფიული გურია“) ვკითხულობ, რომ თურმე გურულებს მეცხრამეტე საუკუნეში ჰყოლიათ ასეთი პროფესიის ქალი/კაცი – „ვექილობით მოტირალი“. თუ ვინმეს სატირალში წასვლა არ შეეძლო, მას ქირაობდა. მისული ჯერ საკუთარი დამქირავებლის სახელსა და გვარს წარადგენდა და მერე აკივლდებოდა და ატირდებოდა. ჩვენ დროში ეგ საქმე მობილური ტელეფონის ქონამ შეცვალა. საკითხმა ახალი კომიკური ვითარება წარმოშვა. ერთხელ ვნახე, როგორ აღმოხდა შორეულ ნათესავს, მჯდარს მეუღლის სასახლესთან: „ა, ცა, ნახე ძუნკალი ჯიმშერიე, სამძიმარის სათქმელადაც ზარს მიშოოობს“.

## სიკვდილი და სიცოცხლე

ამ ზამთარს საშინელი ამბავი შემემთხვა: ჯერ მამა – ოზურგეთში, რამდენიმე დღის შემდეგ კი ბაბიაჩემი, მედიკო დავკრძალეთ, სოფელ ნატანებში. სამძიმრის მიღებისას, ცხადია, ნათესავები მცირე ხნით ყოვნდებოდნენ ჩემთან. ერთხელაც, ერთი მოვიდა და მკითხა: „კი, მარა, ბოლო-ბოლო, ყველამ დააყენა საშველი და შენ როის აპირებ?“ შეცბუნებულმა შევხედე. წამის შემდეგ მივხვდი, ცოლის მოყვანაზე მეკითხებოდა, მაგრამ კონტექსტის გათვალისწინებით, რომ არა გურული დაშიფრული ლაპარაკის პროფესიული ცოდნა, წესით, სხვა რამე უნდა მგონებოდა. გამეღიმა კიდეც და ვუთხარი: „მალე, 33 წლის რომ გავხდები“, „არ გადააცილო, იცოდეო“, გამომცდელი მზერით მიპასუხა და კმაყოფილი წავიდა. რა სათქმელია: ეს იყო პირველი ღიმილი ბოლო კვირანახევრის მანძილზე. და მივხვდი, რომ არსებობს გადაკვეთის წერტილები, რომლებსაც სიტყვები უნებურად ქმნიან, სადაც სიკვდილი და ქორწინება, სიცოცხლე და დაკრძალვა თანაბრდება. ეს არის კიდეც ადამიანად ყოფნის ერთ-ერთი ნიშანი.



## რწმენა

ბებიაჩემი მორწმუნე იყო. ძილის წინ ჩუმად ლოცულობდა, სწრაფად და ძალიან გაურკვევლად. ხელები დახრილი ჰქონდა და მხრები ოდნავ აწურული. სახე დაძაბული და ჯიუტი, ძალიან ჯიუტი. თითქოს თვალებში უყურებდა ღმერთს. უყურებდა და ლოცვის დასასრულისას, ხმამაღლა და გარკვევით ეუბნებოდა: ღმერთო, ლელაიე სამოთხეში მუახვედრე, იცოდე და რომ მუალ, დამახვედრე მაქანე კარგათ.

სოფლის მღვდელი შუახნის კაცი გახლდათ. მამაჩემის ბიძაშვილი, პატიოსანი და ამასთანავე, უნდა აღინიშნოს: ერთობ ხუმარა. ჩვენს სოფელში ტაძარი რომ აღადგინეს, ბებია ლამის იქ გადასახლდა. ლელას დაბადების დღესაც იქ იყო. ტიროოდა. ღელავდა. შესაწირში არყიანი ბოთლი იდგა. მივიდა. ერთი ჭიქა მორცხვად დაისხა. დალია. მეორეც. შეიძლება მესამეც. შეთვრა. ღვთისმშობლის ხატთან მივიდა და უთხრა: შენ გამიგებ უფრო მალე, დედის ამბები უკეთ იცი, ჰოდა, სანამ მუალ, ლელაიეს სათხუარი უკვე ნათქვამი მაქვს შენი შვილიზა და კითხეო და კიდოო, რაცხა მავიწყდებაო, ჰო, იგიო, აქანე ჩემს დარჩენილ შვილებს უკეთესი სამსახური უშონო ეგებაო“.

მღვდელი ამბიონში ყოფილა. გახუმრება გადაწყვიტა და რაღაც გამოსძახა დაბოხებული, ვითომ მამაზეციერის ხმით. რაღაც ისეთი, მგონი, – არაყი რომ დალიე, არ გაპატიებო. ბებია შეცბა. სულ ერთი წამით. სახე უცებვე გაუმკაცრდა. თხელი ტუჩები გაუჯიუტდა. თავი ასწია და წამოიძახა: მაცალე, ერთი წუთი, კაცო, დედაშენს ველაპარაკებიო.

მე მგონია, თუ ვინმეს ღმერთთან საუბარი შეუძლია, ასეთი გულწრფელი და ჯიუტი უნდა იყოს. ღმერთიც, ალბათ, მხოლოდ ბებიაჩემივით ადამიანებს ელაპარაკება. ამიტომაც არ გვსმენია არც მე და არც სოსოს მისი ხმა.

## ბიენ

მესამედ ვიყავი საფრანგეთში, ლევილში ქართული ბიბლიოთეკა მოვაწყვეთ. ჰოდა, საკმარისად დავაკვირდი აქაურებს და დავასკვენი, რომ გურული და ფრანგული საერთო ძირიდან მოდის. აი, წარმოიდგინეთ დიალოგი:

– კოფე გინდებიენ?

– ტღე ბიენ.

პ.ს. სერიოზულად ნუ შეიმჩნევთ. იმფერი დაღლილი ვარ, მტერს და ავს.

## აკრძალვები

13 წლისამ მივიღე ერთი ფრიად ამაღელვებელი და, ამავდროულად, როგორც მერე გაცხადდა, მცდარი მინიშნება – ალბერტო მორავიას „ჩოჩარა“ იმფერი წიგნი იყო. იმფერი. ეროტიკული. მორავია რომ ქართველი მეგონა, ეს კიდევ ცალკე საგაა. ახლა ალბერტოსა და ჰამლეტის გურულსახელობით ძნელად გაგვაკვირვებთ. ჰოდა, ვითხოვე. გარეკანი, სადაც შიშველი ქალი იყო წარმოდგენილი, ინფორმაციის წყაროს სანდოობას, დიახაც რომ ადასტურებდა. დავიწყე კითხვა და ამაოდ. ჩემთვის მოსაწყენი ამბები: ჯარისკაცები, სიკვდილი, გაჭირვება. არადა, გასაჭირი ჩვენიც გვეყოფოდა. მოკლედ, იმფერი აფერი. დე სიკას ლორენიანი ეკრანიზაცია რომ მქონოდა ნანახი, ფიქრს სხვა გაქანებას მივცემდი. მაგრამ მაშინ დე სიკა ბესიკად შეიძლებოდა მომყურებოდა - ჩემსა და კინოს შორის მკვდარი ტელევიზორი იდგა.

მეორე წიგნს ეწერა „გამოდის ავტორის ხარჯით“. ეს იმ პერიოდისთვის, ეტყობა, განსაკუთრებულ ამბავს გულისხმობდა, გასაგები ტრადიციის გამო – 1991 წლის გამოცემაა – და ხაზგასმით მიუთითებდნენ. როსტომ ბეჟანიშვილის „ჰერცოგის ნადიმი“. ამ კაცის სახელი და გვარი მერე რუსთაველზე დამხვდა – აქ ცხოვრობდა და ა.შ.-ს ამბავში და გამიხარდა. ხსენებული წიგნიც ეროტიკული „ნაკოლის“ გავლენით წავიკითხე. აქაც ვერაფერი ბევრი ამ მხრივ, მაგრამ სხვა ამბები გავიგე. მაგალითად, ის, რომ არსებობდა ვინმე ჯუ დე, ჩინელი გენერალი – 9 მარტს, სტალინის სახელის დასაცავად ქართველი დემონსტრანტები მიადგნენ სტუმრად ჩამოსულს და გაჰყვიროდნენ: ჯუ დე, ჯუ დე, ჯუ დე!

ძალიან საინტერესო საქმეა ერთი წიგნის გამოცემა ორჯერ – ბათუმში და თბილისში – განსხვავებული სათაურებით. სერგეი ლიბიხი – „სექსუალური ჰარმონია“ (თბილისი, მერანი, 1991 წელი. თარგმნა ნ. ლობჟანიძემ. გვერდი – 96) და სერგეი ლიბიხი – „სასიყვარულო ჰარმონია“ (ბათუმი, ჟურნალ „ჭოროხის“ გამომცემლობა, თარგმნა ე. ნიკოლაძემ. გვერდი – 64). საინტერესოა ისიც, რომ ორივე წიგნი ოჯახის ბიბლიოთეკაში აღმოვაჩინე. ალბათ, დროისა და კონტექსტის გათვალისწინებით – ძალიან სტერილური ქართულით ნათარგმნი, რაღაც აზრით, ნეიტრალური წიგნი – არც სამედიცინო, არც ეროტიკული. მოკლედ, უხალისოდ საკითხავი, სულ მცირე, იმ დეკლარირებული მიზნით მაინც, რაზეც თავიდანვე მოგახსენეთ.

მაგრამ იმ დროის საკულტო წიგნი მაინც სხვა იყო. კარგად ან უნებლიეთ კარგად გათვლილი კომერციული პროექტი. ფასი სახელშეკრულებო – ეს ბიზნესგანცდისთვის. ტირაჟი, ოფიციალური – 1000 – ეს ექსკლუზიურობის შეგრძნებისთვის, თორემ ბარემ ათას ხუთასი კაცისგან გამიგია, რომ სადღაც სხვა გამოცემების ზურგში უდევთ. შრიფტი – პეტიტი – მზერის დასაძაბად და სხვანი. გაფორმება – სურათ-ნახატების გარეშე, ტექსტზე მეტი აქცენტით. ავტორი – ირინა ავერბახი. ხოლო პირველ გვერდზე – ზ.ი. ავერბახი. აშკარა ფსევდონიმი, რომლის უკან მდგომი თუ ოდესმე სცენაზე გამოვა, დიადი კარნავალი უნდა შეიქნას. და სახელი მისი: „გარყვნილების ჭაობი, ანუ დედიდან შვილზე გადასული უბედურება“. უფრო მოკლედ: ჭაობი. წინასიტყვა გვამცნობს: „ძვირფასო მკითხველებო! ამ რომანში მოთხრობილი ამბები ნამდვილად მოხდა, მისი ავტორი ზაირა ისაის ასული ავერბახი რამდენიმე წლის წინათ საზღვარგარეთ გაიქცა. ეს წიგნი საბჭოთა კავშირში აკრძალული იყო. იგი გამოიცა საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში. წიგნი ჩვენთან საიდუმლოდ იბეჭდებოდა, რადგან წიგნის აღმოჩენის შემთხვევაში მისი მფლობელიც სათანადოდ დაისჯებოდა“. პორნოგრაფიული ელემენტები. კრიმინალი. სიმდიდრე და სიღარიბე. ციხე. სიყვარული. ცოტა მოულოდნელი მორალისტური ამოვარდნები. ყველაფერი, რაც რაგინდარა ხარისხის ტექსტს ბესტსელერობას დაუმკვიდრებს, მით უფრო, იმ დროს, საბჭოთა ფსევდოტაბუდან გამომძვრალ საზოგადოებაში. ამ წიგნს ეგრე ვკითხულობდი, როგორც რომ ჩემი ვარაუდით ბევრი თქვენგანი – ან საბჭოთა ენციკლოპედიაში ვაქცევდი სხვათა თვალის ასაქცევად, ანდაც მეგულებოდა ასეთი ფოლიანტი – ოქრო აჭარის ლაჟვარდში, ციტრუსთა და მსგავს ხილთა კომკავშირული ქება და იქ ვათავსებდი. ერთი შეხედვით კი გასაკვირია ამგვარ წიგნთა ასე დაჟინებით კითხვა, მაგრამ უცნაურ ბავშვად ვითვლებოდი და ამან გამიმართლა.



# ვინ ემუქრება დაჭერით იუნა შაფათავას?

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



9 აპრილს „რუსთავი 2“-მა გამოკითხვა ჩაატარა ქუჩაში – რა იცით 9 აპრილის შესახებ? უმეტესობამ არაფერი იცოდა. ერთმა თქვა, დავით აღმაშენებელმა ამ დღეს დიდი ბრძოლა მოიგოო. სწორია, 1989 წლის 9 აპრილს, როცა საბჭოთა ტანკები რუსთაველზე მოაგრიალეს, იქ ტრიალებდა არა მხოლოდ დავით აღმაშენებლის, არამედ თამარის სულიც. ოღონდ ეგაა, ვერ მოვიგეთ, გადაგვიარეს, აგვჩეხეს. არაუშავს, შეცდომა ვის არ მოსვლია? ჩვენში ხომ არცოდნა ცოდვად არასოდეს ითვლებოდა? არადა, ცოტა შორიდან რომ შეხედო, „ფეისბუკის“ გვერდები რომ გადაიკითხო, ყველამ ყველაფერი იცის, ყველა გენიოსია. პრინციპში, რა მნიშვნელობა აქვს, 9 აპრილზე, ან უახლოეს თუ შორეულ ისტორიაზე რა იცი? მაგალითად, მე თუ 8 აპრილს რუსთაველზე ვიყავი და 9-ში შემთხვევით გადავრჩი (სოფელში წავედი), ან 1991 წლის დეკემბერში პარლამენტის წინ ცოცხალ ჯაჭვში ვიდექი, რათა სამოქალაქო ომი არ დაწყებულიყო, რა, რამეს მივაღწიე, ვინმემ ანგარიში გამიწია თუ სხვებზე მდიდრული სექსი მაქვს? არა, პირიქით, 9 აპრილს ისეთები ქადაგებდნენ, ისეთებს ჰქონდათ ენა გადმოგდებული, ისეთებმა მიარბენინეს პარლამენტის წინ ტიტები, თავის დროზე საბჭოთა ჯარსა და სისტემას რომ ამართლებდნენ, ჩახოცილ ახალგაზრდებს რომ ლანძღავდნენ. კარგად მახსოვს, როგორ გადი-გამოდიოდნენ ტელე-რადიოკომიტეტში (მაშინ ასე ერქვა „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, სადაც ახალი თანამშრომელი ვიყავი) დღევანდელი „გმირები“ და როგორ მასალებს ამზადებდნენ. გეფიცებით, 27-ე 9 აპრილს საკუთარი თავისა შემრცხვა... აი, მართლა შემრცხვა და ფეხიც არ გამიდგამს არსად – არც რუსთაველზე გავსულვარ და არც ტიტები მიმიტანია სადმე. მე მირჩევნია, ახალგაზრდა თუ ძველგაზრდა ვერ ერკვეოდეს 9 აპრილის მნიშვნელობაში და ეგონოს, რომ აღმაშენებელმა რუსთაველზე დიდი ბრძოლა მოიგო, ვიდრე მოღალატე ნაძირალამ დღეს ჩინმედლები ჩამოიკიდოს, მაღალი თანამდებობა მიიღოს და რუსთაველზე ტიტებით ხელში ითაღლითოს. ეგრეა, ზოგი რუსთაველზე თაღლითობდა, ზოგი – ტელევიზორში, ზოგი – კიდევ სოციალურ ქსელებში. ამ შემთხვევაში ვეთანხმები ევა ლიქოკელს:

**„არის ქვეყანა სულიერების,**
**არის ქვეყანა — ჩუმი ბოზების,**
**არის ქვეყანა — პიდარასტების,**
**მათი „პარადით“, ჩუმი გოდების.**
**რატომ გაგცვალეს,**
**ნაღდო ქართველო,**
**ვაზელინწასმულ**
**უკანა ხვრელზე...**
**გტკივა, ლამაზო?**
**და ცისარტყელა**
**შავდება**
**სიმბოლოდ გლოვის,**
**შარავანდედზე.**
**ტილოზე ტირის მოკლული**
**დედა, აქ ქრისტეს**
**არ სურს კვლავ დაბადება...**
**ჩაკლეს ვირებმა ლაფში**
**წმინდანი,**
**არ გვინდა ღმერთი,**
**ღმერთს არ ევასება**
**ჩათლახობით მდიდარი...**
**არ არის ღმერთი**
**და შეიძლება შეითითხნო**
**თავი „ღირსებით“.**
**ჰო, მთავარია — „სვეტსკი“**
**ხარ, რეგვენო,**
**რა დაგაბრუნებს გომურში,**
**შენი დარდით მოკლული**
**მოხუცი ბოზის შვილო...**
**შენ არ ხარ გეი,**
**არც ჰომოსექსები**
**და არც გეკუთვნის**
**ჩემი ლექსები**
**იყო ქვეყანა —**
**ნაღდი კაცების და**
**ნაზი ქალების,**
**გახდა — ლაჩარი**
**პიდარასტების!**

ბოლო დროს იუნა შაფათავამ სიტყვა „პიდარასტი“ არაერთხელ ახსენა. „ელგებეტე“ თემის წარმომადგენლებს უთქვამთ, შენ თავს დავაჭერინებთო. ვაი, შაფათავა რა ბრალდებით უნდა დააჭერინონ, სექსსათამაშოებს ჩაუდებენ თუ ბუსუსებიან პრეზერვატივს? ან სად უნდა ჩასვან, რომელ პორნოსაპყრობილეში? მოიცადეთ... ვერ გავიგე, ქართული პორნოინდუსტრიის ფუძემდებლები (სააკაშვილი, ადეიშვილი, ქარდავა და სხვები) გარეთ უნდა დასეირნობდნენ, სადღაც თანამდებობებზე ისხდნენ და იუნა კიდევ ციხეში ჩავსვათ? არააა, ეგრე თუ ამოყირავდებოდა ქვეყნიერებაზე ყველაფერი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. თუმცა, როგორც ჩანს, დედამიწაზე ბევრი რამე ჩვენს დაბადებამდეც იდგა ყირაზე, თორემ გალაკტიონი ასეთ რამეს არ დაწერდა:

**„დილით ადრე მივდიოდი,**
**უცნაური რამე ვნახე:**
**ვირი პორთმელს მიათრევდა,**
**ჩემივ თვალით დავინახე.**
**თხა ორ ფეხზე შემდგარიყო,**
**მოხსენებას აკეთებდა,**
**ინდოური ოქმსა სწერდა,**
**იხვის ჭუკი ამოწმებდა“.**

აშკარაა, დღეს ყველა საზოგადოებრივ გადაწყვეტილებას იხვის ჭუკი ამოწმებს, უფრო სწორად, იხვის ჭუკები ამოწმებენ და ჩვენ კიდევ გვიკვირს, რათაო? ერთი ამბავი გამახსენდა: ამას წინებზე როენა (მამიდამ) ხუცურაულმა განცხადება გამოაქვეყნა, მე ყველაზე უკეთესი, უჭკვიანესი და უმშვენიერიესი ვარ, უბრალოდ, ვერ მამჩნევთო. მე ვუთხარი, რას ჰქვია, ვერ გამჩნევთ, მოდით და დამიმტკიცეთ, რომ ყველაზე უკეთესი ხართ-მეთქი. მოკლედ, მეც ხომ მაგარი გიჟი ვარ? ვისაუბრეთ, ტელეფონის ნომრებიც გავცვალეთ, მაგრამ შეხვედრაზე ვერ შევთანხმდით, ანუ ვერ ჩამოვყალიბდით – ის მეუბნება, შენ დამპატიჟე, მამაკაცი ხარო, მე ვეუბნები – შენ დამპატიჟე, სასტუმროც გაქვს და კაი სახლიც-მეთქი. ისაო, ვიცი, რომ საკმაოდ ჭკვიანი ხარ, მაგრამ, წესით, მაინც არ უნდა მენდო, რა იცი, სად წაგიყვანო? ბიჯოს! ახლა ინდაურები ოქმებს რომ არ წერდნენ, მე რატომ უნდა მაშინებდეს როენა მამიდა, ან მას რატომ უნდა ეშინოდეს ჩემი? ბოლოს მითხრა: მირჩევნია, სავსე თავთავი თავდახრილი ვიყო, ეს საქართველოა, სადაც ბოღმა და შური მეტიაო. ახლა რომ დავდგე და შენთან ვილაპარაკო, შეიძლება იქით შემომიტრიალონ, ჩემი ცხოვრება სულ ბომბზე ჯდომაა, კაცურად გამიგეო. ბოლოს როენა მამიდამ ერთი საგულისხმო რამე მითხრა, რაც თითქმის პოეზიად ჩავთვალე:

**„წლები, ჩემო კარგო, წლები... გული არ ბერდებაო, არავინ თქვას, გულიც ბერდება და სილამაზეც ჭკნება ყველაფერთან ერთად, ეს ჩემგან დაიმახსოვრეთ. როცა ყველაფერი ჭკნება, ადამიანი გამოცარიელებულია და სიმშვიდისკენ მიილტვის, გამოსავალს მარტოობაში ეძებს“.**







## რა უთხრა როენა მამიდამ „ალიას“?

## თუ ღმერთი ყველგანაა, მაშინ „ფეისბუკშიც“ უნდა იყოს დარეგისტრირებული!

თუ ღმერთი ყველგანაა, მაშინ „ფეისბუკშიც“ უნდა იყოს დარეგისტრირებული, უბრალოდ, ჩვენ ვერ ვხედავთ, ის კი გვხედავს. დიახ, ის ხედავს, როგორ ლოცულობენ ადამიანები ვირტუალურ სამყაროში (ზოგიერთის გვერდი რომ ნახოთ, ისეა გადაჭედილი ხატებით, ეკლესია გეგონებათ), როგორ ქადაგებენ სიყვარულს, როგორ მოგვიწოდებენ სიკეთის კეთებისკენ და სათნოებისკენ, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში საპირისპიროს აკეთებენ. ამას წინებზე მითხრეს, ერთმა ცნობილმა ადამიანმა ფართომასშტაბიანი საქველმოქმედო კამპანია წამოიწყო სოციალურ ქსელებში, ჩვენს ემიგრანტებს იმდენი ფული გადმოარიცხვინა, ბინა და ახალი მანქანა იყიდაო. მეც მახსოვს, როგორ იპუტავდა ერთ ადგილს ეს ცნობილი ადამიანი, საქართველოში ბავშვები შიმშილით იხოცებიანო. რა ცხოვრებაა ეს, სადაც ორმაგი და სამმაგი (თუ არა ათმაგი) სტანდარტებით გვიწევს ყოფნა-არყოფნა? ამაზე ისევ სექსსიმბოლო იუნა შაფათავა გვაძლევს პასუხს:

**„ღმერთო, გეხვეწები,**
**„ფეისბუკზე“ დარეგისტრირდი!**
**ნახე, რად ვიქეცით**
**და რა გიქენით!**
**ნახე შენი სახლები**
**მიწაზე,**
**რამდენი ავაშენეთ**
**და როგორ წავბილწეთ!**
**ნახე, რომელი ჩვენგანია**
**შენი ხატი და მსგავსი!**
**ნახე, ჩვენი სახე!**
**ნახე, ვის ხელში ხარ!**
**მებრალები“.**

**ამოცანა გვეკითხება:** თუკი ვიცით, რომ გულიც ბერდება და ყველაფერი ჭკნება, მაშინ რატომ ვერ ვაცნობიერებთ, რომ დროებით ვართ მოსული ამ ქვეყანაზე? რატომ უნდა ჩავძახოდეთ მუდმივად საკუთარ თავს, რომ სიფრთხილეა საჭირო?



**ჩვენ, პოეტები საქართველოს!**

## 18 –24 აპრილის ჰოროსკოპი

### ვერძი 21.03-21.04



**სიყვარული** – ახალი ნაცნობობა საკმაოდ სასიამოვნო იქნება, თუმცა არც ისე ხანგრძლივი და არც ისე სერიოზული. შესაძლოა, თავად იმდენად მოიხიბლოთ, რომ პარტნიორის უარყოფითი მხარეები ვერც კი შენიშნოთ, რის გამოც მოსალოდნელია კონფლიქტები, ხოლო შედეგი – განშორება. კარგს იზამთ, თუ მიმდინარე კვირაში მხოლოდ მსუბუქ ფლირტს დასჯერდებით, მით უმეტეს, რომ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლებისგან ყურადღების ნაკლებობა ნამდვილად არ გექნებათ.

**სამსახური** – უარი არ თქვათ მივლინებებზე, რადგან შედეგით უკმაყოფილო ნამდვილად არ დარჩებით. ახალი კონტაქტები მომავალში ძალიან წაგადგებათ.

**სასიკეთო დღეები:** 20, 23 აპრილი; არახელ**საყრელი დღეები:** 21 აპრილი.

### კურო 22.04-21.05



**სიყვარული** – ნუ დამალოთ თქვენი გრძნობები, მათ შორის, არც ხალხმრავალ ადგილებში შეიზღუდავთ თავს. დაე, თქვენი რჩეული და თქვენი არაკეთილმოსურნეები დარწმუნდნენ, რომ ბედნიერი ხართ. ნაკლები სიტყვები – მეტი მოქმედება, აი, რით უნდა იხელმძღვანელოთ ამ პერიოდში. რჩეულს სიყვარული ნებისმიერი ხერხით დაუმტკიცეთ, რასაც შესანიშნავი საპასუხო ნაბიჯები მოჰყვება. საერთო ჯამში, კვირა ძალიან ხელსაყრელია თქვენი პირადი ცხოვრებისთვის!

**სამსახური** – ძალიან დიდი შრომა გელით, თუმცა ფინანსური თვალსაზრისით შესაბამისად დაჯილდოვდებით.

**სასიკეთო დღეები:** 19, 20 აპრილი; არახელ**საყრელი დღეები:** 23 აპრილი.

### ტყუპები 22.05-21.06



**სიყვარული** – ურთიერთობისგან, რომელიც სულ ახლახან დაიწყეთ, ბევრად მეტს მიიღებთ, ვიდრე გასცემთ. რა თქმა უნდა, კარგია, რომ საკუთარი თავის რწმენა და უფრო მეტის მოლოდინი გაქვთ, თუმცა საკითხს სხვა კუთხიდანაც შეხედეთ. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიაქციოთ საკუთარ გარეგნობას, მანერებს, გადადგმულ ნაბიჯებს, რათა ზედმეტმა თავდაჯერებულობამ ჩიხში არ შეგიყვანოთ – ამის საშიშროება კი ნამდვილად არ არსებობს.

**სამსახური** – გეგმები, რომლებსაც დიდი ხნის მანძილზე აწყობდით, დროა, განახორციელოთ. ახალი ინიციატივებისგან თავი შეიკავეთ.

**სასიკეთო დღეები:** 18, 20 აპრილი; არახელ**საყრელი დღეები:** 19 აპრილი.



# „თუ არ გჯერათ, რომ თქვენს ცხოვრებაში რაიმე შეიცვლება, ხელისგულზე დაიხედეთ“

მაია იასეშვილი
599 94-64-58



**დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ კარმაზე, კარმის კანონებზე და პარაფსიქოლოგს აკითხავენ მძიმე კარმის გასანეიტრალებლად. არის თუ არა შესაძლებელი კარმაზე ზემოქმედება? გვესაუბრება პარაფსიქოლოგი ნინო ვარსიმაშვილი.**

– ამბობენ, ყველა ადამიანს თავისი ბედი აწერიაო, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყველას თავისი კარმა აქვს, ვილაცის მძიმეა და ვილაცის – მსუბუქი. თვითონ ეს სიტყვა ისეთ მოვლენებს გულისხმობს, რომლის შეცვლაც შეუძლებელია, ამიტომაც ამბობენ, რაც გიწერია, ვერ ასცდებიო. კარმის კანონი მარტივი და მკაცრია – მიიღე ის, რაც დაიმსახურე. კარმის ზემოქმედება, ბუნების კანონების გარდაუვალობას შეიძლება შევადაროთ, დღეს ღამე ცვლის, ზამთარს – ზაფხული, ასევეა კარმაც. ყველას დამსახურების მიხედვით მიეზღვება, ჩვენი ყველა საქციელი წარსულიდან მოდის და მომავალზე ახდენს ზეგავლენას. შემთხვევით არაფერი ხდება. ცნება – „შემთხვევითობა“, თავდაჯერებული მატერიალისტების მოგონილია, ბრძენი ადამიანის ლექსიკონში სიტყვა „შემთხვევითობა“, არ არსებობს. სამი სახის კარმა არსებობს, ეს არის: მწიფე – „მოწეული“, ფარული და ჩასახვადი, ანუ მიმდინარე. მოწეული კარმა ჩვენს ცნობიერებაში უკავშირდება სიტყვას – „ბედი“. ეს არის მოვლენა, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია. ამ კარმით განისაზღვრება სიცოცხლე დედამიწაზე, გარეგანი თავისებურებები, ადამიანის ხასიათის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ნათესავები, მეგობრები, მტრები, ჯანმრთელობა, სიხარული და ტანჯვა, ცხოვრების პირობები. მოწეული კარმის ერთ-ერთი გამოვლინებაა, აფექტის მდგომარეობაში ჩავარდნილი ქმედებები, ადამიანის არადამახასიათებელი ქცევები და გამოხტომები. ამ კარმას ეკუთვნის შთაგონება, გასხივოსნება, ის სიტუაციები, რომლის დროსაც ადამიანს ისეთი წარმოუდგენელი ძალები აღმოაჩნდება ხოლმე, რომლის არსებობასაც ვერ იფიქრებდა.

უარყოფითი მოწეული კარმა საკმაოდ არასასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ ხელის ჩაქნევა არ ღირს. თუ წარსულში 200 კგ წონა გამოიმუშავე, ახლა გახდომას ველარ შევძლებო, არ უნდა იფიქრო, თავს უნდა სძლიო და მაშინ შეიძლება ცხოვრების განმავლობაში ახალი შემდგომი განსხეულებისთვის უფრო პოზიტიური კარმა ჩამოგიყალიბდეთ. ფარულ კარმას ნოყიერი ნიადაგის მოლოდინში ერთი განსხეულებიდან მეორეში გადასვლა შეუძლია, შიშები, ფობიები, წინათგრძნობები, არარეალური ოცნებები, ეს ყველაფერი ფარული კარმის გამოვლინებაა, რომელიც შეიძლება სურვილისამებრ შეიცვალოს. ჩასახვას, ანუ ახალ კარმას კი ყოველწუთიერად და ყოველწამიერად ჩვენი აზრებითა და მოქმედებით ვქმნით. ამიტომ, თუ ცნობიერად საკუთარი თავისთვის სასიკეთო კარმის ჩამოყალიბება გინდათ, მკაცრად უნდა ადევნოთ თვალი აზრებისა და საქციელის სისუფთავეს...

**— ესე იგი, კარმის კორექცია შესაძლებელია?**

– ეს რომ არ იყოს შესაძლებელი, მაშინ აზრი აღარ ექნებოდა მეცნიერება-პარაფსიქოლოგიის არსებობას და ჩვენს მოღვაწეობას. მართალია, არსებობს აზრი, რომ ბედისწერა გარდაუვალია და ასეც არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანი რაიმე ცუდს უნდა შეეგუოს და ბედისწერად ჩათვალოს უიღბლობის პერიოდები, შესაძლოა, ეს ნეგატიური პროგრამების შედეგია და არა, მაინცდამაინც ბედისწერის გარდაუვალობა. პარაფსიქოლოგიის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები არ შეეგუონ უბედურებას, საფრთხეს და ყოველივე ნეგატიურს და ცხოვრება წარმატებისა და სიხარულის მოზიდვისაკენ მიდრიკონ. ადამიანები ახალ კარმას აზრებითა და საქციელით აყალიბებენ, ეს თითოეულმა პიროვნებამ უნდა იცოდეს, ვისაც ბედნიერი ცხოვრება სურს და უნდა, გზახსნილი ჰქონდეს თავისი სურვილებისა და ოცნებების შესასრულებლად. თუ მთელ ცხოვრებას ხელოვნების, მეცნიერების ან სხვა ნებისმიერი ღირსეული საქმიანობის სფეროში საკუთარი თავის სრულყოფას მიუძღვნით, მაშინ თქვენი ამ სფეროში დაოსტატების ახალ, უჩვეულო სიმაღლეზე აგიყვანთ.

**— შეიძლება თუ არა, კარმულ დარტყმებს, რაც შეიძლება ჩვენი ცხოვრების მიზეზშედეგობრივი კავშირის შედეგია, წინააღმდეგობა გავუწიოთ?**

– ზოგადად, შეიძლება, მაგრამ გაცილებით უკეთესია, თავი ავარიდოთ ისეთ სიტუაციებს, რომლებშიც გარკვეული დარტყმები წარმოიშობა. საერთოდ, სამყარო ბუმერანგის პრინციპით იმართება და ყველაფერი უკან გიბრუნდებათ. თუ ვინმეს არასამართლიანად მოექეცით, ზუსტად ისევე მოგექცევიან თქვენ. თუ ვინმეს ოჯახი დაუნგრიეთ, იგივე მოგელით მომავალში. კარგი იქნება, თუ კარმულ ვალს ახლავე გადაიხდით, ანუ ამ პრობლემას ახლანდელ ცხოვრებაში აანაზღაურებთ. ვალდებული ხართ, თავი დაიცვათ ყველა მოძალადის შემოტევისგან, თავის დაცვა თქვენი კარმული ვალია, მაგრამ, თუ ვერ შეძელით ისე, როგორც საჭიროა, ამაზე ნუ ინერვიულებთ, ამ დავალებას თქვენ მაგიერ კარმა თქვენზე უკეთ შეასრულებს, ოღონდ აქ ერთი პარადოქსია, რამდენადაც სუსტად დაიცავთ თავს, იმდენად ძლიერად დაარტყამს კარმა მოძალადეს. ასე რომ, თუ ძალა არ გერჩით, არც არის საჭირო.

**— ადამიანები კარმის შემსუბუქებას ნათელმხილველებთან ცდილობენ, ეს შესაძლებელია?**

– ხდება ისე, რომ ცხოვრებისეული სიძნელეებით გადაღლილი ადამიანი ნათელმხილველთან მიდის, მისი მიზანია, ვინმემ კარმა შეუმსუბუქოს, ან კარმული ვალები მოუხსნას. ეს ადამიანი ერთ რამეზე ფიქრობს – ნუთუ ეს შესაძლებელია? არამც და არამც, ვერავითარი ნათელმხილველი და მაგი ვერ გიშველით, თუ თვითონ არ მოინდომებთ. მხოლოდ თქვენი სინანულისა და სურვილის შედეგად გეძლევათ შესაძლებლობა, მძიმე კარმის განეიტრალებისა, რომლის მიხედვითაც თქვენი ბედისწერაც იცვლება და უიღბლობის პერიოდებიც მთავრდება. ჯადოს ან ნეგატიური პროგრამების მოხსნის შედეგად ადამიანის ცხოვრება უკეთესობისკენ იცვლება, ეწყება წარმატებები და განსაკუთრებული ხალისი და სიყვარული სიცოცხლის მიმართ, იგივე ხდება მძიმე კარმის განეიტრალების შემთხვევაში, რადგან ადამიანს შეუძლია, თავისი ფიქრით, აზროვნებითა და ცხოვრების წესით, გაანეიტრალოს თავისი მძიმე კარმა, რომელიც წინა ცხოვრებიდან მოსდევს, მაგრამ ბევრ ადამიანს ვერ გაუგია, რატომ ერგო ასეთი მძიმე ბედი, რატომ არ ხდება ისე, როგორც მას სურს, თუ თქვენი ბედისწერა არ მოგწონთ, კარმის კანონი არ გავალებთ ამ ყველაფერს იმედგაცრუებული იყოთ, ჩვენ არ ვართ დაპროგრამებული რობოტები, იმუშავეთ საკუთარ თავზე და იღბალიც არ დააყოვნებს, თუ არ გჯერათ, რომ რაიმე შეიცვლება, ხელისგულზე დაიხედეთ, მარცხენა ხელისგულზეა ის ცხოვრება ასახული, რაც უნდა იცხოვროთ, მარჯვენაზე კი – რომლითაც სინამდვილეში ცხოვრობთ. ხშირად ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა... მიუხედავად იმისა, რომ ბედისწერა გარდაუვალია, თქვენ მაინც შეგიძლიათ, თქვენი ცხოვრების სასურველი სცენარი დაწეროთ, რაც თქვენს კარმაზე აუცილებლად აისახება. კარმის განეიტრალება შესაძლებელია, ბედთან შეგუება სულაც არ ნიშნავს, ბედისწერის გარდაუვალობას. იბრძოლეთ და არ შეეგუოთ არაფერს ისეთს, რაც არ მოგწონთ და რაც მიუღებელია თქვენი ბედნიერებისა და სრულყოფილებისთვის.





## 18 –24 აპრილის ჰოროსკოპი

### კირჩხიბი 22.06-22.07



**სიყვარული** – ძალიან მგრძნობიარე ხართ, მაგრამ იმის გამო, რომ პარტნიორისგან საპასუხო ემოციებს ვერ მიიღებთ, მათ გამოგონებას მიჰყოფთ ხელს. კარგს იზამთ, თუ ლოგიკას ხშირად მიმართავთ, რადგან, თუ თქვენი რჩეული არაადეკვატურად იქცევა, დასკვნაც შესაბამისი უნდა გამოიტანოთ და სიტუაციას ვარდისფერი სათვალით არ უცქიროთ.

**სამსახური** – გადაჭარბებულმა აქტიურობამ შესაძლოა, საქმეები მხოლოდ გაგიფუჭოთ. ხელსაყრელ დროს დაელოდეთ.

**სასიკეთო დღეები:** 24 აპრილი; არახელ**საყრელი დღეები:** 18 აპრილი.

### ლომი 23.07-22.08



**სიყვარული** – პირადი ურთიერთობების განახლების სურვილი გაგიჩნდებათ. მიმდინარე კვირა შესანიშნავად გამოგადგებათ საიმისოდ, რომ ძველ რომანს მიუბრუნდეთ ან მიმდინარე ურთიერთობებში სიახლე შეიტანოთ. გარისკეთ და მოიქეცით ისე, როგორც ადრე არასოდეს მოქცეულხართ. შეცვალეთ რომანტიკული ოჯახური ვახშამი თემატური შეხვედრით რესტორანში. ან გაემგზავრეთ ქალაქგარეთ ყოველგვარი მომზადებისა და მარშრუტის შედგენის გარეშე.

**სამსახური** – თქვენს საქმეს განახლება სჭირდება. ერთსა და იმავეზე ნუ ჩაიციკლებით.

**სასიკეთო დღეები:** 18, 24 აპრილი; არახელ**საყრელი დღეები:** 23 აპრილი.

### ქალწული 23.08-22.09



**სიყვარული** – სასიყვარულო ურთიერთობების მხრივ, ეს კვირა გამოფხიზლების კვირა იქნება. შესაძლოა, აცნობიერებთ, რომ რჩეულის მიმართ არსებული ძველი ვნებიანი გრძნობები ახლა უკვე მისი ფინანსური ძლიერების მიმართ გაჩენილი ინტერესითაა შეცვლილი. რა თქმა უნდა, ის ფულის გარეშეც მოგწონთ, თუმცა ამჯერად გრძნობები აშკარად გაციებულია. ასეთი დამოკიდებულება, პირველ რიგში, თქვენთვისაა დამღუპველი, რადგან დადგება დრო, როცა საკუთარ თავს ბევრ კითხვას დაუსვამთ, პასუხებს კი ვერ გასცემთ.

**სამსახური** – მიმდინარე კვირაში ძალიან აქტუალური იქნება კარიერული წინსვლის საკითხები.

**სასიკეთო დღეები:** 18 აპრილი; არახელ**საყრელი დღეები:** 19 აპრილი.

## 18 –24 აპრილის ჰოროსკოპი

### სასწორი 23.09-22.10



**სიყვარული –** მშვენიერი პერიოდია რომანტიკული შეხვედრებისთვის. არ არის გამორიცხული, ახლად დაწყებულ ურთიერთობას სერიოზული გაგრძელება ჰქონდეს, თუმცა მზად იყავით იმისთვის, რომ ინიციატივის ხელში აღება თავად მოგიწევთ. და კიდევ ერთი, რაც არ უნდა გარწმუნოთ რჩეულმა, რომ მისთვის ყველაზე ძლიერი დასაყრდენი ხართ, არ დაუჯეროთ მხოლოდ სიტყვებს, თავი საქმითაც შესაბამისად უნდა გამოიჩინოთ.

**სამსახური –** თუკი საზღვარგარეთ გამგზავრებას აპირებდით, ამის დრო სწორედ ახლა დადგა. შედეგები ძალიან გაგახარებთ.

**სასიკეთო დღეები:** 21, 23 აპრილი; არახელ**საყრელი დღეები:** 20 აპრილი.

### მორიელი 23.10-21.11



**სიყვარული –** რაც შეეხება ახალ რომანს, ბოლომდე კმაყოფილი არ იქნებით, რადგან მიხვდებით, რომ ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც მოელოდით. როგორც ჩანს, პარტნიორის ზედმეტად იდეალიზება მოახდინეთ, ახლა კი მოგიწევთ, მის არცთუ სასიამოვნო ჩვევებს, უბრალოდ, შეეგუოთ. ზედმეტად მაინც ნუ გააკრიტიკებთ, გახსოვდეთ, რომ სტრესულ სიტუაციებში ყოველთვის თავშეკავებული ვერ ხართ.

**სამსახური –** კარგი მომენტი გაქვთ იმისთვის, თავიდან მოიცილოთ ის, რაც დიდი ხანია, კარიერულ წინსვლაში ხელს გიშლით.

**სასიკეთო დღეები:** 18 აპრილი; არახელ**საყრელი დღეები:** არ გექნებათ.

### მშვილდოსანი 22.11-21.12



**სიყვარული –** ურთიერთობა, რომელიც ახლახან დაიწყო (პრინციპში, ეს ეხება თქვენი ხანგრძლივი ერთობლივი ცხოვრების ახალ ეტაპებსაც), არცთუ სახარბიელო სიტუაციაში ჩაგაგდებთ. აქედან გამომდინარე, ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილებების მიღებას და მით უმეტეს, ნუ იფიქრებთ მათ რეალიზებაზე. ჩუმი წინააღმდეგობები ან უბრალო კამათიც კი შესაძლოა, ღია და ძალიან მტკივნეულ კონფლიქტში გადაიზარდოს.

**სამსახური –** თუკი შეძლებთ და ყველა მხარის ინტერესებს გაითვალისწინებთ, მშვენიერ შედეგებს მიიღებთ.

**სასიკეთო დღეები:** 22, 23 აპრილი; არახელ**საყრელი დღეები:** 24 აპრილი.

კვირის ჰოროსკოპი...

# როგორ გამოეცხადნენ უცხოპლანეტელები ზურა დოიჯაშვილს?

## ირაკლი კავსაძე: „კახიმ თქვა, — ბელა, ვიცი აქა ხარ და კიდევ დამიმტკიცე, რომ აქ ხარო. სიტყვა დასრულებული არ ჰქონდა, რომ ჩანგალი დავარდა იატაკზე“




მაია იასეშვილი



599 94-64-58


**ჩვენი რესპონდენტები თავიანთ რწმენა-ცრურწმენებზე გვესაუბრებიან და იმ უცნაურ ისტორიებზე, რომელთაც ახსნა და სახელი ვერ მოუძებნეს.**

**ირაკლი კავსაძე, მსახიობი:**

– მამაჩემს ჰქონდა უცნაური შემთხვევა. მართალია, ამას ცრუმორწმუნეობას ეძახიან, მაგრამ რაც არ უნდა ვუწოდოთ, ფაქტი უტყუარ ფაქტად რჩება. დედაჩემის გარდაცვალების პირველ დღეებში მამა დაფიქრებული იჯდა სამზარეულოში, ცხადია, მეუღლეზე ფიქრობდა. უცებ, საშაქრეს, რომელიც მაგიდაზე იდო, თავსახური მოსძვრა, ჰაერში დატრიალდა და იატაკზე დავარდა. კახიმ თქვა, – ბელა, ვიცი აქა ხარ და კიდევ დამიმტკიცე, რომ აქ ხარო. სიტყვა დასრულებული არ ჰქონდა, რომ ჩანგალი დავარდა იატაკზე. მას შემდეგ მსგავსი ფაქტები აღარ განმეორებულა, ყოველ შემთხვევაში ასე ვიცი, მაგრამ ის, რაც მოგიყევი, ნამდვილად მოხდა.



**— ცრურწმენები თავად ახსენე, რას ფიქრობთ, ვთქვათ, 13 რიცხვზე, ან ორშაბათ დღეზე?**

– ერთხანს მეშინოდა 13 რიცხვის, მაგრამ თანდათან მივხვდი, რომ არაფერი აქვს საშიში ამ რიცხვს და ცრურწმენა იყო. საიდან და ვინ მოიტანა ეს 13 რიცხვი საშიშად, არ ვიცი, იქნებ, 7 რიცხვის უნდა გვეშინოდეს, „პანაშვიდიც“ ხომ არსებობს. უბრალოდ, ეს არის ცალკეული გამოთქმები, რომლებიც ადამიანის ცნობიერებაში ჯდება და თანდათან, რწმენად იქცევა. სხვათა შორის, გიშერს ვატარებ მუდმივად, ამაზეც ამბობენ, ცრურწმენააო, მაგრამ თუ ცრურწმენაა, მაშინ, რატომ ტყდება გიშერი? მეუბნებიან, დროთა განმავლობაში გატყდება, აბა, რა დაემართებაო?! კი მაგრამ, უცებ როგორ შეიძლება გატყდეს? ზუსტად ვიცი, რომ გიშერი ავ თვალს და ავ ენერგიას თავის თავზე იღებს და გამოგიტყდებით, რომ ასზე მეტი გიშერი მაქვს გამოცვლილი.

**ეკა ბაქრაძე, პოეტი:**

– ვთვლი, რომ ცრუმორწმუნე არ ვარ, მაგრამ ზოგიერთი რამ, რასაც ცრურწმენებს ვეძახით, წინაპართაგან დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება მგონია, ამიტომაც ვამბობ, რომ ცრუმორწმუნე არ ვარ.

**— თილისმა-ამულეტების თუ გჯერა?**

– უფრო, დამცავი ქვების. ხშირად ვატარებ გიშერს ავი თვალისგან დასაცავად. ერთ შემთხვევას გავიხსენებ, თბილისიდან მოვდიოდი, განსაკუთრებული, წარმატებული დღე მქონდა, მაგრამ უცებ, სრულიად უმიზეზოდ, გუნება გამიფუჭდა, ჩემმა ქვეცნობიერმა იგრძნო, რომ ვიღაცამ ცუდად შემომხედა და გულში გამკენწლა. ამის გაფიქრება იყო და ბეჭედში გიშრის ქვა გატყდა.

**ზურაბ დოიჯაშვილი, მომღერალი:**

– ზოგადად, არ ვეკუთვნი ცრუმორწმუნე ადამიანთა რიცხვს, მაგრამ მქონია ისეთი შემთხვევები, რაც ძალიან უცნაურად და დაუჯერებლად მომჩვენებია. დღესაც არ ვიცი, რასაც ახლა გიამბობთ სიზმარი იყო თუ ცხადი, მაგრამ მე რომ მაშინ ფერები ვნახე, მსგავსი არასოდეს მინახავს. ოთახში ვიყავი, უცებ, ფანჯარაში ვხედავ ულამაზეს ფერებს, შემდეგ კი ორი სკაფანდრიანი ობიექტი გამოჩნდა, რომლებიც ერთმანეთს რაღაცით ელაპარაკებოდნენ, შემეშინდა და საბანში ჩავიმალე, არ დამინახონ-მეთქი. ვერ გავარკვიე, რას ლაპარაკობდნენ, მაგრამ სიტყვები აშკარად მესმოდა და გავარჩიე, რომ ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ. მხატვარი რომ ვიყო, გამიჭირდებოდა იმ ფერების ფერით გადმოცემა, სიტყვითაც ვერ აგიწერთ.





**— გჯერათ სხვა ცივილიზაციის არსებობის?**

– შესაძლებელია მართლაც რაღაც იყოს, ადრე თუ წყალქვეშა ნავი და ტელევიზორი ფანტასტიკა იყო, დღეს ხომ აღარ არის? ალბათ, მართლაც რაღაც არსებობს. საერთოდ, ღმერთის მჯერა, ყოველთვის ვგრძნობ მის გვერდით ყოფნას და გაჭირვების დროს მეხმარება. მე მგონია, რომ ყველა ცრურწმენა, ერთი ძლიერი რწმენისკენ მიდის, ეს ღმერთის რწმენაა... ერთხელ ფილარმონიის სცენაზე დენმა დამარტყა და დავეცი, მთელმა ცხოვრებამ ერთ წამში გაირბინა, გავიფიქრე, – ღმერთო, რატომ მკლავ, ცოლი ახლა მოვიყვანე, ჯერ ახალგაზრდა ვარ-მეთქი და გონება დავკარგე. ამ დროს გავუშვი ხელი მიკროფონს და სცენაზე დავეცი. რომ არა ღმერთისადმი დიდი რწმენა და ღვთის წყალობა, რა თქმა უნდა, ვერ გადავრჩებოდი. მახსოვს, ისე დამებერა კისრის ძარღვები, მეგონა, გასკდებოდა. გონს მოსვლის შემდეგ მაინც მოვახერხე სიმღერა.

**ნანა ლორთქიფანიძე, მსახიობი:**

– ყველა მსახიობს აქვს რაღაც აჩემებული, სპექტაკლის დღეს ზოგი რას აკეთებს და ზოგი – რას. მე მაქვს პატარა ზარი და სანთელი საგრიმიოროში, ვანთებ სანთელს, შემდეგ ზარს ვრეკავ და ამავე ზარით ვაქრობ სანთელს. ამ რიტუალის შემდეგ მგონია, ყველაფერი კარგად ჩაივლის-მეთქი და ასეც ხდება. ჩვევა მაქვს, სპექტაკლის დღეს შუადღისას თუნდაც 15 წუთით უნდა დავიძინო, თუ არ დავიძინე, იმ დღეს ვერ ვითამაშებ. ეს ჩვევა იმდენად გამიჯდა, რომ ზოგჯერ თავს ვიტყუებ, ვითომ მძინავს. ეს რწმენაა თუ ცრურწმენა, ვერ გეტყვით, მაგრამ ჩემი ცხოვრების წესია. ცხოვრების რთული რეჟიმი მაქვს და ყოველთვის ვერ ვახერხებ ამ რიტუალის შესრულებას, აი, კიდევ ერთი ცრურწმენა, უფრო სწორად რწმენა თუ ცრურწმენა, ვერ ვარჩევ. თუ არ ვნერვიულობ, იმ დღეს კარგად ვერ ვთამაშობ, თუ ვნერვიულობ – პირიქით, ამიტომ იძულებული ვარ, სულ ვინერვიულო. მაქვს პატარა ნივთი, რასაც მაგიის მნიშვნელობას ვანიჭებ, იშვიათად მიმტყუნებს ხოლმე. თუ რამეში გამიმართლა, ყოველთვის მისი მადლიერი ვარ.

**გოგი ქავთარაძე, მსახიობი:**

– მგონია, რომ ჩვენ ვართ რომელიღაც პლანეტიდან მოსული არსებები და ისევე ვცვდებით, როგორც მანქანა ცვდება. ყველა ადამიანი მეტნაკლებად ცრუმორწმუნეა, რადგან დაბადებიდანვე გვესმის წინაპრებისგან რაღაც-რაღაცა აკრძალვები, რომ, თუ ასე მოვიქცევით, ავის მომასწავებელია, ან პირიქით.

**— გჯერათ, სხვა ცივილიზაციის არსებობის?**

– სამყარო უსასრულოა და რა გასაკვირია, სხვაგანაც არსებობდეს სიცოცხლე, არა ჩვენი მსგავსი, მაგრამ სიცოცხლე. ფარდობითობის თეორიის პოპულარობის არსი სწორედ ის არის, რომ შენ გგონია, თითქოს ეს ასეა, მაგრამ შეიძლება ასე არ იყოს.

**— იმქვეყნიურ ცხოვრებაზე რას გვეტყვით?**

– კარგი იქნებოდა, ეგ რომ მჯეროდეს, სიკვდილზე ფიქრი, ძალიან საშიშია. ვინც ამბობს, სიკვდილი საშიში არ არისო, მგონია, რომ ტყუის, რადგანაც დაბეჯითებით არ ვიცით, როგორია ის უხილავი, ირეალური სამყარო. რაც ჩვენ რწმენა გვგონია, ზუსტად არ ვიცით, რწმენაა თუ ცრურწმენა. კარგია, ვინც თავს ინუგეშებს და სჯერა, რომ სიკვდილი სულაც არ არის სიცოცხლის დასასრული და სხვა განზომილებაში გადასვლა მარადიული სიცოცხლეა.

## 18 –24 აპრილის ჰოროსკოპი

### თხის რქა 22.12-19.01



**სიყვარული –** დადგა არც ისე კარგი პერიოდი საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობის მიმართულებით. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოჯახის უფროსი თქვენ ხართ, მოგიწევთ, მოიქცეთ ისე, როგორც სხვები მოითხოვენ და მოისურვებენ. სამწუხაროდ, ვერც ვერავის გადარწმუნებას შეძლებთ, არც კი ეცადოთ. ასევე, შესაძლებელია, რომ თქვენი ურთიერთობა პარტნიორთაგან ერთ-ერთის ჯანმრთელობის გაუარესებამ გაართულოს.

**სამსახური –** დიდი წარმატებების იმედი არ გქონდეთ. რუტინული საქმეები თავს მოგაბეზრებთ.

**სასიკეთო დღეები:** 19, 20 აპრილი; არახელსაყრელი **დღეები:** 22 აპრილი.

### მერწყული 20.01-18.02



**სიყვარული –** რომანი, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყება, წარმატებული იქნება, რადგან უკვე გაცნობიერებული გაქვთ ყველა შეცდომა, რომელიც წარსულში დაგიშვიათ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ცდუნება დიდი აღმოჩნდება, ძველი შეცდომა არაფრის დიდებით არ გაიმეოროთ. შედეგად, თავადაც გაკვირვებული დარჩებით, პარტნიორის რამდენად ბევრ დადებით თვისებას აღმოაჩენთ.

**სამსახური –** იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენი საქმიანობა შორს არის ხელოვნებისგან, შემოქმედებითად თავი მაქსიმალურად უნდა გამოიჩინოთ.

**სასიკეთო დღეები:** 18 აპრილი; არახელ**საყრელი დღეები:** 21 აპრილი.

### თევზები 19.02-20.03



**სიყვარული –** მიმდინარე კვირაში ოჯახური, ყოველდღიური პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. რაც შეეხება მიმდინარე ურთიერთობებს, შესაძლოა, იგრძნოთ კონტროლი, ეჭვები, წაგიყენონ ბრალდებები. არ არის გამორიცხული, იმაშიც დაგადანაშაულონ, რომ საჭირო ყურადღებას არასოდეს იჩენთ. კარგს იზამთ, თუ ამ ყველაფრის ფონზე სიტუაციას არ კიდევ უფრო არ გაამძაფრებთ და ზუსტად იმ მიმართულებით გამოსწორდებით, საიდანაც ყველაზე მეტი საყვედური მოდის.

**სამსახური –** თუკი ბიზნესისთვის მოცემული მომენტი არც ისე შესაფერისია, საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებისთვის პირიქით.

**სასიკეთო დღეები:** 21 აპრილი; არახელ**საყრელი დღეები:** 20 აპრილი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ზღაპარი „... ქოშები“
2. მუსიკა-ლური ინტერვალი
3. ვულკანური მასა
4. გიგანტ. ხე სავანაში
5. მტაცებელი თევზი
6. მო-ქანდაკე ... ჩელინი
7. მსახიობი რობერტ და ...
8. ბედი
9. მსახიობი ... ლი ჯონსი
9ა. მომ-ღერალი დაიანა ...
10. მსახიობი სილვანა ...
11. სკოტი. „... როი“
12. ცხენების სარბენი ადგილი
13. ტკბილე-ული თოკზე
14. მსახიობი ... ჰოპკინსი
15. საშხაპე ოთახი
16. მსახიობი ... ბრინერი
17. თეთრი ვეშაპი: ... დიკი
18. მხ/ფ „დაკარ-გული სამოთხე“ გლეხი ... ქარქაშაძე
19. მსახიობი ჯესიკა ...
20. ნემსის ჩხვლეტით მკურნა-ლობა
21. ფაიფურის თეთრი თიხა
22. „მაუგლი“ პითონი
23. ფრინველი ვარდის-ფერი ბუმბულით
24. მორბე-ნალი ფრინველი
25. დარბაი-სელი ქალი
26. ბრტყელი კუთხის საზომი ერთეული
27. მაროკოს დედაქა-ლაქი
28. ხვეწნა
29. სოფელი ხაშურის რაიონში
30. რუკების კრებული
31. საკვების ენერგიის ერთეული
32. მსახიობი ედრიან ...
33. რბილი ადგილი ჩვილის თავზე
34. მწერალი ... დე მოპასანი
35. შტატი აშშ-ში
36. ავტო-საგზაო შემთხ-ვევა
37. ველები არგენ-ტინაში
38. მსახიობი ჯონ ...
39. ვენეციური ნავი
40. გალაქ-ტიკა ანდრო-მედას ...
41. ოთხთვა-ლა
42. ბუდისტი მასწავ-ლებელი
43. აჭარული ცეკვა
44. სსრკ-ში: ანასტას ...
45. „... კარენინა“
46. ქალაქი უკრაი-ნაში
47. ტიბეტური ხარი
48. ჩონჩხის ნაწილი
49. ქალაქი ყირიმზე
50. ჯადოქარი
51. მხ/ფ „... და შვილი-შვილები“
52. ესპანელი დიდებული
53. ისარი მონი-ტორზე
54. მსახიობი ... რივზი
55. „... ჭკუისა-გან“
56. პოეტი იანის ...
57. ოპერა „სევილი-ელი ...“
58. მსახიობი ... ფრეინდ-ლიხი
59. სამაგიდო თამაში
60. მი-ნაწერი ტექსტის ბოლოს
61. მიხვედრის უნარი
62. მსახიობი ... ოლივიე
63. „... და ოქროს თევზი“
64. ქალაქი დას. საქართ.
65. გუც-კოვი. „ურიელ ...“
66. ჭამის სურვილი
67. ნუშის ლიქიორი
68. სპორ-ტული ნაგებობა
69. მწერალი ... ბრედბერი
70. ობობის ქსელი
71. გემის მოძრავი კიბე
72. მომ-ღერალი ჯასტინ ...
73. მულტ-ფილმიდან ... სიმფსონი
74. მსახიობი ... არტმანე
75. საფრენი აპარატი
76. მერიმე. „... ფალკონე“
77. რე-ჟისორი ლუკ ...
78. კატის ნაშიერი
79. ქართ. ხალხური სიმღერა
80. ჩრდილო-ეთის ირემი
81. მსახიობი ... როკი
82. ამერი-კული თოჯინა
83. აბატი პრევო. „... ლესკო“
84. მმართ-ველობის წესი
85. მხ/ფ „უკანას-კნელი ...“
86. ზური-კელას ძაღლი
87. პოლი-ცია „სკოტ-ლენდ-...“
88. გაზეთების ჯიხური
89. პოეტი ... ალიგიერი
90. სულების გამო-ძახება
91. ანტი-ლოპას სახეობა
92. მსახიობი ბრედ ...
93. ჰიუგო. „გაჩვი-ცხულნი“ ... პონ-მერსი
94. ნეპალის დედაქა-ლაქი
95. ჟან რენო ფილმში
96. ... რობინსი ფილმში „გაქცევა შოუ-შენკიდან“
97. გემის კიდე
98. რას ყიდულობენ კინოში შესასვ-ლელად
99. სრუტე პა-დე-...
100. მეო-რეხარის-ხოვანი ქალღმერთი
101. ქალაქი იტალიაში
102. რივზი ფილმში „ჯონი ...“
103. „მატრიცა“ პერსონაჟი
104. ფრინველი დიდი ნისკარტით
105. კომ-პოზიტორი ... პაულსი
106. რაიხ-სტაგზე: ეგოროვი და ...
107. მოწნული საწოლი
108. მსახიობი დემი ...
109. ნაგვის ყუთი
110. იაპონელი თვით-მკვლელი
111. მსახიობი ... ოლდმენი
112. ალბანე-თის დედაქა-ლაქი
113. ერთაოზის მამა (ფილმიდან)
114. მსახ ... ბეგაშ-ვილი
115. მწერალი ... იოსელიანი
116. ბია
117. მხატვარი კლოდ ...
118. გიტარის მავთული
119. პურის სოკო
120. ზღვაოსანი ჯეიმს ...
121. ჯოხი კაუჭითა და ძუთ
122. მსახიობი ... ჰარლი
123. მი-მართვა ქალისადმი აშშ-ში
124. თეფში
125. შენობა. ინახავენ ფულს
126. ბილი-არდის ჯოხი
127. კომპ. ... ბაბაჯა-ნიანი
128. მხატვარი ... გრეკო
129. პირის ნაცვალ-სახელი
130. „... ნახვით შეყვა-რება“
131. „დათა თუთაშხ.“ მედუქნის გოგო
132. იაპონური თეატრი
123. ქალაქი ფლორი-დაზე
134. სანელე-ბელი
135. მომ-ღერალი ... სუმაკი
136. ცხენის რძის სასმელი
137. მწერალი ... კიზი
138. მომ-ღერალი ... ჯაბუა
139. მომავლის რწმენა
140. სოფელი რაჭაში
141. დიდი ჩაქუჩი

პასუხები: 1. ბაბაჯანას; 2. კვარტა; 3. მაგმა; 4. ბაობაბი; 5. ბარაკუდა; 6. ბენვენუტო; 7. ნირო; 8. სვე; 9. ტომი; 9ა. როსი; 10. მანგანო; 11. რობ; 12. იპოდრომი; 13. შაქარყინული; 14. ენტონი; 15. აბაზანა; 16. იულ; 17. მობი; 18. ამბაკო; 19. ალბა; 20. აკუპუნქტურა; 21. კაოლინი; 22. კაა; 23. ფლამინგო; 24. სირაქლემა; 25. ბანოვანი; 26. რადიანი; 27. რაბატი; 28. მუდარა; 29. ოსიაური; 30. ატლასი; 31. კალორია; 32. ბროუდი; 33. ყიფლიბანდი; 34. გი; 35. აიოვა; 36. ავარია; 37. პატაგონია; 38. ტრავოლტა; 39. გონდოლა; 40. ნისლეული; 41. ტარანტასი; 42. გურუ; 43. განდაგანა; 44. მიქოიანი; 45. ანა; 46. ლვოვი; 47. იაკი; 48. მენჯი; 49. იალტა; 50. მაგი; 51. დიდედები; 52. იდალგო; 53. კურსორი; 54. კიანუ; 55. ვაი; 56. რაინისი; 57. დალაქი; 58. ალისა; 59. ნარდი; 60. პოსტსკრიპტუმი; 61. ალღო; 62. ლოურენს; 63. მებადური; 64. სამტრედია; 65. აკოსტა; 66. მადა; 67. ამარეტო; 68. სტადიონი; 69. რეი; 70. აბლაბუდა; 71. ტრაპი; 72. ტიმბერლეიკი; 73. ბარტ; 74. ვია; 75. დირიჟაბლი; 76. მატეო; 77. ბესონი; 78. კნუტი; 79. „ჩაკრულო“; 80. მარალი; 81. მარიკა; 82. ბარბი; 83. მანონ; 84. რეჟიმი; 85. იმპერატორი; 86. მურადა; 87. იარდი; 88. კიოსკი; 89. დანტე; 90. სპირიტიზმი; 91. გნუ; 92. პიტი; 93. მარიუს; 94. კატმანდუ; 95. „ლეონი“; 96. ტიმ; 97. ბორტი; 98. ბილეთი; 99. კალე; 100. ნიმფა; 101. ტურინი; 102. მნემონიკი; 103. ტრინიტი; 104. ტუკანი; 105. რაიმონდ; 106. ქანთარია; 107. ჰამაკი; 108. მური; 109. ურნა; 110. კამიკაძე; 111. ჰარი; 112. ტირანა; 113. მიზანა; 114. შორენა; 115. ოტია; 116. კომში; 117. მონე; 118. სიმი; 119. ობი; 120. კუკი; 121. ანკესი; 122. ლიზ; 123. მემ; 124. საინი; 125. ბანკი; 126. კიი; 127. არნო; 128. ელ; 129. მე; 130. ერთი; 131. კიკუ; 132. ნო; 133. მაიამი; 134. დარიჩინი; 135. იმა; 136. კუმისი; 137. კენ; 138. მაია; 139. იმედი; 140. ირი; 141. ურო. იკითხება: ჯეკი ჩანი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. კაზინო
2. მისი დედაქალაქია ლონდონი
3. მეფედ კურთხევა
4. რაკეტების გასაშვები ადგილი
5. იოანე, ლუკა, მარკოზი და მათე. რა დაწერეს მათ
6. ფალიაშვილის ოპერა
7. იუველირი, ანუ ...
8. კუნძული ხმელთაშ. ზღვაში
9. დაესმის ზედსართავ სახელს
10. არქიტექტურული სტილი
11. არქიტექტურული სტილი
12. მწერალი ... ქიაჩელი
13. კომპოზიტორი ანდრია ...
14. დაბადებითი ნაჭდევი მუცელზე
15. ... ისე წვიმს, როგორც ქუხს
16. მხ/ფ „... მზე“
17. მანქანის სამართავი დეტალი
18. სტალინის დედა
19. მომღერალი ლარისა ...
20. კომპოზიტორი გიორგი ...
21. უძრავი ქონების შესყიდვის ფორმა
22. კარტოფილის კერძი
23. მსახიობი არკადი ...
24. ეგზოტიკური საჭმელი
25. მწერალი იროდიონ ...
26. მეცნიერება თევზების შესახებ
27. წყალქვეშა ჭურვი
28. სამკურნალო მცენარე
29. მსახიობი ვივიენ ...
30. პოეტი მიხეილ ...
31. მხ/ფ „ზოლიანი ...“
32. დაავადების არსის განსაზღვრა
33. ჭრიჭინას ბებია
34. ბეთჰოვენი „... სონატა“
35. გერმანული ავტომობილი
36. დიდი სქელი ძალი
37. ახალგაზრდა საქონელი
38. უსინათლოთა ანბანი
39. უგრძნობი მდგომარეობა
40. მსახიობი ... სტოუნი
41. მდინარე ციმბირში
42. მსახიობი ... არტმანე
43. ... რუსთაველი
44. მშიშარა
45. ... გაგარინი
46. ბრინჯის კერძი
47. ოპტიკური ფირმა თბილისში
48. უცხლი სხაიპსი ფილმში
49. პოეტი ... ფოცხიშვილი
50. 1000კგ
51. ნამცხვარი
52. მსახიობი ... ბერიმორი
53. სისხლის მიმოქცევის ორგანო
54. ჩანთოსანი დათვი
55. ბუვიეს რომანი
56. ძვლების დაავადება
57. რუსი ილუზიონისტი
58. ლომების ოჯახი
59. მხატვარი სანდრო ...
60. მსახიობი ... დალტონი
61. ფეთქებადი ნივთიერება. ამზადებენ წამალ-საც
62. იტალიაში: ბენიტო ...
63. ძალა, ღონე
64. სილამაზის ქალღმერთი
65. მომღერალი ... მატიე
66. ხილის ნაჭუჭიანი გული
67. მწერის განვითარების სტადიები
68. ყორღანი ვოლგოგრადთან
69. ნიშნავს ქვას
70. მომღერალი ბობ ...
71. პატარა რესტორანი საფრანგეთში
72. ორგანული გამხსნელი
73. აფრა
74. დადებითი ელექტროდი
75. ფულის გათამაშება ბილეთებით
76. ბალერინა ნინო ...
77. მდინარე თერგის ხეობა
78. იტალიის დედაქალაქი
79. რეჟისორი ალფონსო ...
80. გემის იატაკი
81. ჭადრაკის ფიგურა
82. მისი დედაქალაქია რეიკიავიკი
83. ქალაქი სამხ. საქართ.
84. მთამსვლელი
85. მოცულობის საზომი ერთეული აშშ-ში
86. ხორბლის გასალეწი მოედანი
87. ეშმაკი
88. მსახიობი ... დე ფიუნესი
89. სისხლძარღვი
90. მიწისქვეშა სამყაროს მცველი ბერძ.მით.
91. ნადუღის სახელებელი
92. ქალაქი ქვემო ქართლში
93. ატრაქციონის სახეობა
94. კაპიტან ნემოს გემი
95. იანის საპირისპირო
96. ... მოგივა დავითაო
97. ანწლი
98. მსახიობი ჯენიფერ ...
99. მსახ. ... ბეგაშვილი
100. მომღერალი ... ტერნერი
101. მსახიობი ნუგზარ ...
102. მსახიობი ... ჟირარდო
103. ცხენის კისრის ბალანი
104. ტროპიკული ბუზი
105. ყვავილი
106. სოფელი დუშეთის რაიონში
107. მხ/ფ „ბერძენი ...“
108. სოფელი კასპის რაიონში
109. ხის წვერო
110. სასამართლოში ... მსაჯული
111. ტბა თბილისში
112. მომღერალი ... ჯოხაძე
113. ყურე
114. მსახიობი ... რასელი
115. მზის ამოსვლა
116. თამაში ხის ჯოხებით
117. სიმინდის ყვავილედი
118. ქმედება ალალბედზე
119. დაბა სვანეთში
120. შიიზმის მიმდევარი
121. ძიუდოს საჭიდაო ხალიჩა
122. მსახიობი ... ჩახავა
123. მევიოლინე ვანესა ...
124. შოკოლადი „... გოლდი“
125. რეჟისორი ... მიხალკოვი
126. ლეგენდარული ბასკი მეკარე
127. ... კუზანოვი
128. მსახიობი ... ჰეჩი
129. გაზაფხულის თვე
130. გადაშენებული ფრინველი
131. ... გაფრინდაშვილი
132. მსახიობი ჟან ...
133. 100სმ
134. გიორგი სააკაძის სოფელი
135. მსახიობი ბრედ ...
136. ამ მდინარეში მოინათლა ქრისტე
137. ძვ. ქართ. ცხენოსნობა
138. „კაცი რომელიც იცინის“ პერსონაჟი
139. ნახტომი ბალეტში
140. ნიშნავს ცივს
141. „12სკამი“ ... ბენდერი
142. რაზე აგებენ პარკეტს
143. გამის ნოტი

პასუხები: 1. სამორინე; 2. ინგლისი; 3. კორონაცია; 4. კოსმოდრომი; 5. სახარება; 6. 'დაისი"; 7. ოქრომჭედელი; 8. კორსიკა; 9. როგორი; 10. ბაროკო; 11. ამპირი; 12. ლეო; 13. ბალანჩივაძე; 14. ჭიპი; 15. არც; 16. უძინართა; 17. საჭე; 18. კეკე; 19. დოლინა; 20. ცაბაძე; 21. გირაო; 22. პიურე; 23. რაიკინი; 24. დელიკატესი; 25. ევდოშვილი; 26. იქთიოლოგია; 27. ტორპედო; 28. ასკილი; 29. ლი; 30. ლერმონტოვი; 31. რეისი; 32. დიაგნოზი; 33. ელპიტე; 34. მთვარის; 35. "პორშე"; 36. პლედი; 37. დეკეული; 38. ბრაილი; 39. შოკი; 40. შერონ; 41. ენისეი; 42. ვია; 43. შოთა; 44. ლაჩარი; 45. იური; 46. ფლავი; 47. "რონიკო"; 48. "ბლეიდი"; 49. მორის; 50. ტონა; 51. ეკლერი; 52. დრიუ; 53. გული; 54. კოალა; 55. 'იზა"; 56. რაქიტი; 57. კიო; 58. პრაიდი; 59. ბოტიჩელი; 60. ტიმოთი; 61. ნიტროგლიცერინი; 62. მუსოლინი; 63. სიქა; 64. აფროდიტე; 65. მირეი; 66. კურკა; 67. მეტამორფოზი; 68. მამაი; 69. ლითი; 70. მარლი; 71. ბისტრო; 72. სკიპიდარი; 73. იალქანი; 74. ანოდი; 75. ლატარია; 76. ანანიაშვილი; 77. დარიალი; 78. რომი; 79. არაუ; 80. გემბანი; 81. პაიკი; 82. ისლანდია; 83. ვალე; 84. ალპინისტი; 85. ბარელი; 86. კალო; 87. ლუციფერი; 88. ლუი; 89. ვენა; 90. ცერბერი; 91. პიტნა; 92. მარნეული; 93. საქანელა; 94. "ნაუტილუსი"; 95. ინი; 96. რაც; 97. ავი; 98. ლოპესი; 99. შორენა; 100. ტინა; 101. შარია; 102. ანი; 103. ფაფარი; 104. ცეცე; 105. ია; 106. ბარისახო; 107. ზორბა; 108. გრაკალი; 109. კენწერო; 110. ნაფიცი; 111. ლისი; 112. ანრი; 113. უბე; 114. კურტ; 115. ალიონი; 116. კრიკეტი; 117. ტარო; 118. რისკი; 119. მესტია; 120. შიიტი; 121. ტატამი; 122. მედეა; 123. მეი; 124. ალპენ; 125. ნიკიტა; 126. ირიბარი; 127. ივა; 128. ენ; 129. მარტი; 130. მაო; 131. ნონა; 132. რენო; 133. მეტრი; 134. ნოსტე; 135. პიტი; 136. იორდანე; 137. ისინდი; 138. დეა; 139. პა; 140. კრიო; 141. ოსტაპ; 142. იატაკი; 143. სი. იკითხება: მერცხალი.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია — როგორ შეუძლია ტანსაცმელს, მილიარდერად გაქციოთ



მაშინ, როდესაც ცხოვრების ტემპი სულ უფრო მატულობს, თანამედროვე მოდა ცდილობს, მაქსიმუმი წარმოადგინოს.

სტილი იმდენად რადიკალურად იცვლება, რომ სულ უფრო რთულია იმაზე ფიქრი, რა იქნება მომავალში. ყველაზე ბუნებრივი პასუხი კი ამ კითხვაზე ის არის, რომ მოდა სულ უფრო უბრალოვდება.

ამ სტილის ერთგვარი ელჩები კი – სტივ ჯობსი, მარკ ცუკერბერგი და სერგეი ბრინი არიან. როგორც ჩანს, ერთფეროვან ტანსაცმელს შეუძლია, თქვენს მომავალსა და წარმატებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინოს.

დილით, ტანსაცმლის შერჩევას მამაკაცებისთვის დაახლოებით 15 წუთი სჭირდება. ეს დრო შესაძლებელია უფრო სასარგებლო საქმიანობაში დახარჯოთ, მაგალითად, ვარჯიშში.



სტილის სტანდარტები ნიშნავს მკაცრად განსაზღვრულ ტანსაცმელს, რომლის ჩაცმაც ყოველდღიურად შეგიძლიათ.

ცვალებადობისთვის თვალ-ყურის დევნება ყველაზე აქტიური მიმდევარისთვისაც კი რთულია. უბრალოდ, უარი თქვით მასზე – სიტუაციიდან ლოგიკური გამოსავალია.

ხარჯების ეკონომია – გამოიყურებოდე ყოველდღე ერთნაირად, შესაძლოა, საკმაოდ მოკრძალებულ ფინანსებში მოაქციო. თუ რამდენიმე შავ მაისურს იყიდი, ეს თქვენს ჯიბეს დიდად არ შეეტყობა, სამაგიეროდ თანამედროვე ვიზიონერივით იქნები.

მდიდარი ადამიანები ძვირფასი ნივთების მიმართ გულგრილად არიან განწყობილნი. მათთვის მარტივია მსგავს იარლიყზე უარის თქმა, მაშინ, როდესაც სხვები მთელი მონდომებით ცდილობენ, ხაზი საკუთარ სტატუსს გაუსვან, რომელიც სინამდვილეში მათ არც ეკუთვნით.

*daijesti.pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ექთანი მოხუც პაციენტს ფულის სანაცვლოდ მკერდს აჩვენებდა




რა ვიცი, „შერეკილებში“ მარგალიტას გულზე დაკიდებულ ხატზე დაფიცებაზე ერთი გაწევ-გამოწევაა და ბრიტანეთში პირიქით ყოფილა. თურმე, ესექსის საგრაფოს ერთ-ერთ საავადმყოფოში მედდა 92 წლის პაციენტს იქით სთავაზობდა, მკერდს გაჩვენებ და შენი მსხვილი ბიუჯეტიდან პაწა დამასპონსორეო.

55 წლის შერონ უაიტ-ჰარისონი თავად გამოტყდა, რომ პაციენტის საკრედიტო ბარათს პირადი მიზნებისთვის იყენებდა. მაგალითად, საოცნებო აიპადი შეიძინა. როგორც გულჩვილი პაციენტი აცხადებს, ქალმა იმდენი იტირა და იჩივლა თავის ფინანსურ პრობლემებზე, დახმარება თავად შესთავაზა, მაგრამ დასახმარებელი თანხის ოდენობა 70 ათას დოლარს თუ გადააჭარბებდა, მაგდენი ველარ წარმოიდგინა.

განმეორებითი ტყუილისა და თაღლითობის ბრალდებით შერონი სამსახურიდან დროებით გაათავისუფლეს, სანამ საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოება არ დადგინდება.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ჩელიაბინსკელმა კაცმა სახლში ლუდსადენი შეიყვანა



ერთი ამბობს, ოცნებები ხდებაო, მეორე კიდევ ეკამათება, ოცნებასაც გააჩნია, ძმაოო. მაგალითად, ლუდის წვიმა და ნაყინის თოვლი რომ გინდოდეს, არ გამოვაო. პრინციპში, გინდ წვიმა ერქვას და გინდ ონკანის წყალი, თუ უწყვეტი რეჟიმით იქნება.

მაგალითად, ანდრეი ერმეევს გარეთ გასვლა და ლუდის წვიმის ლოდინი არ სჭირდება – სახლში ონკანს მოუშვებს და საოცნებო სითხე მის კათხაშია.

თურმე, ერმეევს, როგორც სხვებს – მფრინავ ხალიჩასა და უჩინმაჩინის ქუდზე, მისი დღე და მოსწრება ლუდის უწყვეტ ნაკადზე უოცნებია. ერთ მართლაც მშვენიერ დღეს კი, ჰოი, საოცრებავ, მისი სახლის პირველ სართულზე ჩამოსასხმელი ლუდის მაღაზია გაიხსნა. ანდრეიც ადგა და უფროსობას მოელაპარაკა, ჩემთან ღმერთმა გამოგაგზავნათ, ახლა ისღა დაგვრჩენია, ონკანამდე მილები გავიყვანოთ და მერე ერთი დიდი სანთელი და ლოცვა ჩემზეაო. მაღაზიაც დასთანხმდა მეოცნებე კაცს და დღეს ანდრეის, როცა მოესურვება და რამდენიც მოესურვება, იმდენი ლუდის დალევა სახლიდან გაუსვლელად შეუძლია.

უცნობია, რა თანხა უჯდება ლუდის მოყვარულს მუდმივი ლუდი, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, მიზანი ხარჯებს ამართლებს.

*anekdot-dnya.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## იუპიტერს ამოუცნობი ობიექტი შეეჯახა



მზის სისტემის ყველაზე დიდი პლანეტის დისკოზე კაშკაშა ნათება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად რამდენიმე დღის წინ ორმა მოყვარულმა ასტრონომმა დააფიქსირა.

„3 აპრილს, დაახლოებით 20 საათსა და 31 წუთზე გრინვიჩით, იუპიტერზე დიდი ცეცხლოვანი სფერო გამოჩნდა“, – იტყობინება თავის საიტზე ავსტრალიელი ასტრონომი ენტონი უესლი. მან და მისმა კოლეგამ ფილიპინებიდან ქრისტოფერ გოუმ, ნათელი ლაქის სურათებისა და მოკლე ვიდეორგოლის გადაღება შეძლეს.

„ვერ დამიჯერებია, რომ შევძელი, პირდაპირ ეთერში გადამეღო ციური სხეულის იუპიტერზე დაცემა“, – ამბობს გოუ. ჯერ კიდევ გაუგებარია, რომელმა ციურმა სხეულმა გამოიწვია ეს აფეთქება, ასტეროიდმა თუ კომეტამ.

მსგავსი მოვლენა ასტრონომებმა 2009 წლის ზაფხულში დააფიქსირეს და მის შესახებ პირველმა უესლიმ განაცხადა. შემდეგ საიდუმლოებით მოცული შავი ლაქის შესწავლას ასტრონომების ჯგუფი შეუდგა, რომელიც კოსმოსურ ტელესკოპ „ჰაბლზე“ მუშაობდა. იუპიტერის შეჯახებას სხვა ციურ სხეულებთან 15 წლის წინათაც აკვირდებოდნენ, როდესაც გაზური გიგანტის გრავიტაციულმა ველმა კომეტა „შუმეიკერ-ლევი 9“ ჩაიჭირა. შეჯახების შედეგად კომეტა რამდენიმე მსხვილ ნაწილად დაიმსხვრა და პლანეტის ზედაპირზე შავი ლაქების წარმოქმნა გამოიწვია.

*pia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მოძრაობის ტემპი სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გავლენას ახდენს?



მაინც რა ხალხია რა, ეს მეცნიერები, წყალსა და ცეცხლს ისე დააკავშირებენ ერთმანეთთან, თვალსაც არ დაახამხამებენ.

აგერ ახლა მოძრაობის ტემპსა და სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის ისეთი კავშირი იპოვეს, რომ არ დაუჯერო, თავს ვერ აპატიებ კაცი.

თურმე, გრძელვადიანი კვლევა ჩაატარეს, რომელშიც 30 ათასმა პენსიონერმა მიიღო მონაწილეობა და როგორ ფიქრობთ, რა აღმოჩნდა? რა და დროა, ტემპს მოვუმატოთ.

მაგალითად, ქალები, რომლებიც ნელა გადაადგილდებოდნენ, 75 წელსაც ვერ აღწევდნენ, ხოლო კაცები, რომლებიც სწრაფად მოძრაობდნენ 85 წლამდე ცოცხლობდნენ.

საბოლოოდ კი ასეთი დასკვნა გამოიტანეს – ტემპი არა მხოლოდ კარგ ემოციურ მდგომარეობას განაპირობებს, არამედ ჯანმრთელობასაც რგებს, მააა შ!..

*globalscience.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## მავნე საკვები ადამიანს აზარმაცებსო



ასეთი ფრაზაც გამიგია – ვრცელ წერილს ვერ ვკითხულობ, მეზარება. რატომ გაზარმაცდნენ ადამიანები? თურმე, ნუ იტყვით და ყველაფრის თავი და თავი მავნე საკვები ყოფილა. არაჯანსაღი კვება, ადამიანს აზარმაცებს და მეცნიერული და ტექნიკური კუთხით ინტერესს უკარგავს.

კვლევის თანახმად, სწრაფი კვება და მიკროტალღოვან ღუმელში მომზადებული სადილი ადამიანის ემოციურ დესტაბილიზაციას იწვევს.

მაგალითად, სხვადასხვანაირი ფუნთუშა, ჰამბურგერი და ჩიზბურგერი პირდაპირ ანელებს თქვენს შრომისმოყვარეობას.

მეცნიერები საუბრობენ იმ მავნე საკვებზე, რომელსაც რესტორნებსა და სწრაფი კვების ობიექტებში გვთავაზობენ.

ცუდ საკვებზე უარის თქმა ჯანმრთელობის აღდგენაში, სიზარმაცის განდევნასა და ემოციური სტაბილურობის შენარჩუნებაში დაგვეხმარება.

*globalscience.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...



## ბენ აფლეკი ბეტმენზე ფილმს იღებს

მსახიობი ბენ აფლეკი ბეტმენის შესახებ ფილმს იღებს. მთავარ როლში თავად ჰოლივუდის ვარსკვლავი მოგვევლინება.

ოფიციალურად ეს ინფორმაცია კომპანია **Warner brothers**-ის გენერალურმა დირექტორმა კევინ ცუძიჰარამ დაადასტურა. წინასწარი ინფორმაციით, ფილმი 2018 წლის ოქტომბერში გამოვა. ცნობილია, რომ ფილმის სცენარი თავად ბენ აფლეკს ეკუთვნის.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რას ეძებენ Google-ში?! ყველაზე უცნაური ძიების შედეგები!

**Google** – ეს არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ვებსაიტი, სადაც თითქმის ყოველდღიურად ახალ ინფორმაციებს დავეძებთ.

ამ საიტს ყოველდღიურად მილიონობით ვიზიტორი ჰყავს, სტატიაში წარმოგიდგენთ **Google**-ის ყველაზე უცნაურ ძიების რეზულტატებს...

1. ძიების რეზულტატი: როგორ გადავმალო მიცვალებულის გვამი?

დღეში, საშუალოდ, 250 ადამიანი ამ კითხვაზე ეძებს პასუხს **Google**-ის საძიებო სისტემაში.



2. ძიების რეზულტატი: როგორ შევაყვარო თავი ჩემს კატას?

დღეში, საშუალოდ, 180 ადამიანს, განსაკუთრებით გოგონებს აინტერესებთ პასუხი, რომელსაც **Google**-ის საძიებო სისტემაში ეძებენ.

3. ძიების რეზულტატი: როგორ გამოვიყენო **Google**?

დღეში, საშუალოდ, 240 ადამიანი, **Google**-ის საძიებო სისტემაში ამ კითხვას წერს...

4. ძიების რეზულტატი: გატეხილი გულის აღდგენა როგორ არის შესაძლებელი?

ერთ-ერთი ყველაზე უცნაური ძიების რეზულტატი, თუმცა ყოველდღიურად, საშუალოდ, 3200 ადამიანი ეძებს **Google**-ის საძიებო სისტემაში ამ კითხვაზე პასუხს...



5. ძიების რეზულტატი: როგორ გადავურჩე დაპატიმრებას?

ამ კითხვას **Google**-ის საძიებო სისტემაში, დღეში, საშუალოდ, 300 კაცი წერს...

6. ძიების რეზულტატი: მე მძულს ჩემი სამსახური!

ძალიან ბევრი ჩვენგანი უკმაყოფილოა თავისი სამსახურით, მაგრამ ამის ჩაწერა **Google**-ის საძიებო სისტემაში, მგონი, აუცილებელი არ არის... თუმცა დღეში, საშუალოდ, 7500 ადამიანი **Google**-ში ამ კითხვაზე პასუხს ეძებს...

7. ძიების რეზულტატი: როგორ „დავგუგლო"?

დედამიწაზე ყველა კატეგორიის ადამიანი ცხოვრობს, ამიტომ დაცინვა სწორი საქციელი არ იქნება. დღეში, საშუალოდ, 780 კაცს აინტერესებს, როგორ მოიძიონ ინფორმაცია **Google**-ში, ანუ როგორ „დაგუგლონ"...

*intermedia.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბრიტანელმა სელფის გამო ოპერაციებზე 17 ათასი დოლარი დახარჯა



ყოველ დროს თავისი პრიორიტეტი აქვს და სხვადასხვა დროში სილამაზის საზომიც სხვადასხვანაირია. მაგალითად, დღეს დღეში ათას ერთი სელფის გადაღება და მათი სინათლის სიჩქარეზე უფრო სწრაფად სოციალურ ქსელში განთავსებაა პრიორიტეტული. თუ ამ ათას ერთიდან, ერთი მაინც მოწონების გარეშე დარჩა, ესე იგი რაღაც რიგზე ვერ გაქვს და სასწრაფოდ კორექციას საჭიროებ.

ბრიტანელი შელი სკინსიც დროისა და პრიორიტეტების მსხვერპლია. თურმე, 16 წლის ასაკიდან აქტიური სელფომანი გამხდარა, მაგრამ თავისი ფოტოებით მთლად კმაყოფილი ვერ რჩებოდა. ჰოდა, ადგა და 28 წლის ასაკში, არ დაიშურა და 17 ათასი დოლარი საკუთარ სილამაზეს დაახარჯა.

შელიმ ცხვირისა და ქუთუთოების კორექცია გაიკეთა, ასევე, მხედველობის გაუმჯობესებისა და საძაგელი სათვალის მოშორების მიზნით ექიმის დანის (თუ ლაზერის) ქვეშ თვალებიც დადო.

„როგორც იქნა, ჩემი სელფებით კმაყოფილი ვიქნები და საკუთარ სხეულში თავს კომფორტულად ვიგრძნობ", – განაცხადა სელფომანმა შელიმ.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## საუდის არაბეთის მთავარმა მუფთიმ ქმრებს ცოლების ჭამის უფლება მისცა



საუდის არაბეთის მთავარმა მუფთიმ აბდულაზიზ ალი შეიხმა განაცხადა, რომ შიმშილის შემთხვევაში, ქმარს უფლება აქვს, საკუთარი ცოლი შეჭამოს.

საუდის არაბეთის მაღალი რანგის სასულიერო პირის განცხადებით, ცოლმა ამ დროს მეუღლეს წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიოს.

„თუ ქმარს მოშივდა და სახლში საჭმელს ვერ ნახავს, მას უფლება აქვს, ცოლის სხეულს ფრაგმენტი მოაჭრას და შეჭამოს", – განაცხადა მუფთიმ ერთ-ერთი ქადაგების დროს.

მუფთის ამ განცხადებას უკვე მოჰყვა სკანდალი საუდის არაბეთში და სოციალურ ქსელებში. აბდულაზიზ ალი შეიხს ადრეც გაუკეთებია სკანდალური განცხადებები. კერძოდ, ის მსოფლიოში ყველა არაისლამური რელიგიის ტაძრის დანგრევას ითხოვდა და ასევე, ინიციატივით გამოდიოდა, 15 წლამდე ასაკის გოგოებს გათხოვების უფლება მისცემოდა.

*kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რატომ არის ბევრი მომხიბვლელი ქალი თუ მამაკაცი მარტო?



ფლორიდელმა მეცნიერებმა კვლევის მეშვეობით დაადგინეს, რატომ არის ბევრი მომხიბვლელი ქალი თუ მამაკაცი მარტო.

მათ ექვსი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კვლევის შედეგები შეაჯამეს, იმის შესახებ, რატომ ირჩევენ ქალები თუ მამაკაცები ამა თუ იმ პარტნიორს. შედეგად, გაირკვა, რომ მომხიბვლელობა სულაც არ არის მთავარი ფაქტორი. მეტიც, არის მრავალი მიზეზი, რატომ არ სურთ ადამიანებს, მომხიბვლელი პარტნიორი ჰყავდეთ. ამ მიზეზებს შორის არის რელიგიური მოსაზრებები, დაბალი სოციალური სტატუსი და არაჯანსაღი ცხოვრების წესი თუ ცუდი ხასიათი.

მეცნიერები აცხადებენ:

„ცხოვრების მეგზურის შერჩევისას, ადამიანები პარტნიორის უარყოფით მხარეს უფრო აქცევენ ყურადღებას, ვიდრე ღირსებებს". მათი მოსაზრებით, ამის მიზეზი ისაა, რომ ევოლუციის გავლენით, ადამიანები ყველაფერში საეჭვოსა და ნეგატიურს ეძებენ, რამაც კაცობრიობის სიცოცხლისუნარიანობა განაპირობა.

*info9.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## 72 წლის მოხუცმა უდაბნოში 9 დღე და ღამე გაძლო



ენ როჯერსი, 72 წლის მოხუცი მანქანით არიზონას შტატში მანქანით გადაადგილდებოდა. მოულოდნელად, შუა სეირნობაში ბენზინი დაუმთავრდა. ბედი რომ არ გექნება, თორემ რაღა უდაბნოში დაუმთავრდა ბენზინი. რა უნდა ექნა მოგზაურ მოხუცს, ჯოხებით „მიშველეთ" დაწერა და ცხრა დღე და ცხრა ღამე შველას ელოდა. მხოლოდ წყალს სვამდა და მცენარეებს ჭამდა.

მოგვიანებით, პოლიციელებმა მანქანა აღმოაჩინეს, მაგრამ ჰოი საოცრებავ, მძღოლი გამქრალიყო, ალბათ, უდაბნოს მზეს ეფიცხებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ჯოხებით დაწერილი „მიშველეთ" შენიშნეს და თავშესაფრის მსგავს ხუხულაში ენიც აღმოაჩინეს.

ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმების თქმით, საგანგაშო არაფერია და უდაბნოს გმირი თავს კაჟივით გრძნობს.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## სამხრეთ კორეაში ქალთა სექსუალური კომპლექსებისგან განთავისუფლების ორგანიზაცია შექმნეს



სამხრეთ კორეაში სამედიცინო ორგანიზაცია შეიქმნა, რომელიც ქალებს სხვადასხვა სექსუალური კომპლექსისგან განთავისუფლებაში დაეხმარება. ქალთა სექსოლოგიის საზოგადოება – ეს არის ორგანიზაცია, სადაც ქალბატონებს კორეაში მრავალი საუკუნის მანძილზე აკრძალულ თემაზე ნებისმიერი შეკითხვის დასმა შეუძლიათ.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ტრადიციული ეთიკური ნორმებისგან განთავისუფლება ისეთი იოლი არ აღმოჩნდა, შედეგად კი ხალხის ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. ახლად შექმნილი ორგანიზაციის თავმჯდომარის კო მინ ჰვანის თქმით, მათი ამოცანაა საზოგადოების კომპლექსებისგან განთავისუფლება. პაციენტებს პრობლემების დაძლევის კომპლექსურ მეთოდს შესთავაზებენ, მათ შორის სამედიცინო ჩარევას. კო მინ ჰვანმა, ასევე, აღნიშნა, რომ ამ თემას დიდი პატივისცემით უნდა შევეხოთ, აღვიქვათ, როგორც ქალისა და მამაკაცის საწყისი – ინი და იანი, რომლებსაც ერთმანეთთან თავისუფალი ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ.

*plus.kvira.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## შექმნილია მცურავი რობოტი



„სვუმანოიდი" – სწორედ ასეთი სახელი მიიღო ცურვის უნარის მქონე პირველმა რობოტმა, რომლის ავტორებიც ტოკიოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის სპეციალისტები არიან.

ცნობილია, რომ რობოტი რეალური ადამიანის 3-დე სკანირების საფუძველზე შეიქმნა, შემდეგ კი მისი ზომა 2-ჯერ შემცირდა.

რობოტს მიღებული აქვს 20 წყალგაუმტარი ძრავი და ისეა დაპროგრამებული, რომ იცუროს, ფაქტობრივად, ნებისმიერ სტილში – ბრასი იქნება ეს, ბატერფლაი თუ, უბრალოდ, „ძაღლური".

იმის გამო, რომ რობოტი ადამიანზე 2-ჯერ პატარაა, გაცილებით ნელა ცურავს, მაგრამ მეცნიერებმა უკვე გადაწყვიტეს, მორიგი მანქანა ნატურალური ზომების იყოს.

რაც შეეხება რობოტის შექმნის იდეას, მეცნიერებს სურთ, უკეთ გაიგონ, როგორ ახერხებს ადამიანი წყალში გადაადგილებას. როგორც წესი, ამას სპეციალისტები სპორტსმენების ვიდეოებით აანალიზებენ, ახლა კი უკეთესი მეთოდი გამოძებნეს.

*wordscience.org*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მსახიობი ... კრუსი
2. მეცნიერება ვარსკვლავების შესახებ
3. პატარა ტანის ძაღლი
4. მსახიობი კარლო ...
5. მეცნიერება მიწისძვრების შესახებ
6. მწვერვალი კავკასიონზე
7. მონღოლი დიდებული
8. ტუალეტი გემზე
9. ღრმა, ციცაბო ხეობა
10. მხატვარი ... იგნატოვი
11. ინგლისის ძველი სახელწ.
12. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
13. სასული ინსტრუმენტი
14. რუსი კომპოზიტორი
15. არამუსლიმანური სამარხი
16. ... ფიროსმანაშვილი
17. ნახ. კუნძული აზიაში
18. ... გაფრინდაშვილი
19. ჟამი
20. „მაუგლი" დათვი
21. ფეხბურთელი ... ზიდანი
22. მარცვლოვანი მცენარე
23. მსახიობი ჯესიკა ...
24. მხატვარი ... ჯაფარიძე
25. ბზრიალა
26. ... კურდღლის მადევარი
27. ქალაქი უკრაინაში
28. კომპოზიტორი პეტრე ...
29. მტერზე დასხმა
30. ვერნ. „კაპიტან ... შვილები"
31. მომღერალი ... სპირსი
32. წყლის მოლუსკი
33. სოკო
34. ლომების ოჯახი
35. ჟურნალისტი ... უინფრი
36. მხ/ფ „... მზე"
37. ხუთკაციანი ანსამბლი
38. უბე
39. ფილოსოფოსი ემანუილ ...
40. პიონერთა დასასვენებელი ადგილი
41. იტალიის დედაქალაქი
42. კვალიფიციური ხელოსანი
43. ქალაქი რუსეთში. ცნობილი იყო იარაღით და სამოვრებით
44. ინდიელების ნავი
45. კომპოზიტორი ... პაულსი
46. ნუსხა
47. „... დე ბერჟერაკი"
48. ებრაული ენა
49. ოქროს ძაფი
50. მდინარე ინდოეთში
51. ძვ. ქართ. სამედიც. ენციკლოპ.
52. ცხენის რძის სასმელი
53. ქალის სასიმღერო ხმა
54. ... ურჩევნია მამულსა
55. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
56. მდინარე კანადაში
57. მსახიობი მიკი ...
58. მხატვარი ... შაგალი
59. მწერალი თომას ...
60. დოლარის მეასედი
61. ლაშქარი
62. ... ცეცხლს შუა
63. ტბა ფოთთან
64. გემის მოძრავი კიბე
65. ტივი „...-ტიკი"
66. „მაუგლი" პითონი
67. მსახიობი ... აფლეკი
68. ... ია
69. ანოდი და ...
70. ერთი ასაკის ადამიანები
71. ჩანთოსანი დათვი
72. ყაზახეთის დედაქალაქი
73. მსახიობი ბრედ ...
74. კუნძული ავსტრალიასთან
75. „კაცი რომელიც იცინის" გოგონა
76. ნახ. კუნძული შავ ზღვაში
77. შახტა, ანუ ...
78. ავი, ანჩხლი
79. ხეობა ახმეტის რაიონში
80. პოეტი სანდრო ...
81. მხ/ფ „მზიური ... სერენადა"
82. ლურჯი ვეშაპის საკვები
83. კომპოზიტორი ნინო ...
84. ცხენებშებმული ტრანსპორტი
85. მომღერალი ... რიდი
86. დიდი მსუქანი მუცელი
87. გალაქტიკა ანდრომედას ...
88. მდინარე იტალიაში
89. ზადი, ხინჯი
90. მწერალი ... ბრაუნი
91. მომღერალი რაფაელა ...
92. მდინარე საფრანგეთში
93. იაპონური თეატრი
94. მხატვარი ... გურული
95. ციხიდან გათავისუფლების ფორმა
96. „... აიბოლიტი"
97. პერუს დედაქალაქი
98. მსახიობი ... მონტანი
99. მსახიობი სილვანა ...
100. ფურცლის დაკეცვის იაპონური ხელოვნ.
101. კომში
102. ტაბლეტი
103. ნიანგის სახეობა
104. უდაბნო აფრიკაში
105. დეკორატიული ყვავილი
106. მსახიობი ... კერტისი
107. ბოსტნეული
108. აბატი პრევო. „... ლესკო"
109. იჯარა
110. სამშენებლო მასალა
111. მხ/ფ „აკაკის ..."
112. ზამბახი
113. დროშა
114. მდინარე თბილისში
115. ბულგარელი ნათელმხილველი
116. მზის სისტემის პლანეტა
117. ჟან-კლოდ ... დამი
118. რომაელი იმპერატორი
119. ბილიარდის ჯოხი
120. მხატვარი ... გრეკო
121. კუნძული ხმელთაშ. ზღვაში
122. სომეხი რევოლუციონერი
123. წინაღობის შებრუნ. სიდიდე
124. ბიბლიური მოსეს ძმა
125. მხ/ფ „... რობინზონი"
126. ღია მიშენება შენობაზე
127. მსახიობი ... ვარდალოსი
128. ახალი ზელანდიის მკვიდრი





პასუხები: 1. პენელოპა; 2. ასტრონომია; 3. ფინია; 4. საკანდელიძე; 5. სეისმოლოგია; 6. იალბუზი; 7. ნოინი; 8. გალიუნი; 9. კანიონი; 10. კოკა; 11. ალბიონი; 12. პლატონი; 13. ჰობოი; 14. ბოროდინი; 15. ნაუსი; 16. ნიკო; 17. ინდოჩინეთი; 18. ნონა; 19. დრო; 20. ბალუ; 21. ზინედინ; 22. ბრინჯი; 23. ალბა; 24. უჩა; 25. ჩიკორი; 26. ორი; 27. ოდესა; 28. ჩაიკოვსკი; 29. კაპიტულაცია; 30. გრანტის; 31. ბრიტნი; 32. მიდია; 33. ნიყვი; 34. პრაიდი; 35. ოპრა; 36. უძინართა; 37. კვინტეტი; 38. ყურე; 39. კანტი; 40. ბანაკი; 41. რომი; 42. ოსტატი; 43. ტულა; 44. პიროგა; 45. რაიმონდ; 46. სია; 47. სირანო; 48. ივრითი; 49. სირმა; 50. ინდი; 51. კარაბადინი; 52. კუმისი; 53. მეცოსოპრანო; 54. ის; 55. მისისიპი; 56. კლონდაიკი; 57. რურკი; 58. მარკ; 59. მანი; 60. ცენტი; 61. სპა; 62. ორ; 63. პალიასტომი; 64. ტრაპი; 65. კონ; 66. კაა; 67. ბენ; 68. აი; 69. კათოდი; 70. თაობა; 71. კოალა; 72. ასტანა; 73. პიტი; 74. დეა; 75. ტასმანია; 76. ყირიმი; 77. მაღარო; 78. კაპასი; 79. პანკისი; 80. ეული; 81. ველის; 82. პლანქტონი; 83. როტა; 84. კონკა; 85. დინ; 86. ღიპი; 87. ნისლეული; 88. პო; 89. ნაკლი; 90. დენ; 91. კარა; 92. ლუარა; 93. ნო; 94. კობა; 95. ამნისტია; 96. ექიმი; 97. ლიმა; 98. ივ; 99. მანგანო; 100. ორიგამი; 101. ბია; 102. აბი; 103. გავიალი; 104. ნამიბია; 105. ბეგონია; 106. ტონი; 107. ნიორი; 108. მანონ; 109. არენდა; 110. ცემენტი; 111. აკვანი; 112. ირისი; 113. ალამი; 114. მტკვარი; 115. ვანგა; 116. ვენერა; 117. ვან; 118. ნერონი; 119. კიი; 120. ელ; 121. სარდინია; 122. კამო; 123. მო; 124. აარონი; 125. სინიორ; 126. აივანი; 127. ნია; 128. მაორი. იკითხება: ნიკულინი. მორგუნოვი. ვიცინი.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მსახიობი ... ბრანდო
2. კაცუნა ზურგზე პროპე-ლერით
3. იოჰან ... ბახი
4. ... ქურდი ცხონდაო
5. მწერალი ... კლარკი
6. ბოშათა საბჭოთა თეატრი
7. მონადირე ფოტო-გრაფი
8. ოპერა „... გიუნტი“
9. ჯეიმს კამერონის ფილმი
10. კბილის დამცავი ფენა
11. მანათო-ბელი მწერი
12. ვაზის ჯიში
13. ქართ. ანბანის ბოლო ასო
14. შვედური ხურდა ფული
15. ნორ-ვეგიის დედაქა-ლაქი
16. ბალერინა მაია ...
17. ავტო-მისაბ-მელი
18. „სიმ-ფსონები“ ... სიმფსონი
19. ფარული დაცინვა
20. მუხის ქერქი
21. მსახ. სილვეს-ტერ ...
22. ავტო-ბუსის წინამორ-ბედი
23. უპირვე-ლესი საქმე
24. ნივ-თიერება. სუნს აძლევს მეთანს
25. მომ-ღერალი ... პავლიაშ-ვილი
26. მომ-ღერალი როდ ...
27. საყურე წარბზე
28. ხის ჯიში
29. სპორტ. შეჯიბრის დასა-წყისი
30. მსუბუქი ანუ ...
31. ჯუჯა ცხენი
32. მწერალი თეოდორ ...
33. ოპერის პირველი მომღერალი ქალი
34. ლიონ ფოიხტვანგერი „... ნერონი“
35. კუნძული ეგეოსის ზღვაში
36. ... თამადა რა ყოფილა
37. ჩილეში: ავგუსტო ...
38. ღმერთი ეგვიპტურ მითებში
39. ფიცარი ფანჯრის ქვეშ
40. მიქელან-ჯელოს ქანდა-კება
41. ქალაქი დას. საქართ.
42. ქალაქი ბელო-რუსში
43. პერუს დედაქა-ლაქი
44. ხმადა-ბალი ჟღერა-დობა
45. შინაური ცხოველი
46. ახალი ჯიშების გამოყ-ვანა
47. მი-მართვა ქალისადმი იაპონიაში
48. მეცნიერი ილია ...
49. ავტო-ნომია ჩინეთში
50. მშვიდი განწყობა
51. ყვავილი
52. დიუმა. „გრაფი მონტე ...“
53. გულის მთავარი სისხლ-ძარღვი
54. მომ-ღერალი ლედი ...
55. ბოკაჩოს ნაწარ-მოები
56. მოდელი ... კროუ-ფორდი
57. ... არის ბედი შენი
58. შიიზმის მიმდე-ვარი
59. პურის სოკო
60. სოფელი რაჭაში
61. დედამიწის ნულოვანი სარტყელი
62. ქალაქი იმერეთში
63. მხ/ფ „... ვალსი“
64. დირი-ჟორი ოდისეი ...
65. ... მოგივა დავითაო
66. აბელის მკვლელი
67. სამშე-ნებლო მასალა
68. ყმაწვილი ცვილის ფრთებით
69. ამერიკული სიმებიანი საკრავი
70. მსახიობი ... ჰილი
71. მსახიობი ... მიდლერი
72. „... ჩამო-ვიდნენ მთიდან“
73. მწერალი ... ტვენი
74. დაბადების მოწმობა
75. სილამაზის ქალღმერთი
76. არეკლილი გამოსა-ხულება
77. მისი დედაქა-ლაქია რეიკიავიკი
78. ქალაქი სამცხე-ჯავახეთში
79. მიხეილ ჯავახიშვილი. „ჯაყოს ...“
80. მო-ჭადრაკე ქეთევან ...
81. მაკა-რონი კოტლეტის გვერდით
82. „უდი-პლომო სასიძო“ ნინუა
83. ლირის მსგავსი საკრავი
84. ღვიძლის მეხვი
85. კომ-პოზიტორი ... ყანჩელი
86. მეფის სასახლე ესპანეთში
87. კინო-მოთხრობა
88. სახელმ-წიფო აფრიკაში
89. იაზონის გემი
90. აბატი ფარიას ციხე
91. ყელსა-ბამი
92. ქალაქი პოლო-ნეთში
93. ყურე
94. რე-ჟისორი ... დე ბონტი
95. ... გათეთრ-დების ყორანი
96. დასა-რტყამი საკრავი
97. კომ-პოზიტორი ... ნემსაძე
98. დაბა ოზურგეთ. რაიონში
99. ტაბლეტი
100. მსახიობი ან ...
101. ქიმიური ელემენტი
102. დასა-ძინებელი ნაყენი
103. პაპინიას ვაჟი
104. სამეჯ-ლისო ცეკვა
105. მსახ. ... მაკგრე-გორი
106. მსახიობი ... პაჩინო
107. ზვიად (ზვიო) ...
108. „... რაიანის გადასარ-ჩენად“
109. მწერალი ჟიულ ...
110. ... ერთო-ბაშია
111. ჯერ შრომა, ... ხტომა
112. ბილი-არდის ჯოხი
113. გადა-ბრუნებ. ასო დელტა
114. მსახიობი ... წულაძე
115. ჩირაღ-დანი
116. ქალაქი საფრან-გეთში
117. შხამიანი ბა ყაყი
118. სახოტბო ლექსი
119. გუთნის დეტალი
120. ტბა ლოხ-...
121. მსახიობი დონატას ...
122. მსახიობი მაქს ... სიუდოვი
123. ლენონის ქვრივი
124. მსახიობი ... ლონგორია
125. იუპიტერის თანამგ-ზავრი
126. ცისა-რტყელას ფერი
127. მაჯის-ცემა





პასუხები: 1. მარლონ; 2. კარლსონი; 3. სებასტიან; 4. ქურდის; 5. არტურ; 6. „რომენი“; 7. პაპარაცი; 8. პერ; 9. „ავატარი“; 10. ემალი; 11. ციცინათელა; 12. ალადასტური; 13. ჰაე; 14. ერე; 15. ოსლო; 16. პლისეცკაია; 17. ტრეილერი; 18. ბარტ; 19. ირონია; 20. კორპი; 21. სტალონე; 22. ომნიბუსი; 23. პრიორიტეტი; 24. ოდორანტი; 25. სოსო; 26. სტიუარტი; 27. პირსინგი; 28. თელა; 29. სტარტი; 30. მჩატე; 31. პონი; 32. დრაიზერი; 33. პრიმა; 34. ცრუ; 35. კრეტა; 36. ეს; 37. პინოჩეტი; 38. ანუბისი; 39. რაფა; 40. „პიეტა“; 41. ვანი; 42. ბრესტი; 43. ლიმა; 44. პიანო; 45. თხა; 46. სელექცია; 47. ტიან; 48. ვეკუა; 49. ტიბეტი; 50. იდილია; 51. ია; 52. კრისტო; 53. აორტა; 54. გაგა; 55. „დეკამერონი“; 56. სინდი; 57. სადაც; 58. შიიტი; 59. ობი; 60. ირი; 61. ეკვატორი; 62. ხონი; 63. დიდი; 64. დიმიტრიადი; 65. რაც; 66. კაენი; 67. ცემენტი; 68. იკაროსი; 69. ბანჯო; 70. ბენი; 71. ბეტ; 72. ისინი; 73. მარკ; 74. მეტრიკა; 75. აფროდიტე; 76. ანარეკლი; 77. ისლანდია; 78. ახალციხე; 79. ხიზნები; 80. არანამია; 81. გარნირი; 82. ნიკოლოზი; 83. კითარა; 84. ლივერი; 85. გია; 86. ალკაზარი; 87. სცენარი; 88. რუანდა; 89. „არგო“; 90. იფი; 91. კოლიე; 92. კრაკოვი; 93. უბე; 94. იან; 95. არ; 96. დოლი; 97. ლილიკო; 98. ლაითური; 99. აბი; 100. პარიიო; 101. იოდი; 102. ბანგი; 103. აგული; 104. ვალსი; 105. ევან; 106. ალ; 107. ბლიაძე; 108. რიგითი; 109. ვერნი; 110. ძალა; 111. მერე; 112. კიი; 113. ნაბლა; 114. ბაადურ; 115. მაშხალა; 116. ნანტი; 117. აგა; 118. ოდა; 119. სახნისი; 120. ნესი; 121. ბანიონისი; 122. ფონ; 123. ონო; 124. ევა; 125. იო; 126. იისფერი; 127. პულსი. იკითხება: ლალი ბადურაშვილი. ეკა კახიანი. ნინი ბადურაშვილი.



დედა და პატარა თენგო სეირნობენ, ნაცნობი კაცი შეხვდათ:

– ძიას მიესალმე.

– გაუმარჯოს!

– არა, ეგრე არ შეიძლება, ისე მიესალმე, როგორც მამიკო ესალმება.

– ვაა, რობიზონ, სად დაიკარგე, შე მელოტო ქინძო, რამდენი ხანია, არ მინახიხარ.

*****

– ალო, ტრისტან, მე ვარ შენი მეზობელი რობერტა.

– რა მოხდა, ხო მშვიდობაა?

– შენს სახლში ქურდები შეიპარნენ და შენი სიდედრის ნივთები გამოაქვთ.

– რობერტ, ჩუმად, არ დააფრთხო და არავის გააგებინო.

*****



მიხო თავის პატარა ბიჭს ეუბნება:

– ჯოო, მოდი, ჩემთან ერთად დალიე ღვინო!

– კარგი რა, მამი, ჯერ პატარა ვარ.

– შე ვირითავო, შენთან ერთად რომ გაკვეთილებს მაკეთებინებ, მაშინ აღარა ხარ პატარა?

*****

სკვერში სკამზე შალიკია ზის და იგინება. მასთან პოლიციელი მივიდა, გვერდით მიუჯდა და ესაუბრება

– შალიკია, რატომ იგინები, აქ კულტურული დასვენების ადგილია და გინება სირცხვილია, ვის აგინებ კი მაგრამ?

– ვის და ვინც ეს სკამები შეღება და გამაფრთხილებელი წარწერა არ დატოვა

– რაოოოოო, უხ მე მაგათი და შენი...

*****



– ექიმო, უძილობა მჭირს და იქნებ მიშველო.

– სამამდე დაითვალე და დაგეძინდება.

– სამამდე ცოტაა, ექიმო.

– ნუ, მაშინ ოთხის ნახევრამდე გააგრძელე.

***მოამზადა დავით ახობაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## გამოთვლილია: დღის მანძილზე ბავშვები 300-მდე კითხვას სვამენ



„მამიკო, მართალია, რომ ადამიანები მაიმუნებისგან გაჩნდნენ?“ „რა თქმა უნდა, შვილო!“ „ესე იგი, შენ და დედიკომ მიშვილეთ?“...

„დედიკო, იმ ბიძიას თავზე თმები რატომ არ აქვს?“ „ჩუმად, შვილო, არ გაიგოს“ „და რა, თვითონ არ იცის?“...

უჰ, მართლა იმდენი უცნაური კითხვის დასმა იციან პატარებმა, შეიძლება უფროსი ჭკუიდან გადაიყვანონ, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა, ხომ უნდა დაუკმაყოფილო უსაზღვრო ცნობისმოყვარეობა?

მეცნიერებს ეს საკითხი იმდენად აქტუალურად მოეჩვენათ, კვლევაც კი ჩაატარეს იმის დასადგენად, დაახლოებით რამდენ კითხვას სვამს ბავშვი დღის განმავლობაში. შედეგი საკმაოდ შთამბეჭდავია: პატარები მშობლებს დღეში დაახლოებით 300 კითხვით მიმართავენ.

კვლევის შედეგად ისიც დადგინდა, რომ ყველაზე ცნობისმოყვარეები 4 წლის გოგონები არიან. მათი „რატომ“ უფროსმა დღეში შეიძლება 390-ჯერ გაიგოს. გარდა ამისა, ყველაზე მეტი კითხვა ბავშვებს უჩნდებათ მაგიდასთან (11) და დაახლოებით ამდენივე მაღაზიაში შესვლისას (10).

თითქმის ყოველთვის, კერძოდ კი შემთხვევათა 82 პროცენტში, ბავშვები კითხვით დედებს მიმართავენ. რატომ და იმიტომ, რომ ყოველი მეოთხე პატარა დარწმუნებულია, რომ მამას პასუხი არ ექნება და გადაამისამართებს: „წადი და დედაშენს ჰკითხე“.

დაბოლოს: ექსპერტებმა დაიანგარიშეს, რომ წლის მანძილზე დედებს დაახლოებით 105 ათას 120 პასუხის მოფიქრება უწევთ. ამასთანავე, დედების 82 პროცენტი გამოტყდა, რომ 9-10 წლის ბავშვების კითხვებზე პასუხები, უბრალოდ, არ აქვთ.

***mamin-dom.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ცხოველთა უფლებების დამცველთა ცხელ ხაზზე შესული ყველაზე უცნაური ზარები



ადამიანების უდიდეს ნაწილს უზომოდ უყვარს ცხოველები და ფრინველები და ამაში გასაკვირი არც არაფერია, თუმცა ზოგიერთი მათგანის მიერ გამოვლენილი უჩვეულო დამოკიდებულება კი ღიმილსა და გაუგებრობას მაინც იწვევს.

სწორედ ამაზე მეტყველებს ბრიტანელების მიერ შედგენილი ერთგვარი რეიტინგიც, რომელშიც ცხოველთა უფლებების დამცველთა ცხელ ხაზზე შესული ყველაზე უჩვეულო ზარებია აღნუსხული.

მაგალითად, თურმე, ერთ აღელვებულ მოხუც ქალს ცხელ ხაზზე დაურეკავს და დახმარების აღმოჩენა „მოწყენილი თოლიასთვის“ უთხოვია, რომელიც... წვიმას სულ დაუსველებია.

არანაკლებ უჩვეულო აღმოჩნდა კიდევ ერთი სუსტი გულის მქონე ბებოს ზარი აღნიშნულ სამსახურში – ის სასწრაფოდ სპეციალისტების გამოყოფასა და იმ ობობის გადარჩენას მოითხოვდა, რომელიც მისი სამზარეულოს ნიჟარაში „იხრჩობოდა“.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცხოველთა უფლებების დამცველი ორგანიზაციის ცხელ ხაზზე, ზარი, საშუალოდ, 29 წამში ერთხელ შედის და მათი უმეტესობა, უბრალოდ, აბსურდულია.

ამის დასამტკიცებლად საკმარისია, თუნდაც უცნობი მძღოლის მიერ განხორციელებული ზარი – იგი იმის გამო წუხდა, რომ ყველა კუ ძალიან ნელა მოძრაობს და ამ „პრობლემის“ გამოსწორებაზე არავინ ფიქრობს.

კიდევ ერთი მამაკაცი აღშფოთებულა ცხოველთა უფლებების დამცველთა „უყურადღებობასა და უგულობაზე“. კერძოდ, ის მიიჩნევდა, რომ უფლებათა დამცველები არ ზრუნავენ კენგურუების ბედზე – ხომ შეიძლება, გრძელი ნახტომის შემდეგ ამ მშვენიერმა ცხოველმა... ფეხი მოიტეხოს?! – ჩიოდა აშკარად უცნაური აზროვნების მქონე ბრიტანელი.

ყველაზე ხშირად კი, ცხელ ხაზზე ხეზე ამძვრალი კატების „გადარჩენას“ მოითხოვენ და გასაკვირია, რომ ცხოველთა დამცველები ასეთ გამოძახებებზე ყოველთვის სასწრაფოდ ცხადდებიან ხოლმე...

***etotupo.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ყველაზე ჭარბწონიანი ხალხი პოსტსაბჭოთა ქვეყნებშია



ჭარბწონიანობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა, რომელიც წლიდან წლამდე სულ უფრო სერიოზულ სახეს იძენს.

რადიო თავისუფლების ევროპულმა ნაწილმა საკმაოდ საინტერესო სტატისტიკა გამოაქვეყნა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ყველაზე ჭარბწონიანი ხალხი გამოავლინა.

რეიტინგი ორ ნაწილად გაიყო და ამა თუ იმ ქვეყანაში ქალისა და მამაკაცის ჭარბწონიანობის პროცენტული მაჩვენებლები წარადგინა.

პირველ ადგილზე ლიტვა გავიდა. როგორც აღმოჩნდა, ამ ქვეყანაში ორივე სქესის წარმომადგენლებში ზედმეტი კილოგრამების პრობლემაა. ბოლო ადგილზე ტაჯიკეთი იმყოფება, აქ ქალებსაც და მამაკაცებსაც ჭარბწონიანობის პრობლემა ყველაზე ნაკლებად აქვთ.

რაც შეეხება საქართველოს, როგორც მოსალოდნელი იყო, ქალებში სიმსუქნის პრობლემა მამაკაცებისას აღემატება. ჩვენს ქვეყანაში ზედმეტ წონას სუსტი სქესის წარმომადგენლების – 22.3%, ხოლო ძლიერი სქესის 16.3% ებრძვის.

რაც შეეხება ზოგადად, მსოფლიოს მონაცემებს, „ფორბსის“ ინფორმაციით, პირველ ადგილზე 94.5 პროცენტით ნაურუ იმყოფება, ბოლოზე კი – ერითრია 4.4 პროცენტით. საქართველო ცნობილი გამოცემის რეიტინგში 194-დან 113-ე ადგილზე, 44.8 პროცენტით გავიდა.

***daijesti.pia.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## რამდენ ხანს რჩება ნარკოტიკი ადამიანის ორგანიზმში?



ჰაშიში, მარიხუანა – შარდში – 7-30 დღე; სისხლში – დაახლოებით 2 კვირა; თმაში – 90 დღემდე.

კოკაინი – შარდში – 3-4 დღე; სისხლში – 1-2 დღე; თმაში – 90 დღემდე.

ალკოჰოლი – შარდში – 3-5 დღე; სისხლში – 10-12 საათი; თმაში – 90 დღემდე.

**LSD** – შარდში – 1-3 დღე; სისხლში – 2-3 საათი; თმაში – 3 დღემდე

ექსტაზი: შარდში – 3-4 დღე; სისხლში – 1-2 დღე; თმაში – 90 დღემდე.

ჰეროინი – შარდში – 3-4 დღე; სისხლში – 12 საათამდე; თმაში – 90 დღემდე.

ამფეტამინი – შარდში – 1-3 დღე; სისხლში – დაახლოებით 12 საათი; თმაში – 90 დღემდე.

მეტამფეტამინი – შარდში – 3-6 დღე; სისხლში – 24-36 საათი; თმაში – 90 დღემდე.

ორგანიზმში ნარკოტიკების კვალის ხანგრძლივობა პიროვნების სიმაღლეზე, წონაზე, ასაკზე, ჯანმრთელობის მდგომარეობასა და გამოყენებაზეა დამოკიდებული.

***galanews.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## 104 წლის ბრიტანელმა ტატუ-სალონის ყველაზე ასაკიანი სტუმრის სტატუსი დაიმსახურა



ბრიტანელი პენსიონერი ჯეკ რეინოლდსი დიდხანს ფიქრობდა, რა შეიძლებოდა გაეკეთებინა თავის 104-ე დაბადების დღეზე, რომ კიდევ 104 წელი არ დავიწყებოდა. ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა, რომ სვირინგის გაკეთება ურიგო არ იქნებოდა. ჰოდა, ადგა და მკლავზე თავისი მეტსახელი და დაბადების თარიღი ამოისვირინგა. თუ გიჟობაა, გიჟობა იყოსო და ჯეკის 55 წლის ქალიშვილმა და 35 წლის შვილიშვილმაც ზუსტად უხუცესისნაირი სვირინგი გაიკეთეს და დაბადების დღეც ასე მიულოცეს.

თანაც ჯეკმა თქვა, ჩემს ასაკში სვირინგი პატარა ამბავი არაა, ამიტომ დუნიამ უნდა ნახოს, რა ჭკუაზე ვარო და თავისი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში გაავრცელა.

გაგიკვირდებათ და სვირინგის დამსახურებით, რეინოლდსი გინესის რეკორდების წიგნში მეორედ მოხვდა. პირველად, 2014 წელს ყინულის გამოწვევაში მონაწილეობის მიღებით, როგორც ყველაზე ასაკოვანმა მონაწილემ, რეკორდსმენის სტატუსი დაიმსახურა.

***lenta.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დიდ ბრიტანეთში საკვებად ვარგისი საპატარძლო კაბა შექმნეს



დიდ ბრიტანეთში მსოფლიოში პირველად ისეთი საქორწილო კაბა შექმნეს, რომლის შეჭმაც შესაძლებელია. კაბა-ტორტს საერთაშორისო საკონდიტრო კონკურსზე წარადგენენ.

კაბაზე კონდიტრები, სილვია ელბა და ივეტ მარნერი და მხატვარი ილინკა რნიკი მუშაობდნენ. საბოლოო შედეგის მისაღწევად ქალებს 300 საათი დასჭირდათ.

სამაგიეროდ, შედეგი გარჯად ღირდა. კაბა 170 სანტიმეტრი სიგრძისაა და 75 კილოგრამს იწონის. შემქმნელებმა ათასი ცალი საკვები ვაფლი, 35 კილოგრამი სხვადასხვა ტკბილეული და სამი კილოგრამი დეკორატიული არშია გამოიყენეს, რათა ტორტისთვის ყველა ქალისთვის საოცნებო საპატარძლო კაბის იერი მიეცათ. თუმცა, ტკბილი სამოსის ჩაცმა შეუძლებელია.

***lenta.ru***

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ვიმოგზაუროთ მზის სისტემის გარშემო




ყველაზე მაღალი სიჩქარე სამყაროში სინათლის სიჩქარეა, დაახლოებით 1 მილიარდი კილომეტრ/საათი. 1 წლის მანძილზე სინათლის მიერ გადალახული მანძილი ასე გამოისახება: 9 760 800 000 000 კილომეტრი.

კოსმოსური აპარატის სიჩქარის რეკორდი 240 ათასი კილომეტრ/საათია, რომელიც 1976 წლის 15 იანვარს გაშვებულმა ამერიკულ-გერმანულმა მზის ზონდმა „ჰელიოს-ბიმ“ დაამყარა.

ავტომობილის საშუალო სიჩქარე 100 კილომეტრ/საათია; ხოლო ადამიანის მოძრაობის სიჩქარე ფეხით სიარულისას 6 კილომეტრ/საათი.

იმისთვის, რომ გავიგოთ, რა მანძილი გვაშორებს კოსმოსურ ობიექტებს, ეს სამი მეთოდი გამოვიყენოთ: „ჰელიოს-ბი“, ავტომობილი და ფეხით სიარული.

1. პირველი კოსმოსური ობიექტი, რაღა თქმა უნდა, მთვარე იქნება:

„ჰელიოს-ბი“ მთვარეზე 1 საათში მიგვიყვანდა, ავტომობილით მოგზაურობას 160 დღე დასჭირდებოდა, ხოლო ფეხით სიარულს – დაახლოებით 5 წელი.

2. შემდეგი გაჩერება მარსი: მინიმალური მანძილი დედამიწასა და მარსს შორის 56 მილიონი კილომეტრია და ასეთი დაშორება 17 წელიწადში ერთხელ მიიღწევა. კოსმოსური ზონდით წითელ პლანეტაზე 9 დღეში მოვხვდებოდით, ავტომობილით ამას 63 წელი დასჭირდებოდა, ფეხით კი... აი, ფეხით მარსამდე სიარულში 799 წელი დაიხარჯებოდა და ამ დროის მანძილზე, პრეზიდენტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, დედამიწაზე ასობით თაობა შეიცვლებოდა.

3. ახლა გავიხედოთ მზისკენ: ჩვენს კაშკაშა მნათობამდე ამერიკულ-გერმანული ზონდი 26 დღეში მიგვაფრენს, ავტომობილით 173 წელია საჭირო, ხოლო ფეხით 2168 წელიწადი. კაცმა არ იცის, ამ დროის მანძილზე დედამიწას რა ბედი ეწევა და მგონი, ჯობია, მზემდე ფეხით მოგზაურობის წინ სიტუაცია კარგად ავწონ-დავწონოთ.

4. მზის სისტემის უკანასკნელი პლანეტა პლუტონი: მანძილი მართლაც შთამბეჭდავია და 5,6 მილიარდ კილომეტრს შეადგენს. პლუტონამდე მისვლას „ჰელიოს-ბი“ 3 წელში მოახერხებს. ავტომობილით უკვე საჭიროა 6392 წელი, ხოლო ფეხით სიარულში 90 ათას წელს დავხარჯავდით...

ამ ყველაფერს რომ ვუყურებთ, ისევ ჯობია, მოგზაურობა სურამისკენ დავგეგმოთ, იყოს სვანეთი, ან რაც თქვენ გულს გაუხარდება, მაგრამ მარსი და პლუტონი აშკარად თავიდან უნდა ამოვიგდოთ!..

***factroom.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## კლინიკურ სიკვდილს ადამიანი ყოველთვის უფრო ნათლად აღიქვამს, ვიდრე რეალობას



ადამიანები, რომლებმაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანეს, ამ ამბავს კიდევ ძალიან დიდხანს იგონებენ და ხშირად, მას ბევრად ნათლად და ემოციურად აღიქვამენ, ვიდრე ჩვეულებრივ მოვლენებს.

ბელგიელი მეცნიერების თქმით, ნებისმიერი კულტურისა თუ რელიგიის წარმომადგენელი კლინიკური სიკვდილის შესახებ, ფაქტობრივად, ერთსა და იმავეს ყვება: საკუთარ სხეულს აღარ ეკუთვნოდნენ, მიდიოდნენ გვირაბში სიკაშკაშისკენ, სადაც თავიანთ გარდაცვლილ მეგობრებსა და ნათესავებს ნახულობდნენ, რომლებიც ეუბნებოდნენ, რომ „ჯერ დრო არ დამდგარა“ და უკან აგზავნიდნენ.

არსებობს მოსაზრება, რომ ასეთი გამოცდილება იმის პირდაპირი მტკიცებულებაა, რომ სხეულისა და სულის განცალკევება შესაძლებელია. სხვები ამ ხილვებს ჟანგბადის არარსებობას და შედეგად ტვინში წარმოქმნილ ქიმიურ რეაქციებს აბრალებენ. კიდევ ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს ყველაფერი ღმერთის არსებობაზე მეტყველებს.

იმის გამო, რომ ამ მოვლენის გაკონტროლება რეალურ დროში შეუძლებელია, მკვლევარებმა „თვითმხილველებთან“ გასაუბრება გადაწყვიტეს. ჰოდა, აღმოჩნდა, რომ თითქმის ყოველთვის ისინი სხვების ემოციების მიმართ ბევრად მგრძნობიარენი ხდებიან და ცდილობენ, ყველას დახმარების ხელი გაუწოდონ. ამასთანავე, წლების გასვლის შემდეგაც კი კლინიკური სიკვდილის შესახებ ადამიანები ბევრად დეტალურად საუბრობენ და მომხდარი არასოდეს ავიწყდებათ. რატომ? ამ კითხვაზე პასუხი კვლავაც არ არსებობს.

***tainamira.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## სირბილი... ნაოჭების გაჩენის პროცესს აჩქარებს?



ნამდვილად გასაკვირია და კიდევ ერთხელ გაგვაკვირვეს ადამიანებმა, რომლებიც მუდმივად კვლევაძიებაში არიან.

ამერიკელ პლასტიკურ ქირურგებს თუ დავუჯერებთ, სირბილი სასარგებლო სულაც არ ყოფილა ჩვენი ჯანმრთელობისთვის, როგორც ეს აქამდე მიიჩნეოდა.

თურმე, ვარჯიშის ეს ყველაზე პოპულარული სახეობა ნაოჭების გაჩენის პროცესის აჩქარებას უწყობს ხელს.

სპეციალისტების თქმით, კალორიების დაწვით, სირბილი ადამიანს დათვურ სამსახურსაც უწევს.

კერძოდ, ამცირებს კანქვეშა ცხიმების რაოდენობას, რაც თავისთავად, კანზე დადებითად ვერ იმოქმედებს.

ჰოდა, ნაოჭებიც ამის „საჩუქარია“.

განსაკუთრებით დიდ პრობლემებს უქმნის სირბილი ადამიანებს, რომლებმაც 40 წელს გადააბიჯეს, რადგან კანქვეშა ცხიმები მათ გაცილებით ნაკლები რაოდენობით გამოუმუშავდებათ.

ამდენად, სირბილი მხოლოდ აღრმავებს ასაკობრივი ცვლილებების პრობლემებს.

კვლევის ავტორი პლასტიკური ქირურგები იმასაც ამბობენ, რომ მათი პაციენტების 25 პროცენტი სწორედ სირბილისგან არიან დაზარალებულები.

– სირბილი ნაადრევ დაბერებას იწვევს, რასაც სიგარეტის კვამლი და მზის სხივების გავლენაც ეხმარება, – განმარტავენ სპეციალისტები.

***myjane.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## რა დაავადებისგან იცავს კაცებს კვერცხი?



კაცებო, ქვის აგდება და თავის შეშვერა, კვერცხს რა მაჭმევსო, საჭირო არ არის, შემწვარ-მოხრაკულებს ხომ კარგად მიირთმევთ. ჰოდა, ფინელმა მეცნიერებმა თქვეს, ამდენი ცხიმის მიღებას, გირჩევნიათ კვირაში 4 ცალი კვერცხი მაინც შეჭამოთ და შაქრიანი დიაბეტისგან დაცული იქნებითო.

თურმე, კვერცხი ისეთი კარგი პროდუქტი ყოფილა, რომ ორგანიზმი მის სარგებელს 98 პროცენტით აღიქვამს და იღებს. აი, ცხიმიანი რძის პროდუქტებისგან კი, სჯობს, თავი შეიკავოთ.

ადრე ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ადამიანს დღეში 2 კვერცხის მირთმევა შეუძლია ისე, რომ საშიში დაავადების საფრთხე არ დაემუქროს. პირიქით, ეს მხოლოდ ცილის დღიური ნორმა ყოფილა, რომელიც ძალიან სასარგებლოა.

ის დროა, მამრობითი სქესი მწავდისა და ხაჭაპურის კვერცხით ჩანაცვლებაზე ფიქრობდეს.

***myjane.ge***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## დედამიწის ყველაზე „მოხუცი“ ცხოველი 507 წლის იყო



ტყუილად იფიქრეთ, რაღაც განსაკუთრებული ზომების მქონე გიგანტური არსება თუ იცოცხლებდა ამდენ ხანსო – „პატარა და მუშაო“, ხომ გაგიგიათ, არა?

2005 წელს მეცნიერებმა ისლანდიაში „არქტიკა ისლანდიკას“ სახეობის ორსარქვლიანი მოლუსკი აღმოაჩინეს, რომელსაც პლანეტის ყველაზე ხანდაზმული ცხოველი უწოდეს: ნიჟარის შიდა ნაწილის დახმარებით, სწავლულებმა განსაზღვრეს, რომ მინი (მოლუსკს სახელი ჩინეთის იმპერატორთა დინასტიის პატივსაცემად უწოდეს, რომელიც იმპერიას 1368-1644 წლებში მართავდა) სამყაროს 405 წლის წინათ მოევლინა.

გავიდა დრო და სულ ცოტა ხნის წინ მეცნიერები მიხვდნენ, რომ ანგარიშში შეცდნენ - ცდომილებამ დაახლოებით 102 წელი შეადგინა.

შეცდომა სპეციალისტებმა იმით ახსნეს, რომ ნიჟარაზე ზოგიერთი რგოლი ძალიან თხელი, თითქმის შეუმჩნეველი იყო და ყველა ნაჭდევი მაშინვე ვერ დაინახეს.

ცნობილია, რომ მეცნიერების დასკვნა მტკიცდება რადიონახშირბადის ანალიზითაც: მინს 5 საუკუნეზე მეტხანს უცოცხლია, რაშიც მას ხელი ძალიან ნელმა მეტაბოლიზმმა შეუწყო.

სამწუხაროდ, მოლუსკი 2006 წელს „გარდაიცვალა“ და ვეღარ მოესწრო იმ დღეს, როცა მეცნიერებმა მისი ზუსტი ასაკი განსაზღვრეს, თუმცა კვლევითი სამუშაოები ჯერ კიდევ არ დასრულებულა: მინის ნიჟარის შესწავლის წყალობით, სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ბოლო საუკუნეებში მსოფლიო ოკეანის ტემპერატურის ცვალებადობას დაადგენენ. გარდა ამისა, გრძელდება „არქტიკა ისლანდიკას“ სახეობის შესწავლა, რათა მინის მსგავსი სხვა ხანდაზმული მოლუსკებიც მოიძიონ.

***factroom.ru***

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## მშობლები გვატყუებენ, მათ ერთ-ერთი შვილი გამორჩეულად უყვართ



მშობლების ფავორიტი, უმეტესად, პირველი შვილია ხოლმე, ამის შესახებ ნათქვამია კალიფორნიის უნივერსიტეტის კვლევაში, სადაც მონაწილეობა 768 მშობელმა მიიღო.

დედების 70-მა და მამების 74-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ ერთ-ერთი შვილი განსაკუთრებულად უყვართ.

მკვლევარებმა სულ 384 ოჯახი შეისწავლეს. ყველა მონაწილე ოჯახში წყვილებს ჰყავდათ ორი შვილი და ბავშვებს შორის ასაკობრივი სხვაობა 4 წელი იყო.

მშობლებს არ დაუსახელებიათ, რომელი შვილია მათი ფავორიტი, თუმცა შედეგებმა აჩვენა, რომ უმეტესად, განსაკუთრებით უფროსი შვილი უყვართ.

კვლევას კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი კეტრინ კონგერი უძღვებოდა.

***daijesti.pia.ge***

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძემ** 593 19-85-99



ზოომაღაზიაში გივიკო დედას ეხვეწება, პატარა ზაზუნა უყიდოს:

– დედიკო, დედიკო, მიყიდე რაა პატარა, ლამაზი და ფუმფულა ზაზუნა

– რად გვინდა, გივიკო, ზაზუნა?

– რად გვინდა და ჩვენს ფისოს საჭმელი რომ უნდა ვუყიდოთ, დაგავიწყდა?

*****

– ჯუმბერ, რას აკეთებ?

– საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობას ვეწევი

– რას, მაგალითად?

– რას და არაფერს, ვზივარ და არ ვუშლი სხვას ხელს არაფერში.

*****



ორი ტიპი მაგრად დაბოლილი მიდის გზაზე

– ნიკუშ, გაიღიმე პოლიციის მანქანა მოდის, არ შეგვამჩნიონ რამე.

თხუთმეტი წუთის შემდეგ:

– კარგი, ნიკუშ, გეყოფა გაღიმება, უკვე პოლიციის მანქანაში ვზივართ.

*****

მაღაზიაში ორი გამყიდველი საუბრობს:

– რა სუნია? ეტყობა, გუდის ყველი მოიტანეს გასაყიდად.

– არა, რა გუდის ყველი, მტვირთავი ანზორა ტანსაცმელს იცვლის და იმის სუნია.



*****

მოკრივეს ეკითხებიან:

– თილისმის თუ გწამთ?

– კი, როგორ არა, რინგზე გასვლის წინ ხელთათმანში ყოველთვის ცხენის ნალს ვიდებ, იღბალი რომ მქონდეს.

*****

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მე შენთვის ორი ამბავი მაქვს, კარგი და ცუდი

– მიდი, მითხარი.

– მე შენგან მივდივარ.

– გასაგებია, ეხლა ცუდი მითხარი.

***მოამზადა დავით ახობაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

გაზეთი „ყოველკვირეული ალია“
სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 435 553
რედაქტორი მანანა გიორგაძე

## კოქტეილი, რომელიც თქვენს გულს ძალას შემატებს



თუ გინდათ, რომ გულმა ბოლომდე გიერთგულოთ და საიქიომდე მიგყვეთ, მადასთან გამკლავებისა არ იყოს, ამ შემთხვევაშიც დახმარებისთვის ბუნებრივ საშუალებებს უნდა მიმართოთ.

როგორც ირკვევა, შექმნილია ძალიან სასარგებლო კოქტეილი, რომელიც სისხლით გულის მომარაგებას მნიშვნელოვნად აუმჯობესებს და ასევე, ძარღვებს აძლიერებს. კოქტეილში სულ შვიდი პროდუქტი შედის და ახლავე ყველაფერს დეტალურად მოგახსენებთ:

სასმელი უნდა შედგებოდეს 126 მილიგრამი ყურძნის წვენისგან (დაახლოებით 30 ცალი მარცვალი), 10 მილიგრამი წითელი მოცვის წვენისგან (8 მარცვალი), 8 მილიგრამი შინდის წვენისგან (5 ნაყოფი), 8 მილიგრამი კუნელისგან (5 მარცვალი), 20 მილიგრამი ცისფერი მოცვის პიურესგან (15 ნაყოფი), 20 მილიგრამი მარწყვის პიურესგან (9 ნაყოფი) და 20 მილიგრამი ვაშლის პიურესგან (დაახლოებით ნახევარი ვაშლი).

პირველ ეტაპზე, სანამ სპეციალისტები აღნიშნული კოქტეილის რეცეპტს გაავრცელებდნენ, ექსპერიმენტები ჯერ თაგვებზე, შემდეგ კი ადამიანებზე ჩატარდა. კვლევამ აჩვენა, რომ სასმელი გულს შესანიშნავად ეხმარება და მისი მიღება ნებისმიერ ადამიანს ბევრ პრობლემას მოუგვარებს.

*myjulia.ru*

## კბილებამდე შეიარაღებულმა ოცმა მძარცველმა სეიფის გახსნა ვერ მოახერხა



კურიოზული ეს შემთხვევა ჩვენთვისაა, თორემ ვენესუელელი მძარცველებისთვის ნამდვილი კოშმარია, რომელიც ხანგრძლივი პატიმრობით დასრულდება.

როგორც ირკვევა, კბილებამდე შეიარაღებული 20 ვენესუელელი ბოროტმოქმედი ერთ-ერთ ადგილობრივ ოქროს მომპოვებელ კომპანიაში შეიპარა და დიდი ძებნის შემდეგ იმ ოთახს მიაგნო, რომელშიც ოქროთი სავსე სეიფი ინახებოდა.

აღმოჩენით გახარებული მძარცველები მაშინვე შეუდგნენ ოქროს ხელში ჩაგდების სამუშაოებს, მაგრამ ნურას უკაცრავად – სეიფი მათ ნებას არაფრის დიდებით არ დაჰყვა.

ბოროტმოქმედებმა უშედეგოდ თითქმის 3 საათი იწვალეს და თავზე ისე დაათენდათ, ვერაფერი გაიგეს. ამასობაში კომპანია ხალხით გაივსო, რომლებმაც შენობაში უცხო ადამიანების შეპარვის ფაქტი აღმოაჩინეს და ადგილზე მაშინვე პოლიცია გამოიძახეს. რამდენიმეწუთიანი სროლის შემდეგ, სამართალდამცველებმა ოცივე მძარცველი დააპატიმრეს და „კუდიგორის გზას გაუყენეს“.

*rokf.ru*

## ინგლისელებმა კატებისთვის ბიზნესკლასის სასტუმრო გახსნეს



პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ სასტუმრო ცხოველებისთვის უცხო ხილი უკვე კარგა ხანია, აღარ არის. თუ გახსოვთ, ერთხელ ისიც კი მოგიყევით, იაპონელებმა სასტუმრო მწერებისთვის და ლოკოკინებისთვის რომ გახსნეს.

რაც შეეხება კონკრეტულ სიახლეს, საუბარია ბრიტანელების მიერ კატებისთვის გახსნილ ბიზნესკლასის სასტუმროზე, რომლის ანალოგიც მთელ მსოფლიოში არ არსებობს.

ცნობილი ხდება, რომ სასტუმრო ჰარტფორდშირის საგრაფოში გაიხსნა. დღე-ღამე 22 ფუნტი ღირს, თუმცა არის რამდენიმე ლუქსიც, რომლის ღირებულებაც უკვე 40 ფუნტამდე მერყეობს.

სასტუმროს მფლობელები განმარტავენ, რომ სურდათ, კატებსაც ჰქონოდათ საშუალება, გამოეცადათ ფუფუნება და კომფორტი, რაც, ვფიქრობთ, გამოუვიდათ კიდეც.

სასტუმროს ნომრების ფასს რომ თავი დავანებოთ, კატების საკვები მხოლოდ ვერცხლისა და ფაიფურის ჭურჭელზე იდება. ოთახებში მუდმივად ჩართულია მშვიდი მუსიკა და ასე შემდეგ.

რაც ყველაზე მთავარია, ადამიანების რაოდენობას, რომლებიც მზად არიან, თავიანთი კატები ფუფუნებაში დაასვენონ, თვლა არ ჰქონია.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*murmiau.ru*

## გსურთ, მადა შეიმციროთ? მაშინ ყურადღებით მოგვისმინეთ



იმის ნაცვლად, რომ მადას ხელოვნურად ვებრძოლოთ, სპეციალისტები გვირჩევენ, ამ მეტ-ნაკლებად კეთილშობილურ მიზანს ნატურალური პროდუქტების დახმარებით მივაღწიოთ. ჯერ ერთი, მადასთან ბრძოლა მთლად კეთილშობილური იმიტომ არ არის, რომ კუჭს ვზღუდავთ, მერე მეორე – თუკი ამას მაინც ვაკეთებთ, სჯობს, ისე გავაკეთოთ, რომ ჯანმრთელობა მინიმალურად დავიზიანოთ.

პროდუქტების რეიტინგში, რომელთაც მადის დაქვეითება შეუძლიათ, ვაშლი გავიდა. რეკომენდაცია ასეთია: ვაშლი საჭმელად დაჯდომამდე 15 წუთით ადრე მივიღოთ. სპეციალისტები დედას იფიცებიან, რომ იმაზე გაცილებით ნაკლებს შევჭამთ, ვიდრე ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე.

სიაში შემდეგ ადგილს წითელი წიწაკა იკავებს. თეფშზე გადმოღებულ კერძში ნახევარი ჩაის კოვზი წითელი წიწაკის დამატება მადას ასევე დიდი წარმატებით უმკლავდება. მისი საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ, როგორც ცნობილია, წიწაკა კაპსაიცინს შეიცავს, ნივთიერებას, რომელიც მას სიმწარეს აძლევს და ამასთანავე, ეფექტურად უმკლავდება შიმშილის გრძნობას.

ინფორმაციასთან გაცნობისას, როცა მესამე ადგილს მივადექით, თვალები შუბლზე აგვივიდა, რადგან „ბრინჯაოს მედალოსანი“... ხავსი გახლავთ. ახლა, ხავსს რომ შეჭამს ადამიანი, ბუნებრივია, მადა სამუდამოდ თუ არა, კვირა-ნახევარი მაინც წაუხდება.

ასეა თუ ისე, სპეციალისტები აქაც გვიმტკიცებენ, რომ საკვებში ხავსის სულ უმნიშვნელო რაოდენობით დამატებაც კი მადას მინიმუმ 30 პროცენტით შეამცირებს.

კიდევ რომელი პროდუქტია შესული ამ „ჯადოსნურ“ ნუსხაში? მაგალითად, კვერცხი, რომელიც ადამიანს ადვილად ანაყრებს, მაგრამ კალორიულობით არ გამოირჩევა. ლიმონი, ნიორი, მწვანე ჩაი და ასე შემდეგ, თუმცა მადის მთავარი მტრები ვაშლი, წითელი წიწაკა და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ხავსი გახლავთ.

*myjane.ru*

## სპეციალურად ცხოველების დასაცავად, ჰოლანდიაში პოლიცია შეიქმნა



დარწმუნებულები ვართ, „ხალადეცი“ რომ გასინჯონ, სიამოვნებისგან კრუტუნს დაიწყებენ, მეორე დღეს კი ჯარიმას დაგიწერენ, საცოდავ ღორს ყელი როგორ გამოჭერიო.

პირველ რიგში ის უნდა ითქვას, რომ ჰოლანდია არის ერთადერთი ქვეყანა, რომლის პარლამენტშიც „ცხოველების მცველების პარტია“ შედის.

მართალია, პარლამენტში პარტია სულ ორი პოლიტიკოსითაა წარმოდგენილი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ისინი საზოგადოების ძალიან დიდი მხარდაჭერით სარგებლობენ. აქედან გამომდინარე, ცხოველთა დამცველებმა არაერთი უცნაური კანონის დამტკიცება შეძლეს. მათ შორისაა პოლიციის სპეციალური განყოფილების შექმნაც, რომელიც მხოლოდ ცხოველებზე იზრუნებს.

განყოფილებაში უკვე შედის 125 პოლიციელი, რომლებიც მუშაობას მიმდინარე წლის ოქტომბრიდან შეუდგებიან.

ცხოველების უფლებების შელახვის გამო, რაც გულისხმობს მაგალითად, მათ წამებას, მოკვლას, სახლიდან გაგდებას და ასე შემდეგ, პოლიციელები უზარმაზარ ჯარიმებს გამოწერენ, რიგ შემთხვევებში კი კანონდამრღვევებს ციხეც ემუქრებათ.

*zveryuga.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



შალიკია თევზაობიდან დაბრუნდა, ფხიზელია და ბევრი თევზი მოიტანა, ცოლი აღფრთოვანებული შეხვდა.

– ყოჩაღ, შალიკია, როგორ მოხდა, რამდენი თევზი დაგიჭერია?

შალიკიამ უკმაყოფილოდ ჩაიბურდღუნა:

– როგორ და დეგენერატ ბიკენტიას სასმელის წამოღება დაავიწყდა.

*****

– ალო, სასწრაფოა?

– არა, შეგეშალათ.

– უი, ბოდიშით.

– არაფერს, ხდება ხოლმე.

– არა, მართლა ბოდიშს გიხდით, იცით, რაშია საქმე? ჩემი სიდედრი ცუდად გახდა და მგონი, კვდება, წუთებზე და წამებზეა საქმე, მე კიდევ ავღელდი და ნომერი შემეშალა, დიდი ბოდიში. გეტყობათ, რომ გეწყინათ, ბოდიშს მოგიხდით კიდევ ერთხელ, მყუდროება რომ დაგირღვიეთ, ბოდიში, რომ შეგაწუხეთ, არაფერი გეწყინოთ, ძალიან გთხოვთ, ბოდიშს გიხდით კიდევ ერთხელ, კარგად ბრძანდებოდეთ.

*****



– ექიმო მართლა განმკურნეთ?

– კი რათქმა უნდა

– მოდით ექიმო მინდა გადაგეხიოთ

– მოახლოება არც გაბედო

*****

– მამიკო, მამიკო შემთხვევით მეზობლის „ლექსუსს“ ქვა გავარტყი და ფარი ჩავუმტვრიე.

– გადი, ბიჭო, ვისი ხარ? მე შენ საერთოდ არ გიცნობ.

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
21 21 80
(შიდა ნომერი 110)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, D-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

გაზეთი „ყოველკვირეული ალია“
გამოდის ორშაბათობით
გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე
რედაქტორი: მანანა გიორგაძე
(577-43 55 53) 2212180 პირადი (☎106)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ყოველკვირეულ ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია. მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

ISSN 2346-8424
UDC (UAK) 070.4 (479.22) Q-754
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა) ☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: qronika@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 3.40